
მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

გამოუცხადებელი
დემოგრაფიული ომი
საქართველოს წინააღმდეგ



თბილისი
2007

წიგნი საქართველოს მოსახლეობასა და ყველა მის გულშემატკივარს აფრთხილებს მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფის შესახებ, ასევე იმ მიზეზების შესახებ, რაც ამ კატასტროფას იწვევს ან გამოიწვევს. პირველ რიგში, ესაა დემოგრაფიული კორექტირება, რეალურად კი – დემოგრაფიული გენოციდი, – მოძრაობა, რომელიც მსოფლიო გეო-ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. მას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, პირველ რიგში, აშშ აწარმოებს. დემოგრაფიული კორექტირების მთავარი მიზანია შობადობის შემცირება. ამ მეთოდოლოგიასა და მისი განხორციელების საშუალებებს აშშ-ში ახალი იარაღის სტატუსი მიანიჭეს, კოლოსალური დაფინანსება გამოუძებნეს და მოფლიო მასშტაბით აამოქმედეს. დემოგრაფიული ომის მეთოდებს შორის ეფექტურობით გამოირჩევა: კონტრაცეპტივებისა და სტერილიზაციის პროპაგანდა და გავრცელება, აბორტების ლიბერალიზაცია, მონარდობის სექსუალური განათლების დახურვა, სექსუალური გადახრების: ჰომო-, ტრანს-, ზოო- და სხვა სექსუალიზმების სტიმულირება, პორნოგრაფიის გავრცელება, გარყვნილების ხელშეწყობა და ა.შ. კომპლექტურ მეცნიერთა და სპეციალისტთა გამოკვლევების საფუძველზე წიგნში დასაბუთებულია კონტრაცეპტივების მავნებლობა, სექსუალური განათლების დამლუპველობა, აბორტების ბოროტება და ა.შ. წიგნი სასიამოვნო საკითხავი ნამდვილად არ არის, მაგრამ აუცილებელია ყველა მამულიშვილმა და ჭეშმარიტმა პატრიოტმა იცოდეს ამ პრობლემების შესახებ, რათა წინ აღუდგეს საქართველოს ფიზიკურ და სულიერ განოციდს.

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც წიგნზე მუშაობისას დახმარება გაგვიწია, რჩევითა თუ ლოცვით შეგვეწია; მადლობას ვუხდით ჩვენს სულიერ მამებს, ძმებსა და დებს, რომელთა თანადგომის გარეშე ამ წიგნის შედგენა და გამოშვება გაგვიჭირდებოდა. დიდ მადლობას ვუხდით ქ-ნ. ნატო ცომაიას, რომელმაც მოგვაწოდა აბორტთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები (თავი IV, მე-5 ქვეთავი)

ჩვენს ნაღვალს სავსებით შეეფერება მღვდელ ალექსანდრე ზახაროვის სიტყვები, რომლებიც ერთ-ერთ ქვეთავს წავუძღვართ: „ძვირფასო ძმებო და დებო, ის, რასაც ახლა ვიტყვი, მე არ მომიგონია და მე არ შემითხზავს. ყველა აზრი და ზშირად თვით სიტყვები, რომლებსაც ახლა თქვენთვის ვიტყვი, სხვადასხვა ადამიანებს ეკუთვნით. ჩემს წილად მხოლოდ მათი გაერთიანება დარჩა და, შეძლებისდაგვარად, შეკუმშული სახით გადმოვცე ის, რაც უკვე ცნობილია და რაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანების მიერ ითქვა ამ საკითხთან დაკავშირებით. უფალო, დაგვლოცე“.

მასალა გამოსაცემად მოამზადა ა. უნგიაძემ

რედაქტორი: ნინო კვანტალიანი

ტექნიკური დახმარება: ზ. ნონიაშვილისა

კორექტორი: მარიამ ბურჯანაძე



წინასიტყვაობის მაგიერ

ქართული ანდაზაა: „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო“. ღმერთმა წაქევეა-დაცემისაგან დაგვიფაროს, მაგრამ საითაც არ გაიხედავ – თუ ორივე თვალით ბეცი არა ხარ – ყოველი მხრით მოჯარულ მტერს დაინახავ.

❖ საქმე კი ძალიან გაგვკვირვებია: ომში დამარცხებულის, დაჩოქებულის იერი ლამისაა ეროვნულ პროფილად გვექცეს. მეორე მხრიდან იგივე პროფილი გაყეფებულ-მოტრაბახისას მიგვმსგავსებია;

❖ ერი დაღლილა, ხალხი დაბეჩავებულა, უიმედობასა და უსასოობაში ჰკიებს, მოწყალების მოხოვნელი და სხვისი ხელში შემყურე გამხდარა, ქვეყნის პატრონობის ღვთივკურთხეული მოვალეობა და პატივი „ბატონისათვის“ გადაუბარებია და ეს ბატონიც ხან აქეთური უზის და ხანაც – იქეთური, ხან – ამ ზნისა და ხან – იმ ზნის, მაგრამ მანც უზნეური ჰყავს;

❖ ქვეყანას მწვალებლები და სექტანტები შემოსევიან, ჩვენს წმინდა, სამოციქულო ეკლესიას მოსჯარვიან და ძიძგნიან: სამწყსოსა სტაცებენ – ერსა თუ ბერსა, ღალატი აღარ გაგვკვირვებია: იუდას აჩრდილი დადის ღმრთისმშობლის წილხვედრ საქართველოში;

❖ მიწა-ქვეშიდან კი მწვალებლობის ჭია მოცოცავს, ალაგ-ალაგ ტანგასრესილი, ის კი, თითქოს, ისევ იმთელებს ტანსა, მოცოცავს და ხრავს ზოგიერთი ანაფორიანისა თუ უანაფოროს ტვინ-გონსა და სულსა, სწამლავს სამწყსოსა და მწყემსობის მოსურნე ჯველობას;

❖ აქეთ უზნეობა ვეღარ ეტევა თავის კანში, ყველა ხვრელიდან ავხორცეულად მოიხლაზნება, ტანზე ისედაც შეთხელებული სამოსი ასკდება და სულ უფრო ტანგამიშვლებული იროდიადასავით როკავს და მამონას ახლა უკვე ჩვენი შვილების თავების ლანგრით მირთმევას სთხოვს;

❖ ჩვენი მომავალი თაობის გარყვნის, ვითომ „პატრიოტებად“, უფრო კი ჯაგა-ბუჩქებში „სექს-პარტნიორებად“ და ჩვენზე ავად

მომზირალ „ბოისკაუტებად“ ჩამოყალიბების პროგრამა უმაღლესი „კურთხევებით“ ხორციელდება;

❖ ქვეყნის ბატონ-პატრონ-ბანოვან-ქალბატონები გარჯილან, ქვეყანას მიმოსერავენ, არც ბარს აკლდებიან და არც თითქმის დაცარიელებულ მთას, ძირითადად კი ქალებსა მოძღვრავენ, ეუბნებიან: არ გამრავლდეთ, იყავით თანამედროვენი, ორსულობისგან თავი დაიცავით; როგორ?! – აჰა, თქვენ უფასო დამცავ-კონტრაცეპტივები, აჰა, თქვენ პრეზერვატივები, აჰა, თქვენ ბუკლეტები და აჰა, ლიტერატურა, განათლდით, იყავით პროგრესულები, – ნაკლებშვილიანობ-უშვილობა ხომ თქვენი ჯანმრთელობისთვისაც კარგია და თქვენი არგაჩენილი შველებისთვისაც;

❖ იქიდან კიდევ, ვითომ ცივილიზციისა და პროგრესიის სახელით, ღვთისმბრძოლ და ჩვენ-მეობის უარყოფელ ფასეულობებს, ღირებულებებს, წესრიგსა და კულტურასა გვჩრიან, მით ცდილობენ მოშალონ ჩვენი ადათ-წეს-ჩვეულებები, ერული ტრადიციები: ოჯახი და მშობელ-შვილობა, ოჯახიშვილობა და გვარ-გუჯაბ-ნათესაობა, ზრდილობა და გვარიშვილობა, უფროს-უმცროსობა და ოსტატ-შეგირდობა, ცდილობენ, რომ ჩვენს შვილებს ყმაწვილობიდანვე დააკარგვინონ სირცხვილის გრძნობა და სინდის-ნამუსი, აბუჩად ააგდებინონ ქალწულობა, სიწმინდე და უბიწობა, ცდილობენ, რომ უმანკოება – მანკიერებით შეუცვალონ, სიყვარული – სიძვა-მრუმობით, რომ კაცი კაცზე ავხორცობდეს და ქალი – ქალზე, ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილები ერთმანეთში ირეოდნენ და. . .

კიდევ გაავარძელოთ? აღარა კმარა? მგონი საკმარისია, არა?!


აი, ამისთანებსა და სხვა დანარჩენებსაც წიგნში ამოიკითხავთ. ერთს კი წინდაწინ გეტყვით: ყოველივე გარემოჯარულობა ჩვენი გადაგვარებისა და გადაშენებისთვისაა გამზადებული. ამისთვის კი „დიდნი“ და „მძლავრნი“ ამაქვეყნისანი შეთქმულ-შეკავშირებულან, ამა სოფლის მთავრის მიერ მომართულ-ამოქმედებულან, ჩვენს წარწყმედას არც ხელს აკლებენ, არც ძალისხმევასა, არც ფულსა და არც ქონებასა, იქვე – არც ღიმილსა და არც კბილის ღრჭენასა.

ყოველივე ამის გამგონე, შეშინებულ-შეცბუნებულნი, ხომ არ ამბობთ: ეს რა ქვეყნის დასასრულია, ეს რა გვეშველება, საით გავიქცეთ, რომ არ წავიქცეთო?

გიპასუხებთ: გვეშველება, თუკი იმ ჭეშმარიტ ღმერთს შევევედრებით, რომელსაც ჩვენი სახელოვანი წინაპრები სასოებდნენ, ამას გარდა, – თუკი გონებას მოვუხმობთ, ხელებს დავიკაპიწებთ და, რაც მთავარია, – ერთადაც დავდგებით.

ამ ერთგვარი ემოციური წინასიტყვაობის შემდეგ შევუდგეთ არცთუ სასიამოვნო ამბის მოყოლას, თუ როგორ გვანადგურებენ – „ცივილურად“, „მეგობრულად“, მაღლობის გადახდასაცა გვთხოვენ.

ძვირფასო თანამემამულენო, საღათას ძილისაგან გამოვფხიზლდეთ, შევხედოთ უღმობელ სინამდვილეს თვალებში, ბოროტს ზურგი ვაქციოთ, ღმერთი ვახსენოთ და შევუდგეთ საქმეს, რომელსაც ჩვენს ნაცვლად არავინ გააკეთებს და არც არასდროს გაუკეთებია.



თავი I. საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება

1.საქართველოს დემოგრაფიული მაჩვენებლების კარსკამტული გაანგარიშებები

ორიოდე წლის წინ გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) წარმოადგინა საქართველოს დემოგრაფიული მაჩვენებლების პერსპექტიული გაანგარიშებები. ნაშრომის მიზანი იყო – ახალი მონაცემებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, 2050 წლის ჩათვლით წარმოედგინა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის, ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობისა და სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლის პროგნოზი.

როგორც ნაშრომის ავტორები ირწმუნებიან, მოყვანილი პროგნოზები ეფუძნება უახლეს სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე – ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების, მათ შორის, გარე მიგრაციის ანალიზს.

ნაშრომში დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზი სამ ვარიანტად არის შესრულებული: დაბალ, საშუალო და მაღალ ვარიანტად. როგორც ნაშრომის ავტორები ასკვნიან, მოსალოდნელია, რომ დემოგრაფიული სიტუაცია დაბალი და საშუალო ვარიანტის შესაბამისად განვითარდეს. ჩვენც ვფიქრობთ, რომ დაბალი ვარიანტი ყველაზე უფრო მეტად მიუახლოვდება რეალურს, რომელიც, თუ გავითვალისწინებთ დემოგრაფიული კორექტირების (ფაქტობრივად, ომის) მეთოდებს, რაზეც მომდევნო თავებში გვექნება საუბარი, კიდევ უფრო დრამატული შეიძლება იყოს. აი, მცირე ამონარიდი ამ ნაშრომის კომენტარებიდან:

„როგორც სსსდ, ისე შეფასებითი მონაცემებისას, მთელი განსახილველი პერიოდისათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის კლების ტენდენციაა მოსალოდნელი. ასევე, პროგნოზებისას, მოკვდაობის მსგავსი ინტენსივობაა მოსალოდნელი.

პროგნოზის ყველა ვარიანტის შემთხვევაში გარე მიგრაციის საღლოს მსგავსი სიდიდეა გათვალისწინებული. ამასთან, გარე მიგრაციის საღლო უარყოფითია 2030 წლის ჩათვლით. ნულოვან სიდიდეს იგი მხოლოდ 2035 წელს აღწევს“.

იმავე ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია შემდეგი დასკვნა:

„სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით, ავტორთა მიერ შემუშავებული პროგნოზების ვარიანტებიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მცირდება და საპროგნოზო პერიოდის ბოლოსათვის მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება 2000-2005 წლებთან შედარებით.

შემცირდება 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი, ხოლო დემოგრაფიული დაბერება დღევანდელთან შედარებით უფრო მაღალი იქნება. საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი 36-37 წლიდან 42-47 წლამდე გაიზრდება.

დღევანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდება ფერტილური ასაკის ქალების როგორც რაოდენობა, ისე წილი, ანუ ამ კატეგორიის ქალთა კლება უფრო მაღალი ტემპებით მოხდება.

საქართველოს მოსახლეობის ფორმირებაში გარე მიგრაციას მნიშვნელოვანი როლი ექნება, განსაკუთრებით 2020 წლამდე.


საპროგნოზო პერიოდში შემცირდება ჩვილთა მოკვდაობა და გაიზრდება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, თუმცა ჩვილთა მოკვდაობა მაინც უფრო მაღალი, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე სადღეისოდ განვითარებულ ქვეყნებში“.

2. საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფის სურათი

მოსახლეობის კლება კატასტროფული სიჩქარით მოხდება და 4 მილიონ 672 ათასიდან 2050 წლისათვის თითქმის 3 მლნ-მდე დაიკლებს, ანუ 1665000-ით შემცირდება. ამგვარად, 50 წლის განმავლობაში მოსახლეობა 36%-ით შემცირდება.

წლების მიხედვით მოსახლეობის რაოდენობის ცხრილი და მოსახლეობის რიცხოვნობის კლების სურათი დიაგრამა 1-ზეა გამოსახული:

2000	2005	2010	2015	2020	2025	2030	2035	2040	2045	2050
4672	4492	4334	4185	4029	3880	3735	3583	3497	3211	3007




დიაგრამა 1. მოსახლეობა (ათასი)

კატასტროფულად შემცირდება შობადობა: თუკი 2000 წელს დაიბადა 51 ათასი ბავშვი, 2050 წლისათვის სულ 17 ათასი დაიბადება, ანუ შობადობა 3-ჯერ შემცირდება. ამასთან, თუ საქართველოში წარმატებით განხორციელდება შობადობის შემცირების გამომწვევი პროგრამები (იხ. შედეგი თავები), შედეგი უფრო სავალალო იქნება.

წლების მიხედვით დაბადებულთა რაოდენობის ცხრილი (მასშტაბი – ათასი) და შობადობის კლების დიაგრამა ასე გამოიყურება:

2000	2005	2010	2015	2020	2025	2030	2035	2040	2045	2050
51	50	48	43	36	31	28	25	23		20 17

დიაგრამა 2. დაბადებულები წელიწადში (ათასი)




უნდა აღინიშნოს, რომ დაბადებულთა რაოდენობის კლება არ არის მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე დაბრუნებული. იგი ასევე განპირობებულია თავად შობადობის შემცირებით. ასე მაგალითად, თუკი 2000 წელს 10000 მოსახლეზე 110 ბავშვი დაიბადა, 2050 წლისათვის 10000 სულზე მხოლოდ 56 ბავშვი დაიბადება, ანუ შობადობა 2-ჯერ შემცირდება.

თუ შობადობის კლების ამ პროცესს დაემატა კონტრაცეფციის აგიტაცია, როცა დღეს უკვე მიმდინარეობს, და მისი ფართოდ გავრცელება მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი – მოზარდებში, ასევე სექსუალური განათლების შეტანა სკოლაში, მაშინ შედეგი კიდევ უფრო სავალალო იქნება. აქედან გამომდინარე, ვინც ჩვენს ქვეყანაში კონტრაცეფციის აგიტაციას ეწევა და სკოლებში შეტანას ცდილობს, იგი, ნებისთ თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს ჩვენი ერის ფიზიკურ გენოციდს, ასევე სულიერ დამანინჯებასა და გადაგვარებას.

წლების მიხედვით შობადობის კლების ცხრილი და დიაგრამა ასე გამოიყურება:


2000	2005	2010	2015	2020	2025	2030	2035	2040	2045	2050
11,0	11,2	11,1	10,3	9	8	7,5	7,1	6,6	6,1	5,6



დიაგრამა 3. შობადობა (ათას სულზე)

შობადობის შემცირებასთან ერთად გაიზრდება მოკვდაობა, მიუხედავად მეცნიერულ-ტექნიკური „პროგრესისა“.. ამის უპირველესი მიზეზი იქნება გარყვნილების ფართოდ გავრცელება და ამის შედეგად დაავადებათა მატება. ასე მაგალითად, თუკი 2000 წელს 1000 სულ მოსახლეზე 10,7 ადამიანი გარდაიცვალა, 2050 წელს 1000 სულზე 17,5 ადამიანი გარდაიცვლება, ანუ მატება 164%-ს შეადგენს. წლების მიხედვით 1000 სულ მოსახლეზე გარდაცვლილთა რაოდენობის ცხრილი და მოკვდაობის მატების დიაგრამა ასე გამოიყურება:

2000	2005	2010	2015	2020	2025	2030	2035	2040	2045	2050
10,7	12,5	12,9	12,9	13	12,9	13,8	14,8	15,9	16,7	17,5




დიაგრამა 4. მოკვდაობა (ათას სულზე)

მნიშვნელოვანი დემოგრაფიული მონაცემია მოსახლეობის დაბერების ტენდენცია. როგორც აღნიშნეთ, შემცირდება 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი, ხოლო დემოგრაფიული დაბერება დღევანდელთან შედარებით უფრო მაღალი იქნება. საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი 36-37 წლიდან 42-47 წლამდე გაიზრდება, ანუ მოსახლეობა 8-10 წლით დაბერდება.

მაგალითისათვის, 2000 წელს 0-14 წლის ასაკის მოსახლეობის წილი 21,2% იყო, 2050 წლისათვის ეს მაჩვენებელი 2-ჯერ და მეტად შემცირდება და 10,1% იქნება. წლების მიხედვით შესაბამის ცხრილსა და დიაგრამას შემდეგი სახე აქვს:

2000	2005	2010	2015	2020	2025	2030	2035	2040	2045	2050
21,2	18,3	16,7	16,2	15,6	14,3	13	11,9	11,3	10,7	10,1




დიაგრამა 5. 0-14 წლის ასაკის მოსახლეობის წილი (%)

ასევე მცირდება 15-24 წლის ასაკის მოსახლეობის წილი. ასე მაგალითად, თუკი 2005 წლისათვის ეს წილი 16,6%-ს შეადგენდა, 2050 წლისათვის იგი თითქმის ორჯერ შემცირდება და 8,7% იქნება. წლების მიხედვით 15-24 წლის ასაკის მოსახლეობის წილის შემცირების ცხრილი და სურათი დიაგრამა 6-ზეა გამოსახული.

როგორც აღნიშნეთ, დღევანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდება ფერტილური (შობადობის შემძლე) ასაკის ქალების როგორც რაოდენობა, ისე წილი, ანუ ამ კატეგორიის ქალთა კლება უფრო მაღალი ტემპებით მოხდება. თუ ამას დაემატა კონტრაცეფციისა და სტერილიზაციის ეფექტი, მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო იქნება.


2000	2005	2010	2015	2020	2025	2030	2035	2040	2045	2050
15,6	16,6	15,6	13	11,6	11,3	11,4	10,8	9,9	9,1	8,7



დიაგრამა 6. 15-24 წლის ასაკის მოსახლეობის წილი (%)

დემოგრაფიული კატასტროფის სურათის დასანახავად შობადობის კლებისა და მოკვდაობის ზრდის დიაგრამა გვერდიგვერდ წარმოვადგინოთ (დიაგრამა 7. ღია ფერის სვეტები აღნიშნავს შობადობას, მუქი ფერისა – მოკვდაობას). ვხედავთ, როგორ იკლებს ღია ფერის სვეტები და როგორ იზრდება მუქი ფერისა, სიმბოლურად – იკლებს ნათელი და იმატებს ბნელი:

დიაგრამა 7. საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა



კიდევ მრავალი მაჩვენებლის მოყვანა შეიძლება, რომელიც თვალნათლივ დაგვანახვებს მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფის სურათს, მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილიც საკმარისია. სასწრაფოდ განგაშის ხარია შემოსაკრეელი. საქართველოში უნდა აიკრძალოს კონტრაქციუციის, სტერილიზაციის პროპაგანდა, სოფლო-აბორტების შესახებ კანონმდებლობა, ლიბერალიზაციის ნაკვალავი უნდა გამკაცრდეს. დაუნდობელი ბრძოლა უნდა გაბითუცხადოთ სკოლებში სექსუალური განათლების შეტანას, პრესტიტუციას, სექსუალურ გადახრებსა და ანომალიებს, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლიზმს. ჩვენს ქვეყანაში გარყვნილება კი არა, ზნეობრიობა და უბიწოება უნდა იქადაგებოდეს. ჩვენთან ყოველივე ამისთვის უაღრესად კეთილისმყოფელი პირობებია: ესაა მართლმადიდებლობა და ქრისტიანული ზნეობა. თუ გვინდა, რომ გადარჩეს ერი და ჩვენს ქვეყანაში, მოსამსახურეებად და გაუნათლებლებად არ ვიქცეთ, უნდა ვეზიაროთ მართლმადიდებლურ ზნეობას და დავიცვათ ქრისტეს მცნებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუქცევადი პროცესები დაიწყება და

დემოგრაფიული კატასტროფის მსახვრალი ხელი ყველას შეეხება: დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც.

თუ შობადობის კლებისა და მოკვდაობის მატების დიაგრამებს გრაფიკულად წირების სახით გამოვსახავთ, მივიღებთ, შესაბამისად, შობადობის კლების დადმავალ და მოკვდაობის ზრდის აღმავალ წირებს. თუ ამ წირებს საქართველოს გამომსახველ კონტურს დავადებთ, მივიღებთ ჯვარედინად გადახაზულ საქართველოს გამოსახულებას, გადაშენების გზაზე დამდგარ ქვეყანას – ქვეყანას, რომელსაც პერსპექტივა და მომავალი არა აქვს.

3. დემოგრაფიული ომის მეთოდები

ერის დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები დამოკიდებულია მსოფლიო გარემოზე, ქვეყნის გეოპოლიტიკასა და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, ერის რელიგიურ, კულტურულ და სხვა ფაქტორებზე. ეს ფაქტორები ატარებს როგორც ობიექტური რეალობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, ასევე სუბიექტურ, დაგეგმვით, მსოფლიო დემოგრაფიული პოლიტიკის მართვისა და, რაც მნიშვნელოვანია, დემოგრაფიული ომის ნიშნებს. ამ ომს აწარმოებს, პირველ რიგში, აშშ და ეს მიმართულია მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ, იქნება ეს განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები. თუმცა განვითარებადი ქვეყნების მიმართ ეს ომი უფრო ინტენსიურად, არჩევანის უგულბელებოფით, ძალდატანებითა და ცინიზმით წარმოებს.

დემოგრაფიული ომის მეთოდები მრავალია. ყველა მათგანი შობადობის შემცირებისკენაა მიმართული. ესენია: კონტრაცეფცია, სტერილიზაცია, აბორტების ლიბერალიზაცია, სექსუალური განათლება მოზარდებისათვის, პორნოგრაფიის, პროსტიტუციის, ჰომოსექსუალიზმისა და სხვა სექსუალური ანომალიებისა და გადახრების პროპაგანდა და ლეგალიზაცია, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და ა.შ. საყურადღებოა, რომ აშშ-ში ამ მეთოდთაგან ზოგიერთი საკუთარ მოსახლეობაზე იქნა გამოყენებული, მაგრამ შედეგები კატასტროფული იყო და ამან აშშ-ს სახელმწიფოებრიობას საფრთხე შეუქმნა. ამისთვის აშშ-ში რადიკალურად შეიცვალა მიდგომა და

თუ 70-ანი წლებიდან მოყოლებული, ინერგებოდა სექსუალური განათლება მოზარდებისათვის, 2000-ანი წლებიდან სახელმწიფო ხელს უწყობს უკვე მის საპირისპირო პროგრამებს: სექსუალური თავშეკავების, ქალწულობის ინსტიტუტის პროპაგანდის, უბიწობის, ერთქორწინებისა და მეუღლეობრივი ერთგულების პროგრამებს.

მიუხედავად ასეთი გამოცდილებისა, სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში კვლავ გრძელდება დემოგრაფიული ომის მეთოდების დანერგვა-გამოყენება. საქართველოს ეს კატასტროფით ემუქრება.

ჩვენ არ ვიცით, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ შესრულებულ ზემოთ მოყვანილ საქართველოს დემოგრაფიული მაჩვენებლების პერსპექტიულ გაანგარიშებებში გათვალისწინებულია თუ არა დემოგრაფიული მართვის მეთოდების შედეგები, მაგრამ, თუკი განხორციელდა ყველა ის პროგრამა, რაც საქართველოსთვის არის დაგეგმილი, იქნება ეს კონტრაცეფციის პროპაგანდა, აბორტების ლიბერალიზაცია, სექსუალური განათლება მოზარდებისათვის, გარყვნილების ხელშეწყობა თვით უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლების მიერ – პირადი მაგალითით თუ აშკარა მითითებებით, – სექსუალური გადახრების პროპაგანდა-ლეგალიზაცია, ნარკომანიის გავრცელება და ა.შ., მაშინ ერის დაღუპვა სავსებით რეალურია.

ამის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია. ამ ბრძოლაში თავგანწირვა ღმრისათვის სათნოა.



თავი II. დემოგრაფიული ომი და მისი მეთოდები

1. შესავალი

დემოგრაფია არის მეცნიერება მოსახლეობის შესახებ, რომელიც სწავლობს მოსახლეობის რაოდენობის მატების ან კლების ტენდენციებს, მათს გამომწვევ მიზეზებს (ბავშვების დაბადება, ბავშვების სიკვდილიანობა, აბორტები, ახალგაზრდათა რაოდენობა, მათი ჯანმრთელობის, გამრავლების ტენდენციები, მოხუცთა რაოდენობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ავადმყოფობები, სიკვდილიანობა და ა.შ.), მათს კავშირს მოსახლეობის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სულიერ, ზნეობრივ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან და იძლევა გარკვეულ პროგნოზს.

მსოფლიოს გავლენიანი ფონდები მხარს უჭერენ დემოგრაფიული კვლევების იმ მიმართულებას, რომელიც ხელს უწყობს დემოგრაფიული პროცესების რეგულირებას და გულისხმობს „რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვას“, „რეპროდუქტიულ უფლებებს“, „სქესობრივ აღზრდასა“ და ე.წ. „ჯანმრთელი ცხოვრების წესის“ დამკვიდრებას, „უსაფრთხო დედობას“, „მშობელთა პასუხისმგებლობას“, რომელიც უკავშირდება „სასურველი და ჯანმრთელი ბავშვების ყოლას“ და „ოჯახის დაგეგმვას“. ეს უკანასკნელი, რომელიც სხვა მიმართულებების წინამორბედია და შეგვიძლია ყველა დანარჩენის კრებსით ფორმად მივიჩნიოთ (მის ისტორიას ქვემოთ შევეხებით) უფრო ღიად გამოხატავს იმ მზაკვრობასა და უზნეობას, რაც „ოჯახის დაგეგმვის“ არსში დევს. ამ, ერთი შეხედვით, პოზიტიური ჟღერადობის სახელების მქონე მიმართულების ძირითადი მიზანია დედამიწაზე შობადობის შემცირება, რათა არ წარმოიქმნას ჭარბმოსახლეობა და მასთან დაკავშირებული

ეკონომიკური, ენერგეტიკული, ეკოლოგიური, სურსათის უკმარისობისა და სხვა პრობლემები. მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ზემოთ დასახელებული მიმართულებები უნდა განხორციელდეს და რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, დიდ საფრთხეს შეიცავს ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. პირდაპირ შეიძლება ითქვას: ჩვენი ქვეყნისათვის ამ მეთოდების თავს მოხვევა ერის ფიზიკური და სულიერი გენოციდის ტოლფასია.

2. გეგმა აშშ-200, აშშ-ს ნაციონალური უშიშროების მემორანდუმი

1974 წლის 27 აპრილს აშშ-ს ძირითად უწყებებში: თავდაცვის სამინისტროში, „ცრუ“-ში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საერთაშორისო განვითარების სააგენტოში – დაიგზავნა მოთხოვნა, ხელმოწერილი სახელმწიფო მდივნის, ჰენრი კისინჯერის მიერ: **„პრეზიდენტმა გასცა ბრძანება, შევისწავლოთ, რა ზაგავლენა აქვს მსოფლიო მოსახლეობის ზრდას აშშ-ს უშიშროებასა და ჩვენი საერთაშორისო ინტერესების დაცვაზე“**, – ნათქვამი იყო მოთხოვნაში. ითხოვნენ არა მხოლოდ შესწავლას, არამედ კონკრეტული ზომების შეთავაზებასაც: როგორ შემცირებულიყო მოსახლეობა სუვერენულ სახელმწიფოებში ისე, რომ ამას არ გამოეწვია ხელისუფლებისა და მოსახლეობის მძაფრი წინააღმდეგობა. ამის შედეგად შეიქმნა დოკუმენტი აბრივიატურით NSSM-200 (National Security Study Memorandum). იგი შეადგინა ნაციონალური უშიშროების საბჭომ, რომელიც აშშ-ს მთავრობაში მმართველობის უმაღლეს დონეს წარმოადგენს. საბჭოს ხელმძღვანელობს თავად პრეზიდენტი (მაშინ ეს იყო ნიქსონი). საბჭოს ამოცანაა, კოორდინაცია გაუწიოს მთავრობის ყველა ქვედანაყოფის საზღვარგარეთულ ქმედებებს.

ამ დოკუმენტმა, რომელიც გასაიდუმლოებულ იყო და ფრაგმენტები 1990 წელს გამოქვეყნდა, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში განსაზღვრა მსოფლიოს განვითარება. საიდუმლო მემორანდუმში ღიადაა ნათქვამი, რომ, როდესაც მდიდარი და ღარიბი ქვეყნები სულ უფრო შორდებიან ერთმანეთს, მოსახლეობის ზრდა ღარიბ ქვეყნებში დაბავს მდგომარეობას, ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუშლის

აშშ-ს, მოიპოვოს რესურსები: „აშშ-ს მოსახლეობა შეადგენს მსოფლიო მოსახლეობის 6%, ამასთან, ჩვენ მოვიხმართ ბუნებრივი რესურსების დაახლოებით მესამედს“, ნათქვამია მემორანდუმში. აშშ სულ უფრო მეტად დამოკიდებულია განვითარებადი ქვეყნებიდან წიაღისეულის იმპორტზე. ამიტომ აშშ დაინტერესებულია მომწოდებელი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობით. დიას, მათ სჭირდებათ სტაბილურობა, მაგრამ სისუსტის სტაბილურობა, რომ ჩამორჩენილი ქვეყნები დაუბრკოლებლად ძარცვონ.

გავაგრძელოთ მემორანდუმის ციტირება: „ვინაიდან შობადობის შემცირებით ჩვენ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ასეთი სტაბილურობის პერსპექტივები, მოსახლეობის განსახლების სფეროში პოლიტიკა ძალზე მნიშვნელოვანი ხდება აშშ-ს ეკონომიკური ინტერესების დაცვისათვის“. აი, კიდევ უფრო ღია გამონათქვამი: „განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის სწრაფი ზრდა... ზიანს აყენებს მათ შიდა სტაბილურობას და ამ ქვეყნებთან ურთიერთობებს, რომელთა განვითარება აშშ-ს ინტერესს შეადგენს და ამგვარად, ქმნის პოლიტიკურ პრობლემებს, მეტიც, საფრთხეს უქმნის აშშ-ს ნაციონალურ უსაფრთხოებას“.

მემორანდუმი მომნუსხველია თავისი ცინიზმით. აი, როგორ წარმოუდგენიათ ადამიანის უფლებების დამცველებს საგანთა იდეალური წესრიგი და სინამდვილეში როგორ ზრუნავენ „შესაძლებლობათა თანასწორობაზე“: „როდესაც მოსახლეობის სიჭარბე იწვევს შიმშილს, მშვიერ ბუნტებსა და სოციალურ გადატრიალებებს, ეს არ არის ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსების სისტემატური ათვისებისა და გრძელვადიანი ინვესტიციებისათვის“ (არ დაგავიწყდეთ, რომ მემორანდუმში საუბარია ქვეყნებზე, რომლებსაც მდიდარი წიაღისეული აქვთ, რომლებიც შესანიშნავად შეძლებდნენ თავისი მოსახლეობის გამოკვებას, რომ არა სისხლის მწოველი ქვეყანა, რომელიც ინფორმაციული ომის კანონებით თავის თავს „დონორ“ ქვეყანას უწოდებს). შემდეგ: „... მსგავსი კრიზისები ნაკლებადაა მოსალოდნელი მოსახლეობის დაბალი ან უარყოფითი ზრდის მაჩვენებლის შემთხვევაში“.

შობადობის შემცირება განზრახული იყო უკვე აპრობირებული

საშუალებით: ოჯახის დაგეგმვის სამსახურების გავრცელების გზით, რომლებიც მოახდენდნენ „**ორსულობის თავიდან აცილებას უბრალო, იაფი, ეფექტური, უსაფრთხო, განანგძლივებული მოქმედებისა და მისაღები მეთოდების**“ პროპაგანდით. „**ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის ასპექტია მსოფლიო მოსახლეობაზე კონტროლის ნებისმიერი პროგრამისათვის**“, – ავტორები გულწრფელად აღიარებდნენ მემორანდუმში, რომელიც იმ დროს შიდა მოხმარების დოკუმენტს წარმოადგენდა.

ოჯახის დაგეგმვის სამსახურები შეიძლება დამოუკიდებელ ორგანიზაციებად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ შეიძლება ისინი – თვალის ასახვევად – ჩაერთონ ჯანდაცვის უკვე არსებულ სტრუქტურებში: „... **ოჯახის დაგეგმვის ინტეგრაცია ჯანდაცვის სისტემაში დაგვეხმარება ჩვენ უარვევით... ბრალდება იმისა, რომ აშშ განვითარებად ქვეყნებში უფრო დაინტერესებულია მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით, ვიდრე – მათი მომავლის უზრუნველყოფით**“. ბრალდებები კი, პირდაპირ უნდა ითქვას, უსაფუძვლო როდია, რადგან, როგორც მემორანდუმის ავტორები აღიარებენ, ამერიკა სულ უფრო მეტ სახსრებს ღებს შობადობის შემცირების პროგრამებში და სულ უფრო მცირეს – მესამე ქვეყნების ჯანდაცვის განვითარების პროგრამებში. ხოლო, თუ ინტეგრირებას მოახდენ, მაშინ, აბა, სცადე და გაარკვიე, რა სახსრები წავიდა პრეზერვატივებისა და სტერილიზაციისათვის განკუთვნილ ლაპარასკოპებზე და რა – უდროოდ დაბადებულთა მოვლის აპარატურაზე.

სტერილიზაციის შესახებ სამეცნიერო წყაროებში ვკითხულობთ: „**მამაკაცებისა და ქალების სტერილიზაცია ფართოდ გავრცელდება მაშინ, როდესაც ეს ოპერაცია გამარტივდება, დაჩქარდება და უსაფრთხო გახდება... ქალთა სტერილიზაცია სრულყოფილი გახდა ლაპარასკოპებისა და მუცლის ღრუს ოპერაციების გამოყენებით**“.

დავუბრუნდეთ მემორანდუმს: შობადობის შემცირების მეთოდებისა და საშუალებების პროპაგანდა უნდა ეწარმოებინათ სხვადასხვა არხით, პირველ რიგში, განათლების სისტემის საშუალებით. „**არსებული კონტრაცეპციული ტექნიკის ეფექტური გამოყენების საკვანძო ფაქტორს განათლების პრობლემა**

წარმოადგენს“. ამ საკითხს მემორანდუმში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. **„არ უნდა შევამციროთ ძალისხმევა მოზრდილი მოსახლეობის მიმართ. ამავე დროს, აუცილებელია კონცენტრირება მოვახდინოთ მოზარდ თაობაზე – მათზე, რომლებიც ახლა დაწყებით სკოლაში არიან“.** ახლა სავსებით ნათელია, თუ რატომ გამოჩნდა მოსწავლეთათვის ფერადსურათებიანი საკითხავი წიგნები, რომლებშიც შიშველი სხეულები, გენიტალიები და სექსუალური აქტია ასახული; ასევე სავსებით ნათელია, თუ ვისი ხელშეწყობით და რა მიზნით შედიოდნენ სკოლებში სრულიად „უანგაროდ“ „კეთილი დეიდები“, მოსწავლეებს ესაუბრებოდნენ სექსზე, სექსუალურ გადახრებზე, ურიგებდნენ პრეზერვატივებს, ავარჯიშებდნენ პრეზერვატივების ბანანებზე ჩამოცმაში, გოგონებსა და ბიჭებს ერთმანეთისაკენ მიანიშნებდნენ, ეწეოდნენ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას.

შობადობის შემცირებისა და „დაგეგმვის“ პროგრამის გავრცელებისათვის საჭირო იყო სოციალური და ფსიქოლოგიური წინაპირობების შექმნა. მემორანდუმში ამის ხელშეწყობ ფაქტორებად სხვებთან ერთად მიჩნეულია:

- გვიანი ქორწინებები,
- ფემინისტური ტენდენციები – ამასთან დაკავშირებით მემორანდუმში ნათქვამია: **„ბოლო გამოკვლევებით შევძელით დაგვედგინა შობადობის შემცირების ხელშეწყობი ფაქტორები. მათ შორისაა ქალის არატრადიციული როლის გაზრდა“.** ამასვე უკავშირდება გენდერული გამოკვლევები და პროგრამები.

მემორანდუმში გათვალისწინებული იყო **„ახალი თაობის ორიენტირება მცირერიცხოვან ოჯახებზე“.** ავტორები არ მაღავენენ, რომ მრავალ განვითარებად ქვეყანაში **„ოჯახის სასურველი რაოდენობა“** ოთხი ან მეტი ბავშვია. ამიტომ **„უნდა დავარწმუნოთ ფართო მასები, რომ მათ ინდივიდუალურ და ნაციონალურ ინტერესებშია ორი ბავშვის ყოლა“.**

საერთოდ, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის **„დარწმუნების აუცილებლობას“** საიდუმლო დოკუმენტში დიდი ყურადღება ენიჭება. იქ პირდაპირაა ნათქვამია, რომ ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკა განწირულია, თუ მას **„შიგნიდან არ დაუჭირეს მხარი“.** „ჩვენ

უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა ჩვენი მოღვაწეობა არ აღიქვან, როგორც მათ წინააღმდეგ მიმართული განვითარებული ქვეყნის პოლიტიკა“... ამის განხორციელების მიზნით დოკუმენტის ავტორები ადგილობრივ ლიდერებზე დაყრდნობისაკენ მოუწოდებენ. როგორ მივაღწიოთ ამას? პირველ რიგში, საყოველთაოდ ცნობილი ხერხით: ლიდერების ნიუ-იორკში სემინარებზე მიწვევით და მათთვის სასიამოვნო გარემოს შექმნით: „შესაძლებელია იმპერიალისტური მოტივაციის ბრალდების მინიმუმამდე დაყვანა – თუ განუხრელად ვიმეორებთ, რომ ჩვენ ვზრუნავთ: ა) ყოველი ადამიანის უფლებებზე, თავისუფლად და პასუხისმგებლობით განსაზღვროს შეილთა რაოდენობა და მათ დაბადებებს შორის შუალედი... და ბ) ღარიბი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ხოლო იმისათვის, რომ ლიდერებმა ეს დაიჯერონ, საჭიროა სოციალური საკითხებისათვის მათ მივცეთ მცირე თანხა“.

წარმატების გარანტიისათვის რეკომენდირებულია, რომ ამა თუ იმ ქვეყნისათვის კრედიტის, სურსათის და სხვა სახის დახმარების მიწოდებისას გათვალისწინებული იყოს, თუ როგორ იქცევა იგი „ოჯახის დაგეგმვის“ სფეროში: ამცირებს თავის მოსახლეობას თუ, პირიქით, ჭირვეულობს. ვფიქრობთ, ამ საიდუმლო დოკუმენტის გამოძიებულების შემდეგ ბევრი რამ ხდება გასაგები.

ხსენებული „საიდუმლო გეგმა“ ფასდაუდებელია იმიტაც, რომ მასში ვრცლად არის მოთხრობილი შემსრულებელი ორგანიზაციების შესახებ. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გარდა (USAID), წმინდა ამერიკული მათ შორის არ არის, არამედ არის მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციები. მთავარი, ანუ სათავო ორგანიზაციაა გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA). თეორიულად ამ ფონდში ირიცხება თანხები სხვადასხვა ქვეყნიდან (იმ პერიოდში 65 ქვეყანა აღინიშნებოდა. აღსანიშნავია, რომ 1971 წელს აშშ-ის შენატანმა ფონდის ბიუჯეტის დაახლოებით ნახევარი შეადგინა. ასე რომ, „მუსიკის შემკვეთის“ ვინაობა არ ბადებს ეჭვს).

მემორანდუმის ავტორთა აზრით, გაეროს მოსახლეობის ფონდი დეპოპულაციური პროექტების განხორციელებაში მაკოორდინირებელ როლს ასრულებს. მის მითითებებს ასრულებენ ისეთი ორგანიზაციები,

როგორებიცაა: „იუნისეფი“, „იუნესკო“, „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია“ და მრავალი სხვა. აქვეა „ოჯახის დაგეგმვის“ საერთაშორისო ორგანიზაციაც. **„აშშ-მ უნდა გააერთიანოს დონორი-ქვეყნები, ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები და მსოფლიო ბანკი კონსორციუმის შესაქმნელად, რომელიც დაეხმარება ღარიბ ქვეყნებს... ისეთი ჯანდაცვის სისტემის ორგანიზებაში, რომლის განუყოფელი ნაწილიც ოჯახის დაგეგმვა გახდება“.** „იუნესკოს“ მოუწოდეს, ხელმძღვანელობა გაეწია დაწყებითი სკოლის მოსწავლეებთან მუშაობისათვის, რათა **„ფორმალური და არაფორმალური სწავლებისას“** მათ ჩაუნერგონ მცირეშვილიანი ოჯახის იდეალი. როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, ყველა ეს ჩანაფიქრი ცხოვრებაში წარმატებით დაინერგა.

არსებითად, მემორანდუმში წარმოდგენილია ახალი სახეობის ომის სტრატეგია და ტაქტიკა. ამასთან, ეს ომი უკვე წარმოებს. საქართველოში ეს ჯერ არ ესმით, ამერიკელები კი ღიღი ხანია ამას მიხვდნენ: 1989 წლის გაზაფხულზე ჟურნალ „ვამინგტონს ქოუთერლის“ სტატიის **„გლობალური დემოგრაფიული ტენდენციები 2010 წლისათვის აშშ-ს უსაფრთხოების ასპექტში“** პენტაგონი ღიად მოუწოდებდა, რომ **„მოსახლეობის დაგეგმვას“** მინიჭებოდა **ახალი სახის იარაღის შექმნის პროგრამის სტატუსი.** [«Global Demografie Trends to the Year 2010: Implications for U.S. Security», Washington Quarterly, Spring 1989].

1997 წელს თეთრი სახლი და სენატი დათანხმდნენ მოსახლეობის საერთაშორისო პროგრამის ფინანსირების საკითხს. ამასთან დაკავშირებით ბილ კლინტონმა აღნიშნა: **„ჩვენ ვადასტურებთ, რომ აშშ მომავალშიც წამყვან როლს შეასრულებს მსოფლიოში ოჯახის დაგეგმვის სფეროში ნებაყოფლობითი დახმარების გაწევის საქმეში. ოჯახის დაგეგმვა არის ჩვენი სტრატეგიის საკმანძო საკითხი...“** (თუმცა ამას ხელი არ შეუშლია გაეროსთვის (ანუ, აშშ-სთვის) გენოციდის სხვა მეთოდი გამოეყენებინა, კერძოდ, სერბეთის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, მათ შორის, სერბეთის სამშობიარო და საბავშვო სახლებისა და სკოლების დაბომბვისას – ა.უ.).

3. დეზინფორმაციის მეთოდები

მართლმადიდებელი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ ომი მრავალ ფრონტზე მიმდინარეობს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სწორედ დემოგრაფიული ომია, რომელიც სხვადასხვა აპრობირებული მეთოდით წარმოებს. ამ მეთოდებს შორის ყველაზე მზაკვრულია „ოჯახის დაგეგმვის“ კონცეფცია და პროგრამა და კონტრაცეფციის (ირიბად – აბორტების), როგორც ამ დაგეგმვის განხორციელების საშუალების პროპაგანდა. სამწუხაროა, რომ ამ ომს სათანადო შეფასებას არ აძლევენ საზოგადოების პატრიოტული ძალები. მეტიც, მრავალი მათგანი არამც თუ ეწინააღმდეგება ამ ფრონტზე შემოტევებს, პირიქით, მოწინააღმდეგის არმიას... ხსნის არმიად მიიჩნევს. ჯერჯერობით, ამ ომის დამანგრეველ პერსპექტივას რეალურად ძირითადად ის პირები აფასებენ, რომლებიც ეკლესიოლოგიური, მართლმადიდებლური მოძღვრების პოზიციიდან ანალიზებენ „ოჯახის დაგეგმვის“ პროგრამასა და მის მეთოდებს, ზნეობრივი კუთხით განმარტავენ მის მანკიერ არსსა და გამხრწნელ მიზანმიმართულობას.

„ოჯახის დაგეგმვის“ პროგრამის განხორციელებისთვის ხელშემწყობ ფონად ითვლება ზნეობაზე ორიენტირებული, საზოგადოების მიერ აღიარებული და ტრადიციული ზნეობრივი ღირებულებების ნაცვლად ლიბერალური ღირებულებების პროპაგანდა და დამკვიდრება, ღმრთის მცნებებით ცხოვრების ნაცვლად თავისუფალი ცხოვრების წესის პროპაგანდა, გარყვნილების ლეგალიზაცია, საზოგადოების, განსაკუთრებით, მოზარდი თაობის გარყვნა, სექსუალური რევოლუცია, სკოლებში სექსუალური განათლების შეტანა... – ყოველივე ის, რაც სასიკვდილო დარტყმას აყენებს ტრადიციულ ზნეობას, შლის და ანადგურებს სოციალურ-კულტურულ ნორმებს. ასე გაგებული „ცხოვრების თავისუფალი წესი“, თავისი არსით, არის გათავისუფლება ზნეობისაგან, სინდისისაგან, სირცხვილისაგან, არის არა თავისუფლება, არამედ – ვნებებისადმი მონება, არის სულიერი ღვაწლის უარყოფა და ხორციელი სიამოვნებისადმი ლტოლვა. ნგრევის შემდეგი ეტაპი იმ კანონების მიღებაა, სადაც ცოდვა და ზნეობრივი უკანონობა სახელმწიფოს მიერ არის დაცული. ამ გზით ხდება ანტიქრისტეს სტანდარტების დანერგვა, იქმნება საზოგადოების ტოტალური სატანიზაციის

პლაცდარმი. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების „სექსუალიზაცია“, სკოლებში „სექს-განათლების“ შემოღება.

ყოველივე ეს კავშირშია იმ დემოგრაფიულ ომთან, რომელიც მთელ მსოფლიოში აშკარად წარმოებს. მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს განსხვავებული ტიპის ომთან, რომელიც ინფორმაციული ომის კანონებით მიმდინარეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადი ზეწოლა ინფორმაციაზე, უფრო სწორად, მოწინააღმდეგის დეზინფორმაციაზე კეთდება.

დეზინფორმაციის მეთოდები მრავალნაირია, მაგრამ ძირითადი პრინციპი ერთია: ის, რაც დამლუპველია, ადამიანს მიეწოდება, როგორც სიკეთე. რა თქმა უნდა, თუ ოფიციალურად განაცხადებდნენ, ჩვენს ქვეყანაში შობადობის საწინააღმდეგო პროგრამების განხორციელება მიმდინარეობს ან იგეგმებაო, საზოგადოება ამ ფაქტს ცალსახად აღიქვამდა, როგორც ერის გენოციდს. მაგრამ პირდაპირ ამის შესახებ არავინ აცხადებს, პირიქით, საუბრობენ „რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვაზე“, „ჯანსაღი ცხოვრების წესზე“, „რეპროდუქტიულ უფლებებზე“, „უსაფრთხო დელობაზე“ – ყოველივე იმაზე, რაც მშვენივრად ჟღერს, მაგრამ სინამდვილეში ამ ლოზუნგების ჭეშმარიტი არსი მათი სიტყვიერი შეფუთვის საწინააღმდეგო მნიშვნელობისაა. ერთი შეხედვით ვერც კი მიხვდები, რომ ეს მოწოდებები ტიპური სიცრუეა. გავიხსენოთ, ჰიტლერის „არასრულყოფილთა“ განადგურების პროგრამასაც „ჯანსაღი ერები“ ეწოდებოდა. ასე რომ, სახელწოდებით შენიღბვის ტრადიცია გრძელდება.

იმისათვის, რომ დავინახოთ „ოჯახის დაცვის“ პროგრამის დამლუპველი არსი, გთავაზობთ მოკლე ლექსიკონს „დაგეგმარებითი“ ენიდან ადამიანურ, ჩვენთვის გასაგებ ენაზე:

✓ „რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვა“ – მოიცავს კონტრაცეფციას, სტერილიზაციას (!), აბორტებს. კონტრაცეფციის ამორალური ხასიათი აშკარაა, ხოლო კონტრაცეპტივების ჯანმრთელობისთვის საზიანო გამოვლინებებზე, (ალარაფერს ვამბობთ სტერილიზაციასა და აბორტებზე), ნათლად მეტყველებს ფაქტები, მეცნიერული გამოკვლევები და საუბრობენ სპეციალისტები;

✓ „რეპროდუქტიული უფლებები“ – უფლება კონტრაცეფციაზე, სტერილიზაციაზე, აბორტსა და ბავშვთა გახრწნაზე სკოლებში

„სქესობრივი აღზრდის“, „ჯანსაღი ცხოვრების წესის“ და მისთ. სწავლებათა შემოღებით;

✓ „სქესობრივი აღზრდა“ – შობადობაზე უარის თქმის ფსიქოლოგიის დანერგვა ბავშვებში, მათ შორის კონტრაცეფციისა და სტერილიზაციის ღია და აბორტებისა და სექსუალური გარყვნილების ფარული პროპაგანდით, რაც სხვა დამანგრეველ ფაქტორებთან ერთად ასევე მიმართულია შობადობის შემცირებისაკენ;

✓ „ცხოვრების ჯანსაღი წესი“ – „დამგვემარებელთა“ წარმოდგენით აუცილებლად გულისხმობს კონტრაცეფციის გამოყენებას;

✓ „უსაფრთხო დედობა“ – კონტრაცეფციის გამოყენება (აბორტების შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად);

✓ „პასუხისმგებლობითი მშობლობა“ – გულისხმობს კონტრაცეპტივების გამოყენებას, რომელიც შეკავშირებულია ლოზუნგთან: „ბავშვი უნდა იყოს ჯანმრთელი და სასურველი“. მანამდე იყო უფრო ღია ლოზუნგი: „დაე, იყოს ერთი ბავშვი, მაგრამ ჯანმრთელი და სასურველი“;

✓ „ჯანმრთელი და სასურველი ბავშვები“ – მიიღებინა მხოლოდ დაგეგმილი ორსულობის დროს, ანუ როდესაც ქალი დაგეგმილად წყვეტს კონტრაცეპტივების გამოყენებას. მაგრამ შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი, როდესაც ქალი ბავშვის ყოლას არ აპირებდა, მაგრამ შემდგომ გააჩინა და იყო ბედნიერი და მაღლობდა ღმერთს, რომ არ გაიკეთა აბორტი.

სიტყვათა კავშირი „ჯანმრთელი“ და „სასურველი“ – მეტად ტიპიურ და უხეშ მანიპულაციას წარმოადგენს: სინამდვილეში, „არასასურველი ბავშვები“ შეიძლება ჯანმრთელები იყვნენ და, პირიქით, ყველაზე სასურველი ბავშვი – ავადმყოფი. „სასურველი ბავშვის“ ლოზუნგის ლოგიკას მკაცრად თუ მივყვებით, მაშინ თვით სასურველი, მაგრამ არაჯანმრთელი ბავშვი აბორტირებულ უნდა იქნეს. სტატისტიკით, ასეთია ყოველი მესამე ბავშვი, თუნდაც, არასაკმარისი წონის გამო.

ერთი შეხედვით დადებითი ჟღერადობის მქონე „ოჯახის დაგეგმვის“ რეალური შინაარსი ბავშვებზე უარის თქმაა, რაც გულისხმობს კონტრაცეფციის, სტერილიზაციისა და აბორტის გამოყენებას. ნიშანდობლივია, რომ „ოჯახის დაგეგმვის“ კონცეფციაში ოჯახზე

საუბარი ოფიციალურ დონეზეც კი არ არის. პირიქით, რეპროდუქციის ცენტრებში არსებობს ოფიციალური მითითებები, სადაც ნათქვამია, რომ ამგვარი ცენტრების წარმატებით მოღვაწეობის კრიტერიუმად მიჩნეულია გაკეთებული აბორტების რაოდენობა. და ეს მეტად ნიშანდობლივია, რადგან ააშკარავებს მსგავსი ცენტრების რეალურ მიზანს. მიაქციეთ ყურადღება: არა „უშვილობისაგან განკურნებული წყვილების“, არა „ახალშობილთა“, არამედ სწორედ აბორტების რაოდენობა. ამაში უცნაური არაფერია: თუ ოდნავ მაინც გავვეცნობით „ოჯახის დაგეგმვის“ ისტორიას, უმაღლესი ყველაფერს ნათელი მოეფინება.

თვით ისეთი აშკარა ანტიჰუმანური და ბარბაროსული მეთოდის ლიბერალიზაცია, როგორც აბორტია, მსოფლიო პოლიტიკის ნაწილს შეადგენს. ამისათვის საკმარისია, მოვიყვანოთ ერთ-ერთი სააგენტოს მიერ გავრცელებული შემდეგი ცნობა:

„გაერომ მოუწოდა პოლონეთს აბორტების ნება დართოს“

„გაეროს ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტმა გასულ კვირას გააკრიტიკა პოლონეთში მოქმედი კანონი აბორტების შესახებ, – გვამცნობს United Press Internationale. საერთაშორისო ორგანიზაციის აზრით, კანონი მეტად მკაცრია და „ქალებს რისკის ქვეშ აყენებს, რადგან მათ აიძულებს, უკანონო აბორტებს მიმართონ“.

კანონი აბორტის ნებას რთავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქალი გაუპატიურების შემდეგ დაფენხმდებოდა, ასევე, სერიოზული სამედიცინო მონაცემების შემთხვევაში... სანამ ასეთი (ლიბერალური-ა.უ.) კანონი არ არის, პოლონეთის ტერიტორიის გარეთ აბორტების გაკეთებას ქალებს სთავაზობს ორგანიზაცია „ქალები ტალღებზე“ (Women on Waves), რომელიც გამოდის ქალის უფლების დასაცავად, თავად წყვეტდეს თავისი სხეულის ბედს, მათ შორის, იმ ნაყოფისა, რომელსაც ის ატარებს“. (12.11.2004)

4. „ოჯახის დაგეგმვის“ ისტორია

გეგმა შშ -200 იყენებს იმ გამოცდილებას, რაც შობადობაზე კონტროლის სფეროში ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-ანი წლებიდან გროვდებოდა. ოდესღაც შობადობასთან მებრძოლი საზოგადოების სახელწოდება ნაკლებად შენიღბული იყო – მას „შობადობის

კონტროლის ლიგა“ ეწოდებოდა, რომელიც აშშ-ში 1921 წელს მარგარეტ ზანგერმა დააარსა. თავად მარგარეტ ზანგერი ფარული მასონური ორგანიზაციის, როზენკრეიციერთა ორდენის, წევრი იყო. როზენკრეიციერთა ორდენის სიმბოლიკა (ვარდი, ლამპარი და სხვა) ამშვენებდა მის ჟურნალს „შობადობის კონტროლის მიმოხილვა“.

მოკლე ხანში „შობადობის კონტროლის ლიგა“ აშშ-ს ერთ-ერთი გავლენიანი საზოგადოება გახდა. 1921 წელს მარგარეტ ზანგერი ფარული აბორტების განხორციელებისა და ჯანმრთელობისათვის საშიში კონტრაცეპტივების გავრცელების გამო ერთი თვით დააპატიმრეს. უკვე 1922 წ. კი მარგარეტ ზანგერმა აბორტების დასაცავად მოიწვია საერთაშორისო კონფერენცია და გამართა მსოფლიო ტურნე ლექციების ციკლით.

რასაკვირველია, თავად მარგარეტს იმ პერიოდში მსგავსი ღონისძიების განხორციელებისათვის თანხა არ ჰქონდა. სამაგიეროდ, თანხა აღმოაჩნდა მას, ვისაც მისი მოღვაწეობა პერსპექტიულად მოეჩვენა. ზანგერის გენოციდის მოდელს, მალთუსის ომების, ეპიდემიების გავრცელების, ბოროტმოქმედების ხელშეწყობისა და მედიცინის განვითარების შეჩერების თეორიასთან შედარებით, მთელი რიგი უპირატესობები ჰქონდა: იგი უფრო ჰუმანურად გამოიყურებოდა, უფრო ზუსტი იყო და მისი გამოყენება მკაცრად დიფერენცირებულად შეიძლებოდა – მეორეხარისხოვანი რასებისა და ერების მიმართ.

უკვე 1925 წელს როკფელერის ფონდმა დაიწყო „შობადობის კონტროლის ლიგის“ დაფინანსება, ხოლო 1934 წელს მარგარეტ ზანგერმა გამოაქვეყნა კანონპროექტი, სადაც „შობადობის შეჩერებისაკენ“ მოგვიწოდებს. მასში ასეთი დებულებები იყო:

დებულება 2. შობადობის მაკონტროლებელი კლინიკები იღებენ ჯანდაცვის სახელმწიფო ორგანოების სტატუსს...

დებულება 3. ქორწინების მოწმობა მეუღლეებს მხოლოდ ერთობლივი მეურნეობის წარმოების უფლებას აძლევს – და არა მშობლობის.

დებულება 4. არც ერთ ქალს არა აქვს უფლება ბავშვის მუცლად ტარებისა და არც ერთ მამაკაცს – მამად გახდომისა, თუ არ მიიღებს მშობლობის უფლებას.

დებულება 5. მშობლობის უფლება მეუღლეებს უნდა მიეცეთ სახელმწიფო ორგანოების მიერ იმ პირობით, თუ ისინი

მატერიალურად უზრუნველყოფენ ბავშვის მომავალს, აქვთ შესაბამისი განათლება, რათა სწორად აღზარდონ იგი და არა აქვთ შთამომავლობითი დაავადება. გარდა ამისა, ქალმა უნდა წარმოადგინოს ცნობა, რომ ორსულობა მის ჯანმრთელობას საფრთხეს არ შეუქმნის.

დებულება 6. მშობლობის უფლების მოქმედება ერთჯერადია.

დებულება 8. გონებრივად დაქვეითებულნი, შთამომავლობითი დაავადების მქონენი და, ასევე ყველა სხვა, რომელნიც ბიოლოგიურად არასრულყოფილად არიან მიჩნეულნი, უნდა იქნენ სტერილიზებულნი ან იზოლირებულნი იმ მიზნით, რომ არ მოხდეს იმავე მანკიერების მქონე შთამომავლობის გამრავლება.

ზანგერმა 1939 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში აშშ-ს სამხრეთის შტატების დემოგრაფიული სიტუაცია შეაფასა როგორც არაჯანმრთელი: ისე, თითქოს „არასრულფასოვანი“ ზანგი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა საფრთხეს უქმნიდა თეთრ რასას. სიტუაციის გამოსასწორებლად ზანგერი მოუწოდებდა, კონტრაცეფციის საქადაგებლად სამხრეთის შტატებში ტურნეში გაეგზავნათ სპეციალურად მომზადებული, მკაცრი კონტროლის ქვეშ მყოფი შავკანიანი მღვდელ-მისიონერები. „მათ უნდა გააქარწყლონ ყველა ეჭვი იმისა, რომ ჩვენ გვინდა ზანგების რიცხოვნობის შემცირება“, – წერდა ზანგერი [იხ. ჯორჯ გრანტი, „სიკვდილის ანგელოზი“, მოსკოვი, გამომცემლობა „განმანათლებელი“, 1997წ, გვ 13]. ეს მიზანი ჩადებულია ყველა იმ მეთოდში, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

თუ გადავფურცლავთ ზანგერის მიერ გამოშვებულ ჟურნალს – „შობადობაზე კონტროლი“ – დავრწმუნდებით, თუ რა ძლიერი გავლენა მოახდინეს „დამგვემარებლებმა“ თანამედროვე მორალზე – ის, რაც მაშინ ოდიოზურად გამოიყურებოდა, დღეს ადამიანთა მასებისათვის ნორმაა.

მივმართავთ კვლავ ციტატებს. **„მეუღლეთა ურთიერთალატი არ უნდა გახდეს გაყრის მიზეზი. ეს ბუნებრივი შედეგია თანამედროვე ქორწინებისა“; „დიდი ოჯახი საშიშროების შემცველია, რადგან ყოველი შემდეგი ბავშვი ოჯახის ცხოვრების ღონეს დაბლა წევს“.** მოგვყავს ციტატები და თითქოს გესმის ზანგერის მიმდევარ ჩვენს თანამემამულეთა ხმები: **„ჩვენ უნდა უზრუნველყოთ ყოველი ბავშვის უფლება, იყოს**

სასურველი“ („შობალობაზე კონტროლი“, გამოშვ. IX, №6, 1925 წ.); **„ყოველ ბავშვს აქვს უფლება, იყოს არა მარტო სასურველი, არამედ ფიზიკურად, და არა მარტო ფიზიკურად, ფსიქიკურადაც სრულფასოვანი“**. აი, ფაშისტური სელექციის ჰუმანიტური დასაბუთება. ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის, თვით... მისი მოკვლაც.

„ოჯახის დაგეგმვის“ ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა აკრძალვების უარყოფაა. მოვიხმოთ რამდენიმე ამონაწერი ზანგერის წიგნიდან – „ცივილიზაციის შემობრუნების წერტილი“: **„თანამედროვე მეცნიერება გვასწავლის, რომ გენიალურობა არ არის ღმერთებისაგან ბოძებული მისტიკური ნიჭი ან რაიმე პათოლოგიის შედეგი. იგი ჩნდება ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური აკრძალვებისა და შეზღუდვების მოხსნისას, რითაც გვეძლევა პირველყოფილი შინაგანი სექსუალური ენერჯის გამოთავისუფლებისა და ღვთაებრივი სისავსის გამოხატვის მიღწევის საშუალება . . . “** „განათლებასა და რელიგიაში სექსის პურიტანული და აკადემიური აკრძალვები დამღუპველია კაცობრიობის კეთილდღეობისათვის“. . . „მოცილებთ მორალური ტაბუ, რომელიც კაცობრიობას ხორციელადაც და სულიერადაც ზღუდავს, გაათავისუფლეთ ინდივიდი ტრადიციის მონობისაგან“. . . „საზოგადოებას მოუწევს, ბრძოლით გაირღვიოს სექსუალური ტაბუს თითქმის გაუვალი ბარდები“.

ზანგერის თეორიის გავლენა აშკარაა: ყოველ მეხუთე თუ მეოთხე ინგლისელ ქალს არ უნდა ბავშვის ყოლა, ხოლო შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი ოჯახთა მსოფლიო კონგრესზე დასახელდა „პირველ პოსტოჯახურ ქალაქად“. იქ მოსახლეობის ორ მესამედზე მეტს, რომლებიც განმსჭვალულნი არიან ზანგერის მიერ ასე რიგად პროპაგანდირებული „თავისუფალი სიყვარულის“ იდეით, არც ჰქონიათ და არც სურთ, ჰქონდეთ ოჯახი.

ასი პროცენტითაა რეალიზებული მცირეწლოვანთა გახრწნის გეგმა. მარგარეტ ზანგერი (და მისი მიმდევრები) უფრო დელიკატურად მეტყველებდა – იგი ბავშვთა და მოზარდთა სქესობრივი განათლებისათვის იბრძოდა, იმისათვის, რომ **„გათავისუფლდნენ ისინი სექსუალური ცრურწმენებისა და ტაბუსაგან“**.

მოზარდებს არ უნდა ვესაუბროთ ზნეობრივ სიწმინდეზე, სექსუალური განათლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს „ნეგატიური“. **არავითარი მორალი!** – ამტკიცებდა ზანგერი. ყოველივე ამის შესახებ დღეს ჩვენ გვესმის სექს-განმანათლებლებისაგან. მარგარეტ ზანგერის იდეებიდან გამომდინარე, სექსი მოზარდებისათვის ბუნებრივი საქმეა, თუ მოზარდი გრძნობს რომ ის მომწიფდა სექსუალური აქტიურობისათვის, ეს **„მისი გადასაწყვეტია“**. საზოგადოება მხოლოდ ერთს ითხოვს – არ შვას შვილები.

ზანგერი მოუწოდებდა, ესწავლებინათ მოზარდებისათვის, რომ სექსი – სიყვარულის კულმინაციაა, რომ ის აძლევს ინტუიციას, აძლიერებს ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა განხორციელდება არაჯანსაღი და არაბუნებრივი შედეგების გარეშე – ალბათ, მინვლით? – შობადობის გარეშე! **„სექსის ყოველგვარი ნაირსახეობა ბუნებრივია და არავითარი გადახრები არ არსებობს, თუ იმ მომენტში არ ხორციელდება აგრესია – აცხადებს ზანგერი. – გადახრა ერთადერთია – ბევრი შვილის ყოლა“**.

1942 წელს ზანგერმა, ტაქტიკური მოსაზრებებით, თავის ლიგას უწოდა „ოჯახის დაგეგმვის ასოციაცია“ (ოდა), ხოლო 1448 წელს – ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაცია (ოღსფ). ოღსფ-ს უფასო შტაბბინა ინგლისის ევენიკის საზოგადოებამ უბოძა (ევენიკა არის მეცნიერება ადამიანის ჯიშის გაუმჯობესებისა და „უჯიშოთა“ წუნდების შესახებ. იგი აქტიურად მუშავებოდა ფაშისტურ გერმანიაში, რომლის დამარცხების შემდეგ ჩრდილში მოექცა. ბოლო დროს ევენიკა კვლავ გამოვიდა ასპარეზზე, ოღონდ გენური ინჟინერიის სახელით). საყურადღებოა, რომ 20-იან წლებში „დაგეგმარებისტების“ მიერ შემუშავებული სტრატეგია დღესაც აქტიურად მოქმედებს.

მრავალი მსგავსი სახელწოდების მქონე საზოგადოების შექმნით საშუალებით („ოჯახის დაგეგმარების ასოციაცია“, „ოჯახის დაგეგმარება მსოფლიოში“, „თანადგომა“, „ქალთა უფლებათა დაცვის საზოგადოება“ და ა.შ.) „დაგეგმარებისტები“ ვითომდა დამოუკიდებელი მიმართულებებისა და არსის მქონე ორგანიზაციების ილუზიას ქმნიან. სინამდვილეში ყოველ მათგანს აქვს ერთი (ფაშისტური)

იდეოლოგია, მოქმედებენ ძალიან შეთანხმებულად და იკვებებიან ერთი წყაროდან.

1982 წელს ოდას ამერიკის ფედერაციის დირექტორი ჟურნალ „საინსში“ წერდა: „საქმე ისაა, რომ მსოფლიოში არც ერთ ერს არ შეუძლია აბორტების გარეშე არეგულიროს შობადობა... რადგან მხოლოდ კონტრაცეფციით ვერ გავაკონტროლებთ შობადობას, მოგვიწევს, მივმართოთ აბორტებსა და სტერილიზაციას“ [„ნოვია გაზეტა“, №32 (52), 3/08-5/09, 1999წ.].

- 1980-ან წლებში „დამგეგმარებლებმა“ დაიწყეს სკოლების ბაზაზე აბორტარიების გახსნა. პირველი ასე კლინიკიდან სკოლებში თეთრკანიანებისათვის არ გახსნილა არც ერთი;

- სტერილიზებული შავკანიანი ქალების რიცხვი 45%-ით მეტია თეთრკანიან ქალების რიცხვზე. ინდიელი ქალების 42% და პუერტორიკელი ქალების 35% სტერილიზებულია.

ტეხასში თავიანთ ცენტრებში ქალების მიზიდვისათვის ისინი მათ ურიგებდნენ ფასდაკლებით ვაჭრობის ტალონებს, ჩუქნიდნენ მოღურ დისკებს და მათთვის აწყობდნენ ცეკვებს. სხვა ადგილებში აბორტების სანაცვლოდ მათ პრემიებს ურიგებდნენ.

ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ასოციაციამ თავის ყველა ფილიალს (რომელიც 140 ქვეყანაში აქვთ განლაგებული) დაავალა, დაამუშაონ და დანერგონ მათი სამეურვეო ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებში სქესობრივი აღზრდის (იმავე სექსუალური განათლების) პროგრამები. ეს პროგრამები გულისხმობს სახელმძღვანელოებში დაუფარავი უმსგავსო სურათების გამოქვეყნებას, ტრადიციული ზნეობრივი ფასეულობების დისკრედიტაციას, მშობელთა ავტორიტეტის შემცირებასა და მოზარდთა სქესობრივი გარყვნილების პროვოცირებას.

ამჟამად საქართველოს „რეფორმირებულ“ სკოლებში სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს. განათლების სამინისტროს მიერ კონტროლირებადი, მართული და ტერორიზებული სკოლები სექსუალური განათლების შემოღებას „ითხოვენ“. სკოლებისა და მოზარდი თაობის გახრწნის ეს გეგმა განათლების მინისტრმა, ალექსანდრე ლომაიამ, თავის ერთ-ერთ იტერვიუში წინდაწინვე გაამჟღავნა. ამ ინტერვიუს წინ უძღოდა სკოლებში სექსუალური

განათლების შემოტანის წარუმატებელი მცდელობა, მაგრამ საზოგადოების მძაფრმა რეაქციამ სამინისტროს მესვეურები აიძულა, განზრახვაზე ხელი აეღოთ. მათ მოიფიქრეს მზაკვრული გეგმა: სკოლების დატერორება, არასასურველი და არამართვადი კადრების სკოლებიდან განდევნა და მართვადი კადრებით ჩანაცვლება, სამინისტროს მიერ კონტროლირებადი სამეურვეო საბჭოების არჩევა და ამ საბჭოების მიერ სექსუალური განათლების სკოლებში შეტანის „მოთხოვნა“.

5. კაიროს კონფერენცია

როგორც ვხედავთ, დემოგრაფიულმა ომმა შეცვალა რასიზმი და სხვა ექსტრემისტული მეთოდები. თუკი რასიზმი ზანგების წინააღმდეგ იყო მიმართული, ახლა დემოგრაფიული ომის სამიზნეთა „შავ“ სიაში თეთრი ქვეყნებიც მოხვდნენ. ტერმინოლოგიაც გაკეთილშობილებულია – დემოგრაფიული გენოციდის მნიშვნელობას ატარებს ტერმინი „დემოგრაფიული კორექცია“. „დემოკორექტორებისთვის“ ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა პოსტსაბჭოთა პერიოდში: სსრკ-ს დაშლის შემდეგ „ოჯახის დამგეგმარებლები“ მალევე გამოჩნდნენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის – საქართველოშიც.

1992 და 1994 წწ. რიო-დე-ჟანეიროსა და კაიროში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები, რომლებზეც მსოფლიოს თავს მოახვიეს ე.წ. „მდგრადი განვითარების“ პროგრამა. კონფერენციები გაეროს (ანუ, აშშ-ს) ეგიდით ჩატარდა. პოზიტიური ჟღერადობის მქონე „მდგრადი განვითარება“ სინამდვილეში გულისხმობს კონსერვაციას მოხმარების იმ დონისა, რომლის უფლებასაც თავს დასავლეთის ქვეყნები აძლევენ და სიღარიბის იმ დონისა, რომელიც დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, ვინაიდან სწორედ ეს სიღარიბე ასრულებს კონსერვანტის როლს.

„მოსახლეობის რეგულირების მიზნით მოქმედების პროგრამა“, რომელიც კაიროში მიიღეს, ფაქტობრივად, იმეორებს 1974 წლის ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების მემორანდუმს, თუმცა, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, აქ ღიად არ არის ნათქვამი, რომ ამერიკას განზრახული აქვს განუვითარებელ ქვეყნებში შეამციროს

მოსახლეობა და ამით თავისი კეთილდღეობა უზრუნველყოს. პროგრამაში საუბარი იყო ჯანმრთელობაზე, ადამიანის უფლებებსა და სხვა უდავო საკითხებზე. შობადობის შემცირებაზე განცხადებული იყო საკმაოდ ღიად, ოღონდ ეს შეფუთული იყო ქალის რეპროდუქტიული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის საფარველით!

ყველაზე გულწრფელი გამონათქვამები კაიროს კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის მოსამზადებელ დოკუმენტებში შეიძლება ვიპოვოთ. მსოფლიოში შობადობის შემცირების პროგრამების შემუშავებელთა და დამფინანსებელთა სიაში არის ყველა ცნობილი ორგანიზაცია: გაეროს დასახლების ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, იუნისეფი, იუნესკო, ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაცია, (მარგარეტ ზანგერის თანამებრძოლი) ხალხის დასახლების საბჭო, პროგრამა „ნებაყოფლობითი ქირურგიული კონტრაცეფციისათვის“ (ანუ სტერილიზაციისათვის), რესურსების განვითარების ინსტიტუტი, როკველერის ფონდი და ა.შ. ჩვენს თანამემამულე „დამგეგმარებელთაგან“ განსხვავებით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ოჯახის დაგეგმვის პროგრამებს შობადობის შემცირებასთან არაფერი აქვთ საერთო, კაიროს კონფერენციის ორგკომიტეტის ექსპერტები საპირისპიროს ამტკიცებენ, კერძოდ, რომ ოჯახის დაგეგმვის პროგრამები **„გვაძლევს სერიოზულ ეფექტს შობადობის შემცირების სფეროში“**.

ექსპერტები ასევე ამტკიცებენ, რომ **„ოჯახის დაგეგმვის პროგრამების წარმატების ფუნდამენტური პირობაა სახელმწიფო სტრუქტურებისა და უმაღლესი ჩინონიკების მხრიდან მათი პოლიტიკური მხარდაჭერა“** (ისევე, შესაბამისობა მემორანდუმთან!). ჩვენს ქვეყანაში ეს მხარდაჭერა უმაღლეს დონეზეა უზრუნველყოფილი – „დამგეგმარებლები“ და კონტრაცეფციის პროპაგანდისტ-გამავრცელებლები მასშტაბურად მოქმედებენ; ამასთან მიმდინარეობს სამართლებრივ ბაზაზე მუშაობა, რომელმაც უნდა დააკანონოს შობადობის საწინააღმდეგო პროპაგანდის სრული ლეგალიზაცია. ეს ოფიციალურად რეპროდუქტიული ჯანმრთელობის ტერმინებში არის და იქნება ჩამოყალიბებული.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ გაეროს დასახლების ფონდის (UNFPA) რეკომენდაციებს, რომელიც გადმოცემულია გამოკვლევებში „რეპროდუქტიული ჯანმრთელობისა და რეპროდუქტიული

უფლებების საკითხები საქართველოს კანონმდებლობაში“ და „ათასწლეულის განვითარების მიზნები“ და საქართველოში მოსახლეობის რეპროდუქტიული ჯანმრთელობის პერსპექტივები“. იქ პირდაპირაა ხაზგასმული, რომ საჭიროა კაიროს კონფერენციის 15 პრინციპთან კანონმდებლობის სრული შესაბამისობა. მრავალ რეკომენდაციათაგან ერთ-ერთია **„რეპროდუქტიული ასაკის ქალების უფასოდ მომარაგება კონტრაცეპტიული საშუალებებით“**, ხოლო ძირითად ინდიკატორთა შორის პირდაპირაა დასახელებული **„სქესობრივი განათლების პროგრამების მქონე სკოლების ხვედრითი წილი (%-ში)“**.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ ვერ მოახერხოს მის ტერიტორიაზე გაჩაღებულ შობადობის შემცირების პროგრამებში საკუთარი „დემოგრაფიული მიზნებით“ ჩარევა, ოჯახის დაგეგმვის სისტემები იქმნება მაქსიმალურად განშტოებულად, დეცენტრალიზებულად: იქმნება ოჯახის დაგეგმვის ცენტრები, განშტოებული ასოციაციები, ქალისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ფონდები, რეპროდუქტიული ჯანდაცვის ცენტრები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ანტირეპროდუქტიულ პროპაგანდას. საქართველოში რეპროდუქტიული ჯანმრთელობის სამსახურების სისტემა ორი წლის წინ ასე გამოიყურებოდა:

- მოთავე ორგანიზაცია – ნაციონალური ცენტრი – ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი;
- რეგიონალური ცენტრები – დიდ ქალაქებში, როგორცაა ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი;
- რეპროდუქტიული ჯანმრთელობის კონსულტაციები – როგორც თბილისში, ასევე ქვეყნის სხვადასხვა რაიონში (27 კონსულტაცია);
- რეპროდუქტიული ჯანმრთელობის პუნქტები – სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში (პირველადი ჯანდაცვის ობიექტები) (94 პუნქტი);
- მობილური ჯგუფები.

(იხ. UNFPA–ს „ათასწლეულის განვითარების მიზნები“ და საქართველოში მოსახლეობის რეპროდუქტიული ჯანმრთელობის პერსპექტივები“, გვ. 24).

კაიროს კონფერენციის რეკომენდაციებში წერია: ძლიან მნიშვნელოვანია, რომ „უზრუნველყოთ ოფიციალური საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს ოჯახის დაგეგმვის სამსახურების გავრცელებას. ეროვნულმა და ადგილობრივმა ლიდერებმა ძალისხმევა იმაზე უნდა მიმართონ, რომ უზრუნველყოფილ იქნას საბიუჯეტო ასიგნებანი და რომ გამოიყოს თანამშრომლები სათანადო მომსახურების შესაქმნელად“ (რეკომენდაცია 8). უნდა გაუქმდეს ოჯახის დაგეგმვის მომსახურებისადმი არასაჭირო და საკანონმდებლო შეზღუდვები (რეკომენდაცია 14). კანონშემოქმედები არ დაელოდონ რეპროდუქტიული უფლების შესახებ კანონს და სხვა კანონებში ჩადეს დებულებები, რომლებიც მიმართულია შობადობის შემცირებისაკენ. მაგალითისათვის, საქართველოში აბორტების შეზღუდვის ლიბერალიზაცია მოხდა. ასევე რუსეთში, ფაქტობრივად, გაუქმებულია ყველა შეზღუდვა გვიანი პერიოდის აბორტების მიმართ. გაფართოებულია სია იმ ჩვენებისა, რომელთა საფუძველზეც ხდება სტერილიზაცია. მაგ., ფილტვების ანთება შეიძლება გახდეს მიზეზი საშვილოსნო არხების გადაკეტვისა.

„სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები განვითარებული არხებით უნდა ახალისებდნენ ოჯახის დაგეგმვის სფეროში მომსახურებას მოსახლეობის ისეთი ჯგუფებისათვის, როგორებიცაა: მოზარდი თაობა, მიგრანტები და დევნილები“ (რეკომენდაცია 15).

6. „დამგზავარებლბს“ განსაკუთრებით ახალგაზრდობა აღელვებით

– „ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ახალგაზრდებისა და მოზარდების განსაკუთრებული მოთხოვნილებები, მხარი დაუჭიროს პროგრამებს, რომლებიც გათვლილია შიდსისა და სხვა ვენერიული დაავადებების რისკის მინიმიზაციისაკენ“ (რეკომენდაცია 16)

ისევე პოზიტიური ტერმინოლოგიით სურთ შენიღბონ ძირითადი მიზნები და დაფარონ წინააღმდეგობა, კერძოდ: „ანტიშიდსი“ ხომ მოსახლეობის ზრდას უწყობს ხელს, ხოლო კონფერენციის რეკომენდაციები შობადობის შემცირებისაკენ არის მიმართული. ეს წინააღმდეგობა უმაღლესი დონეზეა, თუ ჩავწვდებით ამ ანტიშიდსური

და მსგავსი უამრავი პროგრამის არსსა და მიზანს: ისინი მიმართულია სექსისა და აღვირახსნილი სქესობრივი ცხოვრებისადმი ინტერესის პროვოცირებისაკენ, რაც სწორედ შობადობის შემცირებას უწყობს ხელს. შეგვიძლია მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი, როდესაც შიდსის პრევენციის პროგრამის ფარგლებში აშკარად ხდება ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. აი, მაგალითი – სასარგებლო რჩევები სკოლის მოსწავლეებისთვის: **„ყოველთვის გამოიყენე პრეზერვატივი, ვაგინალური თუ ორალური სექსის დროს, ხოლო ანალური სექსის დროს გამოიყენე სპეციალური, გამძლე პრეზერვატივი და დიდი რაოდენობით საცხი; კიდევ უფრო უსაფრთხო იქნება, თუკი სექსუალური ურთიერთობის მაგიერ სექსუალური თამაშობებით დასაქმდებით ანუ კოცნით, მოფერებით, მასაჟით, მასტურბაციით“**. ვიცით მაგალითები, თუ როგორ უტარებდნენ სკოლის მოსწავლეებს უსაფრთხო სექსის გაკვეთილებს, რომლის დროსაც მოსწავლეები, ვითომ სექს-პარტნიორები, იცვლიდნენ ერთმანეთს.

რეკომენდაცია 16 ასევე ამბობს, რომ სპეციალური ძალისხმევა უნდა მივმართოთ მოზარდების ინფორმირებისაკენ, მათი განათლებისა და ფორმალური და არაფორმალური არხებით მოტივაციური კამპანიების ჩატარებისაკენ. ამასთან, ამ კამპანიების ჩატარებაში თავად მოზარდები უნდა ჩაერთონ. ამ მიზნით, მაგალითად, პრეზერვატივების რეკლამებს უჩვენებენ არა მხოლოდ მოზარდებისთვის განკუთვნილი ფილმების, არამედ პატარა ბავშვების საყვარელი მულტფილმების მსვლელობის დროსაც კი. ამას გარდა, მოზარდებს უტარდებათ უამრავი სხვადასხვა სახის ტრენინგი, რომლის შემდეგაც აძლევენ დიპლომებს, მაგ. სექს-ინსტრუქტორისა და მისთ. პროგრამაში „ქუჩის ბავშვები“, რომელზეც მოსკოვში კოლოსალური თანხები იხარჯება, შედის ასევე სკოლებში პრეზერვატივების დარიგება, „უსაფრთხო სექსის“ თეორია, აგრეთვე, სქესობრივი თამაშობები. ინსტრუქტორებად აქაც ბავშვები არიან, რომელთაც დავალებული აქვთ მასებში „ცოდნის“ გავრცელება. 1 დეკემბერს, „შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს“, პრეზერვატივებს პირდაპირ ქუჩებში არიგებენ. მოსკოვს არც თბილისი ჩამორჩა და 2006 წლის 1 დეკემბერს პრეზერვატივები სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მასობრივად დაარიგეს. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გოგო-ბიჭებმა პრეზერვატივები იმ დროს დაარიგეს, როდესაც იქ ეკლესიის, პრიფესორ-მასწავლებლებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

იმისათვის, რომ განხორციელდეს „სექსუალური რევოლუცია“, საჭიროა შეძღვეი რეკომენდაციების ცხოვრებაში დანერგვა:

– **„განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პედაგოგების მომზადებასა და შესაბამისი კომუნიკაციური მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომლებიც, ძირითადად, მიმართულია ცრუ სიმორცხვის გრძნობის აღმოფხვრისაკენ“.**

ამას უწოდებენ „სიმორცხვის მოხსნის გაკვეთილებს“. ამით იწყება სექს-განათლების მრავალი პროგრამა და ამას არ უნდა შეეხედოთ, როგორც რაიმე კურიოზს. ეს მარაზში არ არის, არამედ არის მკაცრი შესაბამისობა რეკომენდაცია №20-ისადმი.

კაიროს კონფერენციის რეკომენდაციები გათვალისწინებულია და კიდევ უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობაში. ჯანდაცვის მრავალი მუხლი „ოჯახის დაგეგმვისა“ და „რეპროდუქტიული უფლებების“ ტერმინებშია ჩამოყალიბებული. ამას ემატება განათლების რეფორმის ამორალური ხასიათი და სექს-განათლების სკოლებში შეტანის პერსპექტივა. ყოველივე ეს კი მიმართულია შობადობისა და მოსახლეობის შემცირებისაკენ. სწორედ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებაზეცაა დამოკიდებული, როგორც ჩანს, მიიღებს თუ არა ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ბანკისა თუ მსოფლიო სავალუტო ფონდის კრედიტებს. სწორედ ამაზე მიანიშნებს მესამე ქვეყნების გამოცდილება და იქ მიმდინარე მოვლენები. და, თუ ქვეყნისა და ერის სასარგებლოდ კარდინალურად არ შეიცვალა ხელისუფლების პოლიტიკური კურსი, ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული ომი და გენოციდი გაგრძელდება და სავალალო შედეგებს მოგვიტანს.

7. შედეგები და პერსპექტივები

როგორც აღვნიშნეთ, დემოგრაფიული ომი დაფარულია „ხმაურიანი საფარველებით“, როგორცაა: ქალთა უფლებებზე თავისუფალი არჩევანის, აბორტების, შიდსის, ვენერიული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის, რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

ხმამალალი განცხადებები. მაგრამ რეალური შედეგები ოჯახის დაგეგმვის სამსახურების ქსელის განვითარების ამ დონის მიუხედავად, მეტად სავალალოა: თვით ოფიციალური მონაცემებითაც კი, რუსეთში 10 ორსულობიდან 7 აბორტით მთავრდება (სინამდვილეში, მათი რიცხვი მეტია). რაც შეეხება აბორტების საერთო რაოდენობის შემცირებას, იგი დაკავშირებულია არა აბორტთა ხვედრითი წილის შემცირებასთან, არამედ ორსულობათა საერთო რიცხვის შემცირებასთან. სწორედ ორსულობათა, ანუ შობადობის შემცირებაა „დამგვემარებლების“ მთავარი მიზანი. ასევე დედების აბორტებით სიკვდილიანობის შემცირებაში დიდი პროგრესი არ არის მიღწეული. ვინაიდან საქართველოს სტატისტიკური სამსახურები ვერ უზრუნველყოფენ მონაცემთა მასივსა და საიმედოობას, მოვიყვანთ ისევ რუსეთის მონაცემებს, სადაც ოჯახის დაგეგმვის სამსახურების ქსელი უფრო განვითარებულია:

- სიფილისით დაავადებულთა რაოდენობა მრავალჯერ გაიზარდა; მაგალითად, 1990 წ-დან 1996 წ-მდე დაავადებულთა რიცხვი ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის რეგიონებში გაიზარდა 150-200-ჯერ [იხ. ი.ა. ხალემინი „ველური სექსი და მისი შედეგები“, ეკატერინბურგი, 1997, გვ. 13]. ნებისმიერი პატიოსანი სპეციალისტი გეტყვით, რომ არავითარი „უსაფრთხო სექსი“ არ არსებობს, ხოლო პრეზერვატივების პროპაგანდა მოზარდებსა და ახალგაზრდებში, პირიქით, ვენერიული დაავადებების ეპიდემიების პროვოცირებას ახდენს. სწორედ ამიტომ მიუთითებენ დემოგრაფიული ომის უცხოელი იდეოლოგები, რომ **„უნდა მოხდეს ვენეროლოგიების სპეციალური გადამზადება, რადგან ამ დარგის სპეციალისტთა უმრავლესობა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების წინააღმდეგ პრეზერვატივებს ისევ ძველებურად არაეფექტურ საშუალებად მიიჩნევს“** [იხ. პ.ი. ბურგასოვი „გახსოვდეს წარსული“, ადამიანის ეკოლოგია, 1995, №2, გვ. 20].

- შიდსით დაავადებულთა რიცხვი რუსეთში ყოველწლიურად ოთხჯერ იზრდება. ალბათ, იკითხავთ, რა შუაშია აქ ოჯახის დაგეგმვა? შეგახსენებთ – შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა – ეს სკოლის მოსწავლეებში სექსუალური განათლების დანერგვის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია. გამოჩენილი ვენეროლოგები მიუთითებენ, რომ „შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა – ეს არის, პირველ რიგში, ბრძოლა

ჰომოსექსუალიზმსა და ნარკომანიასთან“, მაშინ, როცა „შიდსთან ბრძოლის პროგრამის ხელმძღვანელებმა მთელ მოსახლეობას თავს მოახვიეს ამ ავადმყოფობის მთელი საშინელება“. ასე რომ, შიდსის პრევენციის აპოლოგეტების ლოზუნგი: „**პრეზერვატივი – შენი მეგობარი**“ და პროგრამები, რომლებიც გიმტკიცებენ, რომ ჰომოსექსუალიზმი – ეს არის ნორმა, რბილად რომ ვთქვათ, ხელს უწყობენ შიდსის გავრცელებას. ცნობისათვის: ლატექსის რეზინის ფორები, რისგანაც დამზადებულია პრეზერვატივი, ორმოცდაათჯერ (!) აღემატება შიდსის ვირუსს. ე.ი. უცხოელი და მათი მოკავშირე ჩვენი თანამემამულე ანტიშიდსელები ცრუობენ, როდესაც შიდსის პრევენციისთვის მოსახლეობასა და მოზარდ თაობას პრეზერვატივის გამოყენებას ურჩევენ, – ამ დროს ისინი, დაახლოებით, ასეთ რამეს ამბობენ: ბუზი ღია ფანჯარაში ვერ შეფრინდებაო. პრეზერვატივის აპოლოგეტები მაინც იძულებულნი არიან თქვან: პრეზერვატივი 100%-ით ვერ იცავს, მაგრამ რისკს ამცირებსო. მათი „მეცნიერული“ ლოგიკა ასეთია: მართალია, ვენერიული დაავადებისა და, განსაკუთრებით, შიდსის ვირუსს აქვს უნარი, გააღწიოს ლატექსის რეზინის სტრუქტურაში, მაგრამ მცირდება კონცენტრაცია, დაავადებისათვის კი საჭიროა მაღალი კონცენტრაცია: 100 ვირუსი 1 მმ²-ზეო. ჰოდა, თვალონ ცოდვის შვილებმა, რამდენი ვირუსი გააღწევს მათ მიერ მოხმარებულ პრეზერვატივში.

• „რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვა“ –სინამდვილეში, ეს არის ქალის ჯანმრთელობაზე რეალური ზრუნვისთვის სახსრების ჩამოშორება და მათი მიმართვა ანტიშობადობის პროპაგანდა-პროგრამებისაკენ. ამან გამოიწვია:

✓ ანემიის (მცირესისხლიანობის) ზრდა ორსულებში (1990წ. –12%, 1996წ. – 36%);

✓ უნაყოფობის ზრდა (100 ათას ქალზე პირველადი მიმართვები: 1991წ.–48.7, 1996წ. – 56.5);

✓ მენსტრუაციული ციკლის აშლის ზრდა (100 ათას ადამიანზე: 1991წ. –154, 1996წ. – 367);

✓ სარძევე ჯირკვლების სიმსივნის რიცხვის ზრდა: (100 ათას სულზე: 1991წ. -40, 1996 – 50). საერთაშორისო ონკოლოგიური ჟურნალის მონაცემებით, სარძევე ჯირკვლების კიბოთი დაავადების

რისკი 90%-ით იზრდება იმ ქალებში, რომლებიც ორალური კონტრაცეპტივების რეგულარული მომხმარებლები არიან.

✓ საშვილოსნოსა და საშვილოსნოს ყელის სიმსივნეთა რაოდენობის ზრდა: (ათას ადამიანზე: 1991 – 40, 1996 – 50).

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, არ არის გამორიცხული, რომ ბოლო სამი მაჩვენებელი პირდაპირ უკავშირდებოდეს ჰორმონალური – განსაკუთრებით ინექციური ტიპის ან იმპლანტირებადი – კონტრაცეპტივების გამოყენებას.

გამოდის, რომ არც ერთი დეკლარირებული მიზანი მიღწეული არ არის. სამაგიეროდ, შესრულებულია ნამდვილი მისია – შობადობა დაახლოებით ორჯერ შემცირდა. მართალია, დამგვემარებლები ხალხს უმტკიცებენ, თითქოს, ისინი აქ არაფერ შუაში არ არიან და ყველაფერი ცუდი ეკონომიკის ბრალია, მაგრამ თავიანთ შიდა მოხმარების დოკუმენტებში (მაგ. გაეროს მოსახლეობის ფონდის მისიის მოხსენება) მკაფიოდ მიუთითებენ შობადობის კლებასა და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენების მზარდ პოპულარობას შორის კავშირზე.

ამგვარად, დემოგრაფიული ომი განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმატებით მიმდინარეობს. ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქტოლოგიური სამსახურების ქსელი სულ უფრო ფართოვდება. ზრუნავენ იმ ორგანიზაციების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფაზე, რომელთა საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ შეუქმნან ეთნიკურ ჯგუფებს გარემო, რომელიც გამოიწვევს მათ მთლიან თუ ნაწილობრივ გენოციდს, შობადობის შემცირებას. ამას უკავშირდება, თუნდაც, ჯანდაცვის სფეროს „რეფორმირება“, რის შედეგადაც ხელმოკლე ფენას, ფაქტობრივად, არა აქვს არავითარი საშუალება მკურნალობისა, განსაკუთრებით, ქირურგიული ოპერაციების გაკეთებისა.

ავიღოთ, თუნდაც, განათლების რეფორმა და სკოლებში სექს-განათლების დანერგვა. მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა ამ განათლების დამლუპველი შედეგები. აშშ-მ, რომელმაც წამოიწყო ეს პროგრამა, თავის ქვეყანაში იგი ცოტა ხნის წინ აკრძალა. მსოფლიო წამყვანი ფსიქიატრების დასკვნით, სექს-განათლების პროგრამა არყევს ბავშვის ფსიქიკას და აფერხებს მის გონებრივ განვითარებას. შესაბამისად, ასეთი ბავშვები და მოზარდები «რისკის ჯგუფში» ხვდებიან, ანუ

იზრდება ალბათობა მათი ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ვენერიული სენით, შიდსით დაავადებისა და სიკვდილიანობისა. აგრესიულობის ზრდას, რომელიც უშუალო კავშირშია ნაადრევ სექსუალიზაციასთან, მოზარდები კრიმინალურ საზოგადოებებამდე მიჰყავს, რაც ასევე საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს. ამიტომაც, რომ 15-19 წლის გოგო-ბიჭებში (ასაკი, რომლის წარმომადგენლებიც დამკვეთარებლების დარტყმის მთავარი ობიექტები არიან), სიკვდილიანობა საგრძნობლად (50%) გაიზარდა. საიტერესო მონაცემებს იძლევა ერთ-ერთი წყარო: მას შემდეგ, რაც იაროსლავის სკოლებში მედიკო-პედაგოგიური სკოლის სექს-განმანათლებლებმა მოზრდთა „დამუშავება“ დაიწყეს, მოზარდ-დანაშაულობათა რიცხვი სექსუალურ ნიადაგზე სამჯერ გაიზარდა, ხოლო მოზარდებში ვენერიულ დაავადებათა რიცხვი – ორჯერ.

8. სექსუალური განათლება – რას ამბობს ამერიკის გამოცდილება?

აშშ-ში არსებობს სექსუალური აღზრდის მრავალწლიანი გამოცდილება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მეოთხედი დაავადებულია სხვადასხვა დაავადებით, რომლებიც სწორედ სექსუალური ურთიერთობებით ვრცელდება; ქვეყანაში შიდსის ეპიდემია ბობოქრობს, სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულით კი აშშ-მა ბევრად გაუსწრო სხვა ქვეყნებს (მაგალითად, რუსეთს – ნ-ჯერ). მოზარდთა აბორტების რიცხვიც გაცილებით დიდია. შვედეთში კი, სადაც სქესობრივი აღზრდა კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, თვითმკვლელობის ფაქტები ყველაზე ხშირია. აშშ-ში სქესობრივი აღზრდის შემოღების შემდეგ აბორტების რიცხვმა 45%-ით მოიმატა. გაუპატიურების ფაქტები ნ-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე, მაგალითად, რუსეთში. სტატისტიკის მიხედვით, ყოველწლიურად ევროპაში 45-50 ათასი ვინ-ინფიცირებული ფიქსირდება. იგივე დაავადება აშშ-ში მოზარდებს შორის ორმაგდება ყოველ 14 წუთში. აშშ-ში შიდსისაგან ყოველ 15 წუთში იღუპება ერთი ადამიანი. ხოლო ყოველ 13 წამში ერთი მოზარდი თინეიჯერი აკადდება რომელიმე ვენერიული დაავადებით. ფაქტები ადასტურებენ, რომ „სქესობრივი განათლების“ შემოტანით, ახდენენ ბავშვების

პროვოცირებას, რათა მათ ადრეული ასაკიდანვე დაიწყონ სქესობრივი ცხოვრება. „ოჯახის დაგეგმარებისა“ და „სქესობრივი განათლების“ პროგრამების დაარსების შემდეგ რუსეთში 50-ჯერ გაიზარდა კენეროულ დაავადებათა რიცხვი.

ე.წ. სექსუალური აღზრდის (Sex Education) პრობლემა უკვე სერიოზულად აწუხებს ამერიკის ბევრ მეცნიერს, პუბლიცისტს თუ საზოგადო მოღვაწეს.

ქვემოთ მოგვყავს ამერიკული პრესიდან ამ თემასთან დაკავშირებული სამი სტატიის დაიჯესტი.

1) ბავშვთა სექსოლოგიის ფსევდომეცნიერული საფუძვლების კრიტიკა.

2) „სექსუალური აღზრდის“ პროგრამათა გავრცელების კავშირი – ამერიკაში საშუალო განათლების საერთო დაკნინება.

3) ამ პროგრამათა გავლენა მოზარდთა ზნეობაზე.

იმას, რასაც ასწავლიან „სექსუალური აღზრდის“ გაკვეთილებზე, პირდაპირი მიმართება აქვს იდეოლოგიასთან და არა ბიოლოგიასა და მედიცინასთან. ტრადიციული ფასეულობანი და მშობელთა ავტორიტეტი სისტემატურ დისკრედიტაციას განიცდის. ბავშვებს მუდმივად უნერგავენ, რომ ადამიანის საქციელი უნდა ეყრდნობოდეს პირად გრძნობებს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოკიდებული საზოგადოებაში მიღებულ ფასეულობათა სისტემაზე ან მშობელთა თვალსაზრისზე.

ამ პოლიტიკის ტაქტიკა და სტრატეგია არ არის ახალი. ასე მაგალითად: ნაცისტები იმისთვის, რომ შეემცირებინათ დაპყრობილი ერების სიცოცხლისუნარიანობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე გულმოდგინედ ნერგავდნენ პორნოგრაფიას, მაშინ, როცა თვით გერმანიაში იგი მკაცრად იყო აკრძალული. 1939 წელს პოლონეთის ოკუპაციის შემდგომ გამოცემულ დეკრეტში ვკითხულობთ: **„დაშვებულ და მხარდაჭერილ იქნას ყველა ღონისძიება, მიმართული შობადობის შემცირებისაკენ. მოიხსნას აკრძალვა აბორტზე. აბორტისა და კონტრაცეფციის საშუალებები მოსახლეობას უნდა შევთავაზოთ დიად, ყოველგვარი პოლიტიკური შეზღუდვების გარეშე. მოხდეს ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზაცია. აბორტებით პროფესიულად დაკავებულ კერძო პირებსა და**

ორგანიზაციებს ხელი არ შეეშალოთ“. 1941 წელს ჰიტლერის დეკრეტით ეს პოლიტიკა გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებზეც. ასევე, იაპონელები დაპყრობილ მანჯურიაში ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ადგილობრივ მოსახლეობაში პორნოგრაფიული პროდუქციისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გაყიდვას. ამავე დროს, იმავე პროდუქციის შექმნა მკაცრი სასჯელის შიშით ეკრძალებოდათ თავად იაპონელებს.

ცრუთა და სიცრუის მამის მსახურთა სამხილებლად სავსებით გამოდგება ზემოთ მოყვანილი იმ ქვეყნების სამწუხარო გამოცდილება, რომლებმაც აღნიშნულ საკითხში ათწლეულებით გაუსწრეს საქართველოს. მაგალითად, აშშ-ში სექსუალური განათლების პროგრამის სავალალო შედეგებიც კმარა. ურიგო არ იქნებოდა, გაგვეხსენებინა კიდევ ერთი, ზემოხსენებულთან ლოგიკურად დაკავშირებული შედეგი ასეთი „განათლებისა“ – მამაკაცური და ქალური ჰომოსექსუალიზმის მნიშვნელოვანი ზრდა. აშშ-ის მთელ რიგ ქალაქებში სექსუალური აღზრდის გაკვეთილებს სწორედ ოფიციალური ჰომოსექსუალისტები ატარებდნენ.

დოქტორი თომა სოუველი თავის სტატიაში „სექსუალური აღზრდის დიდი სიცრუე“ აანალიზებს სიტუაციას, რომელიც შეიქმნა ამერიკის სკოლებში, სქესობრივ-ასაკობრივი ფსიქოლოგიის ტიპის საგნების შეტანის შემდეგ. იგი წერს: **„სკოლებში ამ პროგრამების დანერგვამდე მოზარდთა ორსულობის რაოდენობა ათწლეულების მანძილზე განუწყვეტლივ მცირდებოდა, ხოლო საშუალო სკოლებში „სქესობრივი აღზრდის“ პროგრამების მასიურად მიღების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა: თუკი 1970 წელს 15-19 წლის ასაკის ყოველ 1000 გოგონაზე მოდიოდა ორსულობის 68 შემთხვევა, 1980-ში ასეთი შემთხვევები უკვე 96 იყო“.**

„სექსუალური აღზრდის“ პროგრამების მომხრეთა მიერ დეკლარირებულ მიზნებსა და შედეგებს შორის აღმოჩენილია აშკარა წინააღმდეგობანი. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ამ პროგრამებმა ხელი შეუწვეს შობადობის შემცირებას: მაგალითად, 1970-1987 წლების მანძილზე ამერიკაში აბორტების რიცხვმა იმატა 250 ათასით, ხოლო მოზარდთა რიცხვი (13-19 წლის ასაკი) შემცირდა 40 ათასით.

9. როგორია პერსპექტივები?

ნიშანდობლივია, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ეთანხმებიან კაიროს კონფერენციის მიზნებს, თავიანთი დემოგრაფიული პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრისას თავს იკავებენ მოსახლეობის ზრდის შესახებ საუბარისაგან. სამაგიეროდ, ეს პრიორიტეტები მოიცავენ ოჯახის დაგეგმვას, რომლის რეალური შინაარსიც, როგორც ვნახეთ, არის შობადობისა და მოსახლეობის შემცირება. პერსპექტივაში, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისათვის, თვით გაეროს მოსახლეობის ფონდის მონაცემებით, 2000 წელთან შედარებით, 1 665 000-ით, ანუ 36%-ით, ანუ, ერთ-მესამედზე მეტით შემცირდება, რაც კატასტროფული მაჩვენებელია და გენოციდის აშკარა ნიშნებს ატარებს. ამასთან, ერი დაბერდება, ახალგაზრდობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდება.

აშშ-მა, ფაქტობრივად, დეპოპულაციურ პოლიტიკაში ჩაითრია თითქმის მთელი მსოფლიო და მნიშვნელოვანწილად მართავს მსოფლიო დემოგრაფიულ პროცესებს, რის შედეგადაც მესამე ქვეყნების დემოგრაფიული პერპექტივა პირდაპირ კატასტროფულია. საინტერესოა, რომ თავად აშშ-მა, რომელიც ადრე ირწმუნებოდა, რომ დაიცავდა მოსახლეობის სტაბილურ მონაცემებს, ახლა უკვე 2050 წლისათვის დაგეგმა 75-მილიონიანი მატება. სავარაუდოდ, ამ ფანტასტიკური გეგმებიდან გამომდინარე, ამერიკელებმა დაიწყეს განათლების სფეროში თავისი პოლიტიკის გადაწყობა: უკუაგდეს და აკრძალეს სექს-განათლება და დაიწყეს „უბიწოების პროგრამების“ შემოტანა, რომლებიც ორიენტირებულია ოჯახის შექმნაზე, მეუღლეთა ერთგულებასა და მრავალშვილიანობაზე. ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში ისინი გაამკაცრებენ თავიანთ დამოკიდებულებას კონტრაცეპტივების, აბორტებისა და ჰომოსექსუალიზმის მიმართ. თამბაქოსა და სპირტიანი სასმელების მსგავსად, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები, აბორტი და გარყვნილება აშშ-ში არ იქნება წახალისებული, არამედ „საექსპორტო საქონლად“ იქცევა.

ყველა, ვინც თავს მამულიშვილად მიიჩნევს, უნდა ჩაუფიქრდეს ოჯახის დაგეგმვის, რეპროდუქტიული ჯანმრთელობის, კონტრაცეფციის, სექს-განათლებისა და ა.შ. პროგრამებისა და

პოლიტიკის დამღუპველ და გამხრწნელ შედეგებს, წინ აღუდგეს სოკოებივით მოძრავლებულ დამგეგმარებლებს, რეპროდუქტოლოგებს, კონტრაცეფციის პროპაგანდისტებსა და გამრყვნელ საგანმანათლებლო რეფორმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს ათწლეულებში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ერის ფიზიკური და ზნეობრივი არსებობა.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა მიმართულ უნდა იქნეს სიცოცხლის გამრავლებისა და დაცვისაკენ და არა – არარსებობის დაგეგმვისაკენ.



თავი III.
სემსუალური განათლების პროგრამა
სკოლის მოსწავლეთათვის
არსი, მიზნები, ამოცანები, მეთოდები,
რეკომენდაციები, შედეგები

I. საექსპერტო დასკვნები

1. შესავალი

სექსუალური განათლების პროგრამა მოზარდთათვის მრავალ ქვეყანაში არის აპრობირებული. იგი XX საუკუნის 70-ან წლებში შემოიტანეს აშშ-ში, (ცოტა უფრო ადრე – შვეციაში), შემდგომ დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში. ამ ქვეყნის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ არც ერთი პრობლემა, რომლის გადასაჭრელადაც თითქოს დაინერა ამ პროგრამით სწავლება, არ იქნა დაძლეული. პირიქით, სწავლებამ ამ პრობლემათა გამოვლინების (რიგ შემთვევაში – მკვეთრი) ზრდის პროვოცირება მოახდინა: მნიშვნელოვნად გაიზარდა ადრეული სქესობრივი ცხოვრების დაწყების, ადრეული ორსულობების, აბორტების, ვენერიულ, შიდსით და სხვა დაავადებათა, სექსუალურ ნიადაგზე კრიმინალურ დანაშაულობათა რიცხვი და გავრცელების ტემპები, აღარაფერს ვამბობთ მოზარდებში ფიზიკური, ფსიქიკური და რეპროდუქტიული ჯანმრთელობის რღვევაზე, პიროვნების ჩამოყალიბების ნორმიდან გადახრებზე, სექსუალურ გადაგვარებათა და გარყვნილებათა პროვოცირებაზე, მოზარდებში ასოციალური და ანტისოციალური ცნობიერების ფორმირებაზე, რიგ შემთხვევაში საღისეობრივი მიდრეკილებების სტიმულირებაზე და ა.შ.

ეს პროგრამა სხვადასხვა სახელწოდებით ისწავლება, ისეთებით, როგორცაა: „ოჯახის დაგეგმვის საფუძვლები“, „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „რეპროდუქტიული ჯანმრთელობა“, „სქესობრივი აღზრდა“, „სექსუალური განათლება“, „ჯანმრთელობის გაკეთილები“, „ოჯახური

ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია“, „ვალეოლოგია“, პროგრამა „ცვლილებები“ და ა.შ. რამდენიმე წლის წინ საქართველოში იყო მცდელობა მსგავსი სწავლების საშუალო სკოლებში დანერგვისა, „სექსუალური განათლების“ სახელწოდებით, მაგრამ, საბედნიეროდ, საზოგადოების მხაფრმა რეაქციამ განათლების მესვეურებს ამ განზრახვის აშკარად განხორციელებაზე ხელი ააღებინა. თუმცა საბოლოო უარი არა თქმულა, ვინაიდან მსგავსი პროგრამის საქართველოს სკოლებში დანერგვა, როგორც ჩანს, რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მიზანსა და გარედან დაკვეთას წარმოადგენს. ამის მისაღწევად მიმდინარე რეფორმამ შესაბამისი მექანიზმებიც შექმნა: მოჩვენებითად დამოუკიდებელი, სინამდვილეში კი განათლების სამინისტროს მიერ მართული სკოლა „დამოუკიდებლად“ მიიღებს გადაწყვეტილებას სექს-განათლების (რომელიმე სახელწოდებით) პროგრამის სწავლების თავისთან დანერგვის შესახებ, ხოლო განათლების სამინისტროს ამის საწინააღმდეგო არაფერი ექნება. სწორედ ასე განაცხადა განათლების მინისტრმა, ბ-ნმა ა. ლომაიამ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში („კვირის პალიტრა“, 16-22 აგვისტო, 2004 წ.).

მიუხედავად პროგრამის მრავალფეროვანი სახელწოდებებისა და გარეგნული სახის შელამაზებისა, ყველა ამ პროგრამას საერთო მიზნები და ამოცანები აქვთ, სწავლების მეთოდებიც მსგავსია, მსგავსია შედეგებიც. ამიტომ, იმისათვის, რომ გავერკვეთ ამ პროგრამის ნამდვილ არსში, მიზნებსა და ამოცანებში, სწავლების მეთოდიკასა და რეკომენდაციებში, საკმარისია რომელიმე ქვეყნის მაგალითზე განვიხილოთ იქ დამუშავებული პროგრამა.

მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიურ-ზნეობრივი და მთელი რიგი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ყურადღება შევაჩერეთ რუსეთსა და რუსეთის სკოლებისთვის დამუშავებულ პროგრამაზე „ოჯახის დაგეგმვის საფუძვლები“. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთსა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებს შორის არსებობს გარკვეული პარალელიზმი, თუმცა რუსეთში დასავლეთიდან შემოტანილი პროგრამებისა და ტენდენციების დანერგვა და გავრცელება რამდენიმე წლით უსწრებს საქართველოში მიმდინარე ანალოგიურ მოვლენებს.

პროგრამა „ოჯახის დაგეგმვის საფუძვლები“ 1994 წელს დამუშავდა. სკოლებში მისი დანერგვის მცდელობას დიდი აჟიოტაჟი

და აღმოფხვრება მოჰყვა საზოგადოებაში, სპეციალისტებში, მეცნიერებასა და რელიგიურ ორგანიზაციებში. მართლმადიდებელმა ეკლესიამ პროგრამა საჯაროდ და ღიად ნეგატიურად შეაფასა. საზოგადოების სიმტკიცემ, მომავალ თაობაზე ზრუნვამ შედეგი გამოიღო. საზოგადოების ზეწოლა იმდენად დიდი იყო, რომ „დუმამ“ არ მიიღო შესაბამისი გადწყვეტილება სწავლების დანერგვის თაობაზე, ასევე – რამდენიმე ხელშემწყობი კანონპროექტი და დებულება. მრავალი მეცნიერისა და კომპეტენტური სპეციალისტის მიერ პროგრამის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გაკეთებულ და გამოქვეყნებულ იქნა საექსპერტო დასკვნა და შეფასება. რიგ შემთხვევაში საქმე სასამართლომდე მივიდა. პროგრამის საწინააღმდეგოდ შეიქმნა მოძრაობები, ასოციაციები და ორგანიზაციები, მაგალითად, „ოჯახისა და სიცოცხლის დაცვისათვის“ და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, სექს-განათლების პროგრამა რუსეთში საშუალო სკოლების 9–11 კლასის მოსწავლეებისათვის შეიმუშავა და გამოიტანა ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვის მედიკო-პედაგოგიურმა ცენტრმა და ოჯახის დაგეგმვის რუსეთის ასოციაციამ (ოდრა – ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ასოციაციის რუსეთის ფილიალი). ოდრას მსგავსი ორგანიზაცია „ოდა“ (ოჯახის დაგეგმვის ასოციაცია) საქართველოშიც იყო შექმნილი, თუმცა მისი მხილების შემდეგ იგი სახელებს იცვლის და მეტასტაზივით გავრცელებას ცდილობს.

გთავაზობთ საექსპერტო დასკვნებს ხსენებულ პროგრამაზე „ოჯახის დაგეგმვის საფუძვლები“.

2. პროგრამის – „ოჯახის დაგეგმვის საფუძვლები“ – ანალიზი და სამეცნიერო დასკვნები

ეს დასკვნები მოწოდებულია, რომ პასუხი გაცეს კითხვებს:

რა არის ადრე ჩვენთვის უცნობი „სექსუალური განათლება“ და აუცილებელია თუ არა იგი ჩვენი ბავშვებისათვის?! სასარგებლოა თუ არა იგი და ჩვენს შვილებს ზიანს ხომ არ მოუტანს? რა აზრს დებენ მოსწავლეთათვის ახალმოდური სქესობრივი და სექსუალური

„განათლების“ ავტორები სიტყვებში *სქესობრივი აღზრდა, ოჯახი, სიყვარული, მშობლობა და ა.შ.*?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად წარმოდგენილია სპეციალისტთა დასკვნები – ექიმებისა, ფსიქოლოგებისა, პედაგოგებისა, რომლებიც მუშაობენ ქვეყნის წამყვან სამეცნიერო და სამედიცინო ინსტიტუტებსა და ცენტრებში. დასკვნები გაკეთდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9–მე-11 კლასების მოსწავლეთათვის განკუთვნილი სქესობრივი აღზრდის სფეროში ერთ-ერთი საბაზო პროგრამის ანალიზის საფუძველზე.

ხშირად, სკოლის ადმინისტრაციის ინიციატივით, ბავშვები ე. წ. ოჯახის დაგეგმვის ცენტრებსა და მედიკო-პედაგოგიურ სკოლებში ესწრებიან ლექციებსა და მეცადინეობებს. უფრო ხშირად კი სექს-განათლების სპეციალისტები არასანქცირებულ ვიზიტებს სკოლებში ახორციელებენ, ესაუბრებიან ბავშვებს აღმაშფოთებელ თემებზე, რაც განათლების სამინისტროს წაყრუებითა და შემწყნარებლობით ხდება. საქართველოში ამის მრავალი მაგალითი ვიცით.

სპეციალისტების ქვემოთ მოყვანილი დასკვნები საშუალებას აძლევს პედაგოგებსა და მშობლებს, საფუძვლიანად გაეცნონ „სქესობრივი განათლების“ პროგრამის პრობლემას და გაიგონ, ხსენებულ პროგრამებს რა მოაქვთ ჩვენი შვილებისთვის და მსგავსი განათლებისაგან რა შედეგებს უნდა ველოდოთ.

ქ. მოსკოვის ჯანდაცვის კომიტეტი
ნ.ვ. სკლიფასოვსკის სახ. სასწრაფო დახმარების
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
ვ. ბ. ოსტრობლაზოვი

მწვავე ფსიქოსომატური აშლილობების განყოფილების
ხელმძღვანელი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

პროგრამა მოიცავს ნაბეჭდ 234 გვერდს და გაყოფილია სამ ნაწილად, შესაბამისად, – 1, 2 და 3 წლიანი სწავლებით; სულ 59 მეცადინეობა. ყოველ მეცადინეობას აქვს თავისი თემა. 3 წლიანი სწავლება გათვლილია 14-16 წლიანი ბავშვებისა და მოზარდებისათვის.

1 და 2 წლის სწავლება იწყება ცნობებით ანატომიიდან, კაცისა და ქალის სასქესო სისტემის ფიზიოლოგიიდან, – ეს სისტემა განიხილება, უპირველესად, როგორც კოპულატიური ორგანოები (ანუ, ემსახურებიან კოიტუსს), – და ყურადღება მახვილდება კონტრაცეფციასა და სქესობრივ მომწიფებაზე. ეს უკანასკნელი ცალმხრივად წარმოდგენილია, როგორც კრიზისი, შედარებული სტიქიურ უბედურებასთან („ფიზიოლოგიურ ქარიშხალთან“), რაც არ შეესაბამება ფსიქიკურად ჯანმრთელი ბავშვების განვითარების მეცნიერულ მონაცემებს. ეს, როგორც ჩანს, იმისათვისაა საჭირო, რომ დასაბუთდეს უსაფრთხო სექსისა და კონტრაცეფციის შესახებ სწავლების აქტუალობა და აუცილებლობა. ეს უკანასკნელი კი პროგრამის საკვანძო ცნებებს წარმოადგენს.

პირველი წლის დასკვნითი მეცადინეობა ჩამოყალიბებულია თავისუფალი განხილვისათვის კითხვების სახით („პრეზერვატივი“: „მომხრე“ და „მოწინააღმდეგე“). მე-2 წლის დასკვნითი მეცადინეობა ამ კითხვაზე იძლევა სავსებით გარკვეულ პასუხს: „უსაფრთხო სექსი და პრეზერვატივის გამოყენება“. **„უსაფრთხო სექსი“ (შემდგომში – შს) არის სწორედ ის დაპროგრამებული მიზანი, რომლის მისაღწევადაც განსაზღვრულია სწავლების პირველი ორი წლის 40 მეცადინეობა. შს განიმარტება, როგორც „სქესობრივი კონტაქტების დროს – არასასურველი ორსულობებისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისაგან, დაცვის საშუალებების გამოყენება, პირველ რიგში, პრეზერვატივისა, ასევე, – როგორც პასუხისმგებლობა საკუთარი და პარტნიორის (მხედველობაშია სქესობრივი პარტნიორი – ვ.ო.) ჯანმრთელობაზე“ (გვ. 207).**

რაც შეეხება ოჯახს, ეს სიტყვა 59-დან მხოლოდ 2 მეცადინეობაზე არის ნახსენები, ამასთან გაურკვეველია, თუ რა და რომელი საზოგადოების როგორ ოჯახზეა საუბარი. ამ პროგრამის კონტექსტის მიხედვით კი, ბავშვებისა და მოზარდებისათვის „ოჯახი“ **„ოჯახური დამოკიდებულებების ევოლუციის მოცემულ სტადიაზე“** წარმოდგენილია, როგორც ერთ-ერთი „შემთხვევითი“ ადგილი, სადაც ასევე შეიძლება, დაინერგოს უსაფრთხო სექსი.

პროგრამის ავტორების თანახმად, შს მოიცავს ანანიზმს, ანალურ, ორალურ და ვაგინალურ სექსს, სქესობრივი ცხოვრების უდროო,

ადრეულ დაწყებასა და უწესრიგო (პრომისკუიტეტი) სქესობრივ კავშირებს, ჰომოსექსუალიზმს, სოდომისეულს (მამათმავლობა, ლესბოსელობა, ზოოფილია). სქესობრივი გაუკუღმართებებისა და დარღვევების ფორმით გამოვლენილი ეს ფსიქიკური აშლილობები, რომლებიც შეტანილია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მე-9 დაზუსტების დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში, კონვენციას მიერთებული ქვეყნების ჯანდაცვის სამინისტროების მიერ მიღებულია ჯანდაცვის სისტემაში გამოსაყენებლად, რატომღაც განმარტებულია, როგორც ნორმალური სქესობრივი ცხოვრების ვარიანტები.

შესავალი კურსისა „ოჯახის დაგეგმვის საფუძვლები“ ტყუილად გვპირდება პროგრამის აუცილებლობისა და ძირითადი ამოცანების ახსნას, რადგან არ იძლევა არც ერთსა და არც მეორეს. ამის მაგივრად ავტორები მხოლოდ გვაიმედებენ, რომ ამ კურსის ცოდნა დაგვეხმარება **„გადავწყვიტოთ ოჯახური ცხოვრების რამდენიმე პრობლემა მაინც“**. კურსი გვამცნობს, რომ ოჯახის დაგეგმვა (შემდგომში – **ოდ**) სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის, მთლიანობაში, ესაა – **„ღონისძიებათა კომპლექსი, მიმართული დემოგრაფიული სიტუაციის ოპტიმალურობის უზრუნველსაყოფად“**. რომელი ქვეყნისა? მაგრამ ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ისევე, როგორც – ერის კვდომის კატასტროფულ დემოგრაფიულ სიტუაციაზე, რომლის გრაფიკულ გამოსახულებას მოკვდაობის მრუდის შობადობის მრუდთან შედარებით მკვეთრი მეტობა აჩვენებს. ამის მაგივრად საუბარია იმ ქვეყნების შესახებ, რომლებიც განეკუთვნებიან ე.წ. მესამე მსოფლიოს, მოსახლეობისა და შობადობის აქტუალური პრობლემებით. იგივე სიტუაციაა თანდართულ თავ „ისტორიაში“, სადაც ძველ სპარტასა და არაბეთში ჩვილების მოკვლის ჩვეულების ცნობებს შორის, უცბად მოწოდებულია ინფორმაცია „მდედრობითი სქესის ჩვილების მოკვლის შესახებ მრავალ პირველყოფილ ხალხში, მაგალითად, სლავებში...“ (გვ. 11). (თუ რა აზრი დევს „დემოგრაფიული სიტუაციის ოპტიმალურობის უზრუნველყოფაში“ – ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და ამ საკითხს კიდევ შევხვებით – ა.უ.).

შემდეგი მეცადინეობა პუბერტატის (სქესობრივი მომწიფების პერიოდის) ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის შესახებ მთავრდება

მტკიცებით, რომ მოზარდული მასტურბაცია (ონანიზმი) არის სტატისტიკურად ყველაზე მასობრივი და, თურმე, სქესობრივი დაძაბულობის ფიზიოლოგიური განტვირთვის ჩვეულებრივი საშუალება. **„ონანიზმი არის სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილების ბუნებრივი ფორმა, რომელსაც ადამიანებისა და ცხოველების უმრავლესობა იყენებს“** (გვ. 44). აი, თურმე, რისთვის იყო საჭირო სქესობრივი მომწიფების პერიოდის დრამატიზება, სტიქიურ უბედურებად დასახვა და ქარიშხალთან შედარება: **„ფიზიოლოგიური ქარიშხალი“ – „ფიზიოლოგიური მასტურბაცია“**.

ამ მეცადინეობებიდან დაწყებული, სხვადასხვა სქესის ბავშვებთან ერთად თავისუფალი განხილვა საკითხებისა, რომლებიც შეეხება პიროვნების ინტიმურ სფეროს და რის შესახებაც საუბარი არ არის მიღებული წესიერ საზოგადოებაში (მენსტრუაციაზე, სქესობრივი ასოს ზომაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში უდროო ერექციაზე, „მენსტრუაციის დროს ჩაბანაზე“, დაორსულების შიშის დროს მოზარდთა ქცევაზე და ა.შ.), აჩლუნგებს ბავშვთა სირცხვილის ბუნებრივ გრძნობასა და საზოგადოებისთვის შესაფერისი წესიერების გაგებას.

ეს ყოველივე ნიადაგს ამზადებს მეცადინეობის შემდგომი გაღრმავებისათვის, მაგალითად, კოპულატიური ორგანოების სკრუპულოზური განხილვისა და დისკუსიისათვის წინადაცვეთის, როგორც, ერთი მხრივ, **„ჰიგიენური ღონისძიების“** მიზანშეწონილობისა და, მეორე მხრივ, **„დიდი ოჯახური დღესასწაულის“** შესახებ.

ამის შემდგომ ავტორები ბავშვებს უკვე საკმაოდ მომზადებულებად მიიჩნევენ იმისათვის, რომ მათთან იმსჯელონ **„მამაკაცის სასქესო ორგანოს 600-ზე მეტი აღნიშვის შესახებ, ჩინელებთან – იანი, ძველ რომაელებთან – პენისი, ბერძნებთან – ფალოსი, ხოლო რუსებთან? – აბა, მოსწავლეებმა თქვან და ხმამაღლა თავისუფლად დაასახელონ ყველაფერი. მაგრამ, თუ რუსული ტერმინოლოგია თავად მასწავლებელში იწვევს უხერხულობას, მაშინ მიზანშეწონილია ლათინური ტერმინოლოგიის გამოყენება“**.

კოპულატიურ ორგანოზე ყურადღების კონცენტრირებისათვის რეკომენდირებულია დამატებითი მასალა, რომლიდანაც გამოდინარეობს, მაგალითად, რომ, ძველებრეული კაბალას მიხედვით, მამაკაცის ღირსება – მის კვერცხებშია და ამიტომ იუდეაში კაცი დაფიცებისას დროს ხელს იღებდა თავის გენიტალიებზე (სასქესო ორგანოებზე) ან იმის გენიტალიებზე, ვისაც ეფიცებოდა. და მხოლოდ **„მოგვიანებით თალმუდმა საერთოდ აუკრძალა ებრაელებს სასქესო ორგანოს ხელით შეხება თვით მოშარდვის დროსაც კი“**. (რა მიზანს ემსახურება ამ ცნობების მიწოდება მოზარდთათვის? – ა.უ.)

შემდეგი მეცადინეობა №18 ავითარებს ცოდნას ანატომიაში, სასქესო სისტემის ფიზიოლოგიაში, ერექციისა და ეაკულაციის, სქესობრივი აქტის შესახებ, აყალიბებს წარმოდგენას **„ანანიზმის ფიზიოლოგიური საფუძვლების“**, როგორც **„განტვირთვის ბუნებრივი მეთოდის“**, **„ბუნების მიერ გათვალისწინებული დამცველი კლაპანის“** შესახებ, რომელიც გამოიყენება **„იმ შემთხვევაში, თუ რაღაც მიზეზების გამო** (ნოტა ბენე! - ეს 14-15 წლოვანი ბავშვებისათვის) **შეუძლებელია სქესობრივი აქტის ჩატარება“**. ამ მეცადინეობაზე რეკომენდირებულია, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, თვალსაჩინო სახელმძღვანელოების გამოყენება და დემონსტრირება. იგივე ივარაუდება გოგონებისათვის კოპულატიური ორგანოების ანატომიური დეტალების ჩათვლით და კითხვა-პასუხის თამაში, მაგალითად, რისთვისაა საჭირო სასქესო ორგანოები? – პასუხი. რისთვისაა საჭირო დეტალები, ნაწილები, მაგალითად, საშვილოსნო? – პასუხი. კლიტორი? – პასუხი.

ამ დროისთვის სულის უბიწოება, სირცხვილის გრძნობა უკვე დაძლეულად ითვლება, ხოლო **„დამატებითი მასალები“** უბიწოების, ქალწულობის შესახებ მოგვითხრობენ – როგორც ცრურწმენაზე, მაგალითად, როგორც რაღაც **„ქრისტიანთა თვალსაზრისით მისტიკურ ფასეულობაზე“**, მაშინ, როდესაც **„ბევრი ერი მას დამამძიმებლად მიიჩნევს“** (გვ. 50). თურმე, პროგრამის მიხედვით, ბევრ ერში დეფლორაცია (ქალწულობის დაკარგვა) გოგონას გათხოვებას წინ უნდა უსწრებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი და მისი მშობლები შერცხვენილებად ჩაითვლებიან. ხოლო **„სხვა ხალხებში, სანამ ქმარი პატარძალთან თავის მეუღლეობრივ**

უფლებას აღასრულებდეს, ამას საჯაროდ ყველა დანარჩენი მამაკაცი აკეთებს. პატარძლის რიტუალური დეფლორაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც სიძისთვის დახმარების საშუალება... და იმ მამაკაცთა სამშოს პრივილეგია, რომელსაც სიძე განეკუთვნება“.

მთელი პროგრამის მანძილზე გამოიყენება ფსიქოლოგიური მეთოდები, დისკუსიები, განმეორებები და მასალის განმტკიცება თვალსაჩინო მასალითა და მოქმედებებით – ეს ყველაფერი იმისათვის, რათა ბავშვებმა პროგრამის შინაარსი და მასალა ცალმხრივად, კრიტიკის გარეშე აითვისონ. მე-ნ მეცადინეობიდან უკვე გამოიყენება არა აბსტრაქტული, არამედ ბავშვებისათვის პირდაპირი მიმართვა: **„უნდა წახვიდეთ ექიმთან და კონტრაცეპტივებს ექიმი შეგიჩვენოთ პირადად თქვენ“**; **„თუ თქვენ იყენებთ პრეზერვატივს, მაშინ ის ყოველ ჯერზე უნდა იყოს ახალი“** და ა.შ. მაგალითად, მენსტრუაციის შეჩერება შეიძლება უკავშირდებოდეს ორსულობას, ამიტომ, **„რაც უფრო ადრე მიმართავთ თქვენს ექიმს...“**. **„თქვენ (ბიჭებმა – ა.უ.) უნდა იცოდეთ თქვენი გოგონას ციკლის განრიგი, მასავით კარგად ან მასზე უკეთ, რათა მოახდინოთ დისციპლინირება...“**. გამოიყენება ასევე დადებითი, ზნეობრივი ცნებების რაღაც ბინძურთან, სამარცხვინოსთან ან საძულველთან ასოციაციური დაკავშირების ხერხები, მაგალითად, ქალწულობა – სამარცხვინო და რელიგიური ცრურწმენაა, ბავშვის დაბადება – თანდაყოლილი სიმახინჯე და **„შუასაუკუნეობრივი მონსტრები“** და ა.შ.

არისტოტელედან ჩვენს დრომდე ემბრიოლოგიის ისტორიის მეტად დაწვრილებით, თანაც ძირითადად დაბალ ღონეზე გადმოცემის შემდეგ მოზარდებში **„დაუგეგმავი ორსულობის“**, სქესობრივი გზით გადამდები მრავალი დაავადების (სიფილისი, ტრიპერი, შიდსი და ა.შ.) განხილვის შემდეგ რეკომენდირებულია დისკუსიის ჩატარება: **„რატომა არის, რომ მოზარდთა უმრავლესობა მისდევს სექსს და ამ დროს არ იყენებს პრეზერვატივს?“**. როგორც ვხედავთ, კითხვის ფორმით ხდება ფარული შეგონება – **„მოზარდთა უმრავლესობა მისდევს სექსს“**. ასევე რეკომენდირებულია შეგონება **„ჩაუნერგეთ მოზარდებს აზრი, რომ კონტრაცეპტივების გამოყენების წინააღმდეგ არ**

არსებობს სარწმუნო არგუმენტები “. ეს პირველი ვარიანტი. რეკომენდაციის მეორე ვარიანტი – შესთავაზეთ მოზარდებს, განიხილონ **„ემოციური გაწამაწის“** სიტუაცია **„დაუგეგმავი ორსულობის“** დროს, რათა მივიყვანოთ მოსწავლეები **„იმ აზრამდე, რომ აუცილებელია კონტრაცეფციის გამოყენება“**. ამის შემდეგ მეცადინეობებზე დაწვრილებით განიხილება კონტრაცეფციის საკითხები, მის სახეობებთან („ავარიულ“ [ზოგჯერ მას „სახანძროსაც“ უწოდებენ – ა.უ.], დაგეგმვით, ბარიერულ, ჰორმონალურთან და ა.შ.) ერთად, ასევე პრეზერვატივის გამოყენების ტექნიკა და ამ ტექნიკის დემონსტრირება.

თეორიულ მეცადინეობებს ცვლის პრაქტიკული მეცადინეობა, პრეზერვატივის გამოყენების სწავლებით, მისი ვარგისობის ვადის შემოწმების რეკომენდაციითა და მეთოდით („ჩამოიცვით პრეზერვატივი ასოზე ერექციის მდგომარეობაში, თანდათანობით გადავორებით“), ასევე, როგორ უნდა მოიხსნან, გაახვიონ ხელსახოცში და გადააგდონ სანაგვე ყუთში. ხშირად მეცადინეობა ტარდება თამაშის სახით – კითხვისა და პასუხის ესტაფეტითა და პრიზებით. მაგალითად, *კაცის სასქესო ასო საჭიროა ...-თვის... სპერმა საჭიროა ...-თვის... კლიტორი ჰომოლოგიურია...*, – და სიტუაციის შემუშავებითა და საჯარო განხილვით. მაგალითად, ასე: თქვენ გიყვართ ერთმანეთი და შეხვედით ახლო ურთიერთობაში; ან, თქვენ ცოტა ხნის წინ გაიცანით ერთმანეთი და, ამის მიუხედავად, გქონდათ სქესობრივი აქტი, იმისათვის, რომ „თეთრი ყვავი“ არ ყოფილიყავით; ან თქვენ დაორსულდით გაუპატიურების შემდეგ... ან, კონტრაცეფციის როგორი მეთოდია **„ვარგისი მოზარდებისათვის?“** ეს არის თამაში წყვილებში ან გუნდებს შორის შეჯიბრი, პრიზებით, ყველაზე უკეთესია, სასმუსნავით, მაგალითად, კანფეტებით.

მეცადინეობები კონტრაცეფციის შესახებ მეორდება ისევე, როგორც მულაჟთან მუშაობა. ვინაიდან **„ავარიული კონტრაცეფცია“**, თითქოს, ყველაზე უფრო პოპულარულია მოზარდ გოგონებს შორის, რეკომენდირებულია მისი როგორც საზიანოსა და პრეზერვატივის, როგორც არასაზიანოს ახსნა. მთავარია მისი ვარგისიანობის 6 მოთხოვნა. ისინი ჩამოითვლება. მეთოდური რეკომენდაციაა – **„ასწავლეთ ყველა მოსწავლეს პრეზერვატივის გამოყენება“**.

ერთ-ერთი რეკომენდაციაა შემდეგი სიტუაციის განხილვა: თქვენ შეხვდით გოგონას (ბიჭს), მოგეწონათ, თქვენ არ გამორიცხავთ სქესობრივ სიახლოვეს და შემთხვევით მას აღმოუჩინეთ პრეზერვატივი. შემდეგ იწყება სიტუაციის განხილვა, თამაში, გამარჯვებულს – პრიზი.

მეთოდურ რეკომენდაციებში მთავარია – ყველასთვის პრეზერვატივის გამოყენების სწავლება: „**ეს გაზუთხული უნდა გკონდეს**“, „**სად შეიძლება იაფად შეიძინო**“ და როგორ უნდა ისწავლო პარტნიორთან ლაპარაკი დაცვის საშუალებების შესახებ („**პასუხისმგებლობითი ქმედება ინტიმურ სიტუაციებში მოითხოვს გარკვეულ სიმამაცესა და მაღალ თვითშეფენებას**“) – (გვ. 88). ეს არის უსაფრთხო სექსის სწავლების პროგრამის ავტორების მიერ ზნეობრივი კატეგორიის ხსენების ერთადერთი შემთხვევა (ისიც როგორ კონტექსტში!-ა.უ.).

მეცადინეობა მიზანმიმართულია ცრუ ალტერნატივის შთაგონებისაკენ: ვენერიული დაავადებები, არასასურველი ორსულობა – ან პრეზერვატივი; და ცრუ დასკვნის გამოტანისაკენ, თითქოს პრეზერვატივი არის სქესობრივი გზით გარდამავალი დაავადებისა და მოზარდებში არასასურველი ორსულობებისაგან ერთადერთი დამცავი საშუალება. მაგალითად „**პრეზერვატივი – შიღის პროფილაქტიკის ერთადერთი საშუალებაა**“. ან „**სავსებით ცხადია, რომ ყოველი წესიერი მოქალაქე დაქვემდებარებულია შიღის დაავადების რისკს**“.

მაგრამ, ჯერ ერთი, არა – ყველა და ეს რისკიც მოქალაქეთა სხვადასხვა ფეგუფისათვის სხვადასხვაა. მეორეც, პრეზერვატივი შიღის დაავადებულთან სქესობრივი კონტაქტის დროს არ იცავს შიღის დაავადების რისკისაგან.

ადრეული სქესობრივი ცხოვრებისაგან თავშეკავება, შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტებისა და უწესრიგო სქესობრივი ცხოვრების გამორიცხვა, რაც ვენერიული დაავადებით დაავადების რისკის მატარებელია – ეს არის სინამდვილეში ვენერიული დაავადების პროფილაქტიკა. მაგრამ ამის შესახებ პროგრამაში არ საუბრობენ.

ამის მაგივრად მოცემულია ცრუ ალტერნატივა: დაუგეგმავი ორსულობა, ვენდაავადება – ან პრეზერვატივი, თითქოს მესამე არ არსებობდეს. მეტიც, მოზარდთა ანკეტურ გამოკვლევაში, მათი

სქესობრივი ცხოვრებისა და ურთიერთობების შესახებ, გამორიცხულია ადრეული სქესობრივი ცხოვრების დაწყების შეფასება, როგორც დაუმეგებლისა და არასასურველისა. ამის მაგივრად ინსტრუქტორების მიერ წინ წამოწეულია მოთხოვნა: **„შეეცადეთ, მოსწავლეებს ჩააგონოთ აზრი იმის შესახებ, რომ არავის არ შეუძლია და არავის არა აქვს უფლება, შენ მაგივრად მიიღოს გადაწყვეტილება. შენი სხეული მხოლოდ შენ გეკუთვნის და შენ თვითონ წყვეტ, თქვა „ჰო“ ან „არა““** (გვ. 101). ამ დროს ხომ საუბარი ბავშვებზეა, მოზარდებზე, არასრულწლოვნებზე, რომელთაც არა აქვთ უნარი, მთელი სისავსით შეიმეცნონ და დაიცვან თავიანთი უფლებები. მათ უფლებებს ამ ასაკში მათი მშობლები, მეურვეები და ა.შ. იცავენ. ბავშვებისათვის ამის ჩაგონება მიზანმიმართულია იქითკენ, რომ ბავშვი მშობლებს, ოჯახს, ეროვნულ, კულტურულ, რელიგიურ ტრადიციებს მოწყვიტონ, მათ სულებში ჩანერგონ უცხო, დასავლეთის უკიდურესი ინდივიდუალიზმის ავტონომიური პროტესტანტული ეთიკა.

ყველაფერი ემსახურება მოზარდებისათვის კონტრაცეფციის, პრეზერვატივების გამოყენების თავსმობხვევას. კონტრაცეფციის განსხვავებული მეთოდების ურთიერთშედარებისას მიუთითებენ ზოგიერთი მათგანის უპირატესობაზე („მეტი სიამოვნება“), ცრუ სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებზე (თითქოს, პრეზერვატივს შეუძლია საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის შემცირება). თვით აბორტების პრობლემა ქვეყანაში იმ კუთხით განიხილება, რომ მოზარდებს პრეზერვატივების გამოყენება მოახვიონ თავს. რეკომენდირებულია, გაიხსენონ ქვეყანაში არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სიტუაცია. და, რა მოხდებოდა, როდესაც 20-25 წლის შემდეგ ეს „არდაბადებული ბავშვები“ შეაბიჯებდნენ რუსეთის ცხოვრებაში? (რაოგორცა ჩანს, ისინი ცუდად იქნებოდნენ, ე.ი. ჯობდა, არ დაბადებულიყვნენ? – ვ.ო.). და ისევ – კონტრაცეფცია, როგორც ხელოვნური აბორტის ერთადერთი ალტერნატივა (მესამე გზა მოცემული არ არის). ნამდვილ აღზრდაზე, ადრეული სქესობრივი ცხოვრებისაგან თავის შეკავებაზე, ზნეობრივზე, ბიოლოგიურზე, პიროვნულზე, საბედისწერო მნიშვნელობაზე, მოცემული არჩევანის შეუქცევადობაზე არ არის არც ერთი სიტყვა! ამის მაგივრად მეცადინეობებზე ხშირია ყალბი

შეგონებები კაცის რეპროდუქტიული სისტემისა და ქალის სქესობრივი სისტემის შესახებ, იმის თაობაზე, რომ სქესობრივი ფუნქცია **„განუზომლად მნიშვნელოვანია მისი ორგანიზმისათვის, ცხოველსმყოფელობისათვის“**. პროგრამაში კაცი, მოზარდი, ბიოლოგიური ორგანიზმის დონემდეა დაყვანილი. პიროვნება, ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება გამქრალია. საუბარია ორგანიზმებზე, **„სქესობრივ პარტნიორებზე“**. განმეორებად დისკუსიებში, თამაშობებსა და სიტუაციების განხილვებში და კონტრაცეფციის ყოველი მეთოდის გამოყენებისას ისმის კითხვა **„რა არის მოზარდისთვის შესაფერისი“**, შემდეგ პრიზები და კანფეტები. ამ თამაშის ერთ-ერთი ვარიანტია: აძლევენ დავალებას, დანატონ კონტრაცეპტივის რეკლამა. გამარჯვებულებს – ჯილდოები. თითქოს მთავარი პრობლემა – სიტუაციის ფსიქოლოგიური სიძნელებები: როგორ შევთავაზოთ პარტნიორს პრეზერვატივის გამოყენება.

სექსუალური ლტოლვა, კულტურის, სიყვარულის დაყვანა სქესთა შორის ურთიერთობის ზოოლოგიურ დონემდე, სიყვარულის ზნეობრივი კატეგორიების უარყოფა – ყოველივე ამით არის ეს პროგრამა გამსჭვალული. ამტკიცებენ, მაგალითად, რომ სქესი და სექსუალურობა – ადამიანის სიმბოლური კულტურის განუყოფელი ნაწილია, ხოლო ჯვარი ნაყოფიერების შთაგონებაა, წრესთან ერთად კი – კოიტუსისა (სქესობრივი აქტისა). სიყვარულში ერთგულება თითქოს დამახასიათებელია მონათმფლობელური წყობისათვის, ხოლო, საერთოდ, მოგვიანებით **„მოვიდნენ ხატები, სადაც სხეული ტანსაცმლის ციხეშია ჩაკეტილი“**. ეს მართლმადიდებელთა მისამართითაა.

ქრისტიანობამ, რომელიც განიკითხავს ყოველგვარ სექსუალობას, დედობისა და ქალწულობის სიმბოლოები ღვთისმშობელ-ქალწულის კულტში შეაერთა. პროგრამის ავტორების აზრით კი, ეს კულტი – ვხედავდეთ ქალებში ჩვენს დედებსა და დებს, – გამოიყურება, როგორც სისხლის აღრევა, და ამან **„ზოგიერთ მამაკაცში ფსიქოლოგიური იმპოტენცია დაბადა“**. (გვ. 188).

ასე, ყველაფერს იყენებენ და პროგრამის ავტორების ხელში უმაღლესი ზნეობრივი პრინციპების დაწვრილებითი განმარტება ემსახურება ამ პრინციპების შერყენა-დაკნინებას.

იგივე ითქმის კაცისა და ქალის სქესის, სქესობრივი ურთიერთობებისა და სქესობრივი გადაგვარების მიმართ. პროგრამის სწავლებით, **„თანამედროვე კაცს უნდა ჰქონდეს მთელი რიგი ქალური თვისებებისა“**, **„მამა შეიძლება იყოს ნაზი აღმზრდელი, ისევე – როგორც დედა“**; რომ სულ უფრო ისტორიული (არქაული – ვ.ო.) ხდება „მამობის“ ინსტიტუტი, თითქოს სქესობრივი განსხვავებები ბიოლოგიური კი არ არის, არამედ უფრო როლებია; თითქოს, ადამიანი დაბადებით, ბიოლოგიურად ბისექსუალურია, ხოლო ფსიქოლოგიურად – ნეიტრალური და მხოლოდ სქესობრივ როლებს ითვისებს კაცისა და ქალის შესახებ წარმოდგენებიდან, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული კულტურისათვის; რომ განსხვავებული სქესისაკენ ლტოლვა – ჰეტეროსექსუალური ლტოლვა – ჩვენ მიერ აღიქმება, როგორც რაღაც თავისთავადი, ბუნებრივი, ბუნების მიერ მოცემული, მაგრამ, თურმე, ეს ილუზიაა, ჩვენი უცოდინარობის შედეგი. სინამდვილეში **„ჩვენი პირობების მრავალფეროვნებას... მივყავართ ჰეტერო- ან ბისექსუალური ორიენტაციისაკენ“**. რომ **„სექსუალური ქცევის გადახრის ფორმები – ბისექსუალური, ტრანსსექსუალური, ჰომოსექსუალური, ჰეტეროსექსუალური, ასევე ექსგებიციონიზმი, ზოოფილია, პედოფილია, ფეტიშიზმი, ჰერონტოფილია – ადამიანის სექსუალურობის ფორმების ვარიანტებია. ვინაიდან... ყველასათვის გამოსადეგი სექსუალურობის ფორმა არ არსებობს“**. აი, რატომ **„იზრება მეცნიერთა უმრავლესობა აზრისაკენ, რომ ჰომოსექსუალიზმი – ცხოვრების სპეციფიკური სტილია“**, – ამტკიცებენ პროგრამის ავტორები. (გვ. 218).

პროგრამის მიხედვით, სქესობრივი ორიენტაცია – მნიშვნელოვანწილად შემთხვევითი მოვლენა ყოფილა. **„გარე პირობების მრავალფეროვნებას... მივყავართ ჰეტერო- ან ბისექსუალური ორიენტაციისაკენ“**, და განსაკუთრებით უნდა ვეცადოთ, მოვანდინოთ ჰომოსექსუალიზმის მიმართ **„მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირება“**. ამას შეუძლია ხელი შეუშალოს მხოლოდ პედაგოგის პირადმა აზრმა, რომელიც დამყარებულია ცრურწმენაზე ჰომოსექსუალიზმის მიმართ. აი, მხოლოდ ისაა სამწუხარო, რომ **„WHO-ს (მსოფლიო ჯანმრთელობის**

**ორგანიზაცია) სპეციალისტებისათვის ჰომოსექსუალიზმი
ჯერ კიდევ პათოლოგიურ მოვლენად რჩება...“ (გვ. 217)**

მსგავსი განათლება ამახინჯებს მოზარდთა პიროვნების განვითარებას. ნორმალური ზრდასრული ადამიანისთვის ხომ მოქმედების ერთადერთი მიმართულება, რომელსაც შეუძლია განამტკიცოს ქცევის უმაღლესი დასრულებული ფორმები, არის მიმართულება, რომელიც აღნიშნავს სიცოცხლის აზრის ცოდნის აუცილებლობას. ის შეუძლებელია საკუთარი პრინციპების, იდეური ხერხემლის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი ცხოვრების მიერ განადგურებული და მიკარგული იქნება. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე ადამიანს არ შეუძლია ნორმალურად და ეფექტურად ფუნქციონირება. და, თუ ადამიანს არ შეუძლია, დაიკმაყოფილოს სიცოცხლის აზრის მოთხოვნილება, იმისათვის, რათა ჩაახშოს არსებობის უაზრობის გრძნობა, ის თავს იბრუებს ნარკოტიკებით, სექსით. ამ პროგრამაში კი პედაგოგიკის მიზნებისაგან, ნამდვილი აღზრდისაგან მოწყვეტით ყველაფერი ორიენტირებულია უმდაბლეს ბიოლოგიურ (სქესობრივ) გატაცებაზე, სქესობრივი ცხოვრების ბუნებრიობისა და აუცილებლობის შესახებ ცრუ იდეების შთაგონებაზე – ონანიზმის, სქესობრივ ცხოვრებაში მოზარდების ჩათრევის, ამ საკითხებში მათი სქესობრივი ავტონომიისა და თითქმის ყველა სქესობრივი გადახრის სახეობების ჩათვლით. და ყველაფერი ეს ახალგაზრდულ პერიოდში, როდესაც ხდება ადამიანის, როგორც პიროვნების, სპეციფიკური, „ცხოვრების აზრის“ მოთხოვნილების ჩამოყალიბება.

ამ მოთხოვნების ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე მოზარდებს არ ძალუძთ შექმნან ცხოვრების აზრის საკუთარი კონცეფცია და ამ მოთხოვნის რეალიზებას ახდენენ სახესთან, იდეალთან იდენტიფიცირებით, ანუ კობირების პრინციპით, მიბაძვით. პროგრამის მიხედვით კი მასწავლებლების მიერ სკოლაში ნიმუშის სახით შემოთავაზებულია „**უსაფრთხო სექსში პასუხისმგებლობით გამსჭვალული, ვაჟკაცი ბიჭი, მაღალი თვითშეგნებით**“, რომელიც დადებითად ეკიდება ან იწყნარებს სქესობრივი გადახრის ყველა სახეს. ის, ასევე, მთლიანად ავტონომიურია.

ხელოვნური მოთხოვნების ამგვარ კულტივირებას მოზარდი მიჰყავს მის წარმოშობასთან და თვით ამ მოთხოვნების მიმართ

პათოლოგიურ დამოკიდებულებასთან. სინამდვილეში, ეს დამოკიდებულება არ არის არც აუცილებელი, არც ბუნებრივი (ისევე, როგორც დამოკიდებულება თამბაქოს მოწევაზე, ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე, ანანიზმისაკენ მიდრეკილება).

ასე, ამ პროგრამით, მოზარდები ადვილად ითვისებენ სხვადასხვა სახის სექსუალურ დამოკიდებულებებს, რაც მათი იმ სურვილის ფონზე ხდება, როდესაც მათ სურთ, რომ მოზრდილებად, – სოციალური მიბაძვის მექანიზმის მოქმედების შედეგად – სოციალურად სრულფასოვნად გამოჩანდნენ. სულიერად შეზღუდული, პრიმიტიული პიროვნებებისათვის ეს საქმიანობა, შეიძლება, ძლიერი განცდების ერთადერთი წყარო გახდეს, რომელშიც ისინი თავს საჭიროებად, სოციალურად სრულფასოვნებად იგრძნობენ. ეს კი -

პიროვნების განვითარების ჩიხია.

სქესობრივი მოთხოვნილების სტიმულაცია სქესობრივი ცხოვრების უდროოდ დაწყებასთან, გადახრებთან და პათოლოგიურ განვითარებასთან ერთად, რომელიც მსოფლმხედველობად და ბედის განსაზღვრულობად ყალიბდება, თავის თავში მომავალი გაწბილებების, ცხოვრებისეული რყევების, ბედის დარტყმების საწყისს შეიცავს. სქესობრივი მოთხოვნილების სტიმულაცია და გამოვლინება, რომელიც არ ექვემდებარება პიროვნების ნებისყოფის სრულ კონტროლს და ცხოვრების შეუქცევად წესად იქცევა, აუცილებად შეიცავს უდროოდ დაორსულების, სამედიცინო ან კრიმინალური აბორტების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და მისთ. რისკს. შესაბამისად, პიროვნების განვითარების ამ დარღვევას, ასევე თან სდევს მაღალი რისკი დასახელებული სომატური ტანჯვისა, რომლებიც მედიცინაში აღნიშნულია, როგორც ფსიქოსომატური აშლილობები.

ამგვარად, პროგრამა ხელს უწყობს მოსწავლის ცნობიერებაში „სექსის“ კულტის დანერგვას – მისი მრავალფეროვანი სახეობებით, სქესობრივი გადახრებისა და დარღვევების ფსიქიკური აშლილობებით, რაც ხრწნის და ანგრევს არა მხოლოდ ზნეობრივ, სულიერ, სოციალურ საფუძვლებს, არამედ ბუნებითს, – მოზარდი თაობის ცხოვრების ბუნებრივ საფუძვლებსაც.

პროგრამა „ოჯახის დაგეგმვა“, არსებითად, წარმოადგენს ნამდვილი მშობლიური ოჯახის, მოზარდისათვის ავტონომიური ეთიკის

შთაგონებისა და მშობლებისაგან მოწყვეტის, მოზარდისა და მისი მომავალი ოჯახის ნგრევის იარაღს, ოჯახისა, რომელიც მან უნდა შექმნას, რათა გაზარდოს საკუთარი შვილები.

დასკვნა

ზემოთქმულის საფუძველზე, იურისტიკის მიერ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით შემდეგი დასკვნა უნდა გავაკეთოთ:

1. მოცემულ პროგრამაში მოსწავლეთა ასაკობრივი, პიროვნული თავისებურებები გათვალისწინებული არ არის.
2. **პროგრამა უპირობოდ უწყობს ხელს მოსწავლე ახალგაზრდობის უდროო, ადრეული სქესობრივი გატაცების სტიმულირებასა და განვითარებას.**
3. თანმიმდევრულ სწავლებას, მოცემული პროგრამის მიხედვით, შეიძლება მოჰყვეს ნეგატიური შედეგები, რომლებიც ბავშვთა ფსიქიკასა და ჯანმრთელობაზე აისახება. ჯერ ერთი, პიროვნულობაგანმმარცველი „სწავლება“, დამყარებული უძღაბლეს (სქესობრივ) გატაცებებზე (სქესობრივი ცხოვრების კულტზე, მისი გადაგვარებული ავადმყოფური ფორმების ჩათვლით), ამ ასაკისთვის მთავარი ადამიანური – არსებობის აზრის – მოთხოვნების აღზრდისაგან მოწყვეტით, იწვევს მოზარდის პიროვნების ჯანსაღი განვითარებისაგან გადახრას, დამყარებულს იმ ასოციალურ და ანტიასოციალურ საფუძველებზე, რომლებიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში მიღებულ სოციალურ-ეთიკურ პრინციპებს; „სწავლებას“ მოსდევს პიროვნული აშლილობის ავადმყოფური პათოლოგიური ფორმების ფიქსირება. ეს უკანასკნელი, ჭ –ის ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-9 გადახედვის მიერ, კლასიფიცირებულია როგორც მყარად დამკვიდრებულნი, ქცევის ნორმისათვის შეუფერებელი პათოლოგიები, რომლებიც, ძირითადად, ბავშვურ და მოზარდ ასაკში ვლინდება და მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე შენარჩუნდება. კერძოდ, ამათ განეკუთვნება პიროვნების აშლილობა მოჭარბებული სოციალური და ასოციალური გამოვლინებებით (კოდი 301.7). იგი ხასიათდება ავადმყოფის ქცევასა და ძირითად სოციალურ ნორმებს შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობით, უპასუხისმგებლობით, სოციალური

ვალდებულებების უარყოფით. ყველა ეს ფორმა ფსიქიატრიაში ცნობილია, როგორც პიროვნების განვითარების პათოლოგიური, პათომახასიათებლებრივი ფორმები.

4. ამ პროგრამით სწავლება მოზარდის ასოციალური და ანტისოციალური ქცევის რისკს ზრდის. რა თქმა უნდა, ამან შეიძლება გამოიწვიოს მოზარდის პიროვნების განვითარებაში დისჰარმონია, გადახრები, ხოლო ფსიქიკის განვითარებაში – ავადმყოფური ცვლილებები.
5. ამ პროგრამისთვის დამახასიათებელია სქესობრივი ცხოვრების შესახებ კითხვებზე ფიქსაცია, სექსუალური მოთხოვნების ადრეულად ჩამოყალიბების სტიმულაცია და სქესობრივი ცხოვრების ადრეული დაწყების განპირობება, რომელიც შემდგომში არ ექვემდებარება პიროვნების სრულ კონტროლს, აუცილებლად იწვევს ადრეული ორსულობის მაღალ რისკს, სამედიცინო თუ კრიმინალურ აბორტებს, კონტრაცეფციის – განსაკუთრებით ჰორმონალურის – მავნე შედეგებს, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით დაავადებას, ანუ მაღალ რისკს დასახელებული სომატური დაზიანებებისა და ტანჯვისა, რომლებიც მსოფლიო მედიცინაში აღინიშნებიან, როგორც ფსიქოსომატური აშლილობები.
6. მოცემული პროგრამით ბავშვების სწავლებისას ნეგატიური შედეგები გარდაუვალია. მოცემული პროგრამით IX-XI კლასის მოსწავლეების სწავლებისას, ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტის თვალსაზრისით ნეგატიური სამედიცინო შედეგები მოიცავენ სასაზღვრო ფსიქიკურ და ფსიქოსომატურ აშლილობებს.
7. მოცემული პროგრამა არამც თუ არ შეესაბამება ეროვნული პედაგოგიკის ტრადიციებსა და მენტალიტეტს, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება მას: იგი მოზარდს ჩააგონებს ავტონომიური ეთიკისა და პროტესტანტული უკიდურესი ინდივიდუალიზმის უცხო იდეებს და ამით მოსწყვეტს რა მას მშობლებისაგან, იგი, არსებითად, წამოადგენს მოზარდის მშობლიური ოჯახისა (რომელშიც ის იზრდება და აღიზრდება) და მისი მომავალი ოჯახის ნგრევის იარაღს, რომელიც მან უნდა შექმნას, რათა გაზარდოს და აღზარდოს საკუთარი შვილები.

8. ამგვარად, პროგრამა ხელს უწყობს მოსწავლის გონებაში „სექსის“ კულტის ჩანერგვას, მის მრავალფეროვან სახეობებთან ერთად, სქესობრივი გადაგვარებისა და დარღვევების ჩათვლით, ზრწნის და ანგრევს არა მხოლოდ ზნეობრივ, სულიერ, სოციალურ საფუძვლებს, არამედ მოზარდი თაობის ცხოვრების ბუნებრივ საფუძვლებს. ამის გამო და იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მოსწავლე ახალგაზრდობის ფსიქიკური და ფსიქოსომატური ჯანმრთელობისათვის მავნე შედეგები, **არ შეიძლება, რეკომენდაცია მივცეთ მოცემული და ანალოგიური პროგრამების გამოყენებას საშუალო სკოლების IX-XI კლასებში სწავლებისათვის.**

სსპა სამეცნიერო დასკვნები

ფაქტობრივად, იგივე დასკვნებია გაკეთებული სხვა სპეციალისტების ანალიზში. ვთავაზობთ მოკლე ამონარიდს მათი დასკვნებიდან:

გუნდაროვი ი. ა.

რფ ჯანდაცვის სამინისტრო

პროფილაქტიკური მედიცინის სახელწიფო

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,

ბუნებრივ მეცნიერებათა რუსეთის აკადემიის ნამდვილი წევრი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოსოფიის
მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ჯანმრთელობის
სისტემური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

1. პროგრამა უგულებელყოფს მოზარდთა პიროვნულ თავისებურებებს და მიზნად ისახავს სექსუალური ქცევის ევრო-ამერიკული მოდელის სტანდარტების შესაბამისად მათი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ინდივიდუალიზმის უნიფიკაციას.
2. პროგრამა 16 წლის ბიჭებისა და გოგონებისათვის ერთობლივად განსახილველად გვთავაზობს ისეთ თემებს, როგორცაა: პრეზერვატივის გამოყენებისა და შეწყვეტილი სქესობრივი აქტის სწავლება; სირცხვილის გრძნობის ამოძიკვა (მე-18 მეცადინეობა); ქალის საშოს, როგორც მამაკაცის სასქესო ორგანოს მიმღების

ფუნქციის შესწავლა და დეფლორაციასთან ურთიერთობის განსაზღვრა (მე-7 მეცადინეობა); სასქესო ორგანოების აგებულების ნატურალისტური შესწავლა (მე-8 მეცადინეობა). ჩამოთვლილი და მსგავსი საკითხები არა მარტო ხელს შეუწყობს, არამედ მოახდენს ბავშვთა ადრეული სქესობრივი გატაცებების სტიმულაციას.

3. მოცემული პროგრამით სწავლება უეჭველად გაზრდის მოზარდთა სოციალური განვითარების დარღვევის შესაძლებლობას, ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში სოციალური ანომალიების ზრდას.
4. მოცემული პროგრამისათვის დამახასიათებელია სქესებს შორის ურთიერთობების ისეთი მოდელის დანერგვა, რომელიც აცხადებს: **„უბიწოებისა და რომანტიკულობის მინიმუმი – ნებადართულობისა და ხორციელი მგრძობელობების მაქსიმუმი“**. ეს პრინციპები საფუძველშივე ეწინააღმდეგება ინტიმურ ურთიერთობათა ჰარმონიის შესახებ ეროვნულ-ტრადიციულ წარმოდგენებს. სექსუალური ნორმალურობის საკითხში ასეთ განსხვავებულ გაგებას მივყავართ ერის სოციალური ერთობის დაცვის მექანიზმების რღვევამდე, თაობებს შორის ურთიერთგაგების გაუარესებამდე, ოჯახში კონფლიქტური ურთიერთობების ზრდამდე.
5. სკოლებში ასეთი პროგრამის ფართო დანერგვას აუცილებლად მოჰყვება მოსწავლეთა ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუარესება როგორც ფიზიკურ, ისე ზნეობრივ და სოციალურ ასპექტებში.
6. რეპროდუქტიული ჯანმრთელობის, ვენერიული დაავადებებით დაავადების, მოზარდთა ზნეობრივი მდგომარეობის მხრივ ვითარებისა და დინამიკის ანალიზი ქვეყნებში, სადაც მსგავსი პროგრამები ინერგებოდა, გვიჩვენებს დასახელებულ პროცესთა მიმართ მათ უკიდურესად არაკეთილისმყოფელ გავლენას.
7. აშკარად ცხადია, რომ შობადობის კატასტროფული დაცემა ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საზოგადოებაში იმ ზნეობრივი დეფორმაციებით, რომელიც გამოწვეულია ისეთი იდეოლოგიის დანერგვით, რომელსაც დასახელებული პროგრამა ავითარებს.

8. სკოლებში სწავლების მიზნით „ოჯახის დაგეგმვის საფუძვლების“ პროგრამის დანერგვას არ შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია არც ძირითადი და არც დამატებითი განათლების სახით.

3. მ. მასლოვი

რფ ჯანდაცვის სამინისტრო

სემსოლოგიისა და სემსოპათოლოგიის

ფედერალური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი.

მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული სამედიცინო სექსოლოგიისა და სექსოპათოლოგიის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დოცენტი, სექსოლოგი

პროგრამის ძირითადი შინაარსია ქალისა და კაცის რეპროდუქტიული სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია, უსაფრთხო სექსი.

მოცემული პროგრამა უნდა მივაკუთვნოთ „კონტრაცეფციის სწავლების“ კატეგორიას (ანუ არასასურველი ორსულობისაგან თავის დაცვის მეთოდებს). მოზარდებთან კონტრაცეფციის მეთოდების განხილვა მათ აძლევს სქესობრივი ცხოვრების დაწყების ნებას და ამით ახდენს მათი სქესობრივი აქტიურობის სტიმულირებას. ამის დასტურად გამოდგება სიტყვები პროგრამიდან (გვ.89): **„რატომ არის, რომ მოზარდების უმრავლესობა მისდევს სექსს და, ამასთან, არ იყენებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს?“**. ასეთი მითითება თავს ახვევს მოზარდებს სექსუალური ცხოვრების დაწყების აუცილებლობას, რადგან, ზრდასრული ადამიანის აზრით, თურმე თანატოლთა უმრავლესობა „მისდევს სექსს“. შესაძლოა, სწორედ ამიტომ ოჯახის დაგეგმვის (კონტრაცეფციის სწავლების) პროგრამები, რომლებიც აშშ-ში 27 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა, არაეფექტური აღმოჩნდა და მოზარდთა სქესობრივი ცხოვრების დაწყების ასაკი იქ დღემდე მცირდება, ამასთან მოზარდთა ორსულობების რიცხვი იზრდება. 1998 წლის აპრილიდან აშშ-ს მთავრობამ, მისი არაეფექტურობიდან გამომდინარე, მთლიანად შეწყვიტა ოჯახის დაგეგმვის პროგრამების ფინანსირება.

ხსენებულ პროგრამაში მოზარდებს არა მხოლოდ მიეწოდებათ ინფორმაცია კონტრაცეფციის შესახებ, არამედ მათ მოხმარებას ახვევენ თავს (გვ.90): **„ამ განხილვის დროს მიიყვანეთ**

მოსწავლეები კონტრაცეფციის გამოყენების აუცილებლობის აზრამდე, – ამბობს ერთ-ერთი რეკომენდაცია...

განსაკუთრებით სახიფათოა საწინააღმდეგო სქესისთვის დამახასიათებელი ქცევის სტერეოტიპის თავსმოხვევის მცდელობა. პროგრამაში წერია (გვ.181): **„ნამდვილი ადამიანი რომ გახდეს, ამისათვის მამაკაცი უნდა იყოს არა მხოლოდ ძლიერი და მამაკაცი, არამედ უნდა აითვისოს მთელი რიგი ტრადიციულად „ქალური“ თვისებების...“**. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (ჭ) მონაცემებით ქალმსგავსი ბიჭებისა და კაცმსგავსი გოგონების 1/3 – 2/3 –ს უყალიბდებათ ჰომოსექსუალური გატაცება. ჰომოსექსუალიზმს პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. ქალისა და კაცის ჰომოსექსუალიზმი აღინიშნება ბისექსუალობასთან ერთად (ორივე სქესის მიმართ მიდრეკილება). **„გარე პირობების მრავალფეროვნებას, კონკრეტული ინდივიდის ფსიქიკაში გარდატეხილს, მიყვავართ ჰეტერო-ან ბისექსუალურ ორიენტაციასთან“**. მსგავსი მტკიცების შემდეგ, რომელიც ადამიანში ჰომოსექსუალიზმსა და ბისექსუალიზმს ტოლმნიშვნელოვნად და ალტერნატიულად სახავს, გასაკვირი არ არის მკითხველისათვის მიცემული შემდეგი რეკომენდაცია: **„დაწვრილებით შეჩერდით ჰომოსექსუალიზმზე...“**. ჰომოსექსუალიზმი ერთადერთი თემაა, რომელიც დაწვრილებითი მეთოდური რეკომენდაციებით არის აღჭურვილი: **„ამ მეცადინეობის ჩატარებისას უნდა ვიყოთ ფრთხილები და ფაქიზები, რადგან კლასში შეიძლება იყვნენ ნებისმიერი სექსუალური ორიენტაციის ბავშვები... ეს გაკვეთილი – ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანია, როდესაც პედაგოგმა არ უნდა მოახდინოს თავისი შეხედულებების დემონსტრირება“**. (გვ.210)

პროგრამა ხელს უწყობს მოზარდებში საკუთარი სექსუალობის თავისუფალი გამოვლენის ჩვევების ათვისებას და არ აყალიბებს მათში საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის გრძნობას. საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის შესახებ მნიშვნელოვანი საუბარი სწავლების ბოლოს, მხოლოდ მესამე წლის ბოლოს არის დაგეგმილი, მაშინ, როდესაც ამას მოზარდებზე უკვე არავითარი გავლენის მოხდენა აღარ შეუძლია.

(). ა. კურანოვა

შსიქიატრიების, ნარკოლოგებისა და
შსიქოთერაპევტების ასოციაცია

- გამგეობის წევრი, უმაღლესი კატეგორიის ექიმი-ფსიქიატრი
1. ...პროგრამა 14-16 წლის მოზარდებს ისე მიმართავს, როგორც დიდი სექსუალური გამოცდილების მქონე და უწესრიგო სქესობრივი ცხოვრებით მცხოვრებ პირებს, მაგალითად:
„რატომაა, რომ მოზარდთა უმრავლესობა სექსს მისდევს და ამასთან, არ იყენებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს“?;
„პარტნიორების რა რაოდენობას უნდა მიმართოთ, რომ თქვენ დაავადდეთ (ვენერიული დაავადებით)“?;
„უნდა უთხრათ ყველას, ვისთანაც სიმპტომის გაჩენამდე 2,5 თვის განმავლობაში გქონდათ სქესობრივი კონტაქტი“. (გვ.200)
 2. პროგრამის ანალიზს მიყვავართ დასკვნამდე, რომ მისი მთავარი მიზანი და ამოცანაა სქესობრივი გატაცების ადრეული განვითარების სტიმულირება... პროგრამის „სასწავლო თვალსაჩინოებანი“, ყველა მიღებული ნორმის საწინააღმდეგოდ, სასქესო ასოს გამოსახვევს ერეგირებულ მდგომარეობაში, ქალის გარე სასქესო ორგანოების სქემაზე პირველ ნომრად აღწერილია კლიტორი, რომელიც დახასიათებულია, როგორც „ერექციული ორგანო, რომელიც სექსუალურ აღგზნებას უზრუნველყოფს“...
 3. ადრეული სექსუალური კონტაქტებისკენ ბიძგის მიცემა, სექსუალური ქცევის ფორმის არჩევაში (ჰომოსექსუალიზმი, ბისექსუალიზმი, ზოოფილია) (გვ.214-220) ყოვლისდაშვებულობის მიმართების ფორმირება, გაძლიერებული ჰიპერსექსუალობითა და ასევე მოზარდთა ასაკისთვის დამახასიათებელი არასაკმარისად ფორმირებული კრიტიკულობით, ზრდის ასოციალური და ანტისოციალური ქცევის შესაძლებლობას.
 4. პროგრამა ხელს უწყობს დისჰარმონიული სექსუალობის ფორმირებას... ასეთ ადამიანს არ შეუძლია ჰარმონიული ოჯახის შექმნა. ის მუდმივად იცვლის პარტნიორებს, ცინიკურად ეპყრობა სქესობრივ ცხოვრებას.
 5. პროგრამა აყალიბებს დადებით დამოკიდებულებას ადრეული სექსუალობის მიმართ: **„მამაკაცებს სავსებით შეუძლიათ ერთმანეთთან სქესობრივ კონტაქტში შესვლა, ისე, რომ**

- თავს ჰომოსექსუალებად არ მიიჩნევდნენ“, „ზოგიერთი ადამიანი უპირატესობას აძლევს სექსუალური კონტაქტები ჰქონდეს თავისივე სქესის პარტნიორთან“, (გვ.214) „სოფლის მაცხოვრებელ ყმაწვილთა დაახლოებით 40-50%-ს სექსუალური კონტაქტი ჰქონდათ ცხოველებთან“. (გვ.218)
6. დისჰარმონიული სექსუალურობა, რომელსაც პროგრამა აყალიბებს, არღვევს მოზარდის ნორმალურ განვითარებას და შეუძლია გამოიწვიოს ფსიქიკის ავადმყოფური ცვლილება სასაზღვრო ნერვულ-ფსიქიკური აშლილობის ფარგლებში. იგი ასევე ხელს უწყობს არასრულფასოვნების კომპლექსის შექმნას იმ მოზარდებში, რომლებიც უბიწოებას იცავენ.
7. ... თამაშები გამოიყენება მოსწავლეთათვის განკუთვნილი ფორმით, მაგრამ გარკვეული თემატიკით გამდიდრებული, რომელსაც აბსურდულ-ცინიკურ სიტუაციამდე მიყვავართ: მასწავლებელი ბურთს გადაუგდებს 15 წლის მოსწავლეს და ეკითხება: **„კაცის სასქესო ასო საჭიროა რისთვის?“**, მოსწავლე მოკლედ პასუხობს და უბრუნებს მასწავლებელს ბურთს. შემდეგი კითხვების ვარიანტებია: **„ნამდვილი ეროგენური ზონა ესაა...“**, **„ერექცია ესაა...“** (გვ.96) და ა.შ.
8. პროგრამა ყურადღებას არ უთმობს ჯანმრთელობაზე ზრუნვას: ორსულის ჰიგიენას სულ ხუთი სტრიქონი აქვს დათმობილი. მოზარდებისათვის ახდენს ჰორმონალური კონტრაცეპტივების რეკლამირებას და თითქმის არაფერს ამბობს მათი გამოყენების საწინააღმდეგო ჩვენებებზე; საკონტროლო კითხვის კომენტარისთვის დამახასიათებელია სიტყვები: **„თუ მოსწავლეს ერთი საწინააღმდეგო ჩვენება მაინც ახსოვს, მაშინ პასუხი ბრწყინვალეა“**. (გვ.118)

ტ.ა. ფლორენსკაია

რუსეთის ბანათლეგის აკადემია

ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

1. პროგრამის უფრო ადეკვატური დასახელება იქნებოდა „უსაფრთხო სქესის საფუძვლები“, რადგან სწორედ ეს შეადგენს პროგრამის შინაარსს... პროგრამა აჭრელებულია ისეთი

- სიტყვებით, როგორებიცაა: „პარტნიორი“ (სექსში), „სექსის პროცესი“, „მგრძობელობის სიმწვავე“ და ა.შ. „ნადვილი მამაკაცი“ არ გამოიყენება ჩვეულებრივი გაგებით, არამედ „კარგი კუროს“ აზრით (გვ.182). ავტორები ცდილობენ „სქესისა“ და „სექსის“ ცნებების გაიგივებას, მაშინ, როდესაც მეცნიერება მათ ასხვავებს. მეცნიერებას სქესობრივი აღზრდა ესმის, როგორც გარკვეული სქესის პიროვნების აღზრდა და არა – „სექსუალური პარტნიორისა“; მომავალი მამაკაცის აღზრდა არ არის „კარგი კუროს“ გამოზრდა. ადამიანის სქესი თავის თავში ფსიქოლოგიურ და სულიერ მახასიათებლებს მოიცავს, რომლებიც არ დაიყვანება ბიოლოგიასა და ფიზიოლოგიაზე.
2. ნაწილში „სექსუალურობის ფორმები“ პროგრამის ავტორების მიერ დასახულია მიზანი **„ამოებირკვით ჰომოსექსუალიზმის მიმართ წინასწარი განწყობა“** (გვ.210). ჰომოსექსუალიზმი განიხილება, როგორც **„ცხოვრების სპეციფიკური ფორმა“** (გვ.218)... ავტორი არაფერს ამბობს ამ **„სექსუალურობის ფორმის“** სოციალურ და ფსიქოლოგიურ საშიშროებაზე, რომელიც გადაეცემა სწავლებითა და გარყვნივით. მეტიც, ავტორი ლესბოსელობის პოეტიზირებას ახდენს: **„პოეტესა საფო განადიდებდა კუნძულ ლესბოსზე თავის ბრწყინვალე მეგობარ ქალებს“** (გვ.218). ასეთი „განათლების“ არსებობის თვით ფაქტი ახდენს მოზარდების მიერ გადაგვარებული „სექსუალური ფორმების“ ათვისების სტიმულირებას და „სექსუალური უმცირესობების“ წარმომადგენლებთან მათ მიყვანას. ასე მაგალითად, აშშ-ს სკოლებში სექსუალურ განათლებას მოჰყვა სექსუალური უმცირესობების კლუბები.
 3. სექსუალური „განათლება“ მოზარდთა ჯგუფებში, მათს გრძობებსა და წარმოსახვებზე ზემოქმედება აუცილებლად ახდენს სექსუალური განცდის პროვოცირებას, მიუხედავად ავტორთა განცხადებისა, რომ დაუშვებელია ეს ეფექტი. ჯგუფური ურთიერთქმედება და მასწავლებლის ავტორიტეტი ხელს უწყობს მოზარდთა გარყვანას.
 4. „სექსუალური განათლების“ წარმატებით განხორციელებისათვის პროგრამის ავტორები მოზარდებისაგან მოითხოვენ სირცხვილის ბუნებრივი გრძობის დაძლევას, რომელიც განუყოფლად

- დაკავშირებულია სინდისთან. ეს კი დამლუპველია მოზარდთა როგორც ზნეობრივი, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის.
5. პროგრამის ასეთი მიდგომა ხელს უწყობს „სექსუალური დომინანტის“, „სქესობრივი პარაზიტიზმის“ ფორმირებას: ორივე ცნება გამოხატავს ადამიანის ფსიქიკასა და ორგანიზმში სექსუალური აღზნების კერის ბატონობას, რომელიც თავის კალაპოტში აქცევს ყველა მის ცხოვრებისეულ ძალას. ეს მოზარდის ჯერ კიდევ მოუმწიფებელ პიროვნებას ემუქრება შემოქმედებითი სიბერწით, უსულგულობით. ის შეიძლება კულტურული და სულიერი ფასეულობების მიმართ თვით მტრულ დამოკიდებულებამდე მივიდეს.
 6. სექსუალურ დომინანტას მიეყავართ მომხმარებლური ორიენტაციის ბატონობამდე, „პარტნიორების“ ცვლისა და მგრძობელობების მრავალფეროვნების მოთხოვნილებამდე, ე. ი. სიყვარულისა და მეუღლეობრივი ერთგულების და, საბოლოოდ, ოჯახური ცხოვრების შეუძლებლობამდე, რადგან ახდენს ქორწინებამდელი სქესობრივი ცხოვრების სანქცირებასა და სტიმულირებას, **პროგრამა ანგრევს ოჯახის საფუძვლებს.**
 7. ...პროგრამა თავისი არსით არა მხოლოდ არასულიერია, არამედ სულიერების საწინააღმდეგოა... **პროგრამის მიზანია არა განამტკიცოს სულიერ-ზნეობრივი საფუძვლები, არამედ – შეარყიოს,** რათა მოზარდთა ცნობიერებაში სექსუალური ყოვლისნებადართულობა ჩანერგოს.
 8. პროგრამაში საერთოდ არა არის ნახსენები ეროვნული კულტურისა და ტრადიციებისათვის დამახასიათებელი ზნეობრივი და სულიერი ნორმები – ოჯახის არსებობის, სიყვარულის ცნების, ქრისტიანული ქორწინებისა და ოჯახის შესახებ...
 9. პროგრამა შედგენილია „სექსუალური რევოლუციის“ სულისკვეთებით, რომლის გადმონერგვასაც დასავლეთიდან აპირებენ, მაშინ, როდესაც თვით დასავლეთში იგი უკანასკნელ დღეებს ითვლის.
 10. პროგრამა „ჯანმრთელი ცხოვრების წესს“ „უსაფრთხო სექსის“ სწავლებასთან აკავშირებს და ამით **„ობიექტურად ხელს უწყობს ბავშვთა ფიზიკური, ფსიქიკური და რეპროდუქტიული ჯანმრთელობის ნგრევას.**

11. მოზარდთა „სექსუალური განათლების“ შედეგი – სექსუალური დომინანტა არის ერთ-ერთი სახე ადამიანის „პათოლოგიური დამოკიდებულებისა“ ისევე, როგორც ალკოჰოლიზმი და ნარკომანია. ამ დამოკიდებულებებს განაპირობებს სულიერი სიცარიელე, ადამიანისთვის ღირსეული ცხოვრებისეული ფასეულობებისა და სიცოცხლის აზრის არარსებობა. როგორც ცნობილია, ეს „დამოკიდებულებები“ გადაჯაჭვულია ადამიანის ფსიქიკური, ფიზიკური და რეპროდუქტიული ჯანმრთელობის რღვევასთან.
12. პროგრამაში არ არის ქორწინებამდე სქესობრივი თავშეკავების კულტურის თემა. არ არის იმის შეხსენება, რომ ქორწინებამდელი სექსუალური აქტიურობის თავიდან აცილება შეიძლება მოზარდებში უბიწოებისა და ქორწინებამდელი სქესობრივი ცხოვრებისაგან თავშეკავების აღზრდით. ამას ადასტურებს მოზარდთა თავშეკავების აღზრდის პროგრამებით სწავლების გამოცდილება, რომელიც აშშ-ში 25 წლის განმავლობაში დაგროვდა (ამ პროგრამების გამოჩენა იყო რეაქცია ოჯახის დაგეგმვის სეარტაშორისო ფედერაციის ექსპანსიაზე). აღზრდის ამ ორი მოდელის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულება თვალნათელია. მათი „კონკურენცია“ აშშ-ში მივიდა თავშეკავების პროგრამის ამკარა გამარჯვებამდე, რისი შედეგიც იყო აშშ-ს კონგრესის მიერ კანონის მიღება სახელწოდებით „სოციალური რეფორმა“. ამ კანონით მტკიცდება, რომ „ქორწინება – საზოგადოების გაფურჩქვნის პირობაა“, „აუცილებელი ინსტიტუტია საზოგადოების კეთილდღეობისთვის“, რომელშიც „დაცულია ბავშვთა ინტერესები“, „პასუხისმგებლობითი მამობა და დედობა“ – „ბავშვთა წარმატებული აღზრდისა და განვითარების პირობაა“.

აი, სქესობრივი თავშეკავების პროგრამის სკოლებში დანერგვის ზოგიერთი შედეგი. პროგრამაში მონაწილეობდა 3500 მოსწავლე 26 სკოლიდან; ორსულობების რიცხვი შემცირდა თითქმის ორჯერ – 9%-დან 5%-მდე; ორჯერ შემცირდა მოზარდთა რიცხვი, რომლებიც ქორწინებამდელ სექსუალურ ურთიერთობებს დასაშვებად მიიჩნევდნენ. ოჯახის დაგეგმვის პროგრამის მოღვაწეობის შედეგები განსხვავებულია: აბორტების რიცხვის

- ზრდა 2-ჯერ და მეტად, მოზარდთა ორსულობების მნიშვნელოვანი ზრდა, – ეს უკანასკნელი მოვლენა, აშშ-ს პრეზიდენტის სიტყვებით, გახდა „ქვეყნის მთავარი სოციალური პრობლემა“ და სხვ.
13. განსახილველი პროგრამა განეკუთვნება „ოჯახის დაგეგმვის“ ექსპერიმენტულ პროგრამათა რიცხვს, რომელიც ჩაფლავდა დასავლეთში და ცივილიზებული ქვეყნები ნელ-ნელა უარყოფენ. პროგრამა ახორციელებს იმ ამოცანებს, რაც დასვა ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაციამ და მანამდე მისმა ფუძემდებელმა, მარგარეტ ზანგერმა. ამ და მსგავსი პროგრამების მეშვეობით, ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ასოციაცია და დასავლეთის სხვა ორგანიზაციები ჩვენი შვილების სახით პოულობენ კონტრაცეპტივების გასაღების სარფიან ბაზარს და, ფაქტობრივად, ატარებენ ექსპერიმენტს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მოზარდთა ფსიქიკის, მათი ცხოვრებისეული ფასეულობების შეუქცევადი ცვლილებები. არ უნდა დავივიწყოთ დემოგრაფიული მიზნები, შობადობისა და ერის რაოდენობის შემცირება.

მ. დ. კალიშჩინკო

რფ ფიბალი და პროფესიული ბანათლებლის
სამინისტრო

ინსტიტუტი „უმაღლესი სკოლა უნივერსუმი“
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

... პროგრამაში იგნორირებულია ის ფაქტი, რომ მოზარდ ასაკში სასქესო ორგანოების გაზრდილი სეკრეცია განაპირობებს გაზრდილ ემოციურობას. მოზარდს საკუთარ თავზე უჩნდება წარმოდგენა არა როგორც ბავშვზე, არამედ როგორც მოზრდილ ადამიანზე. ის ყველანაირად ცდილობს, დაუმტკიცოს გარშემო მყოფთ თავისი „მოზრდილობა“, რომლის გამოვლინების სპეციფიკა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ინფორმაციით, რომელსაც ის იღებს მშობლებისა და სკოლის მასწავლებლებისაგან.

მოცემული პროგრამის მიზანმიმართულობა კი ხელს უწყობს არა ზნეობრივ-ნებისყოფითი თვისებების ჩამოყალიბებას, რომლებიც დამახასიათებელია მოზრდილი ადამიანისათვის, არამედ „მოზრდილი“ ცხოვრების ინტიმურ მხარეებზე ხელოვნურად ახდენს მოსწავლეთა

გაზრდილი ყურადღების სტიმულირებას. ასე, 14-15 წლის ბავშვებს სადისკუსიოდ სთავაზობენ, განიხილონ საკითხი კონტრაცეპტივების გამოყენების დროს სექსუალური მგრძობელობის ცვლილების შესახებ (მე-19 მეცადინეობა, სწავლების I წელი). 15-16 წლის მოზარდებს სთავაზობენ გახდნენ „თანაავტორები“ წიგნისა „სიყვარულის ჩვენების 1001 საშუალება სექსის გარეშე“. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელს ეძლევა რეკომენდაცია, უამბოს ბავშვებს პეტიინგისა და ურთიერთმასტურბაციის შესახებ, როგორც სექსუალური წადილის დაკმაყოფილების საშუალებაზე. მსგავსი მაგალითები მრავლადაა, პრაქტიკულად ყველა გაკვეთილში, ისეთი კუროზების ჩათვლით, როგორცაა პრეზერვატივის 2-3 თითზე ჩამოცმაში ვარჯიში მისი გამოყენების ჩვევის მიღებისა და განმტკიცების მიზნით, ან საროლო თამაში, რომლის დროსაც ბავშვები ახდენენ სიტუაციის მოდელირებას, თითქოს ისინი მიდიან კონსულტაციაში გინეკოლოგთან მათთვის შესაფერისი კონტრაცეფციის საშუალების შერჩევის მიზნით...

... პროგრამა არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მოზარდთა ცხოველსმყოფელობის სისტემის ფუნქციონირება გადაწყობის ფაზაშია. მათში ამ პერიოდში, საზოგადოებრივად-სანქცირებული ნორმების კულტურულ-დაპროგრამებული ორიენტაციების საფუძველზე, მიმდინარეობს საკუთარი ქცევის უმაღლესი ქერქული ვერბალურ-ნებისყოფითი კონტროლის დონის, საკუთარ ფასეულობათა სისტემისა და ფასეულობითი ორიენტაციების ფორმირება..

ადრეული სქესობრივი კავშირები ეწინააღმდეგება ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ პრინციპებს. მოზარდის მიერ ამ პრინციპების დარღვევა მის ცნობიერებაში ტოვებს (თვით მისი ნების წინააღმდეგ) ბრალეულობის გრძობას, სინდისის ქეჯნას ან პირიქით – ცხოვრებისადმი ცინიკურ დამოკიდებულებას. მეტიც, პროგრამის ზოგიერთმა მასალამ მოზარდთა გარკვეულ ჯგუფში შეიძლება სადისტური მიდრეკილებები გამოიწვიოს.

უკიდურეს გაუგებრობასა და აღშფოთებას იწვევს რეკომენდირებული „დამატებითი“ მასალის შინაარსი, რომლებზეც გაკვეთილისათვის მზადების დროს ორიენტირებული უნდა იყოს პედაგოგი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოების განვითარების ყველა პრობლემას პროგრამის ავტორები გენიტალის პრიზმამში

უყურებენ: თუ ეს ომში გამარჯვებაა, მაშინ, როგორც გამარჯვების სიმბოლო – მტრისთვის გენიტალიების მოჭრა, თუ ინიციაციის რიტუალია, მაშინ – ქალიშვილობის ხელყოფა და ა.შ. შემაძრწუნებელია, რომ მსგავს ცნობებს ავტორები არქაული კულტურის მეტად საეჭვო კვლევებიდან იღებენ.

...ავტორები პროგრამას წარმოადგენენ, როგორც პროფილაქტიკის საშუალებას, მიმართულს ახალგაზრდობის რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვისაკენ. მაგრამ, სოციოლოგების ცნობით, რომელიმე მასობრივი სოციალური მოვლენის (ჩვენს შემთხვევაში, სექსუალური ურთიერთობების ადრეული დაწყების) პროფილაქტიკასა და პროპაგანდას შორის, კეთილი განზრახვის შემთხვევაშიც კი, ძალიან თხელი ზღვარია. აღნიშნულია, რომ პროფილაქტიკური მიზნებით რაიმე პროგრამის გამოყენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუკი მოვლენა დამახასიათებელია ასაკობრივი ჯგუფის საკმაოდ მაღალი პროცენტისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ასრულებს იმავე მოვლენის პროპაგანდის ფუნქციას.

აქედან გამომდინარე, **განსახილველი პროგრამის დანერგვას შეიძლება მივცეთ ადრეული სქესობრივი ცხოვრების ღია პროპაგანდის კვალიფიკაცია“.**

* * *

მსგავსი დებულებებია მოცემული რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორის, ა. ვ. კამკინისა და სხვა კომპეტენტური სპეციალისტების დასკვნებშიც.

3. ინტერვიუ ბავშვთა ფსიქოლოგთან

მრავალმხრივ საინტერესოა ინტერვიუ ბავშვთა გამოცდილ ფსიქოლოგთან, ირინა მედვედევასთან, იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ვისაუბროთ ბავშვებთან სქესის საკითხებზე. ინტერვიუ (2002წ.) აიღო მღვდელმა ალექსი უმინსკიმ. გთავაზობთ ამ ინტერვიუს მცირეოდენი შემოკლებით.

* * *

– ყოველ ოჯახში, სადაც ბავშვები არიან, ადრე თუ გვიან ისმება კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ დავიწყოთ ბავშვებთან საუბარი სქესის საკითხებზე, იმიტომ, რომ ბავშვები ამ კითხვებს, ბოლოს და ბოლოს, მაინც დასვამენ. არის ორი თავლსაზრისი: ერთნი თვლიან, რომ ეს საკითხები არ უნდა განიხილებოდეს, ბავშვები ისედაც ყველაფერს თვითონ გაიგებენ; სხვები, პირიქით, ფიქრობენ, რომ ბავშვებს ამ საკითხებზე ინფორმაციის მაქსიმუმი უნდა მივცეთ. თქვენი აზრით, როგორ უნდა გადავწყვიტოთ ეს პრობლემა?

– მე, რა თქმა უნდა, არ ვიტყვი, რომ ასეთი პრობლემა საერთოდ არ არსებობს. მაგრამ მე მგონია, ზოგიერთი სექსზე მზრუნავი მოზრდილი ადამიანი მის მასშტაბს გადაჭარბებულად აფასებს. ვფიქრობ, რომ, როდესაც ბავშვი ინტერესდება სქესის საკითხებით (ის კი ამ საკითხით თავის ცხოვრების სხადასხვა პერიოდში სხადასხვა მოცულობითა და სიღრმით ინტერესდება), სწორედ მაშინ უნდა ვუპასუხოთ მას, ამასთან, მეტად ზოგადი და პირობითი ფორმით.

– ეს კითხვები მაშინ ისმება, როდესაც ბავშვი სრულიად უბიწოა და, რა თქმა უნდა, ბავშვები მათ სვამენ სრული სიწმინდით. მშობლებს კი, როგორც წესი, ასეთივე (ბავშვურს მიმსგავსებული) სიწმინდით არ შეუძლიათ უპასუხონ. და წარმოიქმნება ასეთი მითები: „წერო“ და „კომბოსტო“, „შენ მაღაზიაში გიყიდეთ“ და ა.შ. კარგია ეს?

– ძალიან კარგია! მე, როგორც ბავშვთა ფსიქოლოგი ვიტყვი, რომ ეს ნამდვილად სწორია. საუკუნეების განმავლობაში ამბობენ „წეროსა“ და „კომბოსტოს“ შესახებ. ასევე, საკმაო ხნის წინ დაიწყო ლაპარაკი მაღაზიის შესახებ. ნამდვილად სწორია. და, იცით, მოზრდილ ადამიანთაგან ამან არავის ავნო. როგორც ვხედავთ, ადამიანის მოდგმა გრძელდება არა ერთი და ორი ათასწლეული. ნაყოფი თავის დრომდე აუცილებლად აკრძალული უნდა იყოს, რომ შემდეგ, როდესაც ბავშვი გაიზრდება, ეს ნაყოფი ტკბილი იყოს. მაშინ გაგრძელდება მოდგმა. როდესაც ეს ნაყოფი აკრძალული აღარ არის და, შესაბამისად, – ტკბილი, მაშინ ადამიანი – ასეა იგი მოწყობილი – სხვა აკრძალულ ნაყოფებს ეძებს. იმიტომ ხომ არ არის დასავლეთში ამდენი ჰომოსექსუალი? ეს სხვა აკრძალული

ნაყოფია. თუმცა ისიც უკვე აღარ არის აკრძალული ნაყოფი. ამიტომ, როდესაც შევიდოდე წლის წინ გერმანიაში ვიყავი სოციალური ფსიქიატრიის მსოფლიო კონგრესზე, ევროპელი და ამერიკელი მეცნიერები საუბრობდნენ იმაზე, რომ დასავლეთ მსოფლიოს ნომერ პირველი პრობლემა – ეს მოზრდილებისა და ბავშვების სექსუალური თანაცხოვრებაა. აი, როგორი აკრძალული ხილია დღეს დასავლეთში ადამიანებისთვის ტკბილი. ასე რომ, თუ ეს ნაყოფი აღარ იქნება აკრძალული და, მამასადამე, ტკბილი... მაშინ სხვა ნაყოფის ძებნას ელოდეთ. სწორედ სკანდინავიამ და, კერძოდ, შვეციაში შეიტანა პირველმა სექსუალური განათლება სკოლებში, სადაც 1968 წლის მახლობლობაში. სექსუალური რევოლუცია ხდებოდა ევროპასა და ამერიკაში. და, აი, რა შედეგები გამოიღო ამან. სამი წლის წინ სტოკჰოლმი – შვეციის დედაქალაქი – ოჯახების მსოფლიო კონგრესზე, პრალაში, მიიწვიეს პირველ მსოფლიოში პოსტ-ოჯახურ ქალაქად, იმიტომ, რომ მცხოვრებთა 70 პროცენტს არასდროს არ ჰქონია, არა აქვს და არც უნდა, რომ ჰქონდეს ოჯახი და ჰყავდეს ბავშვები.

– მაგრამ, მითხარით, ოჯახის გარეთ ასეთი იდუმალი, ინტიმური და ჭკვიანური საუბარი სექსზე, შეიძლება რომ სკოლის გაკვეთილზე, საჯაროდ ხდებოდეს?

– ვფიქრობ, რომ არა. ეს არასოდეს არ შეიძლება ადამიანების თანდასწრებით ხდებოდეს. დააკვირდით, კულტურულ რუსულ ენაში არ არსებობს არც ერთი სიტყვა, რომელიც სიყვარულის ფიზიკურ მხარეს აღნიშნავს...

– ... აი, მე ყოველთვის ამაზე ვფიქრობ. როგორ ვილაპარაკოთ იმაზე, რისი დასახელებაც არ შეგვიძლია?

– უმჯობესია, სხვა რამეზე დავფიქრდეთ: რას ნიშნავს, რომ ისეთ უმდიდრეს ენაში, როგორც რუსულია, არ არის ხორციელი სიყვარულის აღმნიშვნელი სიტყვა? ეს ნიშნავს, რომ კულტურა მკაცრად ასაიდუმლოებს თვით თემას. მაგრამ რომელ ენაზე ვისაუბროთ? არის „მატი“ (გინებითი, ბილწსიტყვაობითი ფორმა – ა.უ.) და არის გინეკოლოგიური ლათინური – სულ ეს არის. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ბავშვს ეუბნებიან „პენისი“, „ფალოსი“, „ორგაზმი“, „ეროგენული ზონები“. ეს, საერთოდ, ქვეყნის დასასრულია. კიდევ საფიქრალაია, ფსიქიკისათვის რა უფრო უარესია: „მატი“,

რომელსაც ბავშვი აშკარა უწესობად აღიქვამს, თუ „კულტურული“ განათლება გინეკოლოგიური ლათინურით. მე ვფიქრობ, მეორე გაცილებით უარესია.

– მეც ასე ვფიქრობ. ჩვენ ხშირად გვესმის: „ცუდია, როდესაც ამას ბავშვი ქუჩაში იგებს. ცუდია, როდესაც ბავშვს ამის შესახებ ტუალეტში უამბობენ“. მაგრამ, თუ „ამის შესახებ“ ბავშვს ტუალეტში უამბობენ, ეს ყოველთვის ტუალეტური იქნება. თუ ქუჩაში გაიგებს, მასში ყოველთვის იქნება რაღაც უწესოსა და სასირცხვოს მატარებელი მომენტი. ამიტომ, ვფიქრობ, რომ თვით ქუჩა, რაღაც გაგებითა და ხარისხით, არის იმის შემნახველი, რისი სახელი დღეს სრულიად დაგვავიწყდა: ესაა უბიწოება.

– სავსებით მართალია. რატომ გვაშინებენ ქუჩით? რატომ ამართლებს სექსუალურ განათლებას ზოგიერთი იმით, რომ სხა შემთხვევაში „ამის შესახებ“ ბავშვები ქუჩაში შეიტყობენ? ქუჩა, როგორც ამას კულტუროლოგი იტყოდა, ეს მოზარი ასაკის სუბკულტურის განუყოფელი ნაწილია. გადის მოზარდი ასაკი, მასთან ერთად გადის ქუჩაც, და, აი, უკვე ასეთი ახალგაზრდა ღამდამობით ხვნეშის მიჯნურის გამო, წერს ლექსებს, მიჯნურის ფანჯრებთან დადის, გადარეულია. ის მიჯნურს, როგორც არაამქვეყნიურს, როგორც უსხეულო არსებას, ისე წარმოიდგენს. მაგრამ, თუ მან 7-8 ან 12 წლის ასაკში ნახა სახელმძღვანელო სასქესო ორგანოების სქემებით დასურათებული, ამ თემაზე პარაგრაფი დაისწავლა, პასუხობდა დაფასთან... წარმოიდგინეთ, მოდის სათვალეებიანი მასწავლებელი, მოხდენილ ბლუზში გამოწყობილი, დაკიდებს ამ სახელმძღვანელო მასალას, ბავშვები გადაშლიან თავიანთ სახელმძღვანელოებს... და მინდა გითხრათ, რომ სურათები ამ სასწავლო სახელმძღვანელოებში ბევრად უფრო უხამსია, ვიდრე სურათები – პორნოჟურნალში. ეს შავისა და თეთრის სრული აღრევაა! ჭერი და იატაკი ცვლიან ადგილებს! რადგან ერთია პორნოჟურნალი, რომელსაც ბიჭები მერხს ქვემოთ ფურცლავენ, ისევ ისე, იციან, რომ ეს უხამსობაა; ხოლო სხვაა, როდესაც ეს სახელმძღვანელოშია. სახელმძღვანელო ბავშვებისთვის – ეტალონია. ეტალონური ინფორმაციაა. და მაშინ, როდესაც – ეს იქ სახელმძღვანელოსთვის დამახასიათებელი ფორმითაა წარმოდგენილი, ასე სერიოზულად, ნახატებითა და

სქემებით... მე ვნახე მთელი ეს სისაძაგლე. სხვათა შორის, როდესაც გერმანიაში ვკითხულობდი კურსს ჰამბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, ერთხელ ისინი ლექციის მერე როგორღაც გამიშინაურდნენ და გულწრფელად გამესაუბრნენ და მახსოვს, რომ ერთმა მომხიბლველმა, თომას მანის გმირის მსგავსმა, რომელიღაც კეთილშობილი სისხლის მატარებელმა ახალგაზრდამ თქვა: „რა ბედნიერები ხართ რუსეთში, თქვენ იცით, რა არის სიყვარული. ჩვენც ვიცით ეს, მაგრამ მხოლოდ კლასიკური ლიტერატურიდან. ჩვენც ძალიან გვინდა, გვიყვარდეს, მაგრამ არ შეგვიძლია, იმიტომ, რომ, სკოლაში მივიღეთ სექსუალური განათლება და როდესაც გოგონას ვუყურებთ, გვანსენდება, თუ რას გვეუბნებოდნენ ეროგენული ზონებისა და საშვილოსნოს მილების შესახებ“.

– **ძალიან ნაცნობი პრობლემაა. 90-ანი წლების დასაწყისში მშობლები დიდად აღშფოთებულები იყვნენ, როდესაც მათი შვილები სკოლებიდან დაბრუნდნენ. ვთქვათ, პირველი კლასის მოსწავლეებმა თავიანთ მშობლებს აჩვენეს ბუკლეტი სათაურით „ჩემი მეგობარი პრეზერვატივი“. საიდან ჩნდება ასეთი ბუკლეტები ჩვენს სკოლებში? საიდან გაჩნდნენ ეს პროგრამები, ეს სახელმძღვანელოები? ვინ გამოსცემს მათ? ვინ და რატომ რყვნის ბავშვებს?**

– ღიახ, ბავშვებს რყვნიან. და ეს საშინელებაა. მე, როგორც ბავშვთა ფსიქოლოგმა, შემიძლია, ვთქვა, რომ ბავშვების ფსიქიკაში ბირთვული აფეთქება ხდება, სხვა სახელს ვერ დაარქმევ. მაგრამ მათთვის, ვინც ამას აკეთებს, გარყვნა და ფსიქიკური შოკის პროვოკაცია – ისეთივეა, როგორც გვერდითი მოვლენები. ამოცანა სხვაა: შობადობის შემცირება. ეს ასეთი, ვიტყვოდი, ცივილიზებული სახის გენოციდია.

– **და რა ჰქვია ამ „ცივილიზებულ სახეს“?**

– მას ჰქვია ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ასოციაცია. მისი ფილიალია (O)ღრა (ოჯახის დაგეგმვის რუსეთის ასოციაცია). ამ ორგანიზაციას მრავალი სპონსორი ჰყავს, როგორებიცაა: გაეროს დასახლების ფონდი, ოუნესკო, ოუნისეფი, როკფელერის ფონდი, ფორდის ფონდი, მაკარტურების ფონდი და ა.შ.

– **ვიცი, რომ მოსკოვში იყო ისეთი „საპილოტე“ სკოლები, რომლებშიც (O)ღრა-ს პროგრამები ამ სკოლის**

დირექტორებთან უბრალო ნაცნობობის გზით ინერგებოდა. თქვენ, როგორც ბავშვთა სპეციალისტ-ფსიქოლოგს გაქვთ მონაცემები ასეთი განათლების მწარე შედეგების შესახებ?

– რა თქმა უნდა, და მრავალი. ერთ-ერთ ასეთ სკოლაში ჩემი ნაცნობი კოლეგის შვილი სწავლობდა. მან, ერთადერთმა მთელ კლასში, არ შეავსო სექს-განამანათლებელთა საზიზღარი ანკეტა. მე არ შემიძლია ხმამაღლა წარმოვთქვა არც ერთი კითხვა, რომელიც ბავშვებს ანკეტაში დაუსვეს. ამ ბიჭმა კი, რომელიც კარგი დედის აღზრდილია, არ შეავსო ანკეტა, არ ჩააბარა იგი და გარეთ გამოიტანა. სხებმა – ჩააბარეს და მშობლებს წარმოდგენა არა ჰქონდათ, რას ეკითხებოდნენ მათ შვილებს. ეს ბიჭი მოვიდა სახლში, ანკეტა დედას სახეზე ააფარა, ისეთ საშინელ მდგომარეობაში იყო, და თქვა „აი, სადამდე დაეცით თქვენ, მოზრდილები!“ და მას, როგორც ფაქიზ ადამიანს, ჰქონდა ასეთი მძიმე ფსიქიკური შედეგები, თვით ერთი ასეთი არშევესებული ანკეტის შემდეგ.

ცნობისათვის: უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რუსეთის სკოლებში სხვადასხვა სახელწოდებით დაიწყეს სექსოლოგიისა და კონტრაცეფციის სწავლება. სწავლების მიზანი ყველა შემთხვევაში ერთია: ბავშვის ფსიქიკით მანიპულირება. მისი ყურადღების გადატანა უმაღლესი სულიერი ფასეულობებიდან უმდაბლეს ხორციელ სიამოვნებებზე, მათ კულტივირებაზე. როდესაც ადამიანი განიხილება, როგორც მხოლოდ ბიოლოგიური ერთეული, ბავშვების ყურადღება აქცენტირდება მხოლოდ სექსის საკითხებზე, უხეშად ითრგუნება მორცხვობა. ამასთან ზდება უბიწოებისა და ოჯახის დაცინვა. მომავალ შვილებს წარმოადგენენ, როგორც არასაჭიროებს, მძიმე ტვირთს. ბავშვებს საშინელ საგნებზე ესაუბრებიან. მაგალითად: „ადამიანის სქესობრივი ცხოვრების ძირითადი ფორმებია ექსტრაგენიტალიური, პლატონური სიყვარული, ცეკვები, გეიშიზმი, სქესობრივი აქტის გენიტალიური, სუროგატული ფორმები, ვესტიულარული, თეძოსეული სქესობრივი აქტი, ანალური, ორაგენიტალიური კონტაქტები, სექსუალური ქმედებები ცხოველებთან“. ყოველ თემაზე სკოლაში გამოყოფილია საათები. დასავლეთში უკეთესი სიტუაცია არ არის. სან-ფრანცისკოში, მაგალითად, სადაც ჰომოსექსუალების მაღალი პროცენტია, სექსუალურმა უმცირესობებმა მიაღწიეს იმას, რომ მათ სკოლებში მიაწოდონ რაღაც განსაკუთრებული სექსგანათლება.

კლასში შვიდი წლის მოსწავლესთან მიდიან „სპეციალისტები“ და ეუბნებიან: „თქვენ არ უნდა წუხდეთ იმაზე, თუკი თქვენ გექნებათ სექსუალური კონტაქტი თქვენივე სქესის წარმომადგენელთან, თუნდაც, უფრო მოზრდილ პარტნიორთან...“. ანუ, პრაქტიკულად ისწავლება ჰომოსექსუალიზმის საწყისები. ბავშვი კი ამაზე საერთოდ არ ფიქრობს. მაგრამ, როდესაც მას ამაზე საუბარს დაუწყებენ, მაშინ მასში, რა თქმა უნდა, შეიძლება პროვოცირებულ იქნას გასინჯვის სურვილი. გამოდის არა განათლება, არამედ – ღია პროპაგანდა.

– დღეს სექს-განმანათლებლებმა შენიღბა ისწავლეს, რადგან უკვე არის რაღაც რეაქცია ეკლესიის, მეცნიერ-ექსპერტთა, საზოგადოების, მშობლების მხრიდან. ამას ახლა უწოდებენ „ჯანმრთელი ცხოვრების წესის საფუძვლებს“, „ჯანმრთელობის გაკვეთილებს“, „ჰიგიენას“, „ვალუოლოგიას“, პროგრამა „ცვლილებები“, ლექციებს შიდსის შესახებ“. მშობლები კი ფიქრობენ: რა კარგია! ყველა ხომ შთაგონებულია იმით, რომ ახლა ყველა ბავშვი ავადმყოფი იბადება. და ფიქრობენ: რა კარგია, რომ ჩვენს შვილებს „ჯანმრთელი ცხოვრების წესს ასწავლიან“, შესაბამისად, გამოაჯანმრთელებენ, ასწავლიან, როგორ უნდა გახდნენ ჯანმრთელები.

– მნიშვნელოვანია გავიგოთ, რით შეგვიძლია დავიცვათ თავი, რამდენად გვაქვს პროტესტის უფლება, როგორი იურიდიული შესაძლებლობები გვაქვს ჩვენ, რომ არ დავუშვათ ექსპერიმენტი ჩვენს შვილებზე, ჩვენს ერზე.

– შეგიძლიათ დამიჯეროთ, რომ ეს განათლება თავის წამალზე (დარიშხანი – ა.უ.) უარესია. მშობლებმა უნდა წარმოიდგინონ, რომ, აი, „ჯანმრთელობის“ ასეთ გაკვეთილებზე მათ შვილებს შეიძლება თავის წამალი აჭამონ. როდესაც საუბარია ბავშვის გადარჩენაზე, მშობლები, უბრალოდ, ვალდებულნი არიან, დაიცვან ისინი, ასევე, – სხვა ბავშვებიც. ამისთვის კი მათ უნდა იცოდნენ: თუ სკოლაში ექსპერიმენტის სახით რაიმე შემოდის, ამის შესახებ სკოლამ უნდა შეატყობინოს ყველა მშობელს. ყოველ მათგანს უნდა ანახონ პროგრამა და ყოველი მათგანისაგან უნდა მიიღონ არა ზეპირი თანხმობა, არამედ – წერილობითი. და, თუ კლასში ერთი მშობელი მაინც არ იქნება თანახმა – არა აქვთ უფლება, მას უთხრან: „მოდი, შენმა შვილმა ამ გაკვეთილის დროს დერეფანში ისეირნოს“. არავითარ შემთხვევაში! ჩვენში ჯერ კიდევ სახელმწიფო განათლებაა. და

ახლა მშობლებს უფრო მეტი უფლებები აქვთ, ვიდრე – უწინ. თუ სკოლის დირექტორი აცხადებს, რომ მას, მშობლების პროტესტის მიუხედავად, არ სურს ამ ექსპერიმენტული გაკვეთილის გაუქმება, მაშინ მშობლებს ყველა საფუძველი აქვთ, სასამართლოში უჩივლონ, მასწავლებელს კი არა, სკოლის დირექტორს.

– ერთხელ მართლმადიდებლურ გიმნაზიაში ღვთისმეტყველების გაკვეთილზე მე-7 კლასის ყველა მოსწავლემ მოიტანა ჟურნალი „COOL“. აღმოჩნდა, რომ მათ არ იცოდნენ, თუ რა ჟურნალია ეს, ისინი მათ მეტროში კეთილმა დეიდამ უფასოდ დაურიგა.

– ძალიან გულუბრყვილოა მართლმადიდებელთა სურვილი და იმედები, რომ ისინი თავიანთ შვილებს ოქროს საკანში გამოზრდიან, რომ მათ მხოლოდ რიგიანად უნდა ადევნონ თვალი შვილებს. ვერ დაიცავ! ეს ყველგან და ყველაფერშია. რამდენი ისეთი ბავშვის მშობელი მიმართავს ფსიქოლოგს (უფრო გოგონები ზარალდებიან), რომლებიც კითხულობენ ჟურნალ „COOL“-ს და მის მსგავსებს. აი, მაგალითი: მოდის ჩემთან დედა 12 წლის გოგონასთან ერთად და მეუბნება: „არ მესმის, რა მოუვიდა. ისეთი კარგი გოგონა იყო, ჩვენ ისეთი კარგი ოჯახი გვაქვს. მან უცბად პროფესიონალი მეძავივით დაიწყო მოქცევა. არ ვიცით, რა ვუყოთ. ის უკვე კოლონიის კანდიდატია და ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა“. მე ვეკითხები ამასაც, იმასაც. და თითქოს ვერავითარ მიზეზს ვერ ვპოულობ. უცბად თავში კითხვა მომივიდა: „მითხარით, თქვენი გოგონა ბოლო დროს ხომ არ კითხულობს ჟურნალ „COOL“-ს?“ დედა ამყად მპასუხობს: „რა თქმა უნდა. ეს ჟურნალი მოზარდი გოგონებისთვისაა. იგი მას კვირაში ერთხელ ყიდულობს, მე თვითონ ვაძლევ ფულს“. – „და თქვენ ჩაიხედეთ მასში?“ ის გაოგნებული მპასუხობს: „და რატომ უნდა ჩავიხედო საბავშვო ჟურნალში? რა, ჩვენი მშობლები იხედებოდნენ ჟურნალ „მურზილკაში“, „პიონერში“, თუნდაც, „იუნოსკში“?“. მე ვეუბნები: „აი, თქვენ ჩაიხედეთ, მერე შეიძლება დავუბრუნდეთ საუბარს, თუ რატომ დაიწყო თქვენმა გოგონამ ასე მოქცევა“. მეორე დღეს იგი ნამტირალევი მოვიდა: „იცით, ეს ჟურნალი პირდაპირ ეზოში დავწვი, ყველა ნომერი“. მე ვეუბნები: „ყველაფრის დაწვა შეუძლებელია, ის ყველა კუნჭულშია“.

– მე მოვუწოდებ, რომ ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება: სასკოლო ნოვაციები, საბავშვო ჟურნალებიც, ტელევიზიით საბავშვო გადაცემებიც, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით საბავშვო მულტფილმებიც. იმას აღარ ვამბობ, რომ ყველა ჩვენგანს შეუძლია, დაურეკოს „გოსდუმის“ და ქალაქის „დუმის“ დეპუტატს. დეპუტატებმა ხომ (თეორიულად) ჩვენი ინტერესები უნდა წარმოადგინონ. ანუ, როგორც ამბობენ ბავშვები, ალიაქოთი უნდა ავწიოთ, თუკი არ გვინდა, ჩვენს შვილებს ვუღალატოთ. საერთოდ, ღალატი – საშინელი ცოდვია, ხოლო შვილების ღალატი ყველაზე საშინელია.

II

დასავლეთი თანდათან უარყოფს სექს- განათლებას

1. აშშ

„1970 წელს აშშ-ში მიღებულ იქნა „სექსუალური განათლების“ პროგრამა სახელმწიფო სკოლებისათვის. პროგრამის მიზანი იყო მოზარდებში აბორტების რიცხვის შემცირება (კეთილშობილი მიზანია!) ბავშვებისა და მოზარდებისათვის კონტრაცეფციის მეთოდების სწავლების გზით. ამ პროგრამის განსახორციელებლად სახელმწიფომ ამერიკის „ოჯახის დაგეგმვის“ ფედერაციას (IPPF) გამოუყო ასობით მილიონი დოლარი. შეიქმნა აუცილებელი პროგრამები და სახელმძღვანელოები...

შედეგი გამოგნებული იყო: ხუთ წელიწადში (1971 წლიდან 1976 წლამდე) აბორტების რიცხვი მოზარდებში 45%-ით, ხოლო 1990 წლისათვის – 2-ჯერ და მეტად გაიზარდა.
(The Index of Leading Cultural Indicator, by W. J. Bennett, 1993, vol.1, p. 6)

შიდსსა და ქორწინების გარეშე ორსულობებს თავშეკავებით ებრძვიან

აშშ-ს ხელისუფალნი ფიქრობენ, რომ სქესობრივი თავშეკავება ყველაზე ეფექტური საშუალებაა ვენერიულ დაავადებებთან და

მოზარდებში ადრეულ ორსულობებთან ბრძოლაში. მოზარდთა სექსუალური აქტივობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია აშშ-ში, ვინაიდან უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ვენერიულ დაავადებათა და ქორწინების გარეშე ორსულობათა შემთხვევები.

თავისი მმართველობის პირველი დღეებიდანვე ბუში-უმცროსის ადმინისტრაცია სქესობრივი დაავადებების, მათ შორის, შიდსის, გავრცელების წინააღმდეგ მთავარ სტრატეგიად მიიჩნევდა საგანმანათლებლო პროგრამას შემდეგი საერთო დასახელებით: **„ქორწინებამდე – მხოლოდ თავშეკავება“** („Abstinence-only-until-marriage“). ამ პროგრამის ფარგლებში ამერიკის მოზარდ თაობას ასწავლიან, რომ **„სექსუალური ურთიერთობების ერთადერთი საზოგადოებრივად მიღებული კრიტერიუმი უნდა იყოს ქორწინებამდე თავშეკავება, ერთგულება და ერთქორწინება“**. ამ პროგრამების ფინანსირება ყოველწლიურად იზრდება. თუ 2003 წელს აბსტინენციის (თავშეკავების) პროგრამების ბიუჯეტი 120 მლნ დოლარს შეადგენდა, 2005 წელს ამ მიზნების წინ წაწვეისათვის აშშ-ს კონგრესმა 170 მლნ. დოლარი წარმოადგინა.

აშშ-ში სულ უფრო იზრდება მათი რიცხვი, ვინც მიიჩნევს, რომ სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ საგანმანათლებლო საგნები მხოლოდ თავშეკავების პროპაგანდას უნდა ეწეოდნენ და არ უნდა დაეუშვათ პრეზერვატივებისა და ორსულობისაგან დამცავი სხვა საშუალებების ხსენება, წინააღმდეგ შემთხვევაში **„მოზარდებს არჩევანი ეძლევათ“**. აშშ-ს ინფექციურ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრების (Centers for Disease Control and Prevention) მონაცემებით, უფროსკლასელთა 61%-ს აქვს სექსუალური გამოცდილება.

აშშ-ს კომპეტენტური ორგანიზაციები ამტკიცებენ, რომ აბსოლუტური თავშეკავების პროგრამები მოზარდებს შორის სექსუალურ აქტივობას 30-40%-ით ამცირებს. მათი მონაცემებით, 20% ახალგაზრდებისა, რომლებიც გადიან მსგავს კურსებს, **„ქორწინებამდე ქალწულობის“** შენახვის ფიცს დებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ მათ პროგრამებს ამერიკელთა უმრავლესობა უჭერს მხარს. ეისერ Family Foundation-ის მიერ გამოკითხულთა 47% დარწმუნებულია, რომ გოგონებმა თავი უნდა შეიკავონ სქესობრივი

კავშირებისაგან ქორწინებამდე, ხოლო 44% იმავე აზრს უჭერს მხარს ბიჭებთან მიმართებაში. აბსოლუტური აბსტინენციის მომხრეთა მტკიცებით, პროგრამა „**მე, ჩემი სამყარო, ჩემი მომავალი**“ 15-დან 17 წლამდე მოზარდებს შორის ორსულობებს 25%-ით ამცირებს.

პირველად ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობებისაგან თავშეკავების საკითხებზე სერიოზული მსჯელობა 1970-ანი წლების ბოლოს დაიწყო. 1981 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი ყმაწვილთა ოჯახური ცხოვრების (Adolescent Family Life Act) შესახებ, ასევე ცნობილი „**კანონი უბიწოების შესახებ**“, რომელიც **„ახალგაზრდებს შორის სექსის საკითხებში თვითდისციპლინისა და კეთილგონიერების“** განვითარების მიზნით სპეციალური საგანმანათლებელი პროგრამების ჩატარებას აფინანსებდა. ამ გადაწყვეტილებამ იმთავითვე მოიხვეჭა პოპულარობა სასულიერო პირებსა და რელიგიურ კონსერვატორებს შორის. 1996 წელს კონგრესმა შეიტანა სპეციალური შესწორება სოციალური უზრუნველყოფის შესახებ კანონში (US Welfare Act), რომლითაც დაფუძნებულ იქნა სამთავრობო პროგრამა, რომელიც აფინანსებდა მხოლოდ თავშეკავების პოპულარიზაციის საგანმანათლებლო პროგრამებს. ფინანსური რესურსების გამოყოფა დაიწყო 1999 წლიდან. მოძრაობის – **„მხოლოდ თავშეკავება“** – დაწყებიდან ყოველწლიურად, საშუალოდ, 135 მლნ. დოლარი იხარჯებოდა. ერთობლიობაში ამან 1 მილიარდამდე დოლარი შეადგინა. ვეიდ ჰორნი (Wade Horn), აშშ-ის ჯანდაცვის მინისტრი მიიჩნევს, რომ **„ჩვენ არ გვჭირდება რაიმე გამოკვლევები. ბიოლოგიის სახელმძღვანელოში ცალსახად არის მითითებული, რომ არასასურველი ორსულობისა და ვენერიული დაავადებებისაგან 100%-ით მხოლოდ ისაა დაცული, რომელიც თავს იკავებს სექსისაგან“**.

ბუში: ჯვაროსნული ომი სექსუალური თავშეკავებისთვის

ბოლო პრობლემა, რომელსაც პრეზიდენტმა ბუშმა მიაქცია ყურადღება, გახდა შიდსი. აშშ-ს პრეზიდენტმა ამ დაავადების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო სვლა გააკეთა.

კენიის პრეზიდენტ დანიელ არაპ მოის კვალდაკვალ, რომელმაც თავისი ქვეყნის ხალხს სექსუალური ურთიერთობებისაგან „სულ მცირე ორი წლის განმავლობაში“ თავშეკავებისკენ მოუწოდა, ბუშმა, ასევე ახლახან დაიწყო ჯვაროსნული მსვლელობა სექსუალური თავშეკავებისათვის. აშშ-ს პრეზიდენტი იზიარებს თავისი კენიელი კოლეგის აზრს, რომელიც მიიჩნევს, რომ მხოლოდ ასე შეიძლება შევაჩეროთ შიდსით დაავადების კატასტროფული გავრცელება. „თავშეკავება – ყველაზე საიმედო და 100%-ით ეფექტური საშუალებაა არასასურველი ორსულობებისა და იმ დაავადებების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც სქესობრივი გზით გადადიან“, – განაცხადა მან ამ კვირაში, როცა წარმოადგინა თავისი სოციალური პროგრამა 20002 წლისთვის, – მოგვითხრობს ესპანური გაზეთი El Mundo.

ბუშმა თავისი სიტყვები საქმით დაადასტურა და გადაწყვიტა, ოთხჯერ გაზარდოს ასიგნებანი სექსუალური თავშეკავების პროპაგანდისათვის. ცენტრებმა და დაწესებულებებმა 135 მლნ. დოლარი სუბსიდიები რომ მიიღონ, უნდა აწარმოონ მხოლოდ თავშეკავების პროპაგანდა (კამპანიას ასეც ეწოდება – Abstinence Only) და თავიანთი პროგრამებიდან გამორიცხონ რაიმე მინიშნება პრეზერვატივების, როგორც დამცავი საშუალების გამოყენებაზე. ამას გარდა, მათ თავზე უნდა აიღონ პასუხისმგებლობა, ჩაუნერგონ მოზარდებს აზრი: „ქორწინებაგარეშე სექსუალურ კონტაქტებს შეუძლიათ როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ხასიათის სერიოზული ნეგატიური შედეგების გამოწვევა.

„როდესაც ჩვენს ბავშვებს უწევთ არჩევანის გაკეთება თვითკონტროლსა და თვითგანადგურებას შორის, ხელისუფლება არ უნდა გადგეს განზე“, – ხაზი გაუსვა ბუშმა პროგრამა Abstinence Only-ის წარმოდგენის დროს.

„ერთგულება და მონოგამური ურთიერთობები ქორწინების ფარგლებში – ადამიანის სექსუალური ქცვის ეტალონია“, – აი, რა შეგვიძლია მოვისმინოთ Abstinence Only-ის კურსებზე.

პრეზიდენტის ამ პროგრამას კრიტიკით შეხვდა ზოგიერთი ორგანიზაცია. მათი აზრით, პრეზიდენტი დაჰყვა ქრისტიანული კოალიციისა და სხვა კონსერვატული ჯგუფების ზეწოლას. მათ, ასევე, შემფოთება გამოთქვეს პრეზერვატივებისა და სხვა

საშუალებების გამოყენების შემცირებასთან დაკავშირებით. „ჩვენ ვთვლით თავშეკავებას ერთ-ერთ ვარიანტად, – განაცხადა სექსუალური განათლების საკითხების საბჭოს პრეზიდენტმა თამარა კრეინმა. – ჩვენ გვაშფოთებს ძირითადი გზავნილი: „თავშეკავება ქორწინებამდე“.

* * *

შიდსთან ბრძოლის პროგრამით ბუშის ადმინისტრაციამ მიიღო ე.წ. „ABC პროგრამა“ - ეს აბრევიატურა შეესაბამება ლათინური სიტყვების პირველ ასოებს „თავშეკავება-ერთგულება-პრეზერვატივი“. მაგრამ პროგრამა პრეზერვატივების გამოყენებას ითვალისწინებს მხოლოდ „მაღალი რისკის ჯგუფების“ წარმომადგენლებისათვის, რომლებშიც შედიან მეძავეები და ნარკომანები, და არა ფართო მასებისათვის. ამგვარად, ყველა ახალგაზრდა დაუქორწინებელ ადამიანს თავშეკავების რეკომენდაცია ეძლევა.

ბუშის პროგრამას, გადმოცემულს 100 გვერდზე, ეწოდება პრეზიდენტის „შიდსთან ბრძოლის საგანგებო გეგმა“. პროგრამა გათვალისწინებულია 5 წელზე, იგი განხორციელდება 15 ქვეყანაში, რომელთაგან 12 – აფრიკულია, რომლებიც საჰარის უდაბნოს ემიჯნებიან. პროგრამის მხარდასაჭერად აშშ-მ 15 მილიარდი დოლარი გამოყო.

აშშ-ს სტრატეგიის მხარდასაჭერად გამოსულმა ჯენეტ მუსევენიმ, უგანდის პრეზიდენტ იოვერი მუსევენის მეუღლემ, კონფერენციაზე განაცხადა: „ახალგაზრდებში პრეზერვატივების გავრცელება ტოლფასია მათთვის უწესრიგო სქესობრივი კავშირების ლიცენზიის მიცემისა, ეს არის – გზა სიკვდილისაკენ“.

ფაქტები თემაზე

ამერიკელი მოზარდების სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ საკვლევ ინსტიტუტ Heritage Foundation-ის ანგარიში აჩვენებს, რომ ყოველწლიურად 3 მლნ. მოზარდი იღებს დაავადებას, რომელიც სქესობრივი გზით ვრცელდება, ანუ ოთხი სექსუალურად აქტიური მოზარდიდან ერთი ავადდება. ინსტიტუტი ამტკიცებს, რომ ის ადამიანები, რომლებსაც ჰქონდათ ქორწინებამდე სქესობრივი

ურთიერთობა, მომავალ ცხოვრებაში უფრო ექვემდებარებიან დეპრესიებს. მათ შორის განქორწინებების დონე 50%-ით მეტია.

უუნალ Pediatrics-მა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნაჩვენებია, რომ 12-დან 16 წლამდე სექსუალურად აქტიურ ყმაწვილებში მწვეველობისკენ მიდრეკილება 4-ჯერ უფრო ხშირია, ხოლო ალკოჰოლისკენ მიდრეკილება – 6-ჯერ. იმავე ასაკის გოგონებში მწვეველობისკენ მიდრეკილება 7-ჯერ უფრო ხშირია, ხოლო მარისუანას მოხმარებისა – 10-ჯერ. აშშ-ს ჯანდაცვის სამინისტროს (Department of Health) მონაცემებით, აშშ-ში სამი დაბადებულიდან ერთი ქორწინების გარეშე კავშირისას არის დაბადებული. ამ დაბადებულთაგან 14% 18 წლამდე გოგონებმა გააჩინეს.

* * *

ამერიკაში მიმდინარეობს დისკუსია „არასწორი“ ლიტერატურის შესახებ. ბიბლიოთეკებიდან იღებენ სექსუალური განათლების თაობაზე ლიტერატურას, რაც განკუთვნილია ბავშვებისათვის. მაგალითად, რესპუბლიკური პარტიის საბჭოს ინიციატივით, მონტგომერის ბიბლიოთეკიდან, მიუხედავად ორგანიზაციის – „Mainstream Montgomery County“ – პროტესტისა, უნდა ამოიღონ იქნას ორი „საეჭვო“ წიგნი სექსუალური განათლების შესახებ ბავშვებისათვის. ეს წიგნებია: რობი ჰარისის „ეს სავსებით ნორმალურია: სხეულის ორგანოების ცვლილებები. ზრდა. სექსი და სექსუალური ცვლილებები“ და „ეს ისეთი განსაცვიფრებელია“ (Robie H. Harris, `It's Perfectly Normal: Changing Bodies, Growing Up, Sex & Sexual Health“; `It's So Amazing“).. ამ წიგნების გრაფიკულმა და იდეოლოგიურმა შინაარსმა არა მხოლოდ რესპუბლიკელების, არამედ კონსერვატული ქრისტიანული საზოგადოების საყვედური გამოიწვია, რომლებმაც განაცხადეს, რომ წიგნებში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა .

2. დიდი ბრიტანეთი

„გადავიღოთ ბრიტანული გამოცდილება?!“

„განათლების მოდერნიზაციის ავტორების საყვარელი გამოთქმაა „მთელ მსოფლიოში ასეა“. ამასთან, აშკარად აყალბებენ ან ნახევარსიმართლეს ამბობენ .

მოდერნიზაციის მოყვარულები განსაკუთრებულ სიყვარულს გრძნობენ ბრიტანული გამოცდილების მიმართ. კიდევ რა?

აი, რა: ბრიტანელი პროფესორი ჯონ უილსონი მოუწოდებს, რომ სექსუალური განათლების გაკვეთილებზე მოსწავლეებს უჩვენონ პორნოგრაფიული ფილმები და გაავრცელონ ლიტერატურა „დიდებისათვის“, რაზეც მან საერთაშორისო ჟურნალ Sex Education-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მის იდეას მხარი დაუჭირა ჯონ რიდმა – სექსუალური განათლების სახელმწიფო პროგრამის მეთაურმა. პროფესორ უილსონის რწმენით, ახალგაზრდა ბრიტანელებს პორნოფილმები უჩვენებს, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს „სასურველი სექსუალური კონტაქტი“. **„როცა საქმე ეხება სექსუალურობას, ჩვენ არ ვაძლევთ მისაბამ მაგალითებს, რომლითაც შეიძლება იხელმძღვანელონ“**, – აღნიშნავს პროფესორი.

მაგრამ მასწავლებელთა და რელიგიურ ლიდერთა უმრავლესობა ამის წინააღმდეგია, მსგავს „განათლებას“ მიიჩნევენ ამორალურად და, მეტიც, საშიშად, – აღნიშნავს ბრიტანული გაზეთი The Mirror. როგორც ქრისტიანული ინსტიტუტის დირექტორი, კოლინ ჰარტი ამბობს, მსგავსი იდეა ამორალურია, ხოლო პორნოფილმების ჩვენება წარმოადგენს **„მოზარდთა გარყვნის ფორმას“**.

აი, იმავე სააგენტოს კიდევ ერთი ცნობა: **ბრიტანეთის მთავრობა მოზარდებს ორალური სექსისაკენ უბიძგებს**. (www.riw.ru/world6263.html). ბრიტანეთის მთავრობის მიერ მხადაჭერილი სექსუალური განათლების პროგრამა 16 წლამდე მოზარდებისათვის ხელს უწყობს ორალური სექსის ექსპერიმენტებს. პროგრამის მთავარი მიზანს, – წერს დღეს გაზეთი The Times, მოზარდებში ორსულობების შემცირება წარმოადგენს, ვინაიდან ბრიტანული მაჩვენებლები ამ მხრივ ევროპაში ყველაზე მაღალია. ორგანიზატორები უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობების შემცირების მიღწევას იმედოვნებენ, თუკი მოსწავლეებს აუხსნიან, რომ არსებობს ინტიმური ურთიერთობის სხვადასხვა დონე და რომ ორალური სექსი – სრულყოფილი სქესობრივი აქტის სრულფასოვანი შემცველია.

ამჟამად ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროს მიერ ამ მოწონებული პროგრამით სწავლობს 100 ათასი მოსწავლე

ბრიტანეთის სკოლების 3%-ში. მისი ორგანიზატორები სკოლის მასწავლებლებისათვის ატარებენ სპეცმომზადებას.

ოჯახური ფასეულობებისათვის მებრძოლი აქტივისტები მიუთითებენ, რომ ეს სპეცსწავლება იწვევს უკუეფექტს, მოზარდებში აღვივებს დამატებით სექსუალურ ინტერესს. **„მე არ მჯერა, ვინმეს სერიოზულად სწამდეს, რომ ორალურ სექსზე საუბრები შეაჩერებს სრულფასოვან სქესობრივ აქტებს მოსწავლეებს შორის, უფრო პირიქით, – განაცხადა ოჯახური განათლების ფონდის დირექტორმა, რობერტ ველანმა. – ამას გარდა, ორალური სექსი არ იცავს დაავადებებისაგან, რომლებიც სქესობრივი გზით გადადის“.** ველანი იმედოვნებს, რომ სექსუალური ძალადობების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, რომელსაც ლორდთა პალატა იხილავს, ეს პროგრამა დაიხურება. ჩვენთან ჯერ ასე შორს არ წავსულვართ, მაგრამ ალბათ მალე მოგვიკაკუნებენ კარებზე. აბა, არ ჩამოვრჩეთ დიდ ბრიტანელებს! – „მთელ მსოფლიოში ხომ ასეა?“

„მოზარდთა სექსუალური განათლება უსარგებლოა“

„ბრიტანელმა სოციოლოგებმა სენსაციური გამოკვლევა გამოაქვეყნეს, რომლის თანახმადაც, სექსუალური აღზრდის გაკვეთილებს არ შეუძლია, მოგვცეს ის ეფექტი, რაც მათ მოეთხოვებათ, წერს გაზეთი The Guardian.

სექსუალური განათლების გაკვეთილებმა, მართალია, აამაღლა მოზარდთა ცოდნა სიამოვნების ტექნიკისა და საშუალებების შესახებ, გააცნო პირადი ჰიგიენისა და კონტრაცეფციის საშუალებათა გამოყენების წესები, მაგრამ აბსოლუტურად არავითარი გავლენა არ მოუხდენია იმავე კონტრაცეპტივებისა და ჰიგიენის საშუალებების მოხმარების დონეზე. გამოკვლევა ჩატარდა დიდი ბრიტანეთის ჩვეულებრივი საშუალო სკოლების 5850 მოსწავლეს შორის“.

„მეტად გათვითცნობიერებული მეტად აქტიურია“

„ჟურნალ „ჯანმრთელობის ეკონომიკაში“ გამოქვეყნებული სხვა გამოკვლევები ეძღვნებოდა სექსუალურ განათლებას ბრიტანეთში, სადაც მოზარდებში ორსულობების რიცხვის ყველაზე მაღალი

ლონე შეიმჩნევა. გამოკვლევამ, რომელიც 14 წელს გრძელდებოდა, გამოავლინა, რომ 16 წლამდე ბავშვები, რომლებიც ოჯახის დაგეგმვის მიმართულებით კლინიკებით სარგებლობდნენ, ჩვეულებრივ, სექსუალურად უფრო აქტიურები იყვნენ, ვიდრე მათი თანატოლები.

ამგვარად, კონტრაცეპტივების ხელმისაწვდომობამ ხელი შეუწყო სექსუალური აქტივობის ზრდას მოზარდებში, რომლებიც სხვა შემთხვევებში გაცილებით უფრო ნაკლებად იქნებოდნენ სექსუალურ ცხოვრებაში ჩართულნი. როცა ასეთი კლინიკების ხელმისაწვდომობა დროებით გააუქმეს – ორსულობების რიცხვმაც იკლო.

2002წ.“

* * *

გაზეთი „თაიმსი“ ეხება ბრიტანეთში სექსუალური განათლების თემას. როგორც გაზეთი ამტკიცებს, მთავრობის ძალისხმევამ, შემეცირებინა მოზარდებში ვენერიული დაავადებების რისკი, საპირისპირო შედეგებამდე მიგვიყვანა. ნოტინგემის უნივერსიტეტის ეკონომისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უსაფრთხო სექსის შესახებ სულ უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდებამ და მოზარდების უფასო კონტრაცეპტივებით მომარაგებამ მიგვიყვანა მხოლოდ უწესრიგო სექსუალური კავშირების გაზრდამდე და არა მათ მიმართ უფრო წინდახედულ დამოკიდებულებამდე. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ სექსუალური აქტივობა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები იზრდება სწორედ იმ რაიონებში, სადაც სამთავრობო პროგრამა აქტიურად ინერგება. ამ პროგრამის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ახალი მონაცემები სრულიად უარყოფენ ოფიციალურ თეორიას იმის შესახებ, თითქოს კონტრაცეპტივების ხელმისაწვდომობა – მოზარდებს შორის არასასურველი ორსულობებისა და ვენერიულ დაავადებათა მზარდ რიცხვთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა.

<http://www.gorodfm.ru/broadcast/broadcast.134/date>

შოტლანდია

21.01.2004. შოტლანდიაში გაშვებულმა სექსუალური განათლების პროგრამამ, რომელიც ქვეყანას 3 მლნ. ფუნტზე მეტი დაუჯდა, კრიტიკა დაიმსახურა მას შემდეგ, რაც მოზარდებს შორის დარეგისტრირებული ორსულობების რიცხვმა მკვეთრად იმატა.

ახალი პროგრამა, რომელიც გამოსცადეს Lothian-ის რეგიონში, მოიცავდა სკოლებში პრეზერვატივების თავისუფალ და შემდეგი დილისათვის აბების კლინიკებში დარიგებას. მაგრამ, თუკი მოზარდთა ორსულობების რიცხვი შოტლანდიაში შემცირდა, Lothian-ში იგი, პირიქით, 10%-ით გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით ბევრმა ავტორიტეტულმა კრიტიკოსმა მოითხოვა პროგრამის სასწრაფო გადახედვა.

3. კანადა და სხვა ქვეყნები

„არაეფექტურია!“

„სხვადასხვა ქვეყანაში მოზარდებს შორის ორსულობების რიცხვი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება და მრავალი მთავრობა ხარჯავს დროსა და მნიშვნელოვან თანხას, რათა ეს ციფრი შეამციროს. მაგრამ ახალმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მეთოდები, რომლებსაც ახლა ბევრ ქვეყანაში იყენებენ, არაეფექტურია.

კანადელმა მეცნიერებმა შეისწავლეს ორსულობის თავიდან აცილების 26-ზე მეტი პროგრამა, მიმართული 11-18 წლამდე მოზარდებზე, მათ შორის – სქესობრივი აღზრდის პროგრამები. მაგრამ ამგვარმა ძალისხმევამ შედეგი არ გამოიღო – კონტრაცეპტივების გამოყენება არ გახდა ეფექტური და ორსულობების რიცხვი არ შემცირდა“.

„განათლებულები, მაგრამ მაინც ორსულები არიან“

„სექსუალური განათლების პროგრამები, რომლებიც მიმართულია მოზარდებში ორსულობების შემცირებისაკენ, მოზარდებში არ ამცირებს სექსუალურ აქტივობას. ამ დასკვნამდე მივიდნენ კანადელი მეცნიერები, რომლებმაც „ბრიტანულ სამედიცინო ჟურნალში“ თავიანთი ახალი გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნეს.

მათ შეისწავლეს 20-ზე მეტი პროგრამა ორსულობების თავიდან აცილების შესახებ აშშ-ში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და ევროპაში და გამოარკვიეს, რომ ისინი არ ამცირებენ ორსულობათა რიცხვს“.

* * *

4. ამონარიდი აშშ-ს კანონმდებლობიდან

გთავაზობ ამონარიდს აშშ-ს კანონმდებლობიდან, რომელიც სექსუალურ განათლებას შეეხება. საქართველოში განათლების მესვეურების დიქტატის ფონზე თვალშისაცემია ის სიფრთხილე, რომელსაც ამერიკელები ამ საკითხების მიმართ იჩენენ.

სოციალური დაცვის ფედერალური კანონის 510 მუხლი
Compilation of the Social Security Laws

SEPARATE PROGRAM FOR ABSTINENCE EDUCATION

SEC. 510 [42 U.S.C. 710]

(2) ამ მუხლში ფრაზა „განათლება თავშეკავების შესახებ“ ნიშნავს სასწავლო ან მოტივაციურ პროგრამას, რომელიც –

(ა) გამიზნულია, ასწავლოს სოციალური, ფსიქოლოგიური და ჯამრთელობის მხრივ იმ სარგებლის შესახებ, რომელიც სქესობრივ თავშეკავებას მოაქვს;

(ბ) ასწავლის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირებისაგან თავშეკავებას, როგორც სტანდარტს ყველა მოსწავლისათვის;

(გ) ასწავლის, რომ ქორწინებამდე სქესობრივი კავშირებისაგან თავშეკავება არის ერთადერთი ნამდვილი გზა ქორწინებამდე ბავშვის გაჩენის, სქესობრივად გადამდები დაავადებებისა და სხვა პრობლემებისაგან თავდასაცავად;

(დ) ასწავლის, რომ ურთიერთნდობაზე დამყარებული მონოგამური (ქორწინების სახე, ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის მყარი თანაცხოვრება) კავშირი არის სტანდარტი ადამიანთა შორის სქესობრივი ურთიერთობისათვის;

(ე) ასწავლის, რომ ქორწინების გარეშე სქესობრივ კავშირებს შესაძლებელია ჰქონდეს საზიანო ფსიქოლოგიური და ფსიქიკური ეფექტი;

(ვ) ასწავლის, რომ ქორწინების გარეშე ბავშვის გაჩენას შესაძლებელია ჰქონდეს ბავშვისათვის, მშობლებისა და საზოგადოებისათვის საზიანო შედეგები;

(ზ) ასწავლის ახალგაზრდებს, თუ როგორ თქვან უარი სქესობრივ კავშირებზე, თუ როგორ ზრდის ალკოჰოლი და ნარკოტიკები სქესობრივ სისუსტეებს...

ტეხასის კანონი
TEXAS LAW

**Texas Education Code, Senate Bill 1, As Passed by the
74th Texas Legislature**

Sec. 28.004. Texas Education Code

(1) თავშეკავება უნდა წარმოიხდეს როგორც უპირატესი ქცევა დაუქორწინებელ პირებს შორის დამოკიდებულების დროს;

(3) გამოხატოს, რომ სქესობრივი კავშირებისაგან თავშეკავების სწორად გამოყენება არის ერთადერთი მეთოდი, რომელიც 100%-ით ეფექტურია ორსულობის, სქესობრივად გადამდები დაავადებებისა და ინფექციებისაგან და ემოციური ტრავმებისაგან თავდასაცავად, რომლებიც ახალგაზრდულ სქესობრივ კავშირებთან არიან დაკავშირებული;

(b) სკოლას არ აქვს უფლება, სწავლებასთან დაკავშირებით დაარიგოს პრეზერვატივები...

(h) სკოლამ ყოველი მოსწავლის მშობელს უნდა შეატყობინოს:

(1) ძირითადი მასალის შესახებ, რომელიც მოსწავლეს მიეწოდება სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებით;

(2) მშობელს უფლება აქვს არ მისცეს მოსწავლეს სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებით ნებისმიერ გაკვეთილზე დასწრების უფლება.

კალიფორნიის კანონი
შეტყობინება მშობლებისა და მეურვეებისადმი
NOTICE TO PARENTS & GUARDIANS
(Rev 5/05)

სექსუალური განათლება/სქესობრივად გადამდები დაავადებების
სწავლება

მოსწავლეებს არ შეიძლება მოვთხოვოთ, დაესწრონ ნებისმიერ კლასს, სადაც აღწერილი ან ილუსტრირებულია ადამიანის გამრავლების ორგანოები, მათი ფუნქციები და პროცესები, ან სადაც აღწერენ სქესობრივად გადამდებ დაავადებებს. თუ ასეთი კლასის შეთავაზება ხდება, ამის თაობაზე პირველ რიგში თქვენ უნდა შეგატყობინონ წერილობით. უნდა მისცეთ წერილობითი დასტური,

რათა თქვენი შვილი ამ მეცადინეობებს დაესწროს. მას არ ექნება უფლება, დაესწროს ამ მეცადინეობებს, თუ სკოლა თქვენგან თანხმობას არ მიიღებს.

კლასში გამოყენებული ყველა წერილობითი თუ აუდიო-ვიდეო მასალა შემოწმებისათვის თქვენთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და წერილობით უნდა შეგატყობინონ თქვენი უფლების შესახებ, რომ შეგიძლიათ ამ მასალების გადახედვა.

3127 AMH NIXO MCLA 085

თავი (3), მუხლი (1). თუ სკოლა გადაწყვეტს, რომ განახორციელოს ან უფლება გასცეს სექსუალურობის/სქესობრიობის შესახებ კლასებში ასწავლოს, მოსწავლეთა მშობლებს წერილობითი შეტყობინება უნდა მიაწოდოს არა უმცირეს 30 დღით ადრე და მოსწავლის მშობლისაგან წინასწარ მიიღოს წერილობითი დასტური, რომ მისი შვილი მეცადინეობებს დაესწროს.

თავი (5). თუ მშობელი არ წარმოადგენს წერილობით დასტურს, როგორც მითითებულია ამ კანონის (3) თავში, მოსწავლე არ დაიშვება მეცადინეობებზე, ამის სასაწყვედო მას ისეთივე ოქმის კრედიტის სხვა კლასებს შესთავაზებენ.

* * *

5. რა ხდება ამ დროს საქართველოში?

2006 სასწავლო წლის დასაწყისში საქართველოს საჯარო სკოლებში მასობრივად შეიტანეს 5-8 წლამდე ბავშვებისათვის განკუთვნილი ვირჟინი დიუმონის წიგნი „სიყვარულის ანაბანა“. როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (მინისტრი – ა. ლომაია) ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა ტელევიზიით განაცხადა, სამინისტროს, თურმე, ეს წიგნი კონკურსის შედეგად გამოურჩევია და სკოლებისათვის მიზანშეწონილად მიუჩნევია. საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა 5-8 წლამდე ბავშვებისათვის განკუთვნილი ეს წიგნი არასრულწლოვნებზე მავნე ზემოქმედების მომხდენ ნაბეჭდ პროდუქციად ჩათვალა (წერილი №01-01-03/862; 21.11.2006წ.). წიგნი დასურათებულია და მასში

დეტალურად არის აღწერილი ქალ-ვაჟის სქესობრივი აქტი (ციტატების მოყვანა მათი უხამსობის გამო შეუძლებელია), ანუ იგი პორნოგრაფიად შეიძლება ჩავთვალოთ. წიგნი მცირეწლოვან მოზარდთა გახრწნას ემსახურება. გარდა ამისა იგი ოჯახის წინააღმდეგაც არის მიმართული. აი, ამის დამადასტურებელი ამონარიდი წიგნიდან (გვ.26): **„წყვილ ქალ-ვაჟს დაქორწინებულები ჰქვია? ეს აუცილებელი არ არის. შეყვარებულ ქალ-ვაჟს წყვილი ჰქვია და ისინი თავისუფლად ცხოვრობენ ერთად. მათ ქორწინების გარეშეც შეუძლიათ იყოლიონ შვილები“**.

რაც შეეხება შემდგომი ასაკის მოზარდებისათვის განკუთვნილ წიგნს, ის კიდევ უფრო უხამსი და გამრყენელია.

* * *

მოზარდთა გახრწნის იმავე მიზანს ემსახურება 2006 წ. დეკემბერში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (თავმჯდომარე – დ. ქიტოშვილი) მიერ წარმოდგენილი „მაუწყებლობის ქცევის კოდექსის“ პროექტი. ამ პროექტთან დაკავშირებით მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა გაავრცელა ინფორმაცია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ პროექტი, ფაქტობრივად, წარმოადგენს „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ შემუშავებული კოდექსის ვარიანტს და ამ კოდექსის დამტკიცებით „გზა ეხსნება შეუზღუდავ უზნეობასა და უხამსობას, მარადიული ღირებულებების, საზოგადოების მიერ აღიარებული ზნეობრივი ფასეულობების, დამკვიდრებული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ნგრევას, მოზარდებზე მავნე ზეგავლენას. მაგალითად, უკვე 13 წლიდან მოზარდთათვის (ციტატა): **„არცერთი თემა არ ითვლება შეუფერებლად; დასაშვებია ხშირი გინება და უწმაწური სიტყვების გამოყენება; დასაშვებია სიშიშველე სექსუალური კონტექსტში; დასაშვებია სექსუალური ქმედების ასახვა; დასაშვებია ფიგურირებდეს სექსუალურ ურთიერთობაზე საუბარი; დასაშვებია ძალადობა მძაფრ ფორმებში, სექსუალური ძალადობის სცენები...; ძლიერი შიში და მუქარა დასაშვებია; ნარკოტიკების მიღება შეიძლება იყოს ნაჩვენები“** (მუხლი 102, პ.2-9); **„საზოგადოებრივი ინტერესებიდან**

გამომდინარე (?!-ა.უ.) შესაძლებელია გაკეთდეს გამონაკლისი დეტალების აღმწერ სექსუალური კადრებისათვის..., მიუხედავად იმისა, ქმედება ჰეტეროსექსუალურია თუ ჰომოსექსუალური“ (მუხლი 103, პ.2,4) და ა.შ. „თავისუფლების ინსტიტუტის“ აზრით, თურმე, საზოგადოების ინტერესებშია, რომ მოზარდებს ვაჩვენოთ სექსი დეტალებში. ამაზე მეტი ცინიზმი გაგონილა?! აი, როგორი საზოგადოების აშენება სურთ საქართველოში. დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით მოზარდებისთვის განკუთვნილ გადაცემებში, ვერ იხილავთ: სიშიშვლესა და სექსს ახლო ხედითა თუ დეტალების ჩვენებით, სექსუალურ ურთიერთობას გაუკუღმართებული ფორმით და/ან ორზე მეტი პირის მონაწილეობით, ერეგირებულ გენიტალიასა თუ მასტურბაციას, ძალადობის ამსახველ სცენებს მსხვილი და დეტალური ხედით, ნარკოტიკების დამზადების, მოხმარების წესებსა და ხერხებს და ა.შ.

ისმის კითხვა: რა უფლებით დაამუშავა ისეთმა იდეოლოგიზირებულმა, ანტიმართლმადიდებლურმა ინსტიტუტმა, როგორც „თავისუფლების ინსტიტუტია“, იმ ქვეყნის ქცევის კოდექსი, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელია და ცხოვრების ზნეობრივ წესს აღიარებს? მაუწყებლობის შესახებ კანონით განსაზღვრულია, რომ ქცევის კოდექსის შემუშავებაში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ჯგუფები, მაგრამ მათ არაფერი ჰკითხეს. მეტიც, ჩვენ კოდექსის პროექტის წარმოდგენამდე ჩვენი ინიციატივით განვიხილეთ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ვარიანტი და შენიშვნებიც გავუგზავნეთ კომისიას, მაგრამ მავ ისინი უგულებელყო.

ამგვარად, წარმოდგენილი კოდექსი დამლუპველია ჩვენი ქვეყნისათვის. მისი დამტკიცება დაუშვებელია და ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს“.



თავი IV

კონტრაქცია – შობადობაზე კონტროლის ეფექტური საშუალება

1. შესავალი

დემოგრაფიული ომის მეთოდებს შორის კონტრაქცია ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. შობადობაზე კონტროლისათვის მისი გამოყენება სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. როგორც აღვნიშნეთ, მოზარდთა სექსუალური განათლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს კონტრაქციის ქადაგება-გავრცელება და კონტრაცეპტივების მომხმარებლებად მოზარდი თაობის გადაქცევა წარმოადგენს. ამ თავში ჩვენ ვისაუბრებთ იმ საშიშროების შესახებ, რასაც კონტრაცეპტული პრეპარატები შეიცავს და რაზეც დანაშაულებრივად დუმიან მისი აპოლოგეტები – რეკლამორები, პროპაგანდისტ-ავიტატორები, მწარმოებლები და გამავრცელებლები. კონტრაცეპტივები საშიშია ყველა ასაკის ქალისათვის, მაგრამ განსაკუთრებით დამლუპველია მოზარდი თაობისთვის – არა მხოლოდ ზნეობრივ-ეთიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რაზეც წინა თავში ვისაუბრეთ, არამედ ფიზიკური ზემოქმედების, ორგანიზმისთვის მავნე გვერდითი მოვლენების თვალსაზრისითაც.

კონტრაცეპტივების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს დიდძალი და უტყუარი სტატისტიკა. გამოცდილება დაგროვდა როგორც წამყვან, ისე განვითარებად ქვეყნებში. კონტრაცეპტივების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩვენ შემოგთავაზებთ გამოცდილი და კომპეტენტური სპეციალისტების დასკვნებს.

ქალის კონტრაქციის მეთოდებს შორის რიტმული (ბიოლოგიური), შეწყვეტილი სქესობრივი კავშირი, ბარიერული (დიაფრაგმა, ხუფები და ა.შ.) მეთოდები დაბალი კონტრაქციული ეფექტით ხასიათდებიან და აქვთ უამრავი უკუჩვენება და ნაკლი. ამიტომ კონტრაქციის მეთოდებს შორის განსაკუთრებით გავრცელებულია საშვილოსნოს შიდა (სპირალი), ჰორმონალური

და ქიმიური (სპერმიციდები) კონტრაცეფცია, თუმცა ეს უკანასკნელიც დაბალეფექტურად ითვლება. სანამ ექსპერტების დასკვნებს შემოგთავაზებდეთ, მოკლედ დავახასიათოთ ეს საშუალებები:

სპირალი. მრავალ საშიშროებას შეიცავს შიდასაშვილოსნოს სპირალის გამოყენება, ამასთან იგი ვერ იცავს ქალს დაორსულებისაგან: მისი ეფექტი 70%-ის ფარგლებშია. მისი ჩადგმის შემდეგ საშვილოსნო მუდმივად ღია მდგომარეობაშია, შედეგად, ინფექციების შეღწევისათვის გზა ხსნილია, რასაც ვერ შველის ვერც სპილენძით დაფარული და ვერც სხვა მასალისაგან დამზადებული სპირალი. ორგანიზმისთვის უცხო სხეული იწვევს მოჭარბებულ, გახანგრძლივებულ და ძალიან მტკივნეულ მენსტრუაციას, განსაკუთრებით, მგრძობიარე ქალებში. სპირალი ახდენს სხვა საშიში მოვლენების პროვოცირებას. მენსტრუაციის დროს სისხლი მუცლის ღრუსკენ მიემართება და არა პირიქით, როგორც ეს ბუნების მიერ არის განსაზღვრული. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს საშვილოსნოს გარე ორსულობა, ენდომეტრიოზა, ასევეა მიომატოზური კვანძის განვითარება. დადგენილია, რომ სპირალის გამოყენების დროს საშვილოსნოს გარე ორსულობის რისკი 4-ჯერ იზრდება.

სპირალის გამოყენება უაღრესად საშიშია ქალებისათვის, რომელთაც აქვთ საშველონოსნოს ყელის ეროზია, საშვილოსნოსა და დანამატების ქრონიკული ინფექციები, საშვილოსნოს ან მისი ყელის სიმსივნე და სხვა. მრავალი საფრთხე მოაქვს ჰორმონალურ სპირალებს: სპირალმა, რომელიც გამოყოფს ჰორმონებს, უბრალო სპირალისთვის დამახასიათებელ ყველა ნაკლთან ერთად, დამატებით, შეიძლება დაარღვიოს მენსტრუალური ციკლი. იგი ხშირად ხანგრძლივ უშვილობას იწვევს.

ჰორმონალური საშუალებების კლასიფიკაცია შემდეგია:

- კომბინირებული ესტროგენ-გესტოგენური პრეპარატები (ერთ-და მრავალფაზიანი)
- მინი-პილები (პროგესტოგენები, მაგ., მარველონი, მერისოლი, სილესტი და სხვ. პრეპარატები: კორტინუინი, მიკრონორი, ოვრეტი, ექსლიუიტონი, ფემულენი და სხვ.)
- ინექციური (ნემსი) პროლონგირებული, ანუ გახანგრძლივებული მოქმედების პრეპარატები (პროლონგირებული პროგესტოგენები, მაგ.

მედროქსიპროგესტერონი (დეპო-პროვერა-150)).

- კანქვეშა იმპლანტატები (ლევონორგესტრელი (ნორპლანტი) – ხანგრძლივად მოქმედი საშუალება)

ჰორმონალური აბები. მათ მრავალი უკუჩვენება აქვთ. განსაკუთრებით ბევრი აკრძალვა აქვს კომბინირებულ ჰორმონალურ აბებს, რომლებიც შეიცავენ ქალის ორ ჰორმონს – ესროგენსა და პროგესტერონს. მეტად საშიშია ჰორმონალური კონტრაცეპტივები ქალებისათვის, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა სახის დაავადებები: სისხლძარღვთა, შაკიკი, ჰიპერტონია, გულის უძლურებანი, თრომბებისკენ მიდრეკილება, სისხლის შედედების დარღვევა, ღვიძლისა და თირკმელის დაავადებები, დიაბეტი, სიმსივნეები და სხვა. ჰორმონები ძალიან ტვირთავს ღვიძლს და ასქელებს ნალველს, შლის ორგანიზმის ჰორმონალურ ფუნქციას და ასუსტებს მის იმუნურ მოქმედებას.

ესტოგენურ კონტრაცეპტივებს შემდეგი გვერდითი მოვლენები ახასიათებს: პოსტმენოპაუზური სისხლდენა, გულისრევა, სარძევე ჯირკვლის ტკივილი, თავის ტკივილი, შეშუპება, ჰიპერპიგმენტაცია, ქოლესტაზი, ნალვლის ბუშტის დაავადებები, ჰიპერტენზია, იზრდება სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ენდომეტრიუმის სიმსივნის განვითარების რისკი; ხოლო პროგესტერონის გვერდითი მოვლენებია: მაღალი არტერიული წნევა, პლამის მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების კონცენტრაციის შემცირება, მიოკარდიუმის ინფარქტი, დეპრესია და ა.შ.

ჰორმონალური ნემსები. ჰორმონალური ინექციები ხანგრძლივი კონტრაცეფციის საშუალებებს წარმოადგენს. პრეპარატი შეიცავს ჰორმონ ლევონორგესტრელს. ის ნელ-ნელა გამოთავისუფლდება და უზრუნველყოფს სისხლში პრეპარატის მუდმივ კონცენტრაციას. ჩვეულებრივ ჰორმონალურ პრეპარატებთან შედარებით, ამ პრეპარატების დამატებითი უკუჩვენება იმ საფრთხეს შეიცავს, რაც მათი მოქმედების ხანგრძლივობიდან არის გამოწვეული. ამიტომ, გართულებების შემთხვევაში, მისი უცხად შეწყვეტა შეუძლებელია და ჰორმონალური ინექციის ნეიტრალიზება ვერაფრით ხერხდება.

ჰორმონალური იმპლანტატები. ჰორმონალურ იმპლანტატებს ის ქალები იყენებენ, რომლებიც აღარ გეგმავენ ბავშვის გაჩენას. ის ხანგრძლივად მოქმედებს და ყველა ის უარყოფითი თვისება ახასიათებს, რაც აქვთ ჰორმონალურ აბებსა და ინექციებს.

ქიმიური კონტრაცეპტივები. ქიმიურ კონტრაცეპტივებს თავისი საშიშროებები ახლავს. სხვას რომ თავი დავანებოთ ისინი, (მაგალითად, კრემები „ფარმატექსი“, „პატენტექს-ოვალი“, „სტერილინი“ და სხვა, მათ შორის, ახალი პრეპარატები), ქალს ორსულობისაგან საკმარისად ვერ იცავენ. მათი მოქმედება ხანმოკლეა, ამიტომ ახალი კონტაქტის დროს საჭიროა ახალი დოზის შეტანა. ქიმიური პრეპარატების ხშირი გამოყენება კი არღვევს მიკროფლორას, ვითარდება დისბაქტერიოზი – სასარგებლო მიკრობაქტერიების ნაკლებობა. ქიმიური პრეპარატების საშიშროება იზრდება, როდესაც ქალი დაავადებულია სხვადასხვა დაავადებით.

2. კონტრაცეპტივების მავნე ზემოქმედება – სპეციალისტებისა და მესაქმრების დასკვნები

არასასურველი ფეხმძიმობის თავიდან ასაცილებლად მრავალი ქალი მიმართავს ჰორმონალურ კონტრაცეპტივებს. რა შეიძლება ამან გამოიწვიოს, ამის შესახებ მოგვითხრობენ რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი პათოლოგიისა და პათოფიზიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ი.გ. სანდალოვი და ი.მ. სეჩენოვის სახ. მოსკოვის სამედიცინო აკადემიის მეანობისა და გინეკოლოგიის მედიკო-პროფილაქტიკური ფაკულტეტის კათედრის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ი.ს. კალაშნიკოვა.

– როგორ აისახება ჰორმონალური კონტრაცეპტივების მიღება ქალის ორგანიზმზე?

ი.გ.სანდალოვი: ჰორმონალური პრეპარატები – ძლიერმოქმედი საშუალებებია. როდესაც ორსულობის თავიდან ასაცილებლად ქალები მათ იყენებენ, ჩნდება სერიოზული დაავადებების რისკი. პირველ რიგში ზიანდება ქალის ორგანიზმის მთელი ჰორმონალური სისტემა, რადგან მასში დიდი ცვლილებები ხდება.

თუ ჰორმონალური კონტრაცეპტივები ხუთი წლის განმავლობაში გამოიყენება, მაშინ ჰიპერტონიის განვითარების სიხშირე 1,5–3-ჯერ იზრდება. ამ პრეპარატების მიღება განსაკუთრებით საშიშია 30-35 წლის შემდეგ. თუ ამ ასაკში ქალი თამბაქოსაც ეწევა, მაშინ გულის იშემიური დაავადების წარმოქმნის რისკი 11-ჯერ იზრდება.

ესტროგენებს შეუძლია დაარღვიოს ერთ-ერთი ამინომჟავისა და ნ ვიტამინის მიმოცვლა. ეს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე აისახება და შეიძლება გამოიწვიოს ნერვული სისტემის მოშლილობა, გაღიზიანება და დეპრესია, ზოგჯერ – ძალიან მძიმეც.

ღ.ს.კალაშნიკოვა: როდესაც ორგანიზმში ჰორმონები გარედან შემოდის, მათი სიჭარბე იქმნება. ორგანიზმში საკუთარი ჰორმონები გამოძუშავდება, რომლებიც ამ შემთხვევაში ზედმეტი ხდება. ამიტომ საკვერცხეების ფუნქცია ითრგუნება. ეს ნიშნავს, რომ კვერცხუჯრედი არ მოწიფდება. ამ დროს მენსტრუაცია ჩვეულებრივად მიმდინარეობს, მაგრამ იგი არ არის ნამდვილი. ამ დროს ჰორმონების კლება მენსტრუალურის მსგავს რეაქციას იწვევს. ჰორმონალური კონტრაცეპტივები ზემოქმედებს ყველა პროცესზე, რომლებიც ორგანიზმში მიმდინარეობს. ამავე დროს, ყოველი ქალი ამას ინდივიდუალურად იტანს: ერთნი სუქებიან, სხვები თავს ისე გრძნობენ, თითქოს ფეხშიძედ არიან, ზოგიერთს უჩნდება სარბევე ჯირკვლების სისავსის გრძნობა. ხდება, რომ ქალს გული ერევა, ზოგიერთებს ტანზე თმის ზრდა ეწყებათ. ყველა ამ გაჭირვებას ისინი მხოლოდ იმიტომ იტანენ, რომ არ დაორსულდნენ და შედეგებზე არაფერს ფიქრობენ.

ჩემთან მიღებაზე იყო პაციენტი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იყენებდა ჰორმონალურ კონტრაცეპტივებს. მათი მიღების შეწყვეტის შემდეგ ნახევარი წლის განმავლობაში მას არ ჰქონდა მენსტრუაცია, იმიტომ, რომ საკვერცხეების ფუნქცია მთლიანად იყო დათრგუნული. მან კი უცბად ბავშვის გაჩენა გადაწყვიტა. ასეთ შემთხვევებში ხშირად მიწვევდა უშვილობის მკურნალობა, რომელიც ჰორმონალური პრეპარატების მიღების შედეგად წარმოიქმნებოდა.

ჰორმონალური კონტრაცეპტივების მიღების გამო ქალებს, რომლებსაც სისხლის მაღალი შედედების უნარი და თრომბოზისკენ მიდრეკილება აქვთ, შეიძლება განუვითარდეთ თავის ტვინის სისხლძარღვთა, ფილტვების არტერიების თრომბოემბოლია, რამაც შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს.

– მაგრამ ეს საშუალებები ხომ მრავალი გინეკოლოგიური დაავადების დროს გამოიყენება. მაშინ ესეც საშიშია?

ღ.ს.სანდალოვი: მართლაც, ზოგიერთი ჰორმონალური პრეპარატი როგორც წამალი, ისე გამოიყენება. ინსტრუქციაში აღნიშნულია,

რომ ჯანმრთელობისთვის რისკის გამო ისინი სამ თვეზე მეტხანს არ შეიძლება მივიღოთ. მაგრამ, როდესაც ქალები მათ როგორც კონტრაცეპტივებს, ისე იყენებენ, მაშინ ამის შესახებ რატომღაც ივიწყებენ. უნდა ვიცოდეთ ჰორმონალური პრეპარატების საწინააღმდეგო ჩვენებები. მათი მიღება არ შეუძლიათ ქალებს, რომლებსაც აქვთ შაკიკი, თირკმელებისა და ღვიძლის დაავადებები, ეპილეფსია, ბრონქიალური ასთმა, ჰიპერტონია.

ფარმაკოლოგიის ყველა სახელმძღვანელოში წერია, რომ ჰორმონალური კონტრაცეპტივების გამოყენება აბსოლუტურად აკრძალულია 16 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის, რომელთა ჰორმონალური სისტემა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. ის, რომ ახლა ამ პრეპარატებს თავს ახვევენ მოზარდებს, ბოროტმოქმედებაა. ახალგაზრდების მიერ ჰორმონალური კონტრაცეპტივების მიღებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მენსტრუალური ფუნქციის ნორმალურ ჩამოყალიბებას. ეს მომავალში შეიძლება უშვილობისა და სხვადასხვა სიმსივნური დაავადებების მიზეზი გახდეს.

– ახლა ქალთა მრავალ კონსულტაციაში ქალებს სთავაზობენ გამოიყენონ ორსულობისაგან ახალი დამცავი საშუალება – ინექციური კონტრაცეპტივი. შეიძლება მათაც ავონ ქალის ორგანიზმს?

ი.გ.სანდალოვი: რა თქმა უნდა. ქალი რომ ჰორმონებს იღებს, ეს ერთია. თუკი ჰორმონალური აბების მიღება შეგიძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტო, ინექციური კონტრაცეპტივების ნეგატიური გავლენა ადამიანზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედებს, რადგან ორგანიზმზე ისინი ხანგრძლივად ზემოქმედებენ. საუბარია, კერძოდ, პრეპარატ ნორპლანტსა და დეპო-პროვერაზე. სამწუხაროდ, ზოგიერთი ქალი არ უფიქრდება, თუ რამდენად მავნებელია მისთვის მენსტრუაციის შეწყვეტა არა მხოლოდ პრეპარატების გამოყენების დროს, არამედ გარკვეული დროის შემეგაც. ასეთი ცვლილება ორგანიზმისათვის უკვალოდ არ ქრება. დეპო-პროვერას გამოყენების სტატისტიკური მონაცემები ასეთია: ამ პრეპარატის ერთი ინექციის შემდეგ პირველი ხუთი წლის განმავლობაში სარძევე ჯირკვლის კიბოთი დაავადების რისკი ორჯერ იზრდება. კონტრაცეპტივი ზემოქმედებს კალციუმის ცვლაზე, რაც ძვლის ქსოვილის სიმკვრივეს ამცირებს. ამის გამო იზრდება მენჯის ძვლის მოტენილობის რისკი

ისე როგორც, მოხუცებულებს ახასიათებთ. ამასთან ირღვევა ლიბიდური ცვლა და ადრეულად ვითარდება ათეროსკლეროზი.

ი.ს.კალაშნილოვა: ინექციური ჰორმონალური კონტრაცეპტივების გამოყენების დროს წყდება არა მხოლოდ ნამდვილი მენსტრუაცია, არამედ მენსტრუალურის მსგავსი რეაქციაც. კონტრაცეპტივების რეკლამა ქალებს მომავალში მენსტრუალური ციკლის აღდგენის გარანტიას აძლევს. მაგრამ ეს, როგორც წესი, არ ხდება. მათ აღენიშნებათ სისხლნარევი გამონადენი, რასაც მენსტრუაციას ვერაფრით უწოდებ. და ასე გრძელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. პაციენტების მკურნალობა იმავე ჰორმონებით გვიწევს. ამგვარად წარმოიქმნება ხელოვნურად შექმნილი მენსტრუალური ციკლი. და ამის შემდეგ როგორ იმუშავებენ საკვერცხეები?

ამ დროს ქალები თანდათან ხვდებიან, რომ მათში რაღაც არაბუნებრივი ხდება. ზოგიერთისათვის ბავშვის გაჩენა დიდი პრობლემა ხდება. იყო შემთხვევა, როდესაც ქალმა მე დახმარებისათვის მომართა ერთი დეპო-პროვერას ინექციის შემდეგ საკვერცხეზე დიდი კისტას გაჩენის გამო. ინექციამდე მას ეს კისტა არ ჰქონდა.

– თუკი ჰორმონალური კონტრაცეპტივები ასე მავნეა ქალისათვის, მაშინ რატომ ურჩევენ მის გამოყენებას თვით ექიმებიც კი?

ი.გ.სანდალოვი: ქალებისათვის ჰორმონალური კონტრაცეპტივების თავსმონხვევა – ესაა თანამედროვე დემოგრაფიული პოლიტიკა, შობადობის შემცირებისაკენ მიმართული. ასეთი პოლიტიკა არღვევს არა მხოლოდ ოჯახს, არამედ თვით ქალის ბუნებასაც.

ი.ს.კალაშნილოვა: ის, რომ ეს თანამედროვე საშუალებები ხელმისაწვდომია, განპირობებულია მრავალი ფირმის დიდი მოვებით. სამწუხაროდ მოსახლეობის გამრავლების პრობლემა ამ გზით წყდება. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას კონტრაცეფციის ისეთ ბარბაროსულ სახეზე, როგორცაა სტერილიზაცია – საშვილოსნოს მილების ქირურგიული გაკვეთა. ამას უწოდებენ ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთ მეთოდს. არსებითად კი ამას ქალი ინვალიდობამდე მიჰყავს. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდის გამოყენების შემდეგ მრავალი ქალი იმავე ქირურგიული გზით ცდილობს აღიდგინოს საშვილოსნოს მილების გამტარობა. ამას ისინი ცხოვრებისეული სიტუაციის შეცვლის გამო აკეთებენ.

ერთია, როცა სტერილიზაციაზე ვსაუბრობთ სამედიცინო მონაცემების თანახმად, როდესაც ქალის სიცოცხლე საფრთხეშია, და სხვა – როდესაც ამას თავს ახვევენ ორსულობისაგან თავის დასაცავად. ახლა აგრეთვე სთავაზობენ დროებით სტერილიზაციას – საშვილოსნოს მილებში პლასტმასური ბლოკატორების შეყვანას. მაგრამ არავინ იცის, უცხო სხეულზე ქალის ორგანიზმს რა რეაქცია ექნება და ამ ბლოკატორების გამოღების შემდეგ მთლიანად აღდგება თუ არა საშვილოსნოს მილების ფუნქცია.

ქალი საფუძვლიანად უნდა დაფიქრდეს თავის დანიშნულებაზე – იყოს დედა და უნდა ახსოვდეს, რომ ოვულაციის ნებისმიერი ძალისმიერი დათრგუნვა მისი ორგანიზმისათვის არაბუნებრივია. ამას შეიძლება ყველაზე გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს.

ანთმბითი სპირალი

საშვილოსნოსშიდა სპირალების საფრთხის შესახებ გვიამბობს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მეანობისა და გინეკოლოგიის მოსკოვის სამხარეო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გინეკოლოგიის კლინიკის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ნ.ა. შუკინა:

– როგორია საშვილოსნოს შიდა სპირალის მოქმედების პრინციპი? ის აიძულებს საშვილოსნოს კედლებს შეიკუმშოს და ამგვარად ხელს უშლის განაყოფიერებისთვის გამზადებულ კვერცხუჯრედს, მასზე დამაგრდეს. ამასთან, საშვილოსნოს შიდა გარემო ისე იცვლება, რომ მუდმივი ანთების მდგომარეობაში იმყოფება. თუ ქალს ძლიერი იმუნიტეტი აქვს, ის დრომდე აკავებს ანთების შემდგომ გაურცელებას. მაგრამ ორგანიზმში ნებისმიერი ინფექციის არსებობამ, რომელიც ასუსტებს მის დამცველობით უნარს, შეიძლება სერიოზულ გართულებებამდე მიგვიყვანოს. ამისგან არც ჯანმრთელი ქალები არიან დაცულნი.

ბუნებით გათვალისწინებულია მავნე მიკროორგანიზმებისაგან საშვილოსნოს დაცვა. მის ყელში არის ბუნებრივი საცობი, რომელსაც ბაქტერიოციდული თვისება აქვს. ის მხოლოდ მენსტრუაციის დროს იხსნება, მაგრამ საშვილოსნოს შიდა სპირალი მას აიძულებს, მუდამ გახსნილ მდგომარეობაში იყოს.

ზოგჯერ სპირალის შეყვანიდან 2-3 თვის შემდეგ ვლინდება ორგანიზმთან მისი შეუთავსებლობა – წარმოიშობა მწვავე ანთებითი პროცესები, რთულდება ქრონიკული დაავადებები. ქალს მოულოდნელად უჩნდება სისხლიანი გამონადენი, რომელსაც ზოგჯერ თან სდევს ტკივილები მუცლის ქვედა არეში. მენსტრუაცია ყოვნდება, უფრო უხვი ან, პირიქით, მწირი ხდება, უარესდება ზოგადი შეგრძნება.

მაგრამ ზოგჯერ სხვაგვარადაც ხდება: ანთება დაფარულად მიმდინარეობს ან სუსტად ვლინდება ისე, რომ ქალი მას ვერ ამჩნევს. ის ეჩვევა კონტრაცეფციის ამ სახეობას და წლობით არ ანებებს თავს სპირალს და ბოლოს როცა მიდის ექიმთან, აღმოჩნდება, რომ სპირალის გამოღება არავითარ ეფექტს აღარ იძლევა. დაწყებულია შეუქცევადი ჩირქოვანი პროცესი, საშვილოსნოს კუნთოვან ქსოვილში გაჩნდა სიმკვრივეები, რომლებიც აგრძელებენ გავრცელებას. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება უფრო რადიკალური მეთოდების გამოყენება. ხშირად საშვილოსნოს გადარჩენა შეუძლებელია. მაშინ მას ამოკვეთენ დანამატებთან ერთად. რაც უფრო დიდხანს გამოიყენება სპირალი, მძიმე ჩირქოვანი ანთებების წამოქმნის ალბათობა მით უფრო დიდია. ამასთან ისინი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევიან, რადგან ხშირად აზიანებენ არა მარტო სასქესო, არამედ მუცლის ღრუს მიმდებარე ორგანოებსაც – სწორ ნაწლავსა და შარდის ბუშტს.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სპირალის გამოყენება აკრძალულია. სპირალის გამოყენება განსაკუთრებით საშიშია ქალებისათვის, რომელთაც ჯერ არ გაუჩენიათ შვილი, რადგან ამან შეიძლება უშვილობა გამოიწვიოს, ასევე ქალებისათვის, რომელთაც აქვთ სიმსივნე, მაგალითად საშვილოსნოს მიომა, სასქესო ორგანოების ანთებები, საკვერცხეების დისფუნქცია და ენდომეტრიოზი, დიაბეტი და სხვა დაავადებები.

სპეციალისტები სპირალით გამოწვეულ სხვა შესაძლო გართულებებზეც მიუთითებენ, როგორცაა:

- მენსტრუალური ციკლის დარღვევა;
- ჰიპერპოლიმენორეა;
- აციკლური სისხლდენები საშვილოსნოდან;
- საშვილოსნოს ფსკერის პერფორაცია (გახვრეტა);
- რამდენიმეჯერ იზრდება სალგინგიტის სიხშირე.

სპირალი განსაკუთრებით საშიშია ორსულობის შემთხვევაში. კონტრაცეფციის აბოლოგეტებიც კი აღნიშნავენ, რომ ასეთ შემთხვევაში თვითნებური აბორტების სიხშირე 50%-ს აღწევს. სინამდვილეში მათი რიცხვი გაცილებით დიდია. სპირალის გამოყენების დროს საშვილოსნოსგარე ორსულობათა რიცხვი 5-7-ჯერ იზრდება. მნიშვნელოვნად იზრდება ადრეულ მშობიარობათა (უღლეურ ბავშვთა) რიცხვი.

კონტრაცეპტივების საშიშროებაზე მრავალი წამყვანი უცხოელი სპეციალისტი საუბრობს. რამდენიმე თაობის კონტრაცეპტივების საშიშ და მავნე შედეგებზე ძალიან საინტერესო გამოკვლევები აქვს შვედ მეცნიერს, სამეანო კლინიკის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს რუდოლფ იმანს.

* * *

ცნობილი სპეციალისტები სარა ბრანდაო, სილვა ფიმა და ლუიზ როდრიგესი (E. Serra Brandao B. Silva Fima H. Luiz Rodrigues) ყურადღებას ამახვილებენ კონტრაცეპტივების გამოყენებასთან თრომბოზული დაავადებების კავშირზე. კერძოდ, ნაშრომში – „ღრმა ვენების თრომბოზები მეანობასა და გინეკოლოგიაში“ – ისინი აღიშნავენ: „ვენურ თრომბოზებს დიდი ადგილი უკავია ქალების სხვადასხვა დაავადებას შორის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალების თრომბოზული დაავადებების, განსაკუთრებით, ღრმა ვენების თრომბოზების კავშირს სამეანო და გინეკოლოგიურ სიტუაციებთან.“

1960 წელს ორალური კონტრაცეპტივების შემოღებისთანავე გამოქვეყნდა შრომები, სადაც მითითებული იყო ღრმა ვენების თრომბოზების რისკის ზრდაზე იმ ქალებში, რომლებიც იყენებენ ორალურ კონტრაცეპტივებს.

ბოლო გამოკვლევებით შეიძლება ითქვას, რომ III თაობის კონტრაცეპტივები II თაობის კონტრაცეპტივებთან შედარებით მნიშვნელოვნად ზრდიან ღრმა ვენების თრომბოზის რისკს განსაკუთრებით იმ ქალებში, რომელთაც აქვთ ვენების ვარიკოზი, სიმსუქნე, ტრამპები, სიმსივნური დაავადებები, ოჯახური თრომბოფილიები. ასეთ შემთხვევებში ქალებს ვენური თრომბოზები უვითარდებათ არა მარტო ხშირად, არამედ – სწრაფადაც.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ვენების თრომბოემბოლიზში ქალების სიკვდილიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს, აშკარაა, რომ დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ორალური კონტრაცეპტივების დანიშვნას, როგორც ზემოთ აღნიშნული დაავადებების ხელშემწყობ რისკ ფაქტორს“.

ცნობილი შვეიცარიელი სპეციალისტი, სამეანო კლინიკის დირექტორი, რუდოლფ ინანი აღნიშნავს:

„აღეს უკვე აღარავინ დავობს, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო ტაბლეტების გამოყენება ზრდის ქალის სხვადასხვა სენით დაავადების ხარისხს.

ჰორმონალური კონტრაცეპტივების მოქმედების შედეგად მცირდება ორგანიზმის იმუნური დაცვა, აგრეთვე ტკივილისადმი მგრძობელობა. ამასთან ერთად ეს არ შველის ანთებითს პროცესებს. ასეთ სიტუაციაში ხშირად ქალი ვერ ამჩნევს ანთებით პროცესს და ინფექცია ფართოდ ვრცელდება.

რისკის მეორე ზონა შეეხება გულ-სისხლძარღვთა სისტემის იმგვარ დაავადებებს, როგორც არის მიოკარდის ინფარქტი, ინსულტი, თრომბოზი. მეორე თაობის პრეპარატები სამჯერ ზრდის ინფარქტის რისკს, ხოლო ეს რისკი ათჯერ იზრდება მესამე თაობის პრეპარატების გამოყენების დროს. რისკი ასჯერ იზრდება, თუ ჯანმრთელობის საერთო ფონი სხვა არასასურველი ფაქტორებით არის დაძვირებული, ისეთებით, როგორც არის ჰიპერტონია, დიაბეტი, ზედმეტი წონა, აგრეთვე, სიგარეტი.

რისკის კიდევ ერთი ზონა – ეს არის ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნის საშიშროება, განსაკუთრებით, თუ პრეპარატს 20 წლამდე ასაკში იყენებენ.

ჰორმონალური პრეპარატების გამოყენება ზრდის სარძევე ჯირკვლის კიბოს რისკს. დადგენილია, რომ, თუ ამ პრეპარატებს იყენებენ 20 წლამდე ასაკში და, განსაკუთრებით, პირველ ფენხმძიმობამდე, მკერდის კიბოს გაჩენის რისკი 3,5-ჯერ იზრდება. ინექციით ეს რისკი უფრო მეტად – 4,1-ჯერ იზრდება.

ჰორმონალური პრეპარატების გამოყენება იწვევს ფსიქიკის დარღვევას, კერძოდ, ორჯერ იზრდება ენდოგენური დეპრესიის დონე.

ძალზე იკლებს ლიბიდო, მთლად გაქრობამდეც კი, ოღონდ პრეპარატზე უარის თქმის შემდეგ ბრუნდება“.

* * *

სხვა სპეციალისტები ასევე მიუთითებენ შემდეგ აბსოლუტურ და მძიმე საწინააღმდეგო ჩვენებებზე: გულსისხლძარღვთა დაავადებები (თრომბოზი, ინსულტი, ინფარქტი და სხვ.), თავის ტვინის სისხლძარღვების დაზიანება, სქესობრივი ორგანოების ან სარძევე ჯირკვლების ავთვისებიანი სიმსივნე, ღვიძლის ფუნქციის დარღვევები, ცეროზი, დეპრესია, ფსიქოზი, ბრონქიალური ასთმა, არტერიული ჰიპერტონზია, ანემია, დიაბეტი, გულის რევატული დაავადება, ოტოსკლეროზი, ჰიპერლიპიდემია, თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადება, ვენების გაფართოება და თრომბოფლებიტი, ქოლეცისტიტი, სასქესო გზებიდან სისხლდენები, ჰიპერპროლეკტემია, III-IV ხარისხის სიმსუქნე, აქტიური მწვევლობა (დღე-ღამეში 10/12 ღერზე მეტი), განსაკუთრებით, 35 წელს ზემოთ ასაკში. ორალური კონტრაცეპტივების მიღება უკუღურესად არასასურველია ანტიბიოტიკების მიღების, ძუძუს წოვების პერიოდში. ასევე, მიუთითებენ შემდეგ გართულებებს:

- ესტროგენები იწვევს სისხლის პლაზმის შედელების რიგი ფაქტორების კონცენტრაციის გაზრდას, განსაკუთრებით, VII ფაქტორის, სავარაუდოდ, ღვიძლზე ზემოქმედების გამო. III ანტიბრომიდის შემცველობა ეცემა. შესაბამისად, იზრდება ვენების თრომბოზის ალბათობა.
- პერორალური კონტრაცეპტივების მოხმარებელ ქალებში გულსისხლძარღვთა ან ცერებროვესკულარული დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლები 4-ჯერ იზრდება. ყველაზე ხშირი მიზეზია მიოკარდის ინფარქტი. განვითარების სიხშირე დამოკიდებული არ არის პერორალური კონტრაცეპტივების მოხმარების ხანგრძლიობაზე.
- 35 წელს გადაცილებულ მწვეველ ქალებში რისკი მნიშვნელოვნად იზრდება.
- არტერიული ჰიპერტონია.
- პერორალური კონტრაცეპტივების გამოყენების დროს აღინიშნება ანგიოტენზინოგენის შემცველობის, პლაზმის რენინის აქტივობისა და ანგიოტენზინის დონის ზრდა. შეინიშნება ალდოსტერონის სეკრეციის ზრდა და თირკმლების მიერ ნატრიუმის შეკავება.
- პერორალური კონტრაცეპტივების ხანგრძლივი მოხმარების დროს აღინიშნება არტერიული ჰიპერტენზიის ზრდა.

- პერორალური კონტრაცეპტივების ხანგრძლივი მოხმარების დროს აღინიშნება ღვიძლის სიმსივნის – ჰეპატოცელულარული აღენომის – სიხშირის ზრდა.

ახლა სხვა კუთხითაც შევხედოთ კონტრაცეფციას და მოვუხმინოთ **ბენშამენ ღ. შანიკმრს** (აშშ, ცინცინატი)

სიმართლე კონტრაცეფციაზე

თანამედროვე კულტურა ყველა შესაძლო მოსაზრებებით ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ კონტრაცეფციას კაცობრიობისთვის სიკეთის გარდა სხვა არაფერი მოაქვს, მეტიც – რომ ის აუცილებელია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გადავშენდებით ან გადავიქცევით ლატაკთა, ავადმყოფთა, ქუჩებში დაყრილ საზოგადოებად. ჩვენ გვინატრავს ჭარბმოსახლეობის, შიმშილის, მაწანწალა ბავშვებისა და ა.შ. საშინელებებს... ამბობენ: დაფიქრდი იმაზე, როგორ გაგიბრაზდება ქმარი ან მეგობარი, როდესაც შენს ორსულობას შეიტყობს, მას შეუძლია, მიგაგდოს; კონტრაცეფცია მოგეხმარება, მრავალი ოჯახური პრობლემა გადაწყვეტო, გაათავისუფლებს მათგან, მოგცემს შესაძლებლობას, იყო შენი ცხოვრების ბატონ-პატრონი და თავად გადაწყვიტო შენი ბედი; რა თქმა უნდა, ღმერთს არ უნდა ჩვენთვის ცუდი, მაგრამ შენ ხომ მოგიწევს დღე და ღამე იშრომო, რათა გამოკვებო შვილები?..

ასეთია კონტრაცეფციის მომხრეთა მტკიცებები. ჩვენს დროში კონტრაცეფცია რაღაც კბილის პასტის მაგვარ რამედ აქციეს. სექსუალური ურთიერთობების შესახებ ნებისმიერ „წესიერ“ წიგნში არის თავი, რომელიც შეეხება არასასურველი ორსულობებისაგან თავის დაცვას. მაგრამ, მოდით, შევამოწმოთ, უძლებენ თუ არა კონტრაცეფციის მომხრეთა მტკიცებები სერიოზულ კრიტიკას? ამგვარად, განვიხილოთ კონტრაცეფციის დამცველთა არგუმენტები და იქვე გავაკეთოთ მათ შესახებ კომენტარები:

«ღმერთმა ადამიანს მისცა გონება, მაშასადამე, ყველაფერს, რასაც ადამიანი მოიგონებს, აქვს არსებობის უფლება»;

– მაგრამ გონება ხომ მხოლოდ ინსტრუმენტია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ასევე მოგვეცა სინდისი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფრის დაკანონება შეიძლება: ატომური ბომბის, საკონცენტრაციო

ბანაკების, ნარკოტიკების, სექსუალური გარყვნილების, სამხედრო პოლიტიკისა და ა.შ.

«ადამიანი იმდენად სუსტია, რომ, უბრალოდ, ვერ ეწინააღმდეგება თავის სექსუალურ სურვილებს»;

– მაგრამ მღვდლობის, ბერმონაზვნობის გამოცდილება ხომ საწინააღმდეგოს ამტკიცებს? ამას გარდა, თქვენს ნაცნობებს შორისაც ალბათ არიან მამაკაცები და ქალები, რომლებიც თავშეკავებას მისდევენ, მეტიც, ამას თავის საარსებო აუცილებლობად მიიჩნევენ. ისინი შრომობენ, ზოგიერთი მათგანი პატარა ბავშვების მომვლელია. ჩვენი თავშეუკავებელი სექსუალური სურვილი ხშირად ჩვენი უსაქმური, ზარმაცი ცხოვრების შედეგს წარმოადგენს და არა აუცილებელ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას, ისეთს, როგორიცაა ჭამა, სმა თუ სუნთქვა.

«მაგრამ სექსი ხომ აუცილებელია ოჯახის ბედნიერებისათვის? მეუღლეს არ შეიძლება სიახლოვეზე უარი ვუთხრათ»;

– მართალია, არ შეიძლება მეუღლეს საერთოდ უთხრათ უარი სიახლოვეზე, თუკი არა გვაქვს ამის მნიშვნელოვანი მიზეზი (მაგალითად, ავადმყოფობა). მაგრამ შენი ოჯახის ბედნიერების დაკავშირება თვეში სქესობრივი აქტების რაოდენობასთან არ არის სწორი. სქესობრივი აქტის შესახებ ასეთი წარმოდგენა ამახინჯებს ამ საიდუმლოსა და, მთლიანობაში, ქორწინების შინაარსს. სწორია მხოლოდ ის სქესობრივი აქტი, რომელიც არ ეწინააღმდეგება ღმერთის ნებას... იმის მიჩნევა, რომ კონტრაცეფცია ოჯახის ბედნიერებას შეუწყობს ხელს, საბედისწერო შეცდომაა. ფაქტები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ: განშორებათა რიცხვის ზრდა, ქორწინების გარეშე კავშირების გავრცელება და, საზოგადოდ, ადამიანის სქესობრივი ცხოვრების უარესობისკენ ცვლილება ჩვენი დროის თავისებურებას წარმოადგენს, რომელიც გამოიჩინევა სწორედ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების საყოველთაო გამოყენებით.

როგორია კონტრაცეფციის საწინააღმდეგო მოსაზრებები?

გაყოფის არაბუნებრიობა. ბედნიერი ადამიანი – ჰარმონიული ადამიანია, ხოლო ჰარმონია – ეს გრძნობის, აზრისა და ქცევის ერთობაა. როდესაც ადამიანი კონტრაცეპტივებს იყენებს, ის საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, რადგან ირჩევს სქესობრივი აქტისათვის მიზანს, რომელიც ნამდვილისაგან განსხვავდება. სქესობრივ აქტს აქვს

ორი ბუნებრივი ფუნქცია – მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა მეუღლეობრივ სიყვარულში და ბავშვის ჩასახვა. სქესობრივი აქტის განხილვა, როგორც საკუთარი სქესობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება – სიცრუეა საკუთარი თავის მიმართ, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსებას.

სქესობრივი აქტი – ესაა ქორწინების აღთქმის განახლება. ნამდვილი ქორწინება მხოლოდ იქ არის, სადაც ქმარი და ცოლი თავის ცხოვრებას მთლიანად ღმერთს ანდობენ. კონტრაცეფცია ეწინააღმდეგება ადამიანის პიროვნებისა და სქესობრივი აქტის, როგორც ქორწინების აღთქმის განახლების, სიღრმისეულ ერთიანობას. როდესაც არ არის ღმერთისადმი ნდობა, მაშინ არ არის ქორწინებაც და, მაშასადამე, არ არის სქესობრივ აქტზე კურთხევა. სქესობრივი აქტი კონტრაცეპტივების გამოყენებით თვით ქმარსა და ცოლს შორის მრუშობას წარმოადგენს.

„რომელიც ღმერთთან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“ (მარკოზი, 10,9). ხშირად სქესობრივ აქტს ღიმილით „მეუღლეობრივ ვალდებულებას“ უწოდებენ, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა. მეუღლეებმა უნდა მისდიონ იმ მიზანს, რომელიც ღმერთმა სქესობრივი აქტის საიდუმლოებაში ჩადო. ღმერთმა დაადგინა კავშირი სქესობრივ აქტს, მეუღლეობრივ სიყვარულსა და ბავშვის დაბადებას შორის. კონტრაცეფცია განყოფს იმას, რაც ღმერთმა ერთიანობაში შეაკავშირა და ამიტომ ეწინააღმდეგება ღმერთის ჩანაფიქრს ადამიანის სექსუალობის, სიყვარულისა და ქორწინების შესახებ. ყველაფერ იმას კი, რაც ეწინააღმდეგება ღმერთის ჩანაფიქრს, ნეგატიური შედეგები მოსდევს.

**საშინელი კარადოქსი
ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები
ბაცვილებით მებ სიცოცხლეს სკობს,
ვიდრე – აბორტი**

ამ საშუალებათა დამამზადებელი ფარმაცევტები და პრაქტიკაში გამტარებელი ექიმები მალავენ მათ ნამდვილ მოქმედებას. აქ თვით დასახელება – „ჩასახვის საწინააღმდეგო“ უკვე შენიღბულია. ამ საშუალებათაგან არც ერთს არ ძალუძს ჩასახვისაგან დაცვის სრული გარანტიის მოცემა, ამიტომ ისინი ნაყოფის მოკვდინებისაკენ არის

მიმართული. ამგვარ საშუალებათა უმრავლესობას საერთოდ არ აქვს უშუალო კავშირი ჩასახვასთან და პირდაპირ ცოცხალი ემბრიონის მკვლელობაზეა გათვლილი – უმეტეს შემთხვევაში ისინი წამლავენ ემბრიონს. რაც შეეხება ე.წ. „სპირალს“, აქაც იგივე ტყუილია: სპირალი ჩასახვას კი არ ეწინააღმდეგება, არამედ უკვე განაყოფიერებული უჯრედის – ემბრიონის მოძრაობას. ქრისტიანული ანთროპოლოგიის ერთი რომ ვთქვათ, აქ ხდება უკვდავი სულის მქონე ადამიანის მკვლელობა, რომელსაც ფიზიკური სხეული ჯერ არა აქვს განვითარებული. ის მოკლებულია იმ გარემო პირობებს, რომელიც აუცილებელია მისი განვითარებისთვის და რამდენიმე დღეში კვდება. თუკილა ემბრიონი სპირალის მიუხედავად მაინც შეაღწევს დედის სხეულში, მაშინ სპირალი სწორედ იმისთვის არის, რომ გაკვეთოს იგი და უკუაგდოს. ხდება მკვლელობა, რომლის შესახებაც შესაძლოა, ქალმა არაფერი იცოდეს. მის სხეულში მექანიკური ან ქიმიური გზით ხდება ცოცხალი ორგანიზმის მოკვლევა და შემდეგ – მენსტრუაციასთან ერთად მისი ორგანიზმიდან განდევნა. ამიტომ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებანი, უმეტეს შემთხვევაში, მინიაბორტია და სხვაგვარ მკვლელობათაგან არაფრით განსხვავდება (ნიშანდობლივია, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა დანერვის იდეოლოგიები და თავკაცები, უმეტესად, უღმერთო და ურწმუნო ადამიანები არიან, რაშიც მათი ტელესაუბრების მოსმენის დროს არაერთხელ დავრწმუნდით – ა.უ.)

ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებანი გაცილებით მეტ სიცოცხლეს სპობენ, ვიდრე – აბორტი. ასეთ საშუალებათა გამოყენების დროს, წელიწადში, საშუალოდ, რამდენიმე ჩასახვა ხდება, შესაბამისად, რამდენიმე მკვლელობა ხორციელდება. სამწუხაროდ, ქალთა უმრავლესობას არ ესმის, რომ, როცა ისინი სპირალს იძენენ, უკვე საკუთარ შვილთა პოტენციური მკვლელები ხდებიან. ეკლესია თუმცა კრძალავს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, მაგრამ ზოგიერთი სასულიერო პირი მათი ზემოქმედების მექანიზმში ვერ ერკვევა. მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის ცოდვა, მაგრამ მკვლელობისა და სისხლისღვრის გარეშე და ამ ფაქტს უყურებენ, როგორც ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ისეთ მკაცრ რეალობას, რომელსაც გამოსავალი და ალტერნატივა არა აქვს. ამიტომ ყოფილა შემთხვევები, როცა მოძღვრები თავიანთ სულიერ შვილებს ჩასახვის საწინააღმდეგო

საშუალებათა გამოყენების უფლებას აძლევდნენ და ამასთან აზიარებდნენ კიდევ. ე.ი. აღსარებისა და ზიარების დროს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებისაგან ქალის წიაღში შესაძლებელია ხდებოდეს ტანჯვა-წამებით მისი შვილის მკვლელობა. **ზიარების დროს მკვლელობა.** . . ეს ჩვენი თანამედროვე სულიერი ცხოვრების საშინელი პარადოქსია!

არქიმანდრიტი რაფაელი.

* * *

კონტრაცეპტივების აპოლოგეტები ცრუობენ, როდესაც ამტკიცებენ, თითქოს მხოლოდ მცირე რეოდენობის პრეპარატები ავლენენ აბორტულ ეფექტს. სინამდვილეში 100%-ანი კონტრაცეპტიული მოქმედება არც ერთ პრეპარატს არ აქვს. ამიტომ აბორტული ეფექტი, მეტ-ნაკლებად, ყველა კონტრაცეპტულ პრეპარატს ახასიათებს.

3. ქირურგიული სტერილიზაცია

ქირურგიული სტერილიზაცია ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. ყოველწლიურად მას მიმართავს ასეულ მილიონობით მამაკაცი თუ ქალი. მეთოდი მეტად ეფექტურია შობადობის შემცირებისთვის, მაგრამ ახასიათებს შეუქცევადი კონტრაცეფცია – როგორც წესი, სტერილიზებული შობადობის უნარს ვეღარ აღიდგენენ.

უფრო გავრცელებულია ქირურგიული ჩარევა ლაპარასკოპის გამოყენებით.

4. აბორტის ცოდვის უმსახეობა

ეს ქვეთავი გვინდა, მღვდელ ალექსანდრე ზახაროვის ამ თავის ბოლოს მოყვანილი სიტყვით დავიწყოთ. ის ამბობს:

„ძვირფასო ძმებო და დებო, ის, რასაც ახლა ვიტყვი, მე არ მომიგონია და მე არ შემითხზავს. ყველა აზრი, და ხშირად თვით სიტყვები, რომლებსაც ახლა თქვენ გეტყვით, სხვადასხვა ადამიანს ეკუთვნის: ზოგიერთი – ამერიკელ ექიმს (წარსულში მეან-გინეკოლოგს), ბერნარდ ნატანსონს, ზოგიერთი – პარიზის უნივერსიტეტის პროფესორს (უჯრედის გენეტიკის სფეროს

სპეციალისტს), ფრანგ იერონიმ ლეჟენს, ზოგიერთი – თესალონიკის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორს, ბერძენ მანტიტაქსისს, ბევრი – ბერძენ არქიეპისკოპოსს, ნიკოპოლსკის მიტროპოლიტ მელეტის, მოსკოველ მამებს: დეკანოზ დიმიტრი სმირნოვს, მღვდელ არტემ ვლადიმეროვს, სხვა ადამიანებს. ჩემ წილად მხოლოდ მათი გაერთიანება დარჩა და, შეძლებისდაგვარად, შეკუმშული სახით გადმოცემა იმისა, რაც უკვე ცნობილია და რაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით ითქვა. უფალო, დაგვლოცე“.

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ჩვენც იგივე ამოცანა ვიტვირთეთ, ნაკლებად შეგაწუხებთ ჩვენი მოსაზრებებითა და სიტყვებით. ჩვენც ძირითადად იმ ცოდნასა და გამოცდილებას შეგვკრებთ და გადმოგცემთ, რაც დაგროვილია ღვთისნიერი და გონიერი ადამიანების მიერ. მამ ასე, დავიწყეთ.

ძველ დროშიც აბორტი, როგორც ასეთი, არსებობდა. მის შესახებ საუბრობს არისტოტელე, ჰიპოკრატე, ოვიდიუსი. ძველმა ისრაელელებმაც, რა თქმა უნდა, იცოდნენ აბორტის შესახებ. ეს ცოდნა მხოლოდ ბერძნულ ცივილიზაციაში არ იქნებოდა გავრცელებული, იქნებოდა იმ ხალხებშიც, რომლებიც უშუალოდ პალესტინის გარშემო ცხოვრობდნენ. ამის მიუხედავად, წმინდა წერილში ხელოვნური, წინასწარ განზრახული აბორტის შესახებ არ იხსენიება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ძველ ისრაიტელს თავისი შთამომავლობის ამ საშინელი გზით მოშორება თავშიც კი არ მოუვიდოდა.

ბიბლიაში სრულიად ნათლად და არაორაზროვნად არის გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანის ცხოვრება იწყება არა მისი დაბადებიდან, არამედ – მისი ჩასახვიდან:

„ასე ამბობს უფალი, შენი შემქმნელი და შენი გამომსახველი, რომელიც შეგეწევა შენ დედის საშოში“ (ესაია 44:2);

„რამეთუ... შემიწყნარე მე დედის მუცლით ჩემითგან“ (ფს. 138:13-14);

„ვიდრე მუცელში გამოგსახავდი, გამოგარჩიე, ვიდრე საშოდან გამოხვიდოდი, წმინდა გყავი“ (იერემია 1:5);

იოანე ნათლისმცემლის შესახებ: „სულითა წმიდითა აღივსოს მიერვე დედის მუცლით მისითგან“ (ლუკა 1:15);

პავლე მოციქული ამბობს: „ხოლო რაჟამს სათნო-იყო ღმერთმან, რომელმან გამოძირჩია მე დედის მუცლით ჩემითგან“;

მაცხოვარსა და იოანე ნათლისმცემელს სახელები მათ დაბადებამდე დაარქვეს (ლუკა 1, 13, 31). ქართულ ენაში ფენმძიმე ქალს ორსულიც ეწოდება, ანუ ორი სული, – დედა და ჩასახული ბავშვი, – რითაც ზედმიწევნით ზუსტადაა ასახული მოყვანილი ბიბლიური ცოდნა.

ეჭვი არ არის, წმინდა წერილი ნათლად ამბობს, რომ ადამიანის სიცოცხლე მისი ჩასახვიდან იწყება და, შესაბამისად, აბორტი, ნაყოფის რომელი ასაკისთვისაც არ უნდა გაკეთდეს, მკვლელობაა. მცნება „არა კაც ჰკლა“, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, დაუბადებელ ბავშვებსაც გულისხმობს.

„წყეულ იყავნ, რომელმან გუემოს მოყვასი ზაკვით და თქვას ყოველმან ერმან: იყავნ! წყეულ იყავნ, რომელმან მოიღოს ქრთამი მოკვლად სულისა მართლისა. და თქვას ყოველმან ერმან: იყავნ! (2 სჯულ. 27:24,25).

აი, რა უნდა გააკეთოს ქრისტიანმა, როდესაც მის გვერდით დაუბადებელ ბავშვებს ჰკლავენ: „ისხენი საკვდავად წარყვანილნი და დაიფარე დასახოცად განწირულნი“ (იგავნი სოლომონისა 24:11)

ბავშვთა კვლის ცოდვა მშობლებს ღმრთის მაღლისაგან განაშორებს. ძველად ასეთი ქმედებისათვის დედას, მკვლევების მსგავსად, 20 წლით განაშორებდნენ ეკლესიას.

რადგან დაუბადებელ ადამიანს, ისევე როგორც მოზრდილს, თავისი უკვდავი სული აქვს, ამიტომ სიკვდილის შემდეგ მშობლები შეხვდებიან მათ მიერ მოკლული შვილების სულებს.

მეცნიერული დასკვნა

„თანამედროვე ბიოლოგიის (გენეტიკისა და ემბრიოლოგიის) თავლსაზრისით ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ინდივიდუმის, სიცოცხლე მამაკაცისა და ქალის სასქესო უჯრედების ბირთვების შეერთებისა და ერთიანი, განუმეორებელი გენეტიკური მასალის მომცველი ბირთვის წარმოქმნისთანავე იწყება.

მუცელში მთელი თავისი განვითარების მანძილზე ადამიანის ახალი ორგანიზმი არ შეიძლება დედის სხეულის ნაწილად ჩაითვალოს. იგი არ შეიძლება გაავივივოთ დედის ორგანიზმის რომელიმე ორგანოსა თუ ორგანოს ნაწილთან. ამიტომ, ცხადია, რომ ორსულობის

ნებისმიერ სტადიაზე აბორტი არის ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ინდივიდუუმის, სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა.

/ხელმოწერები/

მ.ვ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელწიფო
უნივერსიტეტის ემბრიოლოგიის კათედრის გამგე,
პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ვ.ა. გოლიჩენკო

ემბრიოლოგიის კათედრის პროფესორი
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

დ.ვ. პოპოვი

03.09.1993წ.

იცით თუ არა თქვენ, რომ

ჩასახვიდან მე-18 დღეს უკვე შეიგრძნობა ჩანასახის გულისცემა და ამოქმედდება განსაკუთრებული, მისი საკუთარი სისხლის მიმოქცევის სისტემა.

მე-7 კვირისათვის დაუბადებელ ბავშვს ტვინისეული იმპულსები აღენიშნება. მას აქვს ჩამოყალიბებული შიდა და გარე ორგანოები, თვალეები, ცხვირი, ტუჩები, ენა.

მე-12 კვირისათვის, როდესაც კანონმდებლობით ნებადართულია აბორტი, ყველა ორგანო ჩამოყალიბებულია და დარჩენილია მხოლოდ მათი განვითარება. ბავშვი უკვე აბრუნებს თავს, კრავს მუშტს, ცვლის სახის გამომეტყველებას, პოულობს პირს და წოვს თითს.

აბორტი – ერთადერთი ოპერაციაა, რომელიც ავადმყოფობის გარეშე კეთდება და ჯანმრთელობისათვის ზიანი მოაქვს. ორსულობის ნებისმიერ ეტაპზე იგი წარმოადგენს ბავშვის მკვლელობას და, როგორც ყველა ცოდვას, მასაც მოსდევს დიდი განსაცდელეები, პირადი თუ ოჯახური ტრაგედიები. მისი შედეგია ავადმყოფობა, ზოგჯერ კი – ქალის სიკვდილი. რადგან ორსულობის პირველი წამებიდანვე მომავალი დედის ორგანიზმი ბავშვის შენარჩუნებისთვის განეწყობა, აბორტი წარმოადგენს უმძლავრეს ბიოლოგიურ ტრავმას. იგი მავნე დარტყმას აყენებს ყველა ორგანოს. სისხლდენა, საშვილოსნოსა და საშვილოსნოს ყელის ტრავმა, პერიტონიტი, სისხლის მოწამლვა, საკვერცხეების, საშვილოსნოს, სარძევე ჯირკვლების ანთებითი და

ონკოლოგიური დაავადებები, მძიმე ფსიქიკური ტრავმა (პოსტაბორტული სინდრომი) – აი, არასრული გართულებების ჩამონათვალი. აბორტის შედეგები შეიძლება იყოს: უშვილობა, საშვილოსნოს გარე ორსულობა, მუცლის მოშლა, ადრეული მშობიარობა, სუსტი და ავადმყოფი ბავშვების დაბადება.

როცა აკეთებს აბორტს ორსულობის შეწყვეტის მიზნით, ექიმი ორჯერ არღვევს ჰიპოკრატეს ფიცს: ჯერ ერთი, ჰიპოკრატეს ფიცი პირდაპირ უკრძალავს მას ამგვარ მოქმედებას, მეორეც, ირღვევა მედიცინის პირველი მცნება – „არ ავნო“.

ამონარიდი ტექსტიდან ექიმ ბერნარდ ნატანსონის ფილმისადმი „უხმო ყვირილი“

ჩვენი ფილმი დოკუმენტურია და გაძლევთ რჩევას, რათა მისი ჩვენებისას დაიცვათ სიფრთხილე, რადგან ზოგიერთმა კადრმა შეიძლება შოკი გამოიწვიოს: უხმო ყვირილი, სახის დამანჭვა ბავშვისა, რომელიც ჩვენ თვალწინ (მუცელში, აბორტის კეთების დროს - ა.უ.) კვდება...

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ კითხვა იმის შესახებ, არის თუ არა ემბრიონი სულიერი ადამიანი, თავისი არსით ერთადერთი პიროვნება, რწმენის საკითხს წარმოადგენდა. დაუბადებლის მიმართ დამოკიდებულება 70-ან წლებში შეიცვალა, როდესაც ნაყოფის შესწავლა მეცნიერებმა დაიწყეს და შეიქმნა უახლესი ტექნოლოგიები, როგორცაა: ულტრაბგერები, ემბრიონის გულის ელექტრონული კონტროლი, რადიაციული იმუნოქიმია და სხვ. ულტრაბგერითი მოწყობილობა იმდენად ზუსტად მუშაობს, რომ საშუალებას იძლევა, გავარჩიოთ თვით ერთი ციკქნა გულის სარქველები, რომლებიც გულის ძგერის დროს იღება და იხურება. მისი საშუალებით ჩვენ პირველად დავინახავთ აბორტს მისი მსხვერპლის თვალებით. ჩვენი ულტრაბგერითი ჩანაწერი გვიჩვენებს, აბორტის კეთების დროს, როგორ გლეჯენ, სერავენ, ანაწევრებენ, აქუცმაცებენ და ანადგურებენ ბავშვს ექიმის ცივი ლითონის ინსტრუმენტებით...

ახლა ჩვენ ეკრანზე ვხედავთ 12 კვირის ბავშვის ულტრაბგერით გამოსახულებას დროის რეალურ მაშტაბში. აი, მისი თავი, მისი სხეული. აი, ეს – ხელია, რომელიც პირისკენ აქვს გაწვდილი. თუ

გამოსახულებას ახლოდან დავათვალიერებთ, გავარჩევთ თვალებს, პირს და თვით ტვინის ღრუს, შევსებულს ტვინით. ეს ღრუბლისმაგვარი ქსოვილი არის პლაცენტა. აი, აქ, ქვემოთ, ეკრანის განაპირას – ფეხებია. ჩვენ ვხედავთ, როგორ ფეთქავს გული, რომელიც წუთში 140 დარტყმას აკეთებს. ბავშვი დროდადრო იცვლის განლაგებას. მისი მოძრაობები მშვიდია, ის დაცულ სივრცეში იმყოფება.

ჩრდილი, რომელიც ახლა გამოჩნდა ქვევით, ეკრანის საზღვართან, – სპეციალური ვაკუუმური ინსტრუმენტია, ვაკუუმური მილით დაკავშირებული ელექტროდგუშთან, რომლის შეწოვის წნევა, დაახლოებით, სინდიყის 55 მმ-ის ტოლია. თქვენ დაინახავთ, როგორ მიუახლოვდება ინსტრუმენტი ბავშვს და ის შეეცდება, გაიწიოს მისგან და დაიწყებს აქტიურ, პანიკურ მოძრაობებს.

ახლა ის მიზანმიმართულად მოძრაობს. მართალია, ჯერ ინსტრუმენტი ბავშვს არ შეხება, ის კი უკვე ძალიან აღვზნებულია, პირი გაღებული აქვს. ეს კადრი ჩვენს ფილმში კიდევ გამეორდება... ვაკუუმური ინსტრუმენტი ეხება ბავშვს და ის უხმო ყვირლით ისევ ადებს პირს.

ახლა მისი გული უფრო სწრაფად ძგერს. ის თავისი უსაფრთხოების ხელყოფის საფრთხეს გრძნობს, გვერდით იწევს, საშვილოსნოს მარცხენა მხარისკენ, თანაგრძნობის გამოძწვევი მცდელობით ცდილობს, დაემალოს ულმობელ ინსტრუმენტს, რომლითაც ექიმი მის მოკვლას აპირებს. გულისცემა კიდევ უფრო ხშირდება და უკვე წუთში 200-ს აღწევს. ბავშვი უდავოდ გრძნობს სიკვდილის საფრთხეს...

ნაყოფის დამცავი აფსკი გარღვეულია, ნაყოფის მომცველი სითხე დაიღვარა, ინსტრუმენტმა შეიწოვა ბავშვის სხეული და მოსწყვიტა იგი თავს. ფეხები უკვე აღარ არის. ჩვენ ვხედავთ ინსტრუმენტის მოძრაობას, რომელიც გლეჯს სხეულს. უარყოფითი წნევის მთელი ძალა ბავშვის წინააღმდეგაა მიმართული... სხეული განადგურებულია. ახლა ექიმს სხვა ინსტრუმენტი შეჰყავს, აბორცანგი, რათა ძლიერად მოსჭიდოს თავს, გაჭყლიტოს იგი და გამოიღოს საშვილოსნოდან... ჩვენ მხოლოდ ქსოვილის ნაწილები და ნაფლეთები შეგვიძლია დავინახოთ, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ცოტა ხნის წინ აქ უსუსური, ერთი ციდა ცოცხალი ადამიანი იყო...

მაპატიე, ღმერთო

დაახლოებით ასი წლის წინ თ. დოსტოვესკი წერდა უმანკო ჩვილის პაწაწა ცრემლზე, რომლისთვისაც იგი და მისი გმირი მზად იყვნენ მსოფლიო ჰარმონიაზე ეთქვათ უარი. თუ დავუფიქრდებით, ცხადი გახდება: ის, რომ ამჟამად ჩვენს მიწაზე ყოველდღიურად ათასობით ჩვილს კლავენ, ვინც ამქვეყნად დაბადება ვერ მოასწრო, მკვლელების დანებით მათ სხეულებს კუწავენ და ისე კლავენ, წარმოადგენს ყოველგვარი რღვევის, ტრაგედიებისა და იმ არეული დროების მთავარ მიზეზს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ყოველი ასეთი ჩვილის უხმო ყვირილი ზეცას აღწევს და ბოროტებისათვის სამაგიეროს გადახდას ითხოვს.

როცა მომავალი ადამიანის სხეული ჩაისახება, ღმერთი ჩვენთვის შეუცნობლად ქმნის უკვდავ, ღმრთის მსგავსი ადამიანის სულს. ამიტომ ჩასახვა ნამდვილი საიდუმლოა. ეკლესია განსაკუთრებული დღესასწაულებით აღნიშნავს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, იოანე წინამორბედის ჩასახვას. გადავშლით ბიბლიას და მასში ვპოულობთ ასეთ სიტყვებს: „შენ, ღმერთო, იფარავ ყრმებს“. ღმერთი არა მარტო ქმნის ჩვილების სულსა და სხეულს, არამედ ყოვლადბრძნად ზრდის ნაყოფს დედის მუცელში, ამზადებს მას ამქვეყნად მოვლინებისათვის. თვით ადამიანის არსში, დედის სულსა და გულში ჩადებულია ინსტიქტი, ანგარიშმიუცემელი სწრაფვა ყველაფერ იმის კეთებისაკენ, რაც მხოლოდ ბავშვის შენარჩუნებასა და მუცელში ზრდას ემსახურება. და, ამ ინსტიქტის შესაბამისად, იგი, დედობის სამსახურისთვის, თავისი ძალების გამოთავისუფლებას იწყებს.

მაგრამ თანამედროვე ადამიანმა დაამაზინჯა ღმრთის ჩანაფიქრი ადამიანის შესახებ. თვით ცხოველთა სამყაროში, უტყვე და არაგონიერ არსებათა სამყაროში, ჩვენ ვერ ვხვდებით ვერაფერს იმის მგავსს, რაც ამჟამად ჩვენს ცოდვილ მსოფლიოში, ჩვენს ცოდვილ და გარყვნილ გულებში ხდება. განვეშორეთ ღმერთს, გავუუცხოვდით სარწმუნოების, იმედისა და სიყვარულის სინათლეს და ჩვენ, ადამიანებმა, გონებადაკარგულებმა, დემონურ სიამაყეს, ეგოიზმს, თავის მოყვარებას დამონებულებმა, ღმრთის მიერ დადგენილი მეუღლეობა, რომელიც ადამიანის მოდგმის გაგრძელებისათვის მოგვეცა, სასჯელის სისრულეში მოსაყვან ადგილად, სისხლიან სასაკლაოდ გადავაქციეთ. ისიც საშინელებაა, რომ ჩვენ, რომლებიც ვესწრაფვით, დავტკბეთ ბედნიერებით, ვიხაროთ ცხოვრების სისავსით, ჩვენ, შეუძღვარი დედები

და მამები, შევთანხმდით და აღვდექით, მთელი ჩვენი მომაკვდინებელი ბრაზი მიემართეთ ჩვენი სისხლის, ღმრთის მიერ ჩვენთვის ნაჩუქარი ბავშვებისაკენ. თვით ციცერონს, ჩვენს შემხედვარეს, არ ეყოფოდა გამბედაობა, წარმოეთქვა თავისი ცნობილი გამოთქმა: „O tempora, o mores“, – „ო, დრონი, ო, ზნე-ჩვეულებები“, – იმიტომ, რომ ასეთი საშინელი დროები არ იყო თვით ყველაზე ბნელ და უღმობელ წარმართულ ეპოქებში.

ეს დაქცევა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ ხდება, რომ ჩვენ დავივიწყეთ სიტყვები, რომლებიც გადმოვიდა უფლის ბაგეთაგან ადამისა და ევასათვის. – სიტყვები, რომელიც ყოველი მეუღლეობრივი კავშირის საფუძველს ქმნის: „ინაყოფეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა და დაეუფლეთ მას“ (დაბ. 1:28). გონიერი ადამიანის თვალსაზრისით მეუღლეობა არ არის ვნებიანი სიამოვნება, გარყვნილება, ის არ ამებს ხორცს, არამედ მეუღლეობა – ეს ჭეშმარიტი მსახურებაა, რომელზედაც სიძესა და პატარძალს თავად ღმერთი დაადგენს. მეუღლეობრივი სიყვარული არ არსებობს თავისთავად, ქრისტიანისათვის იგი წარმოდგენილია მოყვარული ქმრისა და ცოლის სულიერი და მშვიდგონებელი შეერთების გარეშე. სხეულებრივი სიყვარული განსპეციალებულია ღმრთის ერთგულების სინათლით, რომელმაც თქვა: „ცოლი შეილთასხმით ცხონდება...“ მეუღლეობაში ხორციელი სიყვარული შექმნადობის ამოცანას ემსახურება. ის მოგვეცა არა როგორც თავისთავადი, არამედ შეილთა გამო, რომლებიც ღმრთის სასწაულებსა და ღმრთის კურთხევებს წარმოადგენენ.

წმინდა დედა ეკლესია, რომელიც ქორწინების საიდუმლოში მეუღლეობრივ მსახურებას განანათლებს, ჩვენთვის კურთხეული შთამომავლობის მონიჭებისათვის ლოცულობს. და რა საშინელია მღვდლისათვის, როდესაც მასთან აღსარებაზე მოდის ქალი და ამიშვლებს ამ საშინელ, სისხლმდინარე და მოუშუშებელ წყლულს – აღიარებს არა ვინმე სხვისი, არამედ საკუთარი, ღმრთის მიერ ნაჩუქარი შეილის მკვლელობას. ასეთი ქალის ხელები და გული სისხლით არის მოსვრილი, რომელიც, საკუთარი ძმის მიერ მოკლული აბელის სისხლის მსგავსად, ზეცას შეჰღალადებს.

ძველი საეკლესიო კანონები ტაძრიდან, წმინდა ზიარებიდან განაყენებდნენ ქრისტიან ქალს, რომელიც ბავშვთაკვლას გაბედავდა. მთელი ცხოვრება ის სტოაში უნდა მდგარიყო, ვერ ბედავდა ღმრთის

ტადარში შესვლას, მორჩილად მტირალი ევედრებოდა ყველა შემსვლელს, ღმრთისა და ღმრთისმშობლის წინაშე ეშუამდგომლა მისი ცოდვების მოტევებისათვის. მხოლოდ სიკვდილის სარეცელზე მწოლიარეს, მონანულ ცოდვილს, ღმრთის გამოუთქმელი წყალობის იმედით, ქრისტეს წმინდა ნაწილებთან მიახლების ნება ეძლეოდა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ, როდესაც ადამიანებში ღმრთისმოსაობამ იკლო, ხოლო ადამიანურმა უძღურებამ იმატა, წმინდა მამებმა მკვლელი ღმრთისათვის თხოუმეტი წლით განყენება დაადგინეს. ასეთები ყველაზე მკაცრი კანონით ინანიებდნენ და ათეულ წლობით თავს ბარძიშთან – ამ მარადიული ცხოვრების წყაროსთან – მიახლების ღირსად არ მიიჩნევდნენ.

უმრავლესობა იმათგან, რომლებიც ამჟამად აღსარებაზე მოდიან, მღვდელთან შეხვედრამდე უკვე აცნობიერებენ ჩადენილის საშინელებას. რადგან თვით ცხოვრება, შერყეული ჯანმრთელობა, ყველანაირი ქალური დაავადებები – ბავშვთა კვლისათვის სამართლიანი საზღაური, ხშირად უკვე ჯანმრთელი ბავშვების შობის შეუძლებლობა, უბედურებები, რომლებიც თავს ატყდებოდათ აბორტის შემდეგ დაბადებულ ბავშვებს, – ეს ყოველივე ღმრთის სინდისში ზარივით რეკავს და აიძულებს მას, რაც შეიძლება მალე გაშალოს ბავშვთა კვლით გამოწვეული სულიერი წყლული აღსარებაზე. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც მღვდელი ქალს აბორტის შესახებ ეკითხება, ასეთ პასუხს ისმენს: „ვინ იცის, რამდენი იყო. როგორც ყველას, ექვსი-რვა ცალი“. ესაა სულის სიკვდილი, როდესაც მკვლელი დედა საკუთარ შვილებს, რომლებსაც ღმრთის ტახტთან მდგომარე შეხვდება და რომლებიც მას ღმრთის წინაშე ამხელენ, – ბავშვებს ცალობით ასახელებს. ჩვენდა სამწუხაროდ, ხანდახან ქალები, რომლებიც გაუგებრობით მოვიდნენ აღსარებაზე, ეკამათებიან მღვდელს: „რა, სიღარიბე ვამრავლოთ, თუ რა?..“. თუ ქალს არ უნდა დედობა ან კაცს მამობა, მაშინ მათ სინდისი უკრძალავს, მიმართონ მეუღლეობრივ სარეცელს. ნებისმიერი კომპრომისი, რომელსაც ჩვენს სინდისთან დავუშვებთ, მტკივნეულად აისახება სულზე და ქალი, რომელმაც იცის მეუღლეობრივი საიდუმლო, მაგრამ არ იცის ნაყოფი, ყოველთვის იგრძნობს გულში ბზარს, თავს უღირსად მიიჩნევს, რომ შემოქმედის ნათელ სახეს შეხედოს. მაგრამ ხანდახან მღვდელმსახურს ეძლევა სიტყვები, – ხოლო ღმრთის გული ქვა როდია – რომ

განაშოროს ქალს სიბრძავე და მძვინვარება, რათა მან ღვთიური სიმაღლის სინათლეში თავისი ჩადენილი უკანონობის მთელი სიღრმე და სიდიდე დაინახოს.

თუმცა მხოლოდ ცოლებს ნუ დავადანაშაულებთ. აბორტის ცოდვაში იმავე ზომით დამნაშავეები არიან ქმრები, რომლებმაც ჩასახეს დაუბადებელი ბავშვები. ამიტომ ყველა ქრისტიანი, რომლის მეუღლემაც მუცელში საკუთარი შვილი ააკუწინა, თუკი იგი ყველა ღონითა და საქმით არ ცდილობდა, თავიდან აეცილებინა გამოუსწორებელი დანაშაული, თავს ამ ცოდვის თანამონაწილედ უნდა თვლიდეს.

ადამიანურად რომ ვთქვათ, ამ ცოდვის მიტევება შეუძლებელია. მხოლოდ ღმერთს, რომელიც ჩვენ ჩვენი მრავალი და საშინელი ცოდვით ჯვარს მივაღურსმეთ, მხოლოდ ერთარს ღმერთს, ძლიერებით შეუძლია თავისი ცხოველმყოფელი სისხლით მოხანოს ეს საშინელი – ალბათ ყველაზე საშინელი – ადამიანური ცოდვა.

ყოველმა ქალმა, რომელიც ინანაიებს ან თავისი ახალგაზრდობის, ან სისუსტის, გაუთვითცნობიერებლობის, ახლობლების ზეწოლის, ან სულის დაბნელების გამო ჩადენილ ცოდვას, უნდა იცოდეს, თუ როგორ მოინანიოს იგი, რათა ღმერთმა მიუტეოს და დაუამოს, რათა პირი შეკრას სულში საშინელმა, გახსნილმა ჭრილობამ. პირველ რიგში, როცა შევიგრძნობთ ჩადენილის ველურობასა და უღმერთობას, ფიქრებით უარი უნდა ვთქვათ ამ ცოდვაზე, მისი კვლავ ჩადენის შესაძლებლობაზე. ამასთან, უნდა განვიკითხოთ მხოლოდ საკუთარი თავი და არა ახლობლების გაერთიანებული ძალისხმევა, რომლებიც ჩვენი შვილის მკვლელობისკენ გვიბიძგებდნენ. მეორე რიგში, ჩადენილი ცოდვა დიდი სინანულით უნდა ვთქვათ აღსარებაზე, დავასახელოთ მოძღვართან, რამდენი დაუბადებული შვილია ჩვენს სინდისზე, სინანული გვქონდეს მუცლის უნებური მოშლის (ამ ცოლქმრული ცხოვრების უბედურების) გამოც, რომელიც ხშირად განპირობებულია ან წინამორბედი აბორტებით, ან ბავშვის შენარჩუნების სურვილის არქონით. როცა მოვინანიებთ მართლმადიდებლურ ტაძარში ჯვრისა და სახარების წინაშე ამ ცოდვას, ჩვენ მივიღებთ მოძღვრისაგან ეპიტემიას, მონანულთა კანონს, რომელიც უნდა შევასრულოთ მთელი გულმოდგინებით, რათა სულმა, უკანონობათაგან დასახინჩრებულმა, მოიპოვოს შესაძლო სიმრთელე და სისუფთავე.

მღვდელი არტემ ვლადიმეროვი
(იბეჭდება მცირედი შემოკლებით)

სიტყვა აბორტის შესახებ

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!
„აბორტი“, „ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა“, – რა დგას ამ სიტყვების უკან?

თანამედროვე ადამიანებმა ისწავლეს საშინელ, თავისი არსით საზარელ საგნებს გლუვი, მოკვერცხილი სახელები უწოდონ და ამით, რაღაცნაირად, დაფარონ, დამალონ მათი საზარელი შინაარსი.

წარმოიდგინეთ გამოთქმა: „გულის მუშაობის ხელოვნური შეწყვეტა“, – რას უნდა ნიშნავდეს ასეთი გამოთქმა? რომელიღაცა ბანდიტმა დაკლა ადამიანი, გულში გაურჭო დანა – და ზის განსასჯელის სკამზე. მას ეუბნებიან: „კი მაგრამ, რა ჩაიდინე? შენ ხომ ადამიანი მოკალი!“ ის კი პასუხობს: „არა, მე არ მომიკლავს. მე მხოლოდ ხელოვნურად შევაჩერე მისი გულის მუშაობა“...მას ეუბნებიან: „მაგრამ ის ხომ მოკვდა!...“ ის კი პასუხობს: „დიახ, მოკვდა. და რა? მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. ის რომ ცოცხალი დარჩენილიყო, ხელს შემიშლიდა, მეცხოვრა...“

ეს ხომ ყველაზე გავრცელებული მიზეზია, რომელიც ქალებს აბორტისაკენ უბიძგებს: ბავშვები ცხოვრებაში შეგვიშლიან ხელს, ეს ტვირთია, ზედმეტი პრობლემები, გვსურს, სიამეში ვიცხოვროთ.

კაცებიც უფრო ხშირად ამ „ლონისძიებაზე“ თავიანთ ცოლებს იმავე მიზეზით უშვებენ: სიამეში უნდათ ცხოვრება. მაგრამ „სიამის“ ნაცვლად, ხშირად, მთელი მათი შემდგომი ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცევა: უკვე დაბადებული შვილები ურჩობენ, ახალშობილები ავადმყოფები იბადებიან, მშობლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები უჩნდებათ, იწყება ოჯახური უთანხმოებები, შორდებიან... ყველაფერი ეს უბრალოდ ხდება? არა, – არ ხდება უბრალოდ!

დოსტოევსკის ერთი გმირი ამბობდა, რომ თუკი დედამიწაზე სამოთხის შესაქმნელად ერთი უცოდველი ჩვილის პაწია ცრემლი იქნება საჭირო, – ერთადერთი პაწია ცრემლი! – მაშინ მას ასეთი სამოთხე არ სჭირდება. და იგი მართალი იყო, რადგან ეს უკვე არ იქნება სამოთხე. შეუძლებელია, აამენო სამოთხე, საკუთარი ბედნიერება,

კმაყოფილება და კეთილდღეობა ვინმეს ცრემლებზე, ტანჯვაზე, ვინმეს სიმწარეზე... აქ ხომ თვით „პაწია ცრემლზე“ არ ვსაუბრობთ – ვსაუბრობთ სისხლზე, ჩვენს სისხლზე, ბავშვებზე! და გამოჩნდებიან გულუბრყვილო ქალები (და ასეთივე მამაკაცები), რომლებიც ფიქრობენ, რომ შემდგომ ცხოვრებაში ბედნიერები იქნებიან, მას შემდეგ, რაც ორმხრივი შეთანხმებით, თავიანთ შვილს მოკლავენ, რათა მათ ბედნიერებას ხელი არ შეშალოს... ძვირფასებო, აღარ გამოვა შემდგომ „ბედნიერად ყოფნა“. ვერ იპოვის ვერც ბედნიერებას, ვერც სიმშვიდეს სული, რომელიც ცდილობს ეს თავისი ბედნიერება ცოდვის ფასად მოიპოვოს, მით უმეტეს ისეთი საშინელი ცოდვის ფასად, როგორც მკვლელობაა, მით უმეტეს – ბავშვთაკვლა!

მართალია, ზოგიერთი ქალი ამ ცოდვას უმეცრების გამო ჩადის. ისინი თვლიან, რომ რადგან ბავშვი არ დაბადებულა, ის ჯერ კიდევ არ არის ადამიანი ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით, არამედ მხოლოდ მათი სხეულის ნაწილია, ხოლო თავისი სხეულის განკარგვა ნებისმიერს შეუძლია, ისე როგორც უნდა. ასეთები მიდიან აბორტზე ისევე ადვილად, როგორც კბილის ამოსაღებად ან გლანდების მოსაცილებლად. მაგრამ ეს ტრაგიკული შეცდომაა, რომელიც მათთვისაც, ადრე თუ გვიან, აუცლებლად გაცხადდება და მთელი მათი შემდგომი ცხოვრება დრამად იქცევა.

სინამდვილეში, როდის იწყება ადამიანის სიცოცხლე?

საფრანგეთში ბავშვის სიცოცხლეს სახელმწიფო მისი ჩასახვიდან 10 კვირის შემდეგ იცავს, დანიაში – 12 კვირის შემდეგ, შვეციაში – 20 კვირის შემდეგ, ბევრ ქვეყანაში სიცოცხლე იურიდიულად დაცულია მხოლოდ დაბადების შემდეგ. ნობელის პრემიის ლაურეატმა, ჯეიმს უოტსონმა შემოგვთავაზა, ბავშვის სიცოცხლე მისი დაბადებიდან სამი დღის შემდეგ დავიცვათ. ვის დაუუჯეროთ: ფრანგებს, დანიელებს თუ ჯეიმს უოტსონს?

სრულიად ცხადია, რომ ამ საკითხში ყური უნდა დაუუგდოთ არა სხვადასხვა ეროვნებისა და საეჭვო კომპეტენციის ადამიანებს, არამედ ორ ავტორიტეტულ მოსაზრებას: ღმერთისა და მეცნიერების მოსაზრებებს. ორივე ეს მოსაზრება ერთს ამბობს: ადამიანის ცხოვრება მისი ჩასახვისთანავე იწყება.

ეკლესიის კანონები ყოველთვის იცავდნენ ადამიანის არსებას დედის მუცელში: **„მუცელსა შინა კლვისა ჩნ ლთა სა**

მოპოვნებასა კაცისკლვისა თანა-აც პატიჟი“ (ანუ მუცელში ჩანასახის განზრახ მკვლელობა უნდა განისაჯოს, როგორც კაცის მკვლელობა – ა.უ.), წერს განმანათლებელი ბასილი დიდი (მორე კანონი). ნაყოფის ასაკზე, როგორც ვხედავთ, სიტყვა არ არის ნათქვამი: არა აქვს მნიშვნელობა, როდის ჩაისახა – თუნდაც 10 კვირის წინ, გინდ ერთი საათის წინ, გინდ ერთი წუთის წინ. ამ საკითხზე საუბრისას ყველა წმინდა მამა თანამოაზრეა. განმანათლებელ ბასილი დიდთან ერთად დავასახელოთ მართლმადიდებლობის ისეთი ბურჯები, როგორებიც არიან განმანათლებელი გრიგოლ ღმრთისმეტყველი, განმანათლებელი იოანე ოქროპირი, წმინდა ეფრემ ასური, ღირსი მაქსიმე აღმსარებელი.

ეკლესიოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანის ცხოვრება არ იწყება დაბადების შემდეგ და არ მთავრდება გარდაცვალებით. ამ ორი მოვლენით შემოსაზღვრულია ადამიანის ცხოვრების მხოლოდ ერთი ეტაპი. ამ ეტაპს წინ უძღვის დედის მუცელში ცხოვრება, ხოლო ამ ეტაპს მოსდევს საიქიო ცხოვრება.

რას ამბობენ ადამიანის სიცოცხლის დასაწყისზე მეცნიერები? დღეს ისინიც ეთანხმებიან ღმერთის თვალსაზრისს, გამოხატულს საეკლესიო კანონებში. დღეს უკვე უცილობლად დადგენილი მეცნიერული ფაქტია: ადამიანის სიცოცხლე იწყება ზუსტად იმ მომენტიდან, როდესაც ერთდება ორი სქესობრივი უჯრედი – კაცისა და ქალის, და ამ შეერთებით წარმოიქმნება ერთი უჯრედი. და აი, ამ ერთ მიკროსკოპულად პატარა უჯრედში ადამიანის მთელი მომავალი ჩადებული: მისი სქესი, სისხლის ჯგუფი, თვით თვალებისა და თმის ფერი – ყველაფერი ეს ამ მოცემულ უჯრედში არის და შემდგომ მხოლოდ მისი განვითარება და გამოვლინება ხდება. ყველაფერი ის, რაც საჭიროა ამ პატარა უჯრედიდან დიდი ადამიანის წარმოსაქმნელად – ესაა საკვები, ჟანგბადი და დრო. ყოველი ასეთი უჯრედი – ჩანასახი უკვე არის უნიკალური და განუმეორებელი ადამიანი. სხვა ასეთი ჯერ არ ყოფილა მსოფლიო ისტორიაში; და რამდენი საუკუნე და ათასწლეულიც არ უნდა გაგრძელდეს ეს ისტორია, სხვა ასეთი აღარასოდეს იქნება.

ბავშვის ყველაზე სწრაფი განვითარება და ზრდა იწყება მაშინვე, როგორც კი მოხდება ჩანასახის საშვილოსნოს კედელში ინპლანტაცია (დანერგვა). მეცნიერებმა გამოითვალეს, რომ თუკი ბავშვის

განვითარება მთელი ორსულობის პერიოდში ისეთივე ტემპებით წარიმართებოდა, როგორც ეს პირველი 7 კვირის განმავლობაში ხდება, მშობიარობის მომენტისათვის მისი წონა 14 ტონა იქნებოდა.

10-11 კვირისათვის (ორსულობის მესამე თვის შუაში) ადამიანის ორგანიზმის ყველა სისტემა მთლიანად ჩამოყალიბებულია. ამ დროიდან საფრანგეთში ბავშვის სიცოცხლეს კანონი იცავს. სხვა ქვეყნის კანონები კი ნებას რთავენ, მოკლან ასეთი ჩამოყალიბებული ადამიანი. რატომ? ნუთუ იმიტომ, რომ იგი, მართალია, ჩამოყალიბდა, მაგრამ ბოლომდე ვერ მოასწრო განვითარება?.. მაგრამ განვითარებას ის დაბადების შემდეგაც ხომ განაგრძობს, არც მეტი, არც ნაკლები, 12-14 წლის განმავლობაში? თუ არასაკმარისი განვითარების გამო შეიძლება, რომ ის მოკვლათ, მაშინ ნება დავრთოთ, რომ მუცლის ბავშვების მსგავსად, მოკლან ნებისმიერი მოზარდი ბავშვი... ველურობაა? ის არ არის ველურობა, რომ ახალდაბადებულის მოკვდინებისათვის ციხეა, ხოლო მუცლის ბავშვის მოკვლისათვის – სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული საავადმყოფოს ხარჯები? ჩვენ ხომ ზიზღსა ვგრძნობთ იმ დედის მიმართ, რომელიც დაბადების შემდეგ შვილს საიდუმლოდ აგდებს სანაგვე ყუთში, მაგრამ იმავდროულად ყვაილები მიგვაქვს იმ დედასთან, რომელიც აბორტის შემდეგ თავის შვილს სანაგვე ყუთში აგდებს ხალხის თვალწინ, სამედიცინო პალატაში, ექიმების დახმარებით. ეს არ არის ველურობა?

ერთ ამერიკულ ჟურნალში მოგვითხრობდნენ ერთი ქალის შესახებ, რომელმაც 5-თვიანი ბავშვი გააჩინა და ექიმებს ევედრებოდა, გადაერჩინათ ბავშვის სიცოცხლე. მთელი საავადმყოფო ფეხზე დადგა, რათა ბავშვი გადაერჩინათ. ამისთვის საავადმყოფოს ყველაზე გამოცდილი ექიმები იღვწოდნენ... და იმავე საავადმყოფოში, იმავე დღესა და იმავე საათს – ოღონდ სხვა ოთახში – სხვა ქალი თავის 5-თვიანი ბავშვის აბორტირებას ახდენდა. ეს არ არის ველურობა: ერთ ოთახში 5-თვიანი ბავშვი ადამიანად იყო მიჩნეული, ხოლო მეზობელ ოთახში ისეთივე 5-თვიანი ბავშვი შეფასებული იყო, როგორც ხორცის ნაჭერი?. რა უნდა დავარქვათ ამას?

რა ხდება ღონისძიების დროს, რომელსაც „ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტას“ უწოდებენ?

არსებობს ამ „შეწყვეტის“ სხვადასხვა მეთოდი. ორსულობის აღრეულ სტადიაზე, ჩვეულებრივ, ე.წ. „ვაკუუმ-ასპირაციას“ მიმართავენ,

– აი, კიდევ ერთი გლუვი სიტყვა. ამ მეთოდის უგვანი და ბარბაროსული არსი კი ის არის, რომ, როგორც ხალიჩიდან ამოსრუტავენ მტვერსასრუტის საშუალებით ნაგავს, ისევე გამოსრუტავენ დედის მუცლიდან ჩვილს. ქალის საშვილოსნოში შეჭყავთ ბასრი პირის მქონე პლასტმასის მილი. ჩვილის სხეული ნაწევრდება და გამოისრუტება სპეციალურ ჭურჭელში.

თუ ორსულობა უფრო გვიანია, საშვილოსნოში შეჭყავთ მარყუჟის ფორმის ბასრი დანა. მისი საშუალებით საშვილოსნოს ღრუს ფხეკენ; მისითვე ნაწევრდება ბავშვი.

12 კვირის შემდეგ საჭირო ხდება კიდევ ერთი, მაშის მაგვარი ინსტრუმენტი – ეს იმიტომ, რომ ბავშვს უკვე აქვს ხელები, ფეხები და ძვლებიც შემაგრებულია. ექიმი ამ ინსტრუმენტს აძგერებს ბავშვის ხელს, ფეხს ან სხეულის სხვა ნაწილს და მოტრიალებით მოგლეჯს მას. ეს მეორდება კიდევ და კიდევ, მანამ, სანამ ბავშვი მთლიანად არ დანაწევრდება. ხერხემალი უნდა გადატყდეს, თავის ქალა კი – დაიმსხვრეს, რათა მათი მოცილება მოხერხდეს. საშვილოსნოს დაცარიელების შემდეგ მედლის მოვალეობაში შედის შეკრიბოს სხეულის ყველა ეს ნაწილი, რათა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი მოცილებულია და იქ არაფერი დარჩა. შემდეგ ეს ნაწილები ნაგვის ვედროში გადაიყრება ან გამოიყენება როგორც მასალა კოსმეტიკის წარმოებისათვის. ქალებო, იცით თუ არა, რომ როდესაც ზოგიერთ კრემს იცხებთ – თქვენ, სიტყვა-სიტყვით, თქვენ მიერ მოკლული ბავშვებით იპოხებით?...

ამ ხდომილების საშინელება კიდევ უფრო იმითაც მძიმდება, რომ დაუბადებელი ბავშვი ისევე გრძნობს ტკივილს, როგორც დაბადებული. დღეს ეს უკვე მეცნიერულად არის დამტკიცებული და საყოველთაოდ აღიარებული. უკვე 7-კვირიანი პატარა მტკივნეული სტიმულისაგან თავს სწრაფად წევს უკან და არიდებს მას. 11 კვირისათვის შეხების მიმართ მგრძნობიარე ხდება არა მხოლოდ სახე, არამედ ხელისა და ფეხის ყველა ნაწილი. 13 კვირისათვის ტკივილზე რეაქცია ნერვიული სისტემის ყველა ღონეზე ხდება.

ამერიკელმა ექიმმა, ბერნარდ ნატანსონმა გადაიღო ფილმი, რომელიც იმის ულტრაბგერითი გამოსახულებაა, რაც ზემოთ ხსენებული „ვაკუუმ-ასპირაციის“ მეთოდით აბორტის კეთების დროს ქალის საშვილოსნოში 12 კვირის ბავშვს ემართება. ეკრანზე მკაფიოდ

ჩანს, როგორ ცდილობს ბავშვი გაექცეს ვაკუუმ-შემწოვს, სწრაფად და შეშფოთებულად მოძრაობს. ბოლოს, როდესაც გამოჭერილი ბავშვის სხეულს ანაწევრებენ, მისი პირი უხმო ყვირილით ფართოდ იღება.

დედიკოებო, როდესაც თქვენი შვილების მოსაკლავად მიდიხართ, იცოდეთ: მათ ძალიან ეტკინებათ და ისინი თქვენი სიკვდილის შემდეგ იქ, კუბოს იქით, გკითხავენ: „დედა, ასე რატომ მომექეცი?“ რას უპასუხებთ?

ტკივილის შეგრძნება კულმინაციას აღწევს, როდესაც აბორტის მეთოდად იყენებენ „მარილის ამონიციენტებს“. ამ გლუვი გამონათქვამის მიღმა შემდეგი იმალება: დედის მუცლის ღრუს გავლით ნაყოფის მომცველ წყლებში შეჰყავთ დიდი ნემსი. ამ ნემსის საშუალებით ხდება მარილის კონცენტრირებული ხსნარის მიწოდება. ბავშვი ყლაპავს ამ ხსნარს, შეისუნთქავს მას და კონვულსიაში მყოფი აქეთ-იქით აწყდება, განიცდის გაუსაძლის ტკივილს. თუ გართულება არ ხდება, მეორე დღეს ქალი მკვდარ ჩვილს შობს. ამ მეთოდით აბორტირებულ ბავშვებს „მოჭიქულებს“ უწოდებენ. საქმე ისაა, რომ მარილი, როგორც ცნობილია, ქსოვილს ჭამს. ამ მოქმედების შედეგად ბავშვის ფაქიზი კანი იფურცლება, და მის ქვეშ წარმოიქმნება წითელი, მოსარკული კანქვეშა ქსოვილი, რომელიც მოჭიქულივით გამოიყურება.

აბორტის კიდევ ერთი ტიპი არსებობს, რომელსაც „ჰისტეროტომიას“ უწოდებენ. ეს მეთოდი, ჩვეულებრივ, ორსულობის ბოლოს გამოიყენება და უფრო „საკეისროს“ სახელით არის ცნობილი. რა ხდება ამ დროს? ექიმი კვეთს ქალის მუცლის ღრუს კედელს, შემდეგ საშვილოსნოს და ამოჰყავს ცოცხალი ბავშვი. ამის შემდეგ მას სიცოცხლეს უსწრაფებენ იმ საშუალებით, როგორსაც ექიმი მოისურვებს. ჯ. უილკი თავის წიგნში აღწერს, როგორ ამოიყვანა ერთმა ექიმმა ბავშვი, რომელიც სუნთქავდა, სატირლად იწევდა, ამოძრავებდა ხელებსა და ფეხებს – მაშინ ექიმმა თავზე საფარი გადააფარა და იგი გაიგუდა. პატარას მოკვდინების სხვა ხერხია მისი წყლიან ვედროში დახრჩობა. ზოგიერთი ექიმი ამჟობინებს ბავშვის მოკვლას პირდაპირ საშოში. ამისათვის ისინი ბავშვს ჭიპლარს გადაუჭრიან და ამით ჟანგბადის მიწოდებას უწყვეტენ.

ხუთი წუთის შემდეგ, როდესაც ის გაიგუდება, დღის სინათლეზე უკვე მკვდარი გამოჰყავთ.

ჩვენ აბორტის ყველა მეთოდი არ აღვწერეთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საკმარისია ეს საშინელებები.

აბორტების ლეგალიზაციისათვის გამართულ ერთ ფემინისტურ დემონსტრაციაზე ქალები გაჰყვიროდნენ: „მოაშორეთ ჩვენს სხეულებს ყველა კანონი!“. ეს ქალები, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ აბორტი მათი პირადი საქმეა და ამ საქმეში ჩარევის უფლება არავის აქვს. ასეთ ქალებს უნდა ვუთხრათ: – არა, აბორტი არ არის თქვენი პირადი საქმე. ეს თქვენი საქმე იქნებოდა, თუ იგი მხოლოდ თქვენს პიროვნებას შეეხებოდა. მაგრამ იგი ასევე სხვა პიროვნებასაც ეხება – თქვენი შვილის პიროვნებას... წარმოიდგინეთ, რომ თქვენ თავს დაგესხათ ბანდიტი და მოკვლას გიპირებთ. ამ დროს მოირბინა პოლიციელმა, რომელიც თქვენს დაცვას ცდილობს, ხოლო ბანდიტი მას ეუბნება: „აბა, გაეცალე აქაურობას, მოკვლავ თუ არ მოკვლავ, ეს ჩემი პირადი საქმეა. შენ უფლება არა გაქვს, ჩემს პირად საქმეებში ჩაერიო“. თქვენც ბანდიტის მსგავსად დაიწყებთ პოლიციელის დაყოლიებას, რომ გაეცალოს და არ ჩაერიოს?... რატომაა, რომ როდესაც თქვენ გკლავენ, თქვენ დახმარებას იძახებთ და აღიარებთ იმ სახელმწიფო კანონების აუცილებლობა, რომლებიც თქვენს სიცოცხლეს იცავენ, ხოლო როდესაც თქვენ კლავთ, მაშინ ამბობთ, რომ „მოგვაშორეთ ყველა კანონი“ და „არავის აქვს უფლება ჩაგვერიოს“?.. თქვენი სიცოცხლე უნდა დავიცვათ, ხოლო უმწეო ჩვილის სიცოცხლე არ უნდა დავიცვათ? არა, მისი სიცოცხლეც უნდა დავიცვათ!

არსებობენ ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ მკვლელობასთან აბორტის გათანაბრება არ შეიძლება, რადგან მუცლის ბავშვი ჯერ კიდევ არ არის პიროვნება, მეტიც, ის არასიცოცხლისუნარიანია... ქრისტიანული სარწმუნოება ამ კითხვას ცალსახად პასუხობს: უდავოდ პიროვნებაა! როგორ არ არის პიროვნება, როდესაც ამ მუცლის ბავშვს უკვე აქვს თავისი ინდივიდუალური და უკვდავი სული?! დიახ, დედიკო, – უკვდავი სული! რომლის დაკუწვა და მოკვლა, სხეულისაგან განსხვავებით, შენ არ ხელგეწიფება და, რომელიც საშინელ სამსჯავროზე უფლის წინაშე შენს ასევე უკვდავ სულთან ერთად წარდგება. **„ვინც მოკვდა დედის მუცელში და**

ცხოვრებას არ შეუდგა, მას (მსაჯული) სრუწლოვნად აქცევს იმავე წამს, რა წამსაც აღდგებიან მკვდრები (საყოველთაო აღდგომის დროს)... აქ ერთმანეთის უნახავნი ერთმანეთს დაინახავენ და დედა იცნობს, რომ ეს მისი შვილია, ხოლო შვილი იცნობს, რომ ეს მისი დედაა..." (წმინდა ევრემ ასური, „ღმრთის შიშისა და საბოლოო სასამართლოს შესახებ“). შესაძლოა, მაშინ მიხვდეს სრულიად ეს დედა მის მიერ ჩადენილის მთელ საშინელებას. „**იმას, ვინც მოიშორა თავის მუცელში ჩასახული ნაყოფი, იგი (მსაჯული) არ მისცემს ახალი ცხოვრების ხილვის საშუალებას, – წერს შემდეგ ევრემ ასური. – როგორც მან არ მისცა ნება მას (თავის ბავშვს), დამტკბარიყო ამ სოფელში სიცოცხლითა და სინათლით, ასევე იგი (ღმერთი) არ მისცემს მას (დედას) ცხოვრებასა და სინათლეს იმ სოფელში. რადგან მან გაბედა, დრომდე გამოეგდო თავისი მუცლიდან ნაყოფი, რათა დაენთქა იგი მიწის წყვილიაში, ასევე იგი, როგორც მუცლის მკვდარი ნაყოფი, დაინთქმება (ჯოჯოხეთის) უკუნ სიბნელეში. ასეთია მათი საზღაური, რომლებიც ხელყოფენ თავიანთი ბავშვების სიცოცხლეს“.**

რაც შეეხება „სიცოცხლისუნარიანობას“, უნდა დავაზუსტოთ, რა იგულისხმება ტერმინ „სიცოცხლისუნარიანობაში“. თუ იგულისხმება დამოუკიდებლად, არავისზე დამოკიდებულად არსებობის უნარი, მაშინ ასეთი უნარი ბავშვს დაბადების შემდეგაც აშკარად არ აქვს და დიდხანს არც ექნება. აბა, ცადეთ და დატოვეთ ორი წლის, თუნდაც ხუთი წლის ბავშვი მართლ – იცხოვრებს კი იგი დამოუკიდებლად, გარე დახმარების გარეშე, თუნდაც ერთი კვირა?

თუ ვიტყვით, რომ ნებადართულია იმ ბავშვების მოკვლა, რომლებსაც არა აქვთ დამოუკიდებლად, ვინმეს დახმარების გარეშე არსებობის უნარი, მაშინ ჩვენ ნებას ვრთავთ, დახოცონ ყველა არასრულწლოვანი, შრომისუუნარო მოზარდი. ამასთან ერთად – ყველა არაშრომისუნარიანი ინვალიდი.

„ადამიანები, რომლებიც კლავენ თავიანთ შვილებს მუცელში, ჰეროდეს ჰგვანან, რომელმაც 14 ათასი ჩვილი დახოცა, რათა მისი ცხოვრებისათვის არავის არ შეეშალა ხელი“, – წერს მიტროპოლიტი მილეტი და ამატებს: „ისინი ჰეროდეზე უარესები არიან, რადგან ეს ჩვილები, ყოველ შემთხვევაში,

მისი (ჰეროდეს) **შვილები არ იყვნენ**“. ჰეროდეს ეს საქციელი – 14 ათასი ჩვილის მოკვლა – ყველა დროში უკიდურესი უგულობისა და სისასტიკის სიმბოლოდ იქცა... ჩვენ თქვენთან ერთად (მიმართავს რუსებს – ა.უ.) უკვე თითქმის დავეწიეთ ჰეროდეს: მან ერთ დღეში დახოცა 14 ათასი, ჩვენ კი დღეს ყოველდღიურად თითქმის 13 ათასს ვკლავთ (ასეთია რუსეთის სტატისტიკა – ა.უ.). მაგრამ მას თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ასეთი დღე ჰქონდა, ჩვენ კი ყოველი დღე ასეთი გვაქვს...

სულსა წვავს (მაგრამ ასევე ანათებს) დეკანოზ დიმიტრი სმირნოვის სიტყვები:

„რა არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ, როგორც ერი, ამჟამად ასეთ სიძნელეებს განვიცდით? რატომაა, რომ ყველაზე მდიდარი ქვეყანა მსოფლიოში (საუბარია რუსეთზე – ა.უ.) თითქმის სიღარიბის ზღვართანაა მისული? სტალინი და ლენინია დამნაშავე? არა, ეს ღვთის სასჯელია. დედამიწა უკვე ვეღარ ზიდავს იმ საშინელ უკანონობას, რომელიც მასზე ხდება. ახლა ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის აღორძინებაზე. რით უნდა დავიწყოთ ის? იმისათვის, რომ დავიწყოთ ეკონომიკის, კულტურის, ზნეობრიობის აღორძინება, თავი უნდა გავანებოთ ყველაზე საშინელი ცოდვების ჩადენას. ბავშვთაკვლაზე უფრო საშინელი არაფერია. ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ჩვენი შვილების დახოცვა!... ადამიანები ასე ითვლიან: „ერთს გავაჩენ, შვიდს კი მოვაშთობ და უკეთესად ვიცხოვრებ. იმიტომ, რომ რვა შვილი რომ გამეჩინა, მაშინ რვაჯერ ნაკლები საჭმელი და ჩასაცმელი მექნებოდა“. სინამდვილეში კი სხვაგვარად გამოდის. მოკლული ჩვილების სისხლი მკვლელის მთელ მოდგმას აწვება. ბავშვი იბადება, მასზე კი უკვე მშობლების ბოროტმოქმედების სიმძიმე დევს და ამ ცოდვის გამო ბავშვები უმართავნი ხდებიან. ამიტომ იმ ერთთან ერთად, რომელიც ცოცხალი დატოვეს, ოჯახში ეწამებიან უფრო მეტად, ვიდრე რვასთან ერთად იწვალდნენ... და ამის მიზეზი ცუდ აღზრდაში არ არის. ჩვეულებრივ, მშობლები ხომ ბავშვების აღზრდაზე საერთოდ არ ზრუნავენ. ბავშვი თავისი გარემოცვის გავლენით ყალიბდება. ადრე ადამიანები ზნეობრივად უფრო ჯანმრთელები იყვნენ, ახლა კი ბავშვს გარს ვინ ახვევია? დედა და მამა – მისი ძამიკოსა და დაიკოს მკვლელები. სტუმრად დეიდა მოდის? –

ისიც მკვლელია. არის ბებია? – ბებიაც მკვლელია. ყველა მკვლელია. როგორებიღა გაიზრდებიან ბავშვები?

„იზრდება დამნაშავეობა!“ – ვტირით ჩვენ. კი მაგრამ, როგორ არ გაიზრდება, როცა ყველაზე მთავარი ბოროტმოქმედები ჩვენა ვართ, მშობლები, რომლებიც თითქმის უკლებლივ ყველა მკვლელებად ვიქცევით? ჩვენი შვილები იმას აგრძელებენ, რაც ჩვენ დავიწყეთ.

რატომ ვცხოვრობთ უარესად ახლა, როდესაც ღმერთთან ვართ, ვიდრე მაშინ (საბჭოთა პერიოდში – ა.უ.), როდესაც ღმერთის გარეშე ვცხოვრობდით?

იმიტომ, რომ ახლა, როდესაც ათასობით ტაძრის კარი გაიღო, ხალხის ზღვიდან ამ კარებისაკენ მხოლოდ წვრილი ნაკადული მიიკლაკნება, ხოლო მდინარეები სხვა კარებისკენ მიედინებიან: რესტორნების, ბარების, კაზინოების, დისკოტეკების, სექს-შოპების, აბორტარიების კარებისაკენ... თუკი შემდგომშიც ასე გაგრძელდება, მაშინ რუსი ხალხის ზღვისაგან მხოლოდ გუბელა დარჩება. ჩვენ ახლა, როდესაც შეგვიძლია ღმერთთან ერთად ამკარად და უშიშრად ვიცხოვროთ, უფრო უღმერთოდ დავიწყეთ ცხოვრება, ვიდრე „უღმერთობის დროში“. ის კი არ უნდა გვიკვირდეს, რომ უარესად ვცხოვრობთ, არამედ ის, რომ ჩვენ საერთოდ ვცხოვრობთ – იმ ყველაფერთან ერთად, რაცაა „სქესობრივი აღზრდის პროგრამები სკოლებში“, ალკოჰოლიზმი, ჰომოსექსუალიზმი, ლესბოსური სიყვარული, პროსტიტუცია, ნარკომანია, ტოქსიკომანია და სხვა საზიზღრობები, რომელთაგან ყველაზე უფრო ამაზრზენი, რა თქმა უნდა, ჩვენი საკუთარი, დაუბადებელი შვილების სასაკლაოა... ამ ყველაფერთან ერთად ჩვენ კიდევ ცოცხლები ვართ! აი, რატომ უნდა გვიკვირდეს დიდად ღმერთის უსაზღვრო მოთმინება!..

ქალი სიცოცხლის საწყისია. როცა ის ფეხმძიმდება – რასაც არ უნდა ეუბნებოდნენ მას „ჭკვიანი ადამიანები“ „უჯრედების გროვაზე“ ან „ხორცის გუნდაზე“, გონის რა მოსაზრებებითაც არ უნდა ირწმუნებდეს ის თავს – მისმა სულმა მყარად იცის (და ეს ქვეცნობიერშიც მკაფიოდაა აღბეჭდილი), რომ მის სხეულში ბავშვი იზრდება. თუ ის თავის მოწოდებას ღალატობს და მასში ჩასახული სიცოცხლის შეწყვეტას გადაწყვეტს, ეს მისი ქალური ბუნების საფუძველთა საფუძველს ბილწავს. ის სიცოცხლის საწყისიდან სიკვდილის სათავსოდ იქცევა, ბავშვთა მშობლობის ნაცვლად ის

ბავშვთა მკვლელი ხდება. საკუთარი ბუნების ასეთი შეგინება მისთვის დაუსჯელოდ არ ჩაივლის.

აშშ-ში ქალებმა, რომლებმაც აბორტის შემდეგ თავის მოკვლა სცადეს, ალკოჰოლიკების შემდეგ, რაოდენობრივად, მეორე ადგილი დაიკავეს. ამან ჯანსაღ ეროვნულ ძალებს უბიძგა, მათი „ანონიმური ალკოჰოლიკების“ ფხიზელთა საზოგადოებების პარალელურად, შეექმნათ „ანონიმური თვითმკვლელების“ ცენტრები. ოჰაიოს შტატის ასეთი ცენტრის ერთ-ერთი დირექტორი, მ. უხტმანი წერს: „მრავალი წლის განმავლობაში მათი (პოტენციალური თვითმკვლელების) ისტორიებით მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩვენ ვიცით, რომ მრავალი ათასი ასეთი ადამიანი, რომლებიც გარეგნულად მხნედ გამოიყურებიან და მკაცრად თოკავენ თავანთ ემოციებს, თავის ყველა გამოუხატავ ემოციასა და განცდას საკუთარ თავში ღრმად მარხავენ, იქ კი ეს ყველაფერი იზრდება, სიმსივნის მსგავსად. აბორტთან დაკავშირებულ ყველა ემოციას შორის, რომლებსაც ისინი კრიზისის დროს განიცდიან, არცერთს არ სდევს თან ისეთი დიდი ტკივილი და ტანჯვა, როგორც იმას, რასაც ისინი ახლა აცნობიერებენ და რომელიც ხუთ-ათჯერ უფრო ძლიერია მათთვის, ვიდრე ნებისმიერი სხვა გრძნობა. ეს ქალები ყოველთვის ერთსა და იმავეს გვეუბნებიან: „ო, ღმერთო, მე სულელი ვარ! მე ასეთი რამის ჩადენა შეეძელი! თავს ისე ეულად და მიტოვებულად ვგრძნობ... ქალს აბორტის შემდეგ პანიკა და სიმწარე იმიტომ იჭყობს, რომ გრძნობები, რომლის შედენას ის თავის ცნობიერების ყველაზე შორეულ კუთხეში ცდილობდა, ზედაპირზე ამოტივტივდება და, აჩრდილის მსგავსად, მის სინდისს აწვალებს, მის ცხოვრებას გაუსაძლისს ხდის. ეს გრძნობები თვით სიბერის ასაკშიც წამოიჭრება, როდესაც დაბერებულ ქალს ცივი რეალობა ატყდება თავს, რის გამოც სული შეშდება და სასოწარკვეთისა და ტკივილის გამო ყვირილი უნდება“.

ქალი ყველგან ქალია. ამერიკელი მ. უხტმანის მიერ მოყვანილი ქალის სიმწრისა და ტკივილის ეს სურათი არა მხოლოდ ამერიკაში გვხვდება. იგი ყველგან არის, სადაც აბორტია. მართლმადიდებელი მღვდელისთვის იგი ტკივილამდე ნაცნობია. თითქმის ყველა ქალურ აღსარებაში – სავსებით ახალგაზრდა გოგონადან დაწყებული ღრმად მოხუცებულით გათავებული – შევხვდებით აღმსარებლის სულში ამ შეუხორცებელ იარაგს, ვხედავთ სულიერი ტკივილით გაწამებულ

მის თვალებს, ამ თავალთაგან მომდინარე მწარე, დაგვიანებულ ცრემლებს... უყურებ ყველაფერ ამას და უნებურად ძრწოლა გიჰყრობს და გიჩნდება სურვილი, რომ უთხრა: „ძვირფასო ქალებო! რას შერებით? გონს მოეგეთ! გამოფხიზლდით! ვის აიძულებთ, ეწამოს?! პირველ ყოვლისა და ყველაზე მეტად მათ, რომლებიც ყველაზე მეტად უნდა გიყვარდეთ და უფრთხილდებოდეთ – თქვენს სისხლსა და ხორც შვილებსა და საკუთარ თავს!

ქალებო, როდესაც თქვენს შვილებს ავლანეთის ომში ხოცავდნენ, თქვენს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ იქ ყოველდღიურად მანც ერთეულები, ათეულები, სულ ბევრი – ასეულები იხოცებოდნენ. აქ კი ყოველდღიურად 13 ათასი – (მთელი დივიზია!) – იხოცება მხეცური წამებით, ისეთით, როგორც არც ერთ „დუშმანს“ არ დაესიზმრება, იხოცებიან ყველაზე უმწეონი, რომელთაც საშველადაც კი არ შეუძლიათ ვინმეს მოუხმონ.

ხალხნო! ქალებო და მამაკაცებო! ძვირფასებო! ყველამ უნდა გავახილოთ თვალი და მივხვდეთ, რომ ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს გამოუცხადებელი ომი: ერთ მხარეს მოზრდილები იბრძვიან, მეორე მხარეს – მათი დაუბადებელი შვილები. ამ ომს ის თავისებურება აქვს, რომ მასში არ არიან და არც შეიძლება იყვნენ გამარჯვებულები. ბავშვები იხოცებიან მაშინათვე და თვალნათლივ – მასიურად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. მოზრდილები თავიდან ჭრილობებს იღებენ – მაგრამ ეს თავიდან. პირველი „საბრძოლო წარმატების“ შემდეგ მათ დამთრგუნველი, ომისშემდგომი სინდრომი ელთ, რომელიც მათ სულიერ (და ხშირად ფიზიკურ) ხეიბრებად აქცევს... ხალხნო, რად გვინდა ეს ომი გამარჯვებულების გარეშე? ძვირფასებო! მშვიდობა ჩამოვადლოთ ჩვენს ღმერთთან და ჩვენს შვილებთან: თავი ვანებოთ პირველის განრისხებას, ხოლო მეორეთა – მოკვლას. ორ მოწოდებას: „გონს მოეგეთ!“ და „თავალები გაახილეთ!“ გვინდა მესამეც დავამატოთ: „შეინანეთ!“

ცრემლებით შევუვრდეთ ჩვენს მოწყალე და ყოვლისშემძლე ღმერთს, შევევედროთ, რომ მოგვიტეოს ჩვენი უსაზღვრო დაწყევლილობა, ვქნათ ნაყოფი ღირსი სინანულისა. ძვირფასებო, მეტად სერიოზულად მოგვიწვეს, გადავხედოთ ღირებულებათა იერარქიას, რომელიც ჩვენს სულებში ჩამოყალიბდა. სამყაროს უმაღლესი და მთავარი

ღირებულება ღმერთია, რომელმაც ეს სამყარო შექმნა. მისი ნების აღსრულებისათვის, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეს უნდა გავწიროთ. შემდეგი ღირებულება – სიცოცხლე. შემდეგ მოლის ჯანმრთელობა. შემდეგ – ამქვეყნიური საქმეები.

როცა ვხედავთ ჩვენი ხალხის სიმწარესა და ამოწყდომას, გული გვტკივა ჩვენი მაცხოვრებლების, მათი შვილების გამო, რომლებსაც დაბადებასაც არ აცლიან, როცა მხურვალედ გესურს, ვუშველოთ პირველებს და გამოვექომაგოთ მეორეებს, არ შეგვიძლია, არ ვთქვათ სათქმელი. ჩვენ დავისჯებით, თუკი გვეცოდინებოდა ეს ყველაფერი, დავინახავდით და გავჩუმდებოდით. თქვენ დაისჯებით, თუკი გაიგონებთ, გაიგებთ და გულისხმას არა ჰყოფთ და არ დაიცავთ. ამინ!

მღვდელი ალექსანდრე ზახაროვი
(იბეჭდება შემოკლებით)

* * *

აბორტის ცოდვა

სიბნელიდან ისე გადავინაცვლე წყვილადში,
რომ სინათლეს კი არ მიხილავს!
და მაინც, მე შენ მოგმართავ სიტყვით “დედა”

მე ვარ ადამიანი, რომელსაც წაართვეს ადამიანის სახელი. მე ვარ ბავშვი, რომელსაც არ ჰყავს მშობლები. ვერ მოვასწარი ამქვეყნად გაჩენა, სიკვდილმა დაბადებამდე მომიტაცა. სიბნელიდან ისე გადავინაცვლე წყვილადში, რომ სინათლეს კი არ მიხილავს! . . . და მაინც, მე შენ მოგმართავ სიტყვით – „დედა!“ შენ, რომელიც მატარებდი შენს წიაღში, ხოლო შემდეგ სიკვდილის გაყინულ ხელებში ჩამავდე, თითქოს მდინარეზე გადასვლისას შუა წყალში მომისროლე.

მინდა გითხრა, რომ მიყვარდი ჯერ კიდევ ჩემს დაბადებამდე, რომელიც ჩემთვის სიკვდილად იქცა. იმ წუთს, როცა რკინის კლანჭები მოუახლოვდა ჩემს სხეულს, უხმოდ გეძახდი: „დედა, მიშველე!“ ხოლო როცა ისინი ურჩხულის ეშვებით ჩაესვენენ ჩემს სხეულს, მაშინ ავყვირდი: „დედიკო, ნუ მომკლავ, დედიკო, შემიბრალებ!“ მაგრამ, ამოდ – შენი საშო ჩემთვის სასაკლადო იქცა.

დედა! რატომ მომკალი, რისთვის წამართვი სიცოცხლე? ალბათ, არ იცი, როგორ მიყვარდი, როცა მე და შენ ერთი სხეული ვიყავით. როგორ მინდოდა, მოგხვეოდი ყელზე, მაგრამ ხელები ჯალათმა მომკვეთა. მინდოდა, მოგკროდი მკერდზე ჩემი გულით, მაგრამ იგი

რკინამ განგძირა. როგორ მინდოდა, შენი ხელებით გეტარებინე, მაგრამ შენ საუკუნო წყვდიადისთვის გამიმეტე. ჩვილებს აკვანში აწვევენ, ჩემი აკუწული სხეული კი სისხლით გაჟღერებულ დოლბანდებთან და მყრალ ნარჩენებთან ერთად სანაგვეზე მოისროლეს. არავინ ტიროდა ჩემს გვამთან, არავინ ჩაასვენა იგი ციციქნა კუბოში. ჩემი სამარე ვირთხების კბილებში ვპოვე, რომლებიც ნაგვის სროვაზე დაწანწალებენ. დედა ლოცვებს კითხულობს მძინარე შვილის სასთუმალთან, მე კი ვინ მიპოვის აქ და ვინ მომეფერება? მე დედის ხსენებისაც კი მეშინია და ჟრუანტელი მივლის, როცა ის მარწუხები მაგონდება, რომლებიც ჩემს სხეულს გლეჯდნენ. მაშინ შენი თბილი წიაღი ჩემთვის გველის ცივ სხეულად იქცა.

არსებობს ორი წმიდათაწმიდა სიტყვა – **ღმერთი და დედა**. უფალმა არ მიმატოვა თავისი მოწყალების გამო, მაგრამ ჩემი თვალები, ნათლისღებით განუბანელნი, ვერ ხედავენ მას. მეორე წმინდა სიტყვა – „დედა“ კი მე დაგვარგე – შენთვის ზედმეტი აღმოჩნდა ჩემი სიყვარული. ბავშვი განსაცდელში დედას მოუხმობს. სანამ დედა ცოცხალია, ადამიანი არ არის ეული, არ არის მარტო. მან იცის, რომ დედის გული არ შეაქცევს ზურგს – თუნდაც მთელი მსოფლიო აღდგეს მის წინააღმდეგ, იცის, რომ დედა ყოველთვის გაათბობს მას თავისი სიყვარულით.

მე კი ობოლი ვარ ცოცხალი დედის მყოფი. მან საუკუნო ბნელეთისათვის ისე გამიმეტა, რომ ერთხელაც არ ჩაუხედავს ჩემთვის სახეში. მან ყოველგვარი ბრალის გარეშე გამასამართლა და გამომიტანა სასიკვდილო განაჩენი. მაგრამ ის ჩემზე უბედურია: როცა მკვლელის მახვილი ასო-ასო ანაწევრებდა ჩემს სხეულს, მაშინ მან მოაკვდინა ჩემი დედის გულიც – საბრალომ არც კი იცის, რომ გული აღარ აქვს.

შენ არა მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრება წამართვი, არამედ ეკლესიასაც განმაშორე. მე მის ზღუდესთან ვიმყოფები, ვხედავ ნათელს, რომელიც იქიდან გამოსჭვივის, მაგრამ არ შემიძლია შევიდე შიგ და ვეზიარო ამ ნათლის ბრწყინვალეობას. ასე რომ, დედა, შენ არა მხოლოდ ჩემი სხეული მოკალი, არამედ – სულიც.

გახსოვდეს, რომ უმანკო სისხლის დათხევით ქრისტეს მსჯავრი მეორდება. იუდამ უდანაშაულო სული 30 ვერცხლად გაყიდა, შენ კი იმიტომ გამყიდე, თავისუფლად ყოფნის უფლება მოგეპოვებინა, საფასურიც ჩემს ჯალათებს თვითონვე გადაუხადე – შენ იუდასავით მოიქეცი. კაიაფამ განსაჯა უდანაშაულო და თქვა, უმჯობესია, ერთი

კაცი მოკვდეს, ვიდრე – მთელი ერი. შენ კი განსაჯე, ოჯახის საკეთილდღეოდ, უმჯობესია, მოკვდეს უდანაშაულო ბავშვი – თითქოს მე შენი შვილი არ ვყოფილიყავი. ქრისტე ჯვარს აცვეს და შენც მე ჯვარცმა მომისაჯე.

თუმცა ვერ ვხედავ პირსა ღვთისასა, მაგრამ ვიცი, რომ მას ყველას გადარჩენა სურს. შენ არ ისმინე მაშინ ჩემი სიტყვები, როცა შეძრწუნებული გევედრებოდი შენს საშოში: „დედა, შემიბრალებ!“, ახლა მაინც ისმინე ჩემი. დედა, შეიბრალებ თავი შენი, შეიწყალე სული შენი, განბანე იგი სინანულის ცრემლებით! ხოლო, თუ გეყოლება შვილი, მიეცი მას ის სიყვარული, რომელიც ჩემთვის უნდა მოგეცა. მან მაინც შეიგრძნოს შენი ხელების სითბო, ესმოდეს შენი ღოცვის ხმა. განანათლე იგი წმინდა ნათლისღებით, რომ ამ ქვეყანაში ჩემსავით ბრმა არ შემოვიდეს და, თუკი ის ჩვილი გარდაიცვლება – თავის კუბოზე მაინც გაიგონოს ეკლესიის ღაღადისი, ცაში კი – ანგელოზთა გალობა. მიეცი მას ის, რაც მე მომაკელი.

და მაინც. . . ამქვეყნად მე ვხედავ ქრისტეს ნათლის ანარეკლს, რომელიც ძალიან შორიდან გამოსჭვივის და ამ ნათლის სხივებში მე შენ მიყვარხარ, ჩემო უბედურო დედა!

არქიმანდრიტი რაფაელი

5. სიცოცხლე, როგორც ადამიანის ხელშეშვარი უფლება

1. სიცოცხლის უფლება, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანის ძირითად უფლებათა შორის ძალზე მნიშვნელოვანია სიცოცხლის (მე-15 მუხლი), ფიზიკური ხელშეუხებლობის (მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი) და ადამიანის თავისუფლების (მე-18 მუხლი) უფლებები. მათ სახელმწიფო ცნობს და იცავს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენს ხელისუფლების განხორციელებისას ხალხისა და სახელმწიფოს შემზღვეველ, უშუალოდ მოქმედ სამართალს (მე-7 მუხლი).

ადამიანის სიცოცხლე ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი, ხელშეუვალი უფლებაა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით არის აღიარებული. აღსანიშნავია, რომ იგი უზენაეს და თავისი ფაქტობრივი მნიშვნელობით უპირველეს სამართლებრივ

ღირებულებას წარმოადგენს და, შესაბამისად, ადამიანის ყველა სხვა დანარჩენი უფლება სწორედ მისგან გამომდინარეობს.

ამასთან, ადამიანის სიცოცხლის უფლებით იწყება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა არაფაკულტატური (კონსტიტუციის 39-ე მუხლი) ჩამონათვალი კონსტიტუციის მე-2 თავში. სიცოცხლის უფლებას კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იცავს კანონი, შესაბამისად, იგი დამცავ უფლებას წარმოადგენს როგორც სახელმწიფოსგან, ასევე ამ უფლებით აღჭურვილი ადამიანებისგან. მე-15 მუხლში ფაქტობრივად და იურიდიულად ასახულია სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულება, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. ხოლო რაც შეეხება მე-15 მუხლის მე-2 პუნქტს, „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს“. უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის ეს ნორმა აღარ მოქმედებს. კონსტიტუციის 106-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები ან დაადასტუროს ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება.“ იმდენად რამდენადაც კონსტიტუციაში აღნიშნული დათქმული ვადის ამოწურვის მიუხედავად, ორგანული კანონით სიკვდილის დასჯა შემოღებულ არ იქნა, მისი შემოღების სამართლებრივი შესაძლებლობა აღარ არსებობს, უფრო მეტიც ვადის ამოწურვამდე ორი კვირით ადრე 1997 წლის 11 ნოემბერს კანონით „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“ სიკვდილით დასჯა გაუქმებულად გამოცხადდა. კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი კი მხოლოდ მკვდარი ნორმაა, აღნიშნული დათქმის არსებობა კი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის იურიდიული შესაძლებლობით არის განპირობებული. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით ცვლილებების შეტანის ორ საშუალებას განასხვავებენ, გაუქმებული ნორმის ახლით ჩანაცვლების ან ძველი ნორმის კონსტიტუციაში უცვლელად დატოვებისა და

ცვლილებების დამატებების სახით გამოქვეყნების გზით. სწორედ ასეთი შემთხვევაც კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის რედაქციის შემთხვევაში. მართალია, სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, მაგრამ ცვლილება ორგანული კანონით არის განმტკიცებული, კონსტიტუციაში კი მე-15 მუხლის გაუქმებული მე-2 პუნქტი ძველი რედაქციით, უცვლელად არის დატოვებული.

„ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე განზრახ, გარდა კანონით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პირის მსჯავრდების შემდეგ სასამართლოს განაჩენის აღსრულებისა“¹ - ვკითხულობთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლში. მე-2 მუხლით დაცული სიცოცხლის უფლების აბსოლუტურ ხასიათს კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილიც ადასტურებს, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია მისგან გადახვევა ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის არსებობის შემთხვევაშიც კი. რაც შეეხება კონვენციის დამატებით ოქმს, მე-13 დამატებითმა ოქმმა აკრძალა სიკვდილით დასჯა, მათ შორის ომიანობის პერიოდშიც კი. შესაბამისად, სახეზეა სიცოცხლის, როგორც უმნიშვნელოვანესი ღირებულების აღიარება.

ყოველივე ზემოთქმული კი იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოს ეკისრება, როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ვალდებულება. ნეგატიური ვალდებულება მოიცავს სახელმწიფოსა და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების მხრივ სიცოცხლის წარმთმევის აკრძალვას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ხოლო პოზიტიური ვალდებულება, სიცოცხლის დაცვასა და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა ვალდებულებას გულისხმობს, ფაქტური შემთხვევების არსებობისას, ადეკვატური და ჯეროვანი გამოძიების წარმართვისათვის.²

ზემოთ ჩამოთვლილი ნორმების შესაბამისად, განვიხილოთ სიცოცხლის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ორსულობის შეწყვეტის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხში.

საკითხავია, ვინ შეიძლება იგულისხმებოდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში. მოიაზრება თუ არა სიტყვაში „ყოველი“ ორსულობის ნაყოფი, ანუ დაუბადებელი ბავშვი. არის თუ არა

აბორტი სიცოცხლეზე ადამიანის ძირითადი უფლების დარღვევა და გვაქვს თუ არა საქმე ინტერესების შეუთავსებლობასთან, რადგან აბორტისას ცალსახაა, რომ ერთ შემთხვევაში იკვეთება ქალის სურვილი შეწყვიტოს ორსულობა, მეორე შემთხვევაში კი, ითრგუნება ნაყოფის კანონიერი ინტერესი. შესაბამისად, საკითხავია, ხომ არ გვაქვს საქმე დედისა და ნაყოფის ინტერესთა კოლიზიასთან. საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანია დაპირისპირებული ინტერესების შედარება. სანამ შედარების საფუძველზე დედისა და ბავშვის ინტერესებს ავწონ-დავწონით, გავარკვიოთ, არის თუ არა ნაყოფი ბავშვი და ვრცელდება თუ არა მასზე ზემოაღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედება.

2. სიცოცხლის წარმოშობის მომენტი. ჩანასახის ეტაპობრივი განვითარება და მისი სამართლებრივი მდგომარეობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, ბავშვი არ არის აღიარებული ფიზიკურ პირად, რომელსაც პირდაპირ იცავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლი და იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაუბადებელ ნაყოფს აქვს „სიცოცხლის უფლება“, ეს უფლება შეზღუდულია დედის უფლებებითა და ინტერესებით. თუმცა, აღნიშნული კონვენცია არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ცალკეულ ვითარებასა და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, მე-2 მუხლით გარანტირებული უფლება შესაძლოა გავრცელდეს ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვზეც.³

რაც შეეხება გაბატონებულ სამართლებრივ შეხედულებას კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგად წარმოშობილი ნაყოფის შესახებ, აქ გადამწყვეტია ემბრიონის, ანუ ახალი სიცოცხლის წარმოშობის მომენტი, რადგან იგი ადამიანის იდენტური ინდივიდია, და ამდენად, სიცოცხლის უფლების სუბიექტად უნდა იქნეს აღიარებული.⁴

ანალოგიური მოსაზრება აქვს პარიზის უნივერსიტეტის ცნობილ ფრანგ პროფესორს, უჯრედის გენეტიკის სპეციალისტ ჯერომ ლიჟენს. მან თავისი გამოკვლევებით დაადასტურა, რომ მაშინ, როდესაც სპერმა და კვერცხუჯრედი ცალკეული უჯრედის ფორმირებისთვის

ერთმანეთს ერწყმის, ახალი სიცოცხლე იქმნება და ჩასახვისთანავე ადამიანის 46 ქრომოსომაში, ბავშვის გენეტიკის კოდში ჩადებულია პიროვნების დამახასიათებელი ნიშანი – სქესი, თვალის ფერი, ფეხის ზომა, ინტელექტი და სხვა.⁵

რაც შეეხება ადამიანის სიცოცხლეს ჩასახვისთანავე, ანუ ბავშვის სხეულის ფორმირებას, ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სამედიცინო კვლევები, საიდანაც ვიგებთ, რომ ორსულობის მესამე კვირას ყალიბდება ბავშვის ხერხემალი, თავი, ფილტვები, კუჭი, ნაწლავები და თირკმელები, ხოლო ღვიძლი წარმოქმნის სისხლს. ორსულობის მეთვრამეტე დღიდან კი პატარა გული იწყებს არარეგულარულად ცემას.

ორსულობის მეოთხე კვირას ბავშვი არის 1/2 სმ სიგრძეში და იწონის 1/2 გრამს. მისი გულისცემა დედის გულისცემის სინქრონულია.

ორსულობის მეხუთე კვირას ბავშვი სიმაღლესა და წონაში ორჯერ იმატებს – იწონის 1 გრამს და მისი სიგრძე 1 სანტიმეტრია, იკვებება მისი თავი, გულმკერდი და მუცელი, ყალიბდება თვალები ბადურასთან ერთად, გამოიკვეთება ყურები და ცხვირი, ტვინში კი იხსნება მეტყველების ცენტრები. ამ ეტაპზე უკვე შესაძლებელია ბავშვის ელექტროკარდიოგრამის გადაღება.

ორსულობის მეექვსე კვირას ყალიბდება ბავშვის მუხლები და გამოიკვეთება თითები. მეექვსე კვირის ბოლოს კი ელექტროენცეფალოგრამაზე შესაძლებელია ტვინის ტალღების გადაღება.

ორსულობის მეშვიდე კვირას ბავშვის ტვინი სრულიად ჩამოყალიბებულია. იგი გრძნობს და ეწინააღმდეგება გალიზიანებას, იხსნება ბავშვის ბაგეები, ჩნდება წოვის ინსტინქტი, თითები გრძელდება და იღებს იმ ფორმას, რომელიც ბავშვს მთელი სიცოცხლის მანძილზე ექნება.

ორსულობის მერვე კვირას ყველაზე მნიშვნელოვანი მე-60 დღეა, როდესაც ყველა ორგანო უკვე ჩამოყალიბებულია. ბავშვი არის 3 სმ სიგრძეში და იწონის 3 გრამს.

ორსულობის მეცხრე-მეათე კვირას უკვე მუშაობს ბავშვის სხეულის ყველა ორგანო, კუნთების მოქმედება ბავშვის ნერვული სისტემით იმართება და სინქრონული ხდება, ბავშვი ამოდრავებს ხელ-ფეხს და

წოვს თითს. იგი გრძნობს ტკივილს, უსმენს ხმებს და იმანსოვრებს დედის გულისცემას.

ორსულობის მეთორმეტე-მეცამეტე კვირას 3 თვის (90 დღის) ბავშვი არის 8 სმ სიგრძეში და იწონის 25 გრამს. ბავშვს გაზრდილი აქვს თმები და ფრჩხილები, ფხიზლობს, როდესაც ფხიზლობს დედამისი და სძინავს, როდესაც სძინავს დედას.

ჩასახულ ემბრიონს უკვე აქვს ადამიანის სული, რომელიც შეიცავს მომავალი სხეულის მთელ გეგმას. მაშასადამე, ფაქტობრივად, იგი არის ადამიანი უკვდავი სულით. მას სხეული ენერგეტიკული გეგმის სახით აქვს, რომელიც ჯერ კიდევ განუხორციელებელია ობიექტურად თვითმყოფად, ფიზიკურად ავტონომიურ მატერიაში.

აქედან გამომდინარე, განსახილველი უფლების დაცვის მოვალეობა მიმართული უნდა იყოს არა მარტო ზოგადად ადამიანის სიცოცხლისაკენ, არამედ კონკრეტულად – თითოეული ბავშვისკენაც. ამ ვალდებულების შესრულება ძირითადი პირობაა სახელმწიფოში მოწესრიგებული თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად,⁶ რაც ყველა სახელმწიფო სტრუქტურის, განსაკუთრებით კი, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციურ-ლეგალურ ვალდებულებას წარმოადგენს. დაცვის მოვალეობა, პირველ რიგში, მიმართულია იმ საფრთხის აღმოსაფხვრელად, რაც ადამიანთაგან არის მოსალოდნელი. შესაბამისად, ამ უფლების დაცვის საუკეთესო გზაა მისი დარღვევის აპრიორულ, ლეგალური პრევენცია.

ამერიკელი პრაქტიკოსი მეან-გინეკოლოგი, დოქტორი ბერნარდ ნატანსონი, იზიარებს შეხედულებას იმის თაობაზე, რომ განაყოფიერების მომენტისას ახალი სიცოცხლე წარმოიშობა. მან შეისწავლა ემბრიონის სიცოცხლე და გამოარკვია, თუ როდის იწყებს ის არსებობას. მან გამოიყენა ისეთი სამედიცინო ტექნიკური საშუალებები, როგორებიცაა: ულტრაბგერა, ემბრიოსკოპია, ემბრიონის გულის ელექტრონული მონიტორინგი, ჰისტეროსკოპია, რადიობიოლოგია და სხვა. გამოკვლევები ასაბუთებს, რომ ჩანასახი დამოუკიდებელი ადამიანია და ეს მეცნიერული ჭეშმარიტებაა.⁷ დასკვნების დასადასტურებლად მეცნიერმა გამოიყენა ულტრაბგერითი გადაღება, რომელსაც სახელად „უხმო ყვირილი“ უწოდა, ფილმში აღბეჭდილია აბორტის დროს 12 კვირის ფეტუსის მდგომარეობა. აბორტის ყველაზე გავრცელებულ ფორმას (98%) წარმოადგენს

აბორტი ვაკუუმით. ბასრბოლოიანი პლასტიკური მილი თავსდება საშვილოსნოში და ვაკუუმის მანქანა დაუბადებელ ბავშვს ნაჭრებად ჭრის. ხელსაწყო გამოწოვს ბავშვის ნაჭრებსა და პლაცენტას.⁸ ამ დროს 12 კვირის ნაყოფი წინასწარ გრძნობს საფრთხეს იმ ინსტრუმენტების მხრიდან, რომლითაც აბორტი კეთდება; გრძნობს საშიშროებას, ცდილობს, თავი დააღწიოს ინსტრუმენტებს და ამას იმით გამოხატავს, რომ მოძრაობს სწრაფად და მშფოთვარედ, გულის ცემა მატულობს 140-იდან 200-მდე, ფართოდ აღებს პირს და უხმოდ ყვირის.⁹

აქვე უნდა გავიხსენოთ მსოფლიო სამედიცინო ორგანიზაციის ჟენევის დეკლარაცია, რომელიც ექიმის ფიცის თანამედროვე ვარიანტად არის მიჩნეული. თუ ჰიპოკრატეს ფიცში ნათქვამია: „არ მივცე არც ერთ ქალს მუცლის მოსაშლელი პესარიუმი“, ჟენევის დეკლარაცია ჰიპოკრატეს ფიცისგან განსხვავებით, აკონკრეტებს, თუ რატომ არ უნდა მისცეს ექიმმა ქალს „მუცლის მოსაშლელი პესარიუმი“, ანუ აზუსტებს, თუ ვის მიმართ არსებობს დაცვის ვალდებულება, განამტკიცებს რა თეზისს: „პატივი ეცი ადამიანის სიცოცხლეს მისი ჩასახვისთანავე“. ე. ი. სიცოცხლის საწყისად ის არა დაბადების, არამედ ჩასახვის მომენტს აცხადებს.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული საკითხის შესახებ არსებული საკანონმდებლო ნორმები ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტა: დედის მუცელში ჩასახული ნაყოფი აღიარებულია სამართლის ობიექტად, რომელსაც იცავს კანონი.¹⁰ მოქალაქის დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა, რაც არა მარტო კრძალავს განვითარებადი სიცოცხლის მოსპობას სახელმწიფოს მიერ, არამედ ამ უკანასკნელს სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას აკისრებს. ორსულობის შეწყვეტა დასაშვებად ცხადდება მხოლოდ დედის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების თავიდან ასაცილებლად.¹¹

ჟენევის ზემოხსენებული დეკლარაცია და გერმანიის მოქმედი პოზიტიურ-მატერიალური კანონმდებლობა ემბრიონის სამართლებრივი სტატუსის შეფასებისას ერთმანეთს ეთანხმება. მას გარკვეულწილად საქართველოს მოქმედი მატერიალური კანონმდებლობაც შეესაბამება, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრეობის უფლება ჩასახვისთანავე წარმოიშობა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩანასახი სამართლის სუბიექტად არის აღიარებული, რომელსაც გარკვეული სახის უფლებები კანონმდებლობის საფუძველზე ჩასახვისთანავე ენიჭება. აქვე გავიხსენოთ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, რომლის 36-ე მუხლის მიხედვით სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას მიმართოს ნებისმიერ საშუალებას ნაყოფის სიცოცხლის დასაცავად. მაგრამ არის კი სიცოცხლის აქტიურად დაცვის ვალდებულება ერთნაირად ასახული საქართველოს ყველა შესაბამის კანონში, თუ ეს საკითხი სხვადასხვა კანონით განსხვავებულად არის რეგულირებული?

თუ განვიხილავთ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 136-ე მუხლს, დავინახავთ, რომ მასში არსებული ნორმები მოდიფიცირებას საჭიროებს, რადგან ზემოთ აღწერილი მიზანი ამ კანონით ვერ მიიღწევა. საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 136-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო“. საკითხავია რეალურად რამდენად გამართლებულია აღნიშნული აღმჭურველი ნორმის ამგვარი ფორმულირება, რადგან თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული იქნება შვილების გაჩენისა და მათი დაბადების მომენტის დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება, წარმოიშობა ამ ნორმის განვრცობითად გამოყენების საფრთხე. კერძოდ კი, შესაძლებელია 136-ე მუხლის ფორმულირებით გამართლებულ იქნას სიცოცხლის უფლების წინააღმდეგ მიმართული ქმედება. იგულისხმება ჩანასახის ხელოვნურად მოშორების გამართლება შვილების რაოდენობისა და მათი დაბადების დროის დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლების მოტივით. აღნიშნული ფორმულირებიდან გამომდინარე, თუ ქალი მიიღებს გადაწყვეტილებას ნაყოფის ხელოვნურად მოშორების შესახებ, მაშინ როდესაც ორსულობა დაგეგმილი არ ჰქონდა, თავისუფლად შეუძლია ორსულობის ნებისმიერ სტადიაზე მიიღოს გადაწყვეტილება – გაიკეთოს აბორტი და არ დაუშვას დაუგეგმავი მშობიარობა, რათა არ გააჩინოს არასასურველი ბავშვი.

აღნიშნული კი იმაზე მეტყველებს, რომ ლოკალური საკანონმდებლო ნორმები ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ ევროპაში დამკვიდრებულ, გაბატონებულ შეხედულებასაც. თუკი ემბრიონს განვიხილავთ დედის ორგანიზმის ნაწილად, აბორტის გაკეთებაც, შესაბამისად, პირადი და არა საჯარო განსჯის საკითხი იქნება და ამდენად, კანონმდებელი მასთან მიმართებაში უფლებაუუნარო აღმოჩნდება. მაგრამ თუ გავიხსენებთ გერმანიის ძირითადი კანონით აღიარებულ სამართლებრივ მდგომარეობას *nasciturus*-ის თაობაზე, ანუ იმას, რომ ემბრიონი დაცვის ობიექტი და დამოუკიდებელი ადამიანური სხეულია, აბორტი აღიქმება, როგორც სოციალური დიშენსია. ეს კი საკითხს სახელმწიფოსათვის ხელმისაწვდომს, ანუ არსებული კანონების განსჯის სფეროში აქცევს. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ ნაყოფს აქვს, როგორც სიცოცხლის უფლება, ასევე ღირსება, რადგან სწორედ მისი ჩასახვის მომენტიდან იწყება მისივე ბიოლოგიური განვითარების პროცესი. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის სიცოცხლის კანონით დაცვას, განმტკიცებულია სახელმწიფოს ვალდებულება შექმნას ისეთი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფოსა თუ კერძო პირების მიერ ჩადენილ ჩანასახის მკვლელობას მისცემს დანაშაულის – განზრახ მკვლელობის ნეგატიურ კვალიფიკაციას.

ამასთან არ შეიძლება აღნიშნული საკითხი ადამიანის თავისუფალი ნების ანაბარა იყოს მიტოვებული და მხოლოდ ცალკეულ ინდივიდთა კეთილ ნებაზე იყოს დამოკიდებული. მსგავსი საკითხები კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს, განისაზღვროს ქცევის ნორმები და მისგან გადახვევის შემთხვევაში – პასუხისმგებლობის საკითხი.¹² მით უფრო, როდესაც გამოკვლევების შედეგად ცალსახად დასტურდება, რომ დედა და შვილი ჩასახვის მომენტიდან ერთმანეთისაგან განცალკევებული და განსხვავებული ადამიანები არიან, ხშირად მათ აქვთ განსხვავებული სქესი, კანის პიგმენტაცია, თვალისა და თმის ფერი, სისხლის ჯგუფი. ახალგაზრდა ინდივიდი, საშვილოსნოს მკვებავი კედლის მიღწევისას გამოყოფს “ჰც” ჰორმონს, რომელიც აჩერებს დედის მენსტრუალურ ციკლს. ბავშვი გამოიშუშავებს თავის პირად სანაყოფო გარსს, თავისივე სიცოცხლის ხაზსა და მკვებავ სისტემას (პლაცენტას). ეს ყველაფერი ეკუთვნის

ბავშვს და არა დედას. დედა და ბავშვი დაკავშირებული არიან მხოლოდ და მხოლოდ პლაცენტით, რომელიც წარმოადგენს დაცვით ბარიერებსა და გაცვლით ფუნქციას.¹³ შესაბამისად, იკვეთება ორი სხვადასხვა ინდივიდის ინტერესი და ის შემთხვევა, როდესაც ხდება ორ ძირითად უფლებას – ბავშვის სიცოცხლისა და დედის თავისუფალი განვითარების უფლებებს შორის კოლიზია. კოლიდირებულ ინტერესთა არსებობის დროს უნდა გაირკვეს, თუ რომელი მხარის ინტერესია კონკრეტულ შემთხვევაში პრიორიტეტულად დაცვის ღირსი.

3. ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა – უმართლობა თუ მართლზომიერი ქმედება?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, შეიძლება მხოლოდ უკანონო აბორტს მიეცეს დანაშაულის კვალიფიკაცია (133-ე მუხლი). ამ შემთხვევაში, დანაშაულის ობიექტია არა თვითონ ჩანასახი, არამედ ქალის ჯანმრთელობა. ადამიანის დამოუკიდებელი სიცოცხლის დასაწყისად – დაბადებად ითვლება მშობიარობის პროცესის ის მომენტი, როცა იწყება ბავშვის გამოყოფა დედის საშოდან. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ადამიანის მკვლელობად შეიძლება ჩაითვალოს ქმედება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მიმართულია ნაყოფისადმი, მას შემდეგ, რაც იგი ნაწილობრივ მაინც გამოეყოფა დედის საშოს, თუნდაც ჯერ კიდევ არ სუნთქავდეს.

საკითხის დეტალურად გაანალიზებისათვის, ვფიქრობთ, მართებული იქნება განვიხილოთ, თუ რა არის მკვლელობა. ობიექტურად მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნას ადამიანის ორგანიზმზე მექანიკური, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, ელექტრონული და სხვა სახის ზემოქმედებით. მკვლელობის შემადგენლობის დაფუძნებისათვის სავალდებულოა ბიოლოგიური სიკვდილის დადგომა, რაც იმას ნიშნავს, რომ მკვლელობა მიეკუთვნება მატერიალური შემადგენლობის მქონე დანაშაულთა რიცხვს.

ამასთან ამ დანაშაულის შემადგენლობის დასაფუძნებლად, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ზემოთ მოხსენიებული დეფინიციების თანახმად, ბავშვის ორგანიზმზე ხდება ზემოქმედება, რის შედეგადაც

იგი ილუპება, ანუ მკვლელობის დამთავრებულად ცნობისათვის სავალდებულო შედეგი – სიკვდილი დგება.

მკვლელობისას დამნაშავეს ქმედებასა და ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, რომელიც არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება იყო სიცოცხლის მოსპობის აუცილებელი პირობა, ე. ი. ურომლისოდაც ამჯერად შედეგი არ დადგებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვის სიცოცხლის მოსპობა სახეზე გვექნება, აბორტი წარმოადგენს სიცოცხლის მოსპობის აუცილებელ პირობას. ე. ი. სახეზეა მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და ადამიანის სიცოცხლის მოსპობას შორის. აბორტის შემთხვევაში მოქმედებს არა მარტო ექიმი, რომელიც ატარებს აბორტის ოპერაციას, არამედ დედაც, რომელიც მიდის აბორტის გასაკეთებლად, ანუ სუბიექტურად დედას ამოძრავებს განზრახვა – იგი შეგნებულად უშვებს, რომ მის მოქმედებას ადამიანის სიკვდილი მოჰყვება. სუბიექტური მხრივ, იმავენიერად შეგვიძლია განვსაზღვროთ ექიმის მოქმედებაც, ანუ აბორტის გაკეთებას შეიძლება მიეცეს თანამონაწილეობით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია.

მკვლელობის თანაამსრულებლებად სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, ცნობილი უნდა იქნენ ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ ერთობლივად, მკვლელობის განზრახვით და უშუალო მონაწილეობას იღებდნენ დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის პროცესში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი იცავს ყველა ადამიანის სიცოცხლეს ადამიანის განვითარების ეტაპების მიუხედავად. ამის საპირისპიროდ, ლოკალური პოზიტიური სამართალი ადგენს ორსულის, როგორც ინდივიდის უფლებას დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა, რაც მხოლოდ ორსულობით, შესაბამისად, ბავშვის გაჩენითა და მისი აღზრდით შეიძლება შეიზღუდოს. როდესაც ვსაუბრობთ ბავშვის სიცოცხლეზე, უნდა აღინიშნოს, რომ იზღუდება არა თავისუფალი განვითარების უფლება, არამედ მისი სიცოცხლის უფლება. კონსტიტუციით განმტკიცებული სიცოცხლის დაცვის ვალდებულება კი, ორსულობის ასაკზე არ არის დამოკიდებული. კონსტიტუცია არ შეიცავს ისეთ მითითებას, რომლის თანახმადაც,

სიცოცხლის დაყოფა კატეგორიებად ორსულობის პროცესზე დამოკიდებული და სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას სახელმწიფოს აკისრებს. შესაბამისად, სიცოცხლის დაცვის გარანტიები კანონმდებლობით ორსულობის საწყის ეტაპზე უნდა იყოს გათვალისწინებული.¹⁴

იგივე მოსაზრებაა გაზიარებული 1969 წლის ადამიანის უფლებათა ამერიკის კონსტიტუციის კონვენციის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში, რომელიც ითვალისწინებს ჩასახვის მომენტიდან სიცოცხლის დაცვის პირობას: „ყველა პიროვნებას აქვს თავისი სიცოცხლის დაფასების უფლება. აღნიშნული უფლება დაცულია კანონით და ზოგადად, ჩასახვის მომენტიდან“...

იდენტურ დათქმას გვთავაზობს საქართველოში 1994 წლის 21 აპრილიდან ძალაში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებათა კონვენციის პრეამბულა: „ბავშვს, ფიზიკური და გონებრივი მოუძვინებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“.

ორსულობის შეწყვეტის კანონმდებლობით რეგულირების ორი ძირითადი გზა იკვეთება, ან მხოლოდ ქალის ინტერესების გათვალისწინება, ან მხოლოდ ნაყოფის, ანუ არდაბადებული ბავშვის ინტერესების გათვალისწინება, რადგან ამ შემთხვევაში იკვეთება ბავშვის სიცოცხლის უფლებასა და დედის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას შორის წარმოქმნილია კოლიზია და ნათელი ხდება, რომ დგება ერთ-ერთი მათგანისათვის უპირატესობის მინიჭების აუცილებლობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას განყენებულად თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს ინდივიდში არსებული პიროვნული უნარისა და ძალების თავისუფალ განვითარებასთან. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ამ უფლებას ვერ დაიცავს თუ სიცოცხლის უფლებით აღჭურვილი ადამიანი არ არსებობს. იმისათვის, რომ ვიფიქროთ ცხოვრებისა და საქმიანობის სფეროების დაცვაზე, აუცილებელია, პირველ რიგში, სიცოცხლის უფლების დაცვა, რადგან სწორედ სიცოცხლის უფლების მქონეს,

განურჩევლად ასაკისა და ქმედუნარიანობისა, აქვს პიროვნული უნარისა და ძალების განვითარების უფლება. შესაბამისად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცვას წინ უძღვის სიცოცხლის უფლების დაცვა, რაც განამტკიცებს მოსაზრებას, რომ სწორედ ბავშვის სიცოცხლე უპირატესად დაცვის ღირსი.

რადგან სიცოცხლე უზენაეს და უპირველეს სამართლებრივ ღირებულებას წარმოადგენს და ყველა სხვა დანარჩენი უფლება სწორედ მისგან გამომდინარეობს, ცხადი ხდება, რომ აწონ-დაწონვის პრინციპის თანახმად, სწორედ მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა დედის თავისუფალი განვითარების უფლებასთან (ისევე როგორც, ყველა სხვა უფლებასთან) შედარებით.

ჩანასახული ბავშვის დასაცავად სახელმწიფოს მიერ კანონთა საშუალებით დადგენილი ქცევის წესები ქმედებისა თუ მისგან თავის შეკავების, ნებართვისა და აკრძალვის შესახებ უნდა გავრცელდეს დედისაგან nasciturus-ის დაცვაზეც, მიუხედავად იმ ფიზიოლოგიური მჭიდრო კავშირისა, რომელიც მათ შორის არსებობს. დაცვის ამგვარი მექანიზმი მუშაობს მაშინ, როდესაც კანონი დედას ჩანასახის შენარჩუნებასა და მის გაჩენას ავალდებულებს. კანონმდებლის მიერ შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტების გათვალისწინება ორსულობის შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით, სხვადასხვაგვარად შეიძლება განხორციელდეს.

მთავარია, რომ კანონი რეალურად ახორციელებდეს სიცოცხლის დაცვას და მის მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს დროში გაწერილი სამართლებრივი თავისუფლების მინიჭება, რომელსაც შედეგად ორსულობის შეწყვეტა შეიძლება მოჰყვეს.¹⁵

ჩანასახის სიცოცხლის დაცვა არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ დედასთან ერთობლიობით, როგორც ერთ კონტექსტში მოაზრებული, ანუ „დაუბადებელი სიცოცხლის დაცვა მხოლოდ დედასთან ერთად და არა დედის წინააღმდეგ“.¹⁶

გამოსავალი, რომელიც ჩანასახისა და ორსული ქალის ინტერესებს თანაბრად დაიცავს, არ არსებობს. გამოსავალი არ იქნება არც ის, რომ გარკვეულ ეტაპზე ქალის უფლებებმა წინა პლანზე გადაიწიოს, ანუ ბავშვის უფლებები გარკვეული დროით შეიზღუდოს და ორსულობის საწყის ეტაპზე მიეცეს ქალს აბორტის გაკეთების უფლება. აბორტი ამ შემთხვევაშიც ბავშვის მკვლელობად იქნება შეფასებული.¹⁷

4. შობადობის კონტროლის მიმოხილვა

დაუშვებელია, ჩანასახის სიკვდილ-სიცოცხლის პრინციპული საკითხი ყურადღების მიღმა დარჩეს იმ ფაქტის გამო, რომ აბორტის უფლება სექსუალურ თავისუფლებასთან, ქალების უფლებებსა და შობადობის კონტროლთან გაიგივდეს. რადგან შობადობის კონტროლს თომას მალთუსამდე და მის მიერ შედგენილ „ზედმეტ“ ადამიანებთან ბრძოლის გეგმამდე მივყავართ, რომლითაც ქველმოქმედების უარყოფა, დანაშაულისა და ომების წახალისება, მედიცინის განვითარების შეფერხება და ა. შ. მოიაზრება. რადგან მალთუსიანელთა ბრძოლის ფორმები თანამედროვე მსოფლიოში ყოველად მიუღებლად იქნა აღიარებული, ეს მიმდინარეობა ამ სახით ვერ განვითარდა, მაგრამ მოსაზრება, რომ გეომეტრიული პროგრესიით განვითარებული მოსახლეობა და არითმეტიკული პროგრესიით განვითარებული ეკონომიკა ადამიანის ცხოვრებას პრობლემას უქმნის, დარჩა და მას მოსახლეობის შემცირების ახალი, უფრო „ჰუმანური“ გზა ჩაენაცვლა, კერძოდ კი – ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტის, მარგარეტ ზანგერის მიერ შემუშავებული მოსახლეობის მოშორების ახალი გეგმა. ეს გეგმა მალთუსისეული პროექტისგან განსხვავებით, ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგან ის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას ბომბებისა და ეპიდემიების ნაცვლად, სხვა გზით ითვალისწინებდა. ახალი პროექტი საყოველთაოდ ცნობილი გახდა სახელწოდებით – „გეგმა მშვიდობისათვის“ („Plan for Peace“). 1921 წელს მარგარეტ ზანგერმა ჩამოაყალიბა „შობადობის კონტროლის ლიგა“, რომლის ძირითადი მიზანი იყო აბორტების, სტერილიზაციისა და კონტრაცეპციის გზით მოსახლეობის გამრავლების ტემპის შემცირება. „შობადობის კონტროლის ლიგა“ გამოსცემდა ჟურნალს „შობადობის კონტროლის მიმოხილვა“ („Birth Control Review“), რომელშიც ნათლად ჩანს მათი იდეოლოგია. ამას ადასტურებს შემდეგი ციტატა ამ ჟურნალიდან: „ცოლქმრული ღალატი (ამ სიტყვის ფიზიკური გაგებით მაინც), არ უნდა ითვლებოდეს გაცილების საბაბად. ის არის თანამედროვე ქორწინების ბუნებრივი შედეგი“, ან კიდევ: „დიდი ოჯახი საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ყოველი მომდევნო ბავშვი აქვეითებს ოჯახის ცხოვრების დონეს“, ან კიდევ: „ჩვენ უნდა

უზრუნველყოთ ყოველი ბავშვის უფლება იყოს სასურველი“ (Birth Control Review~, IX გამ., №6, 1925). ანუ ყოველი „არასასურველი“ ბავშვი ლიკვიდირებულ უნდა იქნას. “რა ვქნათ”, რომ ამით „არასასურველი“ ბავშვის სიცოცხლის უფლებას ხელვეყოფთ. ზანგერი და მისი „შობადობის კონტროლის ლიგა“ „ნაყოფიერად“ თანამშრომლობდნენ ჰიტლერთან და მისი ფაშისტური იდეოლოგიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას განსაზღვრავდნენ. ევგენიკას – „მეცნიერებას“ ადამიანის ჯიშის გაუმჯობესების შესახებ, რომელიც დარვინის ათეისტური თეორიის ახალი განზომილება იყო, აქტიური პროპაგანდა ეწეოდა ფაშისტურ გერმანიაში. იქ საუკეთესო ჯიშის ადამიანები უნდა შეეჯვარებინათ და ამის მეშვეობით „ზეადამიანი“ უნდა მიეღოთ. 1933 წელს ზანგერის ჟურნალში გამოქვეყნდა მისი ახლო მეგობრისა და თანამოაზრის, ერნსტ რუდინის სტატია – „ევგენიკური სტერილიზაცია არსებითი მოთხოვნილებაა“. შემდგომში რუდინი გენეტიკური სტერილიზაციის ჰიტლერისეული პროექტის დირექტორი გახდა. 1942 წელს, ტაქტიკური მოსაზრებებით, ზანგერმა „შობადობის კონტროლის ლიგას“ გადაარქვა სახელი და „ოჯახის დაგეგმვის ასოციაცია“ დაარქვა, ხოლო 1948 წელს დაარსდა „ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაცია“, რომელიც დარეგისტრირდა 1953 წელს, ზანგერი კი მის საპატიო თავჯდომარედ იქნა არჩეული. ეს არის წინაისტორია დღევანდელი დემოგრაფიული საკითხებისადმი იმ მიდგომისა, რომელიც საჭიროდ მიიჩნევს მსოფლიოს დაცვას „ზედმეტი“ ადამიანებისგან.¹⁸ ზემოთქმულის გათვალისწინებით, ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ, უნდა ვიზრუნოთ, რომ თავისუფლების სახელით ნებადართულმა ქმედებამ არ გამოიწვიოს ბავშვის უფლებების უკანონო შეზღუდვა.

კანონის მიზანი უნდა იყოს სიცოცხლის დაცვის ორი მიმართულებით განხორციელება: ერთი მხრივ, თავიდან ამაცილებელი, დაცვითი და დამორგუნველი, ანუ სახელმწიფო ორგანოების მიერ დამსჯელობითი ზომების მატარებელი, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანია მოსახლეობაში სამართალშეგნების ჩამოყალიბება¹⁹ და ამაღლება, რათა ქცევის ამგვარი ნორმატიული ორიენტაციის საფუძველზე, სამართალდარღვევა არ მოხდეს.

5. ადამიანის სიცოცხლე და მისი გადარჩენის ვალდებულება

ერთ-ერთი საშუალება, მიმართული ჯერ კიდევ დაუბადებელი სიცოცხლის დაცვისაკენ, იქნება საჯარო დაწესებულებათა შექმნა (ან გაფართოება), სადაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს განმარტავენ, რჩევებს აძლევენ ოჯახებს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის დაცვის სურვილის გამყარების მიზნით.

არ შეიძლება ბავშვის სიცოცხლის უფლება დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს დედა ორსულობის საწყის ეტაპზე. აქედან გამომდინარე, ბავშვის სიცოცხლის უფლების დაცვა განხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ დედა ნაყოფს არ მოიშორებს. ჩვენ კი ვიცით, რომ სიცოცხლის უფლება უზენაესი ღირებულებაა და მისი შეზღუდვა დაუშვებელია. გარდა ამისა, როგორც ვიცით, კანონის საფუძველზე ძირითადი უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითადი უფლების შეზღუდვისას სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს ზოგად აუცილებლობას. კანონი, რომლის საფუძველზეც შეიძლება ძირითადი უფლების შეზღუდვა, აუცილებლად უნდა იყოს ზომიერი, ანუ მას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი, უნდა იყოს გამოსადეგი მიზნის მისაღწევად, აუცილებელი მიზნის მისაღწევად და შესაბამისი.²⁰ ლეგიტიმურ საჯარო მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოების კეთილდღეობა, სახელმწიფო უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ. გამოსადეგობა მაშინ გვაქვს, როცა კანონის საშუალებით შეიძლება დასახული კონკრეტული მიზნის მიღწევა. რაც შეეხება აუცილებლობას, კანონი მაშინ არის აუცილებელი, როცა კონკრეტული კანონის გარდა მიზნის მისაღწევად არ არსებობს სხვა შედარებით რბილი საშუალება. ამასთანავე აუცილებელია, რომ კანონი შეესაბამებოდეს ჩარევის ინტენსივობას, ანუ აუცილებელია მოხდეს სიკეთეთა შედარება, აწონ-დაწონვა.²¹ უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი განმარტებით ნაგულისხმებია ისეთი შემთხვევები, როცა სახელმწიფო ვალდებულია მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენოს ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, თუნდაც ამ საშუალებას სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა წარმოადგენდეს. მაგრამ არ გვაქვს უფლება წარმოვიდგინოთ, თითქოს

მოქალაქეებს სახელმწიფო სხვადასხვა ჯგუფად ყოფდეს და მოქალაქეთა დიფერენციაციის შედეგად იღებდეს გადაწყვეტილებას, ვისი სიცოცხლე არის ღირებული და ვისი არა. მოიაზრება ისეთი შემთხვევები, როცა მსხვერპლის გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მოისპობა დამნაშავეის სიცოცხლე. ასე რომ, დამნაშავეის მოკვლა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ ეს აუცილებელია სხვა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. სწორედ მაშინ იქნება კანონი ლეგიტიმური, გამოსადეგი, აუცილებელი და შესაბამისი. ჩვენს შემთხვევაში აღწერილი დედისა და ბავშვის ინტერესების კოლიზიისას, როცა ერთმანეთის პირისპირ გვაქვს ბავშვის სიცოცხლე და დედის თავისუფალი განვითარების უფლება, ცხადია, რომ სასწორზე არ დევს ორი სიცოცხლე, რომელთაგან სახელმწიფოს ერთის ამორჩევა და მისთვის უპირატესობის მინიჭება მოუწევს, რადგან ერთი სიცოცხლის გადასარჩენად მეორის მოსპობის აუცილებლობა არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისუფალი განვითარების უფლებასა და სიცოცხლის უფლებას შორის ამკარა უთანასწორობაა, მნიშვნელოვნად უთანასწორობის პირობებში კი, მარტივია დიფერენცირება, შინაარსიდან გამომდინარე, სიცოცხლის უფლებისთვის უპირატესობის მინიჭება და შესაბამისი მოპყრობა. შესაბამისად, სახელმწიფომ უზენაესი ღირებულების – სიცოცხლის დასაცავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თუ სწორედ ამ მოტივით კანონმდებლობით განმტკიცებული იქნება ჩარევის საფუძველი, კანონის მიზანი იქნება საზოგადოების კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რადგან კანონი შექმნის საფუძველს პიროვნების თავისუფალი განვითარების მოტივით აბორტის გაკეთების თავიდან აცილებისა. ამ შემთხვევაში იგი იქნება მიზნის მისაღწევად გამოსადეგი საშუალება. აქედან გამომდინარე, ვინაიდან პიროვნების თავისუფალი განვითარების მოტივით ნაყოფის ხელოვნურად მოშორების აკრძალვა კანონის გარდა სხვა უფრო რბილი საშუალებით არ მიიღწევა, კანონის მიღება აუცილებელია მიზნის მისაღწევად, მაშინაც კი, როდესაც დედა იღებს გადაწყვეტილებას გაიკეთოს აბორტი, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ არსებობს არაჯანსაღი ბავშვის დაბადების საფრთხე. ამ კონტექსტში შეიძლება კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჰიტლერის მიერ განხორციელებული გეგმა, რომლის მიხედვითაც, ასიათასობით ადამიანი იმის გამო

გაანადგურეს, რომ ჰიტლერი ამ ხალხს „სიცოცხლისათვის შეუფერებლად“ თვლიდა. გეგმა ითვალისწინებდა საზოგადოებისთვის ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მომტანი ადამიანების შექმნას. შესაბამისად, საზოგადოებისთვის უსარგებლოდ შერაცხილ ადამიანებს გაზის კამერებში უსწორდებოდნენ. ფაშისტების ამ გეგმას 275 ათასი ადამიანი ემსხვერპლა. საბედნიეროდ, დღესდღეობით ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ეს დანაშაული კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. შესაბამისად, სიცოცხლის უფლების დეკლარირებისას შექმნილი საკანონმდებლო ბაზა, ანდა გატარებული ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ნაცისტური გერმანიის რეჟიმისთვის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავს, ისევე უნდა იქნას უარყოფილი და დაგმობილი, როგორც ეს საერთაშორისო საზოგადოებამ ფაშისტური რეჟიმის მიმართ განახორციელა. დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეულ იქნას უფლება, რომელიც ჩასახვისთანავე ადამიანის თანდაყოლილი და განუყოფელი უფლებაა და რომლის მინიჭებაც სახელმწიფოს მიერ შეუძლებელია.

სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, იწყება თუ არა ადამიანის სიცოცხლე ჩასახვის მომენტიდან და, შესაბამისად, უზრუნველყოს მისი დაცვა ბავშვის უფლებათა კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის ანალოგიურად, მკაფიოდ გამოხატული ფორმით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანონის ნორმის შინაარსი და მისი დარღვევის სამართლებრივი შედეგი ადამიანისთვის გასაკები და მაქსიმალურად ნათლად ფორმულირებული უნდა იყოს.

სანამ ჩანასახის მკვლელობა დანაშაულად არ გამოცხადდება და შესაბამისი დამატება არ შევა ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში, პირის გადაწყვეტილება, რომელიც არა სიცოცხლის შენარჩუნების, არამედ მისი მოსპობისკენ იქნება მიმართული, წინდაწინ გამართლებული იქნება ქვეყნის კანონმდებლობის მიერ, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის დეკლარირებას ახდენს, ამ შემთხვევაში ამ უფლების დასაცავად მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას არ იყენებს. ასე რომ, დანაშაულის ჩამდენი გამართლებული იქნება როგორც საკუთარი სინდისით, ასევე თანამედროვე ლიბერალური საზოგადოების მხრივ.

დასასრულს, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება 1988 წელს აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მიერ აღნიშნულ საკითხზე სწორედ რომ მკაფიოდ ფორმულირებული განცხადების გახსენება: „მე, რონალდ

რეიგანი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ქვეყნის კონსტიტუციითა და კანონებით მონიჭებული უფლების თანახმად, ვაცხადებ პიროვნების ხელშეუვალობას ჩასახვის მომენტიდან მის ბუნებრივ სიკვდილამდე. ამასთან ვაცხადებ, რომ ყველაფერს გააკეთებ იმისათვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციისა და კანონების აღსრულებით მოხდეს დაუბადებელი ბავშვის დაცვა...“²²

ზემოთ ხსენებული ისტორიული სიტყვები უნდა იყოს ორიენტირი ნებისმიერი ეროვნულ-ლოკალური საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის საერთაშორისო ნორმა-სტანდარტებთან ჰარმონიზაციისა და ადამიანის ფუნდამენტური, პირველსაწყისი ორგანული უფლების – სიცოცხლის უფლების პრიორიტეტული დაცვის უზრუნველყოფისათვის.

შენიშვნები:

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თბილისი 2004.
2. ბესარიონ ბოხაშვილი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, 2004 წელი, მე-2 მუხლი სიცოცხლის დაცვა, გვ. 129.
3. იხ. 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე – Vo. v. France Application no. 53924/00, პუნქტი 80.
4. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი 2005 წელი, მუხლი მე-15, II. დაცული სფერო, გვ. 46.+
5. ლ. ჭელიძე, სიცოცხლის უფლება ფეტუსისთვის საქართველოში, თბილისი 2002, 1.2. როდის იწყება ჩანასახში სიცოცხლე? გვ. 17.
6. Art.1 Satz 2 GG.
7. ლ. ჭელიძე, სიცოცხლის უფლება ფეტუსისთვის საქართველოში, თბილისი 2002, 1.2. როდის იწყება ჩანასახში სიცოცხლე? გვ. 18.
8. ლ. ჭელიძე, სიცოცხლის უფლება ფეტუსისთვის საქართველოში, თბილისი 2002, 1.1. აბორტი გვ. 8.
9. ლ. ჭელიძე, სიცოცხლის უფლება ფეტუსისთვის საქართველოში, თბილისი 2002, 1.2. როდის იწყება ჩანასახში სიცოცხლე? გვ. 19.
10. Art. 2 Abs. 2 Satz 1, Art. 1 Abs. 1 GG.

11. Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts, Band 1-89, 6. Auflage, Hamburg 1994: Art. 2, Rn. 251.
12. Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts, Band 1-89, 6. Auflage, Hamburg 1994: Art. 2, Rn. 253.
13. ლ. ჭელიძე, სიცოცხლის უფლება ფეტუსისთვის საქართველოში, თბილისი 2002, 1.2. როდის იწყება ჩანასახში სიცოცხლე? გვ. 22.
14. Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts, Band 1-89, 6. Auflage, Hamburg 1994: Art. 2, Rn. 254.
15. Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts, Band 1-89, 6. Auflage, Hamburg 1994: rt. 2, Rn. 262.
16. Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts, Band 1-89, 6. Auflage, Hamburg 1994: t. 2, Rn. 266.
17. vgl. BverfGe 39,1 (43).
18. ეპისკოპოსი სტეფანე: ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის გაზეთი, №9(32) დეკემბერი, 2005 წელი, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენება: „დემოგრაფიული პრობლემები ქრისტიანული თვალსაზრისით“.
19. vgl. BverfGe 45, 187 (254, 256).
20. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2005 წელი, მე-15 მუხლი, III დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, გვ. 51, 52.
21. კონსტანტინე კუბლაშვილი: ძირითადი უფლებები, გამომცემლობა ჯისიაი, თბილისი 2003 წელი, ძირითადი უფლებების სტრუქტურა, გვ. 77.
22. ლ. ჭელიძე, სიცოცხლის უფლება ფეტუსისთვის საქართველოში, თბილისი 2002, 1.2.2. საზოგადოების თვალსაზრისი, გვ 28.

თავი V
წერილები და კომენტარები თემაზე:
ბენოციდი,
სემს-ბანათლება, კონტრაცეფცია

1. შესავალი

მრავალი თვალსაზრისით საინტერესოა ოჯახის დაგეგმვის ასოციაციის (ოდა) სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფილიალების საქმიანობა და ამ საქმიანობის შედეგები. საქართველოში ოდა-ს საქმიანობა შესამჩნევი უფრო 2000-იანი წლების დასაწყისში გახდა. ქართული ოდა გამოირჩეოდა თავისი პრიმიტივიზმით, უზნეობით, გარყვნილებითა და უნიჭობით. ოდა-სა და სექს-განმანათლებელთა ხაზით საქართველოში გამოიცა წიგნები „მხიარული საუბრები სექსზე“ და „ცვლილებები სხეულში“, რომლებიც, სექს-განმანათლებელთა განზრახვით, სკოლის მოსწავლეთათვის სახელმძღვანელო და საკითხავ წიგნებად უნდა ქცულიყო, მაგრამ საზოგადოების მკაცრმა რეაქციამ სექს-განმანათლებელთა განზრახვები ჩაშალა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. ოდა ამხილეს და მისი აქტივობა ისეთი თვალსაჩინო აღარ არის. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იგი სხვა სახელით შეინიღბა და თავის გამხრწნელ პროგრამებს, ძირითადად, პერიფერიებში ახორციელებს.

თვალნათლივ რომ წარმოვიდგინოთ სექს-განმანათლებლების ზნედაცემული და გამხრწნელი საქმიანობა საქართველოში, მოვიყვანოთ ამონარიდს წიგნიდან „ცვლილებები სხეულში“. ერთ-ერთ თავში არის საუბრები სხვადასხვა ანომალიურ სექსუალურ მიდრეკილებებზე, მხოლოდ ერთი მიზნით, რათა მოზრდებმა მათ შეხედონ არა როგორც უზნეობასა და სექსუალურ გადახრებს, არამედ, როგორც ნორმებსა და ჩვეულებრივ მოვლენებს. მაგრამ ყველა ზღვარს სცილდება საუბრები მშობლების სექსუალურ მიდრეკილებებზე შვილებისადმი, მაგალითად, როგორ საუბრობს ამ წიგნში, მცირეწლოვანი გოგონა

მისადმი მამის ავხორც ალერსზე. ასეთი რამის მოსმენა არამც თუ მოზარდისათვის, ნებისმიერი ნორმალური ადამიანისათვის საზარელი და აღმაშფოთებელია. აქ კი, საქართველოში, ზნედაცემულ სექს-განმანათლებლებს განზრახული აქვთ, ასეთ თემებზე ჩვენს მცირეწლოვან შვილებს ესაუბრონ, რათა მათ მიაჩვიონ თვალი, ყური, გონება და გრძნობა გარყვნილებას, ზნედაცემულობას. ასეთი პროგრამებით გაზრდილი მოზარდისთვის არაფერი წმინდა აღარ იარსებებს და ეს დიდი პრობლემა გახდება საზოგადოებისათვის, თითოეული ოჯახისათვის და, პირველ რიგში, შშობლებისათვის, რომლებისაც დაკარგული შვილებისა და გაუბედურებული ოჯახების სახით აქვე მიეზღვებათ თავისი უმოქმედობის, სიბილწისადმი შემგუებლობისა და შვილების მიმართ უპასუხისმგებლობის გამო.

მეტად საინტერესო და გასათვალისწინებელ ინფორმაციას შეიცავს **რედაქცია**-ს რუსული ფილიალის – **რედაქცია**-ს საქმიანობა რუსეთში. იქ დამგვემარებლებისა და სექს-განმანათლებლების საქმიანობა უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე საქართველოში და პროცესებიც უფრო შორს არის წასული. ამიტომ მისი საქმიანობის შედეგების გათვალისწინება, გამოცდილება და მაგალითები დაგვეხმარება ერის სულიერი გენოციდის მოსურნეთა და შემოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

2. ბენოციალის ანატომია აკოკალიფის მიჯნაზე

შეფხვებითი ზნეობრიობა

50-ანი წლების დასასრულს აშშ-ში სტატისტიკა აღნიშნავდა ერთ საკვირველ მოვლენას – აბორტების რიცხვის შემცირებას გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებში. ეს სურათი სტაბილური იყო და ყოველ ახალ წელს სინარჯის საბაბი ხდებოდა მაგრამ უცბად, თითქოს მკაცრი ხელის აქნევაზე, ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა – დაიწყო იმ ზნეობრიობის დაცემა, რომელმაც დღეს ამერიკაში ეროვნული უბედურება №1-ლის ხასიათი მიიღო. მხოლოდ გაუპატიურებების რიცხვი აშშ-ში 6-ჯერ აჭარბებს რუსეთის მაჩვენებლებს.

კი, მაგრამ, რა მოხდა?

1970 წელს აშშ-ში მიიღეს სახელმწიფო სკოლებისათვის „სექსუალური განათლების“ პროგრამა. მისი განხორციელებისათვის მთავრობამ ასეული მილიონობით დოლარი გამოყო. პროგრამის მიზანი იყო ბავშვებსა და მოზარდებში აბორტების რიცხვის შემცირება (თითქოს კეთილი მიზანია!) მათთვის კონტრაცეფციის მეთოდების სწავლების გზით. შეიქმნა აუცილებელი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები... მაგრამ შედეგი საშინელი იყო: აბორტების რიცხვი მოზარდებს შორის ხუთ წელიწადში (1971-1976) 45%-ით გაიზარდა! როგორც აღმოჩნდა, მსგავსი გაკვეთილები იწვევს ადრეულ და უწესრიგო სქესობრივ ცხოვრებას, დამლუპველად მოქმედებს მოსწავლეთა ფსიქიკაზე, ართმევს მათ პასუხისმგებლობის გრძნობას. მათ ხომ არწმუნებენ, რომ ე.წ. უსაფრთხო სექსი – ნორმა და ცხოვრების მიზანია.

ამ ისტორიის დეტალური გახეობა რუსეთში ოცდაათი წლის შემდეგ დაიწყო. 1995-2000 წლებში რუსეთში 15 წლამდე გოგონებში აბორტების რიცხვი 36%-ით შემცირდა. მაგრამ ისევე, როგორც აშშ-ში, რაღაც ძალამ უცბად გაშმაგებით დაიწყო მოთხოვნა, „სექსოლოგია“, როგორც საგანი, რუსეთის სკოლებში შეეტანათ. ამ ძალას აქვს სახელი – **ოღსა** (ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ასოციაციის). აშშ-შიც, 70-იანი წლების დასაწყისში, და რუსეთშიც, 90-ანი წლების დასასრულს, სექსუალური განათლების ასპარეზზე მოქმედებდა და მოქმედებს სწორედ ეს ანტიქრისტიანული ორგანიზაცია, რომლის ერთადერთი მიზანია – ჩაკლას ამა თუ იმ ქვეყანაში ზნეობრიობის ამაღლება. ბავშვთა კვლის (აბორტების) შემცირება ოღსა-ს ფუნქციონერებისათვის წარმოადგენს მოქმედების ნიშანს. ამ ორგანიზაციას 1942 წლამდე შობადობაზე კონტროლის ლიგა (ABCL) ერქვა. მისი დამაარსებელი მარგარეტ ზანგერი შემოფოთებული იყო მუშებში, ღარიბებსა და ნაცუმცირესობებში მაღალი შობადობით. მან, რაკი ამ ზრდას „ბიოლოგიურ ნარჩენთა სულ უფრო მზარდ ფართობს“ ადარებდა, თავის ორგანიზაციას ამოცანა დაუსახა, ცივილიზაცია არასრულფასოვანი ბავშვებისაგან დაეცვა. მათ რიცხვს ზანგერმა მიაკუთვნა როგორც ავადმყოფი ბავშვები, ასევე – ჯანმრთელებიც, ოღონდ მათი უბედურება ის იყო, რომ ჩაისახნენ იმიგრანტების, შავკანიანების, ღარიბებისა და ა.შ. მიერ. თავიდან მეთოდები ძალიან მარტივი იყო. მთელს ამერიკაში

გაიხსნა უფასო აბორტების კლინიკების ქსელი (თუმცა, ისევე, როგორც – ფასიანებისა; ამ ინდუსტრიას ამერიკაში ყოველწლიურად 500 მლნ. მოგება მოაქვს).

შემდგომში **ABCL**-მა მნიშვნელოვნად დახვეწა თავისი მეთოდები. მრავალი თვალსაზრისით ეს მოხდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფაშისტების მიერ წარმოებული ექსპერიმენტების წყალობით. ისეთი უნივერსალური საშუალების გარდა, როგორცაა საკონცენტრაციო ბანაკები, გერმანელები ხომ შობადობაზე კონტროლის მეთოდების ყველაზე ფართო სპექტრს ამუშავებდნენ – ჰომოსექსუალიზმის წახალისებიდან დაწყებული აბორტების კინორეკლამით დამთავრებული. მაგრამ მოსახლეობის ზრდაზე კონტროლის სფეროში **ABCL-ოფსა**-ს ყველაზე რევოლუციური და წარმატებული აღმოჩენა გახდა სექსოლოგიის გაკვეთილები საშუალო სკოლებში. საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამ პროგრამის გამოყენება იწვევს შობადობის ზვავისებურ დაცემას. სექსოლოგიით ბავშვის ორიენტირება ხომ არა – სიყვარულზე, არამედ „უსაფრთხო სექსზე“ ხდება. მაგრამ, როგორც ცნობილია, უსაფრთხო სექსი არ არსებობს. ყოველთვის არსებობს დაორსულების რისკი. და რას გვიჩვენებს ამ შემთხვევაში სექსოლოგია – შობას? არა. ამტკიცებს, რომ თანამედროვე მედიცინის განვითარების პირობებში აბორტი სავსებით უმტკივნეულოა, ხოლო უსაფრთხო სექსის მწვერვალად – სტერილიზაციას ასახელებს, ანუ სექსოლოგიის, ერთადერთი თუ არა, მთავარი მიზანია – არ დაუშვას ბავშვის დაბადება.

მითხარი, ვინ არის შენი მშობარი...

ოფსა-ს ძლევაძოსილი მსვლელობა რუსეთში 1991 წელს დაიწყო, როდესაც ხელი მოაწერეს საპრეზიდენტო პროგრამას „ოჯახის დაგეგმვა“. მაშინვე, 1991-ში, შეიქმნა **როფა** – ოჯახის დაგეგმვის რუსეთის ასოციაცია, რომელიც **ოფსა**-ს ფილიალს წარმოადგენს. ასოციაციის ხელმძღვანელებმა საყოველთაოდ განაცხადეს, რომ მათი ორგანიზაცია რუსეთში **ოფსა**-ს იდეოლოგიის გამტარებელია.

რას წარმოადგენს ეს იდეოლოგია? მაგალითად, უარყოფს ისეთ ცნებას, როგორცაა ოჯახი. ჟურნალის – „ოჯახის დაგეგმვა“ – 1994 წლის თებერვლის ნომერში შემდეგს კითხულობთ: „ცნება

„ოჯახი“ თავში რაღაც დამთრგუნველს ატარებს, რადგან პიროვნებას განსაზღვრულ მკაცრ ჩარჩოებში აქცევს. მეტიც, ჩვენს დროში ადამიანები ისე ცხოვრობენ, რომ არ იმყოფებიან ტრადიციული ქორწინების კავშირში, რომელსაც, ჩვეულებრივ, ახასიათებს ცნება „ოჯახი“. ანუ, ოჯახის დაგეგმვაში აქ მხოლოდ მისი განადგურება იგულისხმება. ამის მიუხედავად, **როდა**-ს მოღვაწეობამ რუსეთის ფედერაციის მთავრობის მხარდაჭერა დაიმსახურა. მარტო 1994 წელს ოჯახის დაგეგმვის ღონისძიებათა განხორციელებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 23 მილიარდი მანეთი გამოიყო, 50-ჯერ და უფრო მეტი, ვიდრე ობლების დახმარება (!). ამ ფულით (ასევე აშშ-ს მთავრობის, გაეროს მოსახლეობის ფონდის, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების ფარმა-მწარმოებლების, ასევე **როდა**-ს აშშ-ში ყველაზე მძლავრი აბორტარიების ქსელის შემოსავლებიდან მიღებული სახსრებით) რუსეთში გაიხსნა **როდა**-ს 50 ფილიალი, შობადობაზე კონტროლის 200 ცენტრი, შეისყიდეს უმაღლესი ხარისხის აპარატურა-დანადგარები მოსახლეობის სტერილიზაციისათვის (კასტრაციისათვის), სექსის შეცვლისათვის საჭირო დანადგარები და, ბოლოს, ამუშავდა პროგრამები რუსეთის სკოლებში აუცილებელი წიგნების, ბუკლეტების დანერგვისათვის. ამ მაკულატურას შორის ყველაზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს ბუკლეტი „ჩემი მეგობარი – პრეზერვატივი“, ამერიკული ფირმების საჩუქარი რუსი მოსწავლეებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ „მეგობარს“, ასევე პორნოგრაფიული ლიტერატურის, სასქესო ორგანოების მულაჟისა და ა.შ. ფართო სპექტრს მოსწავლეებს სთავაზობს არა სხვა ვინმე, არამედ – განათლების სამინისტრო. ამას ერთი ახსნა აქვს – კორუფცია. კორუფციის ხარისხზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ წავიკითხავთ განთალების, ჯანდაცვის სამინისტროების, მეცნიერებათა აკადემიისა და ა.შ. ჩინოვნიკების სიას, რომლებიც **როდა**-ს ხელმძღვანელობაში შედიან. დასავლეთიდან მათ ჯიბეებში მილიონობით დოლარი მოედინება. მეორე ხელფასები, ივბესტიციები სამინისტროს „საჭირო“ პოგრამებში, საზღვარგარეთის მივლინებები – აი, პირველ რიგში, რა დგას რუსი ადამიანის სექსუალური განათლებისათვის ჩინოვნიკების ნაზი ზრუნვის უკან

ყალბი მორცხობის ბარემი

რუსულ განათლებაზე გენერალური შეტევა ა.წ. სექტემბერში უნდა მომხდარიყო, სკოლებში ახალი საგნის – სექსოლოგიის შემოტანით. უკვე დაგზავნილი იყო სახელმძღვანელოები, მაგრამ მართლმადიდებელი საზოგადოებისა და განათლების აკადემიის სპეციალისტების პროტესტის გამო საქმე ჯერჯერობით შეჩერებულია. სხვა ყველაფერთან ერთად, აღმოჩნდა, რომ მსგავსი პროპაგანდა რფ-ს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. ჯერჯერობით ეწინააღმდეგება. სექტემბერში გოსდუმა აპირებს განიხილოს „კანონი რეპროდუქციული უფლებების შესახებ“. თუ ამ კანონს მიიღებენ, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების დამანგრეველი პროგრამები მიიღებენ იურიდიულ ბაზას. რას წარმოადგენს ახალი საგანი, რომლის ზემოქმედებაც ბავშვის ფსიქიკაზე განიცადეს თავად ამერიკელებმა და რომლის სწავლებასაც რუსეთში პირველიდან მეთერთმეტე კლასამდე კვირაში ერთხელ აპირებენ?

* * *

ჯერ ერთი, ბავშვს ასწავლიან „ყალბი მორცხვობის“ გარეშე მიუღდეს სექსთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. იმისათვის, რომ „გათავისუფლდეს“ ბავშვის ფსიქიკა, მას თავიდან სთავაზობენ შეიშვენიერებელი ადამიანის სხეულის სილამაზე. იმავდროულად ხდება ქრისტიანობის დისკრედიტაცია თავის „მლიქვნელურ მორალთან“ ერთად. ბავშვს თავში უტენიან, რომ კუდიანების დევნის პროცესი წარმოადგენს ქრისტიანობის გაფუფუნების შედეგს, რომ ეკლესია ზორციელ სიყვარულს სატანიზმად მიიჩნევს და ზიზღით უყურებს ქალს, როგორც ეშმაკის იარაღს. მაგრამ ეს გახრწნის მხოლოდ პირველი ეტაპია. როცა მასწავლებელს ეჩვენება, რომ ბავშვი საკმარისად გათავისუფლდა, ამოქმედებენ უფრო სერიოზულ თემებს, მაგალითად, მრავალწლიანი ოჯახის ნაკლოვანებები, შემოჰყავთ ისეთი ცნებები, როგორიცაა „ჰომოსექსუალური ოჯახი“. (აშშ-ში, ზოგიერთ სკოლებში სექსოლოგიის მასწავლებლად სპეციალურად იწვევდნენ გარყვნილ პიროვნებებს. მიიჩნევენ, რომ მათ აქვთ უნარი ნორმალურ ადამიანებზე უკეთ გაერკვნენ საგნის ნიუანსებში). შემდეგ ბავშვებს ორსულობისაგან თავის დაცვას ასწავლიან, უხსნიან, როგორ მოიშორონ სწორად ნაყოფი (ანუ, აბორტს, როგორც თავდაცვის უმაღლეს სტადიას), აუწერენ სტერილიზაციას (კასტრაციას).

მხოლოდ სქესობრივი აქტის ფიზიოლოგიას დათმობილი აქვს 26 საათი. ამოქმედებენ ანატომიურ სახელმძღვანელოებსა და საშუალებებს (გენიტალიების მულაჟები) და მისთ. გაკვეთილის პრაქტიკული ათვისებისათვის მასწავლებლის ხელიდან რეგულარულად იღებენ პრეზერვატივებს, ანუ პედაგოგი პირადად ახდენს ადრეული სექსუალური ცხოვრების პროვოცირებას: გინდა არ გინდა, რაკინ მასწავლებელი გთავაზობს, უნდა აილო და დანიშნულებისამებრ გამოიყენო. ასეთი რეაქცია ბავშვისათვის საეცებით ბუნებრივია.

* * *

ეს ყველაფერი დაწვრილებით არის აღწერილი შესაბამის მეთოდურ სახელმძღვანელოებში. ეს ჩვენს შვილებს თავს უნდა დასტყდომოდეთ უკვე სექტემბრიდან და, თუ საგანგებო ზომებს არ მივმართავთ, ჩვენს სკოლებში უახლოეს მომავალში მაინც შემოზვავდება. ამასთან, სწავლება არ არის ნებაყოფლობითი. ამჟამად მსოფლიოს მხოლოდ ორ ქვეყანაში – შვეციასა და ჰოლანდიაში – სექს-აღზრდას აქვს მკაცრად სავალდებულო, ძალდატანებითი ხასიათი. ამ სიაში მესამე ქვეყანა, განათლების სამინისტროს ჩანაფიქრით, უნდა გახდეს რუსეთი, ანუ ბავშვებს „უსაფრთხო სექსს“ მშობლების ნებართვის გარეშე ასწავლიან, ისე, რომ მშობლებს არც კი ეკითხებიან. მეტიც, სექსოლოგიის ერთ-ერთი ამოცანაა ოჯახში ბზარის გაჩენა. მაგალითად, გერმანიაში ბავშვები იძულებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ შემდეგი სახის სასწავლო სპექტაკლში: „როგორ დავიცვათ თავი მამის სექსუალური მედიებლობისაგან“. ბავშვს აძლევენ დარიგებას, რომ მამა მისი პოტენციური მოძალადეა. **როდა**-ს ერთ-ერთი გამოცემის ფურცლებზე ვიხილეთ: „მშობლებს, რომლებმაც ტოტალიტარული ეპოქის მლიქვნელოური ეთიკა შეითვისეს, არა აქვთ ბავშვების სქესობრივი აღზრდის გამოცდილება“. პროპაგანდისტური ენიდან ნორმალურ ადამიანურ ენაზე თარგმანში ეს ასე უნდა წავიკითხოთ: „რუსეთის მშობლებს, რომლებსაც სირცხვილის ნარჩენები შერჩათ, არა აქვთ ბავშვების გაზრდის გამოცდილება“. გამადლობთ ნდობისათვის!

ჩანართი: 1997 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა რფ

დანაშაულობათა კოდექსი, რომელიც, კერძოდ, შეიცავს 135-ე მუხლს. ის ითვალისწინებს ძალადობის გარეშე განმრყენელი მოქმედებების დასჯას. ამ მუხლის მიმართ რფ-ს გენპროკურორის განმარტებაში

ნათქვამია: „დანაშაულის ობიექტური მხარე გამოინატება მოქმედებაში, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ მცირეწლოვანი ბიჭისა და გოგონას სქესობრივი აღგზნება, გაუღვიძონ მათ არაჯანსაღი სექსუალური ინტერესი და ამით დაარღვიონ მოზარდის ნორმალური ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარება“. ეს განმარტება სავსებით მიესადაგება რუსეთის განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდირებულ სექსოლოგიის გაკვეთილებს.

* * *

მეცნიერები გვაფრთხილებენ.

სექსოლოგიის დამანგრეველი მოქმედების ხარისხზე შეიძლება ვილაპარაკოთ არა მხოლოდ ზნეობის თვალსაზრისით. არსებობს ფაქტები, სარწმუნო თვით „გამოსული“ მშობლებისათვის. ასე, მაგალითად, სექსოლოგიის მასწავლებელი ვალდებულია დაწვრილებით ახსნას კონტრაცეფციის მთელი სახე-სხვაობები და მომხიბლველობანი. ამასთან, ბავშვებს არ აცნობებენ, რომ სარძევე ჯირკვლების კიბოთი დაავადების რისკი 70%-ით იზრდება ქალებში, რომლებიც ორალური ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებით სარგებლობენ. რამდენადაც „ოჯახის დაგეგმვის“ მრავალი პროგრამა კონტრაცეპტივების მწარმოებლებისაგან ფინანსდება, მსგავსი ინფორმაცია საიდუმლოა. მაგრამ ეს მხოლოდ ყვავილებაა. უდავოა, თვლიან სპეციალისტები, რომ მსგავსი მეცადინეობების შედეგად ბავშვის ფსიქიკა ინგრევა. რას ნიშნავს ეს ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც ბავშვების 70-80%-ს უკვე აქვთ ფსიქიკური გადახრები, ისედაც ნათელია. მეცნიერებისათვის სიტყვა „ზნეობრიობა“ არ არის ძალიან აქტუალური. მაგრამ იმ პრობლემების შესწავლის დროს, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალურ განათლებასთან“, ისინი იმავე დასკვნამდე მიდიან, რასაც მორწმუნეები აკეთებენ. მოვიყვანოთ ამ საკითხის ერთ-ერთი მკვლევრის სიტყვები: **„როგორც ცნობილია, ნერვულ სისტემაში აღგზნებისა და შეკავების (დამუხრუჭების) პროცესებიდან ბავშვში დაბადებიდან აღგზნების პროცესები ჭარბობს. აქტიური დამუხრუჭების პროცესი მხოლოდ ასაკთან ერთად და სოციოკულტურული მექანიზმების წყალობით ვითარდება. აქტიური დამუხრუჭება**

ნებისმიერი კულტურის საბაზო ელემენტების ათვისების საფუძველში დევს, როგორც არის, ჩვენ ეს გვინდა თუ არა, აკრძალვები, ტაბუ. ახლა დავსვათ კითხვა – როგორ ჩამოყალიბდება აქტიური დამუხრუჭების სისტემა თანამედროვე ბავშვში, თუ სექსი არანაირად არ იქნება ტაბუირებული? ამ კითხვაზე ზუსტი და ამომწურავი პასუხი ასეთია (ბორის დრაპკინი): „არანაირად. აქტიური დამუხრუჭების სისტემა განადგურდება“. მაგრამ ამას შეიძლება შეეპასუხონ – ისტორიამ იცის კულტურები, რომლებიც ზნეობის თავისუფლებას უშვებდნენ. მაგრამ ეს ან პრიმიტიული, ან კვდომადი კულტურებია, ჩვენ კი ვლაპარაკობთ ჩვენს ჯერ კიდევ ინდუსტრიულ ქვეყანაზე“.

აღამიანებთან შეხვედრისას, რომელთაც კრიმინალური გადახრები აქვთ, მრავალი ჩვენგანი შეამჩნევდა რომ, მათი ფსიქიკა მრავალი ნიშნით გვაგონებს ბავშვისას. წარმოდგენები ზნეობაზე, სხვის ტკივილზე, საკუთარი მოქმედებების კონტროლის აუცილებლობა ბოროტმოქმედებს სავსებით მოზარდთა მსგავსი აქვთ, ანუ განვითარება შეჩერდა, არ ჩამოყალიბდა აქტიური დამუხრუჭების სისტემა. და შეიძლება წარმოვიდგინოთ – ბოროტმოქმედების როგორი აფეთქება გველოდება ჩვენ მომავალში, თუკი სქესობრივი აღზრდის პროგრამა ჩვენთან სკოლებში შემოვა. რუსული კულტურა (და მასზე დაფუძნებული სასკოლო აღზრდა) ტრადიციულად მიისწრაფვოდა, გაეკეთილშობილებინა და რომანტიკულობა მიენიჭებინა სქესისადმი ბავშვების ინტერესისათვის. სიყვარულის ფიზიკური მხარის საჯარო განხილვაზე აკრძალვა დევს რუსული კულტურის ბირთვში და ეროვნულ-კულტურული არქეტიპის ნაწილს წარმოადგენს. რა გველის ამ არქეტიპის რღვევის შემთხვევაში? მხოლოდ ერთი – რუსების, როგორც ერის, გაქრობა.

მაკრატელი

როდესაც ოცდაათი წლის მამაკაცი გულის უეცარი გაჩერებით უცბად იღუპება ქუჩაში – ეს, უმეტეს შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ მისთვის ცხოვრებამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. ღმერთი ძალით არ ტოვებს მას, ვინც სიკვდილს ეძიებს. რუსი ერი კვდება: **„ღებოპულაცია რუსეთში ატარებს სპეციფიკურ ხასიათს:**

შობალობის დონე, ისევე როგორც განვითარებულ ქვეყნებში, მცირეა, ხოლო სიკვდილიანობა სუსტად განვითარებული ქვეყნების – აფრიკულისა და ლათინოამერიკულის – შესაბამისი... ორი გრაფიკი – სიკვდილიანობის ზრდისა და შობალობის დაცემისა, ერთმანეთზე დადებული, რუსულ ასო X-ს – რუსულ მაკრატელს გვაგონებს“. ეს სიტყვები რუსეთის ჯანდაცვის მინისტრ ტატიანა დმიტრიევას ეკუთვნის. ტრაგედიის მიზეზი ცნობილია: ადამიანსა და ხალხს აქვთ უნარი იცოცხლონ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ, გაცნობიერებულად თუ ქვეცნობიერად, იციან, თუ რატომ უნდათ სიცოცხლე. ღმერთის რწმენის დაკარგვასთან ერთად ჩვენმა ერმა არსებობის აზრის დაკარგვაც დაიწყო. რუსეთის რეკოლუციის შემდგომი ისტორიის ყველა ეტაპი – ესაა სიცოცხლისადმი ინტერესის დაკარგვის საფეხურები. მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. სხვა მხარე ის არის, რომ ათასწლეულის განმავლობაში დაგროვილი ზნეობრივი განძეულობა, ძნელია, აი, ასე ერთბაშად, 80 წლის განმავლობაში დაკარგო. ახლა მილიონობით მოწამე ლოცულობს ჩვენი ხალხისათვის. ჩვენ ვხედავთ, შოკის გადატანის შემდეგ როგორ იწყებს მრავალი ჩვენი თანმემამულე სულიერ გაჯანსაღებას.

ადრეული აბორტების რიცხვის შემცირება რუსეთში – ეს დაწყებული ეროვნული აღმავლობის მხოლოდ ერთი წახნაგია. რუს ხალხს საერთოდ არ უნდა გადაშენება. საზღვარგარეთ მრავალი პოლიტიკოსი ძალიან სერიოზულად ეკიდება რუსეთის აღორძინების შესაძლებლობის საკითხს და ამისი ეშინია, რადგან ესმის, რომ ჩვენი სამშობლო ყოველთვის „მსოფლიო საზოგადოების“ გეგმების საწინააღმდეგოდ იმოძრაებს. იმისათვის, რომ დავეზღვიეთ ჩვენ – იქნება და გადავშენდეთ – შემოგდეს „ოჯახის დაგეგმვის“ იდეა. ეს გადაჭარბებაა – შეიძლება, მისაყვედუროს მკითხველმა. სამწუხაროდ, არა. „ვის უუთავისუფლებთ ტერიტორიებს?“ – წამოიძახა როგორღაც დეპუტატმა ელა პანფილოვამ, მაგრამ პასუხი არ მიუღია. ძალიან მძაფრია ეს კითხვა, ძალიან ზუსტი. ჩვენ ხომ მართლაც ვიღაცისთვის ვათავისუფლებთ ტერიტორიას. მკვეთრად, ეკონომიკის დეგრადაციის სწრაფვით, შემცირებულია ჯანდაცვის ხარჯები, იზრდება აბორტებისათვის ხელშემწყობ სოციალურ მაჩვენებელთა სია, რძის სამზარეულოების ნაცვლად ვალუტით ხდება სტერილიზაციის

დანადგარების შესყიდვა. „მოქალაქეთა რეპროდუქტიული უფლებების შესახებ კანონი“ ამ პოლიტიკის მხოლოდ დაგვირგვინება იქნება. სულ ცოტა ხნის წინ რეპროდუქტიული უფლების ქვეშ იგულისხმებოდა ქალის უფლება შობაზე. დღეს იგულისხმება უფლება – იყო უნაყოფო. სწორედ ამ უფლების, ყველა მის ასპექტში, დამტკიცებას აპირებს ახალი კანონი. შეიძლება, რომ ეს ყველაფერი შეგნებულად ხდებოდეს? რა დგას ამის უკან? დასავლეთის უზარმაზარი ფული და მძლავრი ზეწოლა. ზეწოლა არა მხოლოდ რუსეთსა და სუსტადგანვითარებულ ქვეყნებზე. იგივე პოლიტიკა ტარდება **ოფსა**-სა და მონათესავე ორგანიზაციების მიერ უკლებლივ ყველა ერის მიმართ, ამარიკელებიდან დაწყებული, შვედებით დამთავრებული.

კიდევ ერთხელ კაიროს კონფერენციის შესახებ

60-ანი წლების ერთ-ერთ საბჭოთა ფილმში არის ასეთი ეპიზოდი: ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელს საერთაშორისო კონფერენციაზე მოსახლეობის შესამცირებლად სთავაზობენ ძალზე ეფექტურსა და საშინელ საშუალებას. „ეს ყველა თქვენს ეკონომიკურ პრობლემას გადაჭრის“, – არწმუნებენ მას. – მოიჭერით ფეხები, მაშინ თქვენ აღარ დაიხარჯებით ფეხსაცმელის ყიდვით, – უპასუხა ინდოელმა. ოცდაათი წლის წინ მსგავსი გონებამახვილობა ჯერ კიდევ დასაშვები იყო. დღეს ეს ინდოელი დაუყოვნებლივ დაემშვიდობებოდა თავის კარიერას. ყველაფერმა ძალზე შორს შეტოპა. შობადობაზე კონტროლის კონვენციას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი. იმას, თუ რა შეიძლება განდგომილებს დაემართოთ, ერაყის მაგალითი გვიჩვენებს. ბლოკადის დროს იქ საჭმლის, წამლებისა და წყლის გამწმენდი ფილტრების უკმარისობის გამო ნახევარი მილიონი ბავშვი დაიღუპა. და ამას მსოფლიოში არავინ შეუშფოთებია. ბავშვების გადასარჩენად არ დაიდრა „წითელი ჯვარი“, „დიდმა ჰუმანისტებმა“ პირში წყალი ჩაიგუბეს. ადამიანის უფლებები არავის გახსენებია. არ გინდათ დამოუკიდებლად შეამციროთ მოსახლეობა? ჩვენ დაგეხმარებით – ასეთია „მსოფლიო თანამეგობრობის“ განზინება. დღეს მრავალს აწუხებს, რომ აფრიკაში

შიმშილით მილიონობით ადამიანი იღუპება. მაგრამ, თუ თვალს გაავადვენებთ შიმშილის მიზეზებს, მაშინ გაირკვევა საინტერესო დეტალები. ასე, სომალიში თავის დროზე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მოითხოვა ეკონომიკური რეფორმების გატარება. მიცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც რეფორმები დაიწყო სოფლის მეურნეობის დანგრევით (ისევე როგორც, ჩვენთან, რუსეთში (და ჩვენთანაც, საქართველოში – ა.უ.)). ახლა სომალიში, ბუნებრივია, შიმშილია. მიზეზების გახსენება მიღებული არ არის. ყველა ეს ფაქტი – ერთი ჯაჭვის რგოლებია. რამდენიმე თვის წინ კაიროში დამთავრდა კონფერენცია მოსახლეობისა და განვითარების საკითხებში. მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების მიერ გადაცემული ინფორმაციით შეუძლებელი იყო გაგება, რა არის კამათის ნამდვილი საგანი. თავს გვახვევდნენ აზრს, რომლის მიხედვითაც პროგრესული ძალები, წარმოდგენილნი ამერიკისა და ევროპის მდიდარი სახელმწიფოებით, მესამე ქვეყნებისა და მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, ძალისხმევას მიმართავდნენ იქითკენ, რომ ისეთი შესანიშნავი და დემოკრატიული ორგანიზაციის ფარგლებში, როგორც გაეროა, გადაგვეწყვიტა კაცობრიობის ყველაზე მტკივნეული პრობლემა – ჭარბმოსახლეობის პრობლემა.

რა მოხდა სინამდვილეში? ის, რომ კონფერენცია, ფაქტობრივად, ჩავარდა. მსოფლიოს მეტად ბევრი სიმწარე მოუტანა ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორცაა გაეროს მოსახლეობის ფონდი – **ოფსა** – და მისთანანი. ამ სიმწარეს ვერანაირი პროპაგანდით ვეღარ გადაფარავ. სიტყვამ მოიტანა, პროპაგანდასა და სიტყვის თავისუფლებაზე დასავლეთში ჟურნალისტებს, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ „პროგრესულ“ თვალსაზრისს, კონფერენციაზე ყველა წინააღმდეგობას უქმნიდნენ. სამი ჟურნალისტი ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააპატიმრა, ერთი გაეროს დაცვამ დააკავა, სხვას უარი უთხრეს აკრედიტაციაზე. თუმცა ჟურნალისტებზე ზეწოლა წვრილმანი იყო იმ მანტაჟთან შედარებით, რომელსაც მიმართავდნენ იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც „დადანაშაულებულები“ იყვნენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდაში. უკვე მრავალი წელია, რაც მესამე ქვეყნების მიერ სსფ-დან და მსოფლიო ბანკიდან სესხის მიღება დამოკიდებულია შობადობაზე კონტროლის პოლიტიკის

გატარებაზე. და ხშირად კორუმპირებული ან, უბრალოდ, სუსტი მთავრობები აფრიკული და აზიის ქვეყნებისა თავისი ხალხის ბედს „ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო“ სააგენტოებს უგდებენ ხელში.

თუ როგორ ტარდება ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკა, ამ საკითხზე ისაუბრა ბანგლადეშის დელეგატმა. იგი პირადად აიძულეს, რომ მოეხდინათ მისი სტერილიზაცია, რადგან ემუქრებოდნენ ბინიდან გასახლებით. როცა იგი ზეწოლას დაჰყვა, ბავშვის ყოლის უნართან ერთად ჯანმრთელობაც დაკარგა. სამაგიეროდ იგი ყოველთვიური პრემიით – ორი ნაჭერი საპნით დააჯილდოვეს. იმაზე, თუ რატომ დათანხმდა მისი მთავრობა ასეთ პოლიტიკაზე, ისაუბრა ბანგლადეშის ორგანიზაცია **Policy Research for Development Alternative**–დან ქ-მა ახმადმა. საქმე ისაა, რომ 70-ან წლებში ამერიკის ადმინისტრაციამ (ნიქსონ-კისინჯერი) მოამზადა მსოფლიოს დემოგრაფიული კონტროლის პროექტი – ცნობილი „მემორანდუმ 200“. მასში საუბრობდნენ, რომ აშშ, რომლის მოსახლეობაც დედამიწის მოსახლეობის 6%-ს შეადგენს, მოიხმარს მსოფლიო რესურსების ორ-მესამედს. მოსახლეობის ზრდა ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც ბუნებრივი რესურსების მომწოდებლები არიან, შეიძლება დაბრკოლებად იქცეს ამერიკული კომპანიებისათვის, რომელსაც ამ რესურსების მოპოვებისა და გაყიდვის მონოპოლია აქვთ. შედეგად, აუცილებელი იყო ჩარევა და მოსახლეობის ზრდის შეზღუდვა მესამე მსოფლიოს 13 ქვეყანაში, მათ შორის, ბანგლადეშშიც. იმაზე, თუ რა გაქანება მიიღო მსოფლიოში სტერილიზაციის პრაქტიკამ, ბრაზილიის მაგალითი გვიჩვენებს, სადაც „ოჯახის დაგეგმვის“ კამპანიის მსვლელობისას მთავრობამ სტერილიზება გაუკეთა 7 მილიონ (!) ქალს. თავის დროზე **ABCL**-ის (**ოქსა**-ს) დამფუძნებელმა, მარგარეტ ზანგერმა განაცხადა: „შობადობაზე კონტროლი – ეს არის კაცობრიობის ნაგვისგან გათავისუფლების პროცესი“. როგორც „დიდი ჰუმანისტების“ უმრავლესობა, ეს ქალიც იშვიათი პირდაპირობით გამოიჩინა.

ჩანართი: 1948 წელს მიღებულ საერთაშორისო კონვენციაში გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და მასზე სასჯელის შესახებ დადგენილია, რომ ნებისმიერი ერი, ორგანიზაცია ან ინდივიდუმი, რომელიც იყენებს მსგავს, მათ შორის ბავშვის შობის აცილებას

გათვლილ ზომებს, საერთაშორისო კანონმდებლობით დამნაშავეა გენოციდში. ყურადღება მივაქციოთ კონვენციის იმ ასპექტს, რომლის თანახმადაც, ამგვარ ქმედებებში ნებისმიერი ინდივიდუალური მონაწილეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც „კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული“, მაშინაც კი, თუ მსგავსი ქმედებები ამა თუ იმ ქვეყანაში ლეგალურია. ამგვარ ქმედებებში მონაწილე ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გენოციდში დადანაშაულდეს.

ნიღბის გარეშე

ზანგერის ყველაზე თანმიმდევრული მოწაფე გახდა ადოლფ ჰიტლერი. თუ შევხედავთ „შობადობაზე კონტროლის“ ფაშისტურ მეთოდებს, აღმოვაჩინოთ საკვირველ წვრილმანებს, რომლებიც ნათელს ფენენ დღეს მიმდინარე მოვლენებს. 1934 წელს ჰიტლერმა თქვა: **„ჩვენ ვალდებული ვართ შევამციროთ მოსახლეობა... მე არა მქვს მხედველობაში აუცილებელი განადგურება... არის მრავალი გზა, სისტემატური და ნაკლებად მტკივნეული, ყოველ შემთხვევაში, უსისხლო, იმისათვის, რომ არასასურველი რასები გაიძულოთ, გადაშენდნენ“.**

რა იყო ეს გზები? პასუხს ომისდროინდელ დირექტივებში ვხედავთ: **„აბორტისა და კონტრაცეფციის საშუალებები უნდა შეეთავაზოთ საჯაროდ, ყოველგვარი პოლიტიკური შეზღუდვის გარეშე. ჰომოსექსუალიზმი ყოველთვის ლეგალურად უნდა გამოვაცხადოთ. დაწესებულებებსა და პირებს, რომლებიც პროფესიულად აკეთებენ აბორტებს, ხელი არ შევუშალოთ... პროპაგანდის პრაქტიკულად წარმოების მიზნით მშვიდად უნდა გავანაწილოთ კონტრაცეპტივები (ამასთან, ფასების მხადაჭერას სახელმწიფო ახორციელებს)“.** თითქოს, (O)ლსა-ს პროგრამიდან იყო გადმოწერილი ჰიტლერელების მიერ შემდეგი რეკომენდაციებიც: **„პროპაგანდის ნებისმიერი საშუალებები, განსაკუთრებით პრესა, რადიო და კინო, ასევე, ფელეტონები, ბროშურები და ლექციები უნდა გამოვიყენოთ (გადასაშენებელი-ა.უ.) ხალხისთვის იმ იდეის ჩასაგონებლად, რომ საზიანოა რამდენიმე შვილის ყოლა. ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ იმ ხარჯებს, რომლებსაც ისინი იწვევენ, ვილაპარაკოთ კარგ**

ნიეთებზე, რომელთა ყიდვა შეიძლება ბავშვებზე დახარჯული ფულით. ასევე უნდა მივანიშნოთ ბავშვთა შობის საშიშ გავლენაზე ქალის ჯანმრთელობისთვის... აუცილებელი იქნება გავხსნათ სპეციალიზებული დაწესებულებები აბორტების საწარმოებლად და ამ მიზნით მოვამზადოთ სპეციალისტები. მოსახლეობა აბორტებს მაშინ უფრო სიამოვნებით მიმართავს... ნებაყოფლობითი სტერილიზაცია უნდა იქნეს რეკომენდირებული...“. „ამ ბრძანების შესახებ (ადგილობრივმა-ა.უ.) ექიმებმა არ უნდა იცოდნენ. მათ უნდა მივცეთ ინსტრუქცია, რომ ორსულობის შეწყვეტა უნდა მოხდეს სოციალური მონაცემების მიხედვით“. ფაშისტებმა განზრახ წაღვეს აღმოსავლეთ ევროპა პორნოგრაფიით, რათა ხელი შეეწყოს – კულტურული, პოლიტიკური და სულიერი თვალსაზრისით – მისი გახრწნისათვის. პროპაგანდის გერმანულმა განყოფილებამ პოლონეთის ქალაქებში ორგანიზება ან სუბსიდირება გაუკეთა იაფი პორნოგრაფიული ჟურნალების გამოცემებსა და ბულვარულ წარმოდგენებს.

* * *

მაგრამ როგორც ომის ფრონტზე, ასევე „ოჯახის დაგეგმვის“ სფეროში, ჰიტლერელებს ყველაფერი კარგად არ მიუდიოდათ. პოლონეთში პარტიზანებმა შექმნეს სპეციალური რაზმები აბორტებთან, ვარიეტესთან, სათამაშო სახლებსა და პორნოგრაფიით ვაჭრობასთან საბრძოლველად. ხოლო სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ, მალევე, გებელსმა უკრაინის რაიხკომისარიატიდან მიიღო წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო სერიოზული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება ვერასოდეს მიაღწიონ უკრაინელების „გარყვნილების საშუალებით გახრწნას“ მათი მაღალი ზნეობის გამო. სერიოზული კრიტიკა დაატყდა თავს ნაცისტურ გეგმებს თავად გერმანიაში.

გასული წლის შემოდგომაზე ბრიუსელის ქუჩებში გამოვიდა 300 ათასი ადამიანი მთავრობის იმ მეთოდების მიმართ პრიტესტის ნიშნად, რომლებიც ხელს უწყობენ ზნეობის დაცემას. ევროპაში ომისშემდგომი პერიოდის ეს უდიდესი მანიფესტაცია „თეთრი საჰაერო ბუმბულების რევოლუციად“ მონათლეს. იგი მშობელთა ასოციაციამ მოაწყო, რომელთა შვილები მოიტაცეს ან მოკლეს პედოფილებმა

და პორნობიზნესის საქმოსნებმა. „ხალხი აღაშფოთა და გააერთიანა ზნეობის დეგრადაციის განგაშმა“, – წერდნენ მიმომხილველები. გაფიცვებისა და დემონსტრაციების ტალღა რამდენიმე კვირა გაგრძელდა. აშშ-ში შეიქმნა **ოღსა**-სა და მის მსგავსთა მოწინააღმდეგე მრავალი ორგანიზაცია. შობადობაზე კონტროლის გეგმებს სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია. სწორედ ჩვენ, მართლმადიდებლებმა, მოვახერხეთ, რომ გასული წლის ოქტომბერში ჩაშლილიყო „რეპროდუქტიული ჯანმრთელობის შესახებ კანონი“, ხოლო 1997 წლის სექტემბერში – სექსუალური აღზრდის შემოტანა რუსეთის სკოლებში.

* * *

თავის დროზე ჰიტლერმა წამოისროლა, რომ ის ხელმძღვანელობს არა თავისი ნებით, არამედ „კოსმოსიდან“ მოღებულ ბრძანებებით. რასთან მიიყვანა ამან გერმანელი ხალხი, ჩვენთვის ცნობილია. აშშ-ს მმართველები, რომლებიც გამოყოფენ „ოჯახის დაგეგმვაზე“ მილიარდობით დოლარს, თითქოს ვერ ამჩნევენ, რა უფსკრული ჩნდება მათი ხალხის ფეხქვეშ. გარკვევით ჩანს, რომ ყველაფერის უკან არადაძიანური ძალა დგას, ძალა, რომელიც ადამიანის მიმართ მძვინვარე სიძულვილს შეუპყრია. ქრისტიანებზე კარგად ამის გაგება არავის შეუძლია. მით უფრო დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა იმაზე, რაც დღეს ხდება. „მოულოდნელი სინარული“, „მოალერსე“, „მანუგეშებელი“, „ყოველთა მწუხარეთა სინარული“, „ძუძუს მაწოვებელი“, „დაშრიტე მწუხარება ჩემი“, „წარწყმედულთა მომპოვნებელი“, „ცოდვილთა მეგზური“, „უჭკნობი ყვაილი“, „ცხოველსმყოფელი წყარო“, „აღმადგინებელი“, „ნაყოფის მომნიჭებელი“, „მსწრაფლშემსმენელი“, „ყოველთა დედუფალი“, „ღირსარსი“ და ა.შ. – ქრისტიანებმა ღვთისმშობლისათვის ასეულობით საყვარელი სახელი მოიგონეს. სწორედ დედის ხატისადმი სიყვარულში, რომელსაც ხელში ყრმა უჭირავს, ჩვენი რწმენა საწყისს პოულობდა. ჩვენ ეს წყარო უნდა დავიცვათ.

3. მწვალებლობა ერის გენოციდის სამსახურში

„მუცელში მოწყვეტილთა ცხონების“ შესაძლებლობის დაშვება მწვალებლობაა. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა ეკლესიის სწავლებაზე დაფუძნებული მართლმკვეთელური გადაწყვეტილებით. მაგრამ მწვალებლობის ჭიით გონება და სულგამოხრული, შესაძლოა – 30 ვერცხლს დახარბებული, ქრისტეს გარეშე ცხონების მქადაგებლები არ ცხრებიან და მათ მიერ გამოცემულ სხვადასხვა გამოცემაში კვლავ იმეორებენ უნათლავად ცხონების შესაძლებლობის მწვალებლობას.

კერძოდ, ზოგიერთ ლოცვანში შეტანილი აქვთ აშკარად მწვალებლური შინაარსის ლოცვა, როგორცაა, მაგალითად, დედის ლოცვა საშოში ნებსით მოკლულ ყრმათა სულთათვის, ანუ აბორტის მსხვერპლთათვის. ამ ლოცვით ისინი შესთხოვენ ღმერთს, რომ ნათელ სცეს მოწყლულთა სულებს, ანუ ევედრებიან, რომ ღმერთმა აცხონოს უნათლავად მოკლულის სული. სწორედ ამის შესაძლებლობის დაშვება არის მწვალებლობა და მას არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ჰუმანიზმსა და კაცთმოყვარეობასთან, რასაც ხშირად მწვალებლები და ქრისტეს უარყოფელები თავიანთი მწვალებლობის გასამართლებელ არგუმენტად იშველიებენ.

სინამდვილეში, საქმე სწორედ რომ პირიქითაა – ეს მწვალებლობა აბორტის ირიბ ქადაგებას წარმოადგენს და ერის გენოციდის ხელშეწყობა და მასში თანამონაწილეობაა. ამ მწვალებლობის „შემოგდება“ იმავე მიზნებს ემსახურება, რასაც ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკა. ამ გენოციდის მატარებელი მწვალებლობის ფორმულირება ეკლესიოლოგიურ ტერმინებში ასეც შეიძლება: „გაიკეთე აბორტი – და მით ამრავლე ცათა სასუფეველი“ ან – „მოკალი შვილი მუცელში და მისი სახით შეიძენ მეოხს ღვთის წინაშე“ და ა.შ. ასეთი ცნობიერების მატარებელი მწვალებლები იგივე ის „აბორტმახერები“ არიან, რომელთა სინდისზეც უამრავი მოკლული ბავშვის სისხლი და ცოდვაა!

4. სექსუალური ბანათლების შედეგები

60 – 70-ანი წლების მიჯნაზე სხვადასხვა ორგანიზაციის ინიციატივით მიმდინარეობდა ცხარე დებატები შობადობის კონტროლის (ანუ, კონტრაცეფციის, აბორტების, სტერილიზაციის, ვაზეკტომიის) თემაზე. ამ ორგანიზაციების ყოველწლიური

ანგარიშებიდან ნათლად ჩანდა, რომ დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის ზეწოლას ახორციელებდა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი. მათი ურთიერთკავშირი ატარებდა არა მხოლოდ პერსონალურ ხასიათს, იგი ეყრდნობოდა, ასევე მათ მიერ მიღებულ დოქტაქციებს, საერთო იდეოლოგიას, ზოგჯერ კი ისინი საერთო მისამართებიდან წარმოდგებოდნენ. ასეთ ორგანიზაციათა მთელი სტრუქტურა ეყრდნობოდა ფართოდ გაშლილ ეკონომიკურ საწყისებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – სახელმწიფო უწყებების დოქტაქციებს. ამ სტრუქტურის ცენტრს შეადგენდა ოჯახის დაგეგმვის ასოციაცია (Family Planning Association), ურთიერთქმედებათა საკუთარი სისტემით. თანდათან თვალსაჩინო ხდებოდა უზარმაზარი გავლენის მქონე განვრცობილი სტრუქტურის არსებობა.

უფრო ღრმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ განსახილველი სტრუქტურა უფრო შორს განივრცობა – მისი ინტერესები მოიცავს ევგენიკას, შობადობაზე კონტროლს, სექსუალური და ოჯახური სამართლის რეფორმას, სექსუალურ განათლებასა და ჯანმრთელობის სფეროებს. მისი საცეცები მისწვდა ოფიციალურ გამომცემლობებს, სამედიცინო, საგანმანათლებლო, კვლევით დაწესებულებებს, ქალთა ორგანიზაციებს, საოჯახო კონსულტაციებს, – ყველაფერს, სადაც არის ადამიანებზე ზემოქმედების შესაძლებლობა. აღმოჩნდა, რომ ის აკონტროლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ასევე აქვს გავლენა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ორგანოებში შტატიან სახელმწიფო მოხელეებზე.

ჩვენი გამოკვლევების პერიოდში, ლივერპულში, სექსუალური განათლების თემაზე სიმპოზიუმის დროს, ერთმა მომხსენებელმა გახსნა სექსუალური განათლების არსი, როცა თქვა: **„თუ ჩვენ არ დავიწყებთ სექსუალური განათლების საქმეს, მაშინ ბავშვები მნიშვნელოვანწილად მემკვიდრეობით მიიღებენ თავიანთი მშობლების მორალს“**. მალე აღმოჩნდა, რომ სექსუალური განათლება არა მხოლოდ იარაღია ყალბი ჰუმანიზმის პროპაგანდისტების ხელში, რომლითაც განმსჭვალულია მთელი სტრუქტურები. იმავდროულად, ჩვენ სრულად ვერ ვაფასებდით მის ძალასა და მისი ქმედების შედეგებს.

ამის შემდეგ, მალე გამოქვეყნდა წიგნი დამაინტრიგებელი სათაურით: **«The Men Behind Hitler – A German Warning to the World»** (ადამიანები

ჰიტლერის შემდეგ – გერმანია აფრთხილებს მსოფლიოს). მასში წარმოდგენილი იყო თეზისი, რომ, თუმცა ევგენიკურმა მოძრაობამ, პოპულარულმა XX საუკუნის დასაწყისში, ჰოლოკოსტის შემდეგ ჰიტლერულ გერმანიაში არსებობა შეწყვიტა, მაგრამ იგი აქტიურად ფუნქციონირებს ორგანიზაციის ფარგლებში, რომელიც პროპაგანდას უწევს აბორტებს, ევტანაზიას, სტერილიზაციას, **„ფსიქიკურ ჯანმრთელობას“** და ა.შ. ავტორი მოუწოდებს მკითხველს, მიმოიხედოს თავის ან მეზობელ ქვეყანაში – მაშინ ის შეძლებს დაინახოს, რომ ამ ორგანიზაციის წევრები და კომიტეტები იქ არიან. ეს დაკვირვება მოგვიანებით დამოუკიდებელი წყაროებიდან მიღებულმა წიგნებმა და დოკუმენტებმა დაადასტურა. აფრიკიდან მივიღეთ «All Kinds of Family Planning», კოლუმბიიდან – «თქვე შტრუცტურე ოფ ენოციდე», საფრანგეთიდან – «Un complot contre la vie». ეს უკანასკნელი, საფუძვლიანად დოკუმენტირებული, განიხილავდა აბორტებისა და შობადობის კონტროლის გეოპოლიტიკას, როგორც **„მდიდართა შორის უმდიდრესების“** ხელში მსოფლიოზე ძალაუფლების აკუმულირების საშუალებას. ისინი (მდიდართა შორის უმდიდრესები – ა.უ.) გრძნობენ ღარიბი ერების მხრიდან მოსალოდნელ მუქარას, რომელიც წარმოიშობა მოსახლეობის მატებისა და მეურნეობის ნელი, მაგრამ განუხრელი განვითარების შედეგად. სტატია ეძღვნება პრობლემას, რომელიც მეტად აქტუალურია ჩვენთვის. შობადობის შემცირება – აი, ჭეშმარიტი მიზანი სექს-განათლებისა, რომელიც ჩვენს სკოლებში იძულებითი წესით შემოაქვთ.

ასევე აშშ-ში გამოქვეყნებულია უნიკალური წიგნი «The SIECUS Circle – The Humanist Revolution», რომელშიც დოკუმენტურადაა წარმოდგენილი SIECUS – Sex Information and Education Council of the States–ის (სექსუალური განათლებისა და ინფორმაციის ამერიკის საბჭო). SIECUS დაარსდა 1964 წელს, ახალი ორგანიზაცია სკოლებში სექსუალური განათლების შეტანის გზით შეუდგა შობადობის კონტროლის საქმეს. SIECUS-ის პირველი დირექტორი იყო მერი კალდერონი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ორგანიზაცია Planned Parenthood–სთან (მშობლობის დაგეგმვა), ბრიტანული FPA–ს ამერიკელ ნათესავთან. SIECUS-ის ანგარიშების თანახმად, კალდერონი ეყრდნობოდა

ლოზუნგებსა და თეორიას, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ჰუმანისტ რუდოლფ დრეიკუსის მიერ, ისეთებს, როგორცაა:

– განსხვავების მოსაპოვა სქესებსა და სქესიდან გამომდინარე სასიცოცხლო როლებს შორის, მეტიც,

ამ როლების სრული შეცვლა;

– ბავშვების გათავისუფლება ოჯახზე მათი დამოკიდებულებისაგან;

– ჩვენთვის ცნობილი ოჯახის მოდელის დამხობა.

მართალია, დასახელებული წიგნების ავტორები თავიანთ გამოკვლევებს სხვადასხვა პრობლემიდან იწყებდნენ, მაგრამ დასკვნა, რომელსაც ისინი აკეთებდნენ, ყველასთვის საერთოა – ჩვენ საქმე გვაქვს ოჯახის არსებობასა და ადამიანის ცხოვრების ფასეულობაზე კარგად დაგეგმილ შეტევასთან.

ჩიშოლმის იდეოლოგია.

ყველაზე მჭევრმეტყველური მაგალითი იდეოლოგიისა, რომელიც შეფარულია შობადობაზე კონტროლის მოძრაობაში და რომელიც სექსუალური განათლების პროპაგანდას ეწევა, არის ლექტორ ბროკ ჩეშოლმის იდეოლოგია, რომელიც გამოცემულია მის წიგნში «Can People Learn to Learn». ჩეშოლმი, აღზრდით ჰუმანისტი, იყო პირველი დირექტორი ორგანიზაციისა World Health Organization – WHO (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია), ხოლო შემდგომ ორგანიზაცია WFMHO–ს (ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო ფედერაცია) ხელმძღვანელი. ის ასევე დაკავშირებული იყო შობადობის კონტროლის მოძრაობასთან, ასევე მის აგენტებთან ამერიკაში. ჩეშოლმი იყო მსოფლიო მთავრობის იდეის მომხრე. მათ, რომლებიც მას არ ეთანხმებოდნენ, ნევროტიკებად, ეგოისტებად და ფსიქიკურ ავადმყოფებად თვლიდა. მსოფლიოში ცხოვრების ცივილიზებული წესის განვითარების ყველაზე დიდ დაბრკოლებლად ის „სიკეთისა და ბოროტების” მცნებებს თვლიდა, რომლებიც, მისი აზრით, უნდა ამოძირკველიყო. რწმენის კანონებს, უცვალებელ პრინციპებს ან ღოგმატებს ის წყევლად მიიჩნევდა. ბავშვები თავისუფალნი უნდა იყვნენ ხალხური, რელიგიური და სხვა კულტურული „ცრურწმენებისაგან“, რომლებსაც მათ ნათესავეები და რელიგიური ავტორიტეტები უნერგავენ. მშობლებს იგი დიქტატორებად

განიხილავდა, რომლებიც „ბავშვის საუკეთესო ბუნებას“ აზნობენ. ამტკიცებდა, რომ სექსუალური განათლება უნდა დაიწყოს მეოთხე კლასში, ამასთან, უნდა გამოირიცხოს, - საჭიროების შემთხვევაში, ძალითაც – „უფროსების შეხედულებები“. ჩემოლმის იდეოლოგია ღრმად ჩაინერგა ადამიანების აზროვნებაში, ისინი მოუწოდებენ სექსუალური განათლებისაკენ. ამჟამად მისი კვალი შეიძლება ვიპოვოთ მრავალ მოღურ პუბლიკაციაში, რომლებიც სექსუალურ განათლებას შეეხება.

სექსუალური რევოლუციის დასაწყისი

უკანასკნელი ორი ათასწლეულის განმავლობაში დასავლურ სამყაროში იდეალის შესახებ არსებობდა საზოგადოებრივი თანხმობა (თუმცა ხდებოდა, რომ პრაქტიკა სხვაგვარი იყო) – ერთქორწინების ჩარჩოებში სექსის კავშირისა სიყვარულსა და ერთგულებასთან. მაგრამ წინა საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ცვლილებები მოხდა. იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც ამ ცვლილებებზე აშკარა ზემოქმედება მოახდინეს, იყო კინსის ანგარიში, რომელიც 1948 და 1953 წლებში გამოქვეყნდა. გამოკვლევა დაფინანსებული იყო როკფელერის ფონდის მიერ. ალფრედ ა. კინსიმ, ზოოლოგმა, 12 ათასი ადამიანის მიმართ გამოიყენა იგივე მეთოდები, რომელსაც იგი იყენებდა 2 მილიონიანი მწერის პოპულაციის ქცევის გამოკვლევას. ეყრდნობოდა მიღებულ მონაცემებს და ის ასკვნიდა – მისდა გასაკვირად – რომ სექსუალურ ქცევაში არ არის რაიმე ისეთი, როგორცაა „ნორმა“ და „არანორმალურობა“, „სიკეთე და ბოროტება“. ანგარიშის პირველი გამოცემისთანავე ეჭვი შეიტანეს კინსის ექსპერიმენტალური „ტექნიკების“ სისწორესა და სარწმუნოებაში. პირები, რომლებიც კინსის ექსპერიმენტში იღებდნენ მონაწილეობას, იყვნენ არა საზოგადოებაში შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულნი, არამედ – მოხალისეები, ამიტომ გამოკვლევის შედეგებზე ამ ადამიანთა ტიპს შეეძლო დიდი ზემოქმედება მოეხდინათ. მიუხედავად კინსის მიერ გამოყენებული მეთოდების შეუთავსებლობისა, სენსაციურობა, გამომდინარე მისი ანგარიშიდან, მალე იქნა მიღებული როგორც ფაქტი და გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, „სექსუალური უმცირესობების“, ასევე ბიზნესის ფართო სფეროების მიერ, როგორც გამართლება

სექსუალური თავისუფლების იდეოლოგიისა. სექსი იქცა საქონლად, რომლის გამოყენებაც უნდა მომხდარიყო. პირიქით, სიყვარული მოსარიდებელ თემად იქცა. არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ ამ ხშირად ციტირებული ანგარიშების მიერ გამოწვეული შორს მიმავალი გავლენები სექსუალურ აღზრდასა და სექსუალური განათლების პოლიტიკაზე. კინსის ანგარიშები სექსუალური აღზრდის მისიონერებისათვის საწყის პუნქტებად იქცნენ, – მათი შორს მიმავალი ეფექტები დასავლურ საზოგადოებაში ადვილად შეგვიძლია დავინახოთ. რაღაც მსგავსი შეინიშნება რუსეთში: ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სექს-განათლების შემოტანაზე, ასე თუ ისე, დაკავშირებულნი არიან სექს-ბიზნესთან, ანუ სექსუალური რეკოლუციის სქესობრივი ინსტიქტის კომერციულ ექსპლუატაციასთან, სხვადასხვა „სექსის მასწავლებლებთან“ და მათ ძალისხმევასთან, ააშენონ „ახალი, სრულყოფილი მსოფლიო“.

შობადობაზე კონტროლი სექსუალური განათლების საშუალებით

მარგარეტ ზანგერი, ისევე როგორც მერი სტოპესი, შობადობაზე კონტროლის ბრიტანული მოძრაობის ინიციატორი, მონაწილეობდა ევგენიკურ მოძრაობაში. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამ ორი ქალის ევგენიკურმა მოღვაწეობამ მიგვიყვანა შობადობაზე კონტროლის მოძრაობის წარმოშობასთან. მისი აქტიურობა ეფუძნებოდა შობადობაზე კონტროლის ორ მსოფლიო ორგანიზაციას: Population Council (მოსახლეობის საბჭოს), რომლის ცენტრი ნიუ-იორკშია და რომელიც მოძრაობის „ტვინს“ წარმოადგენს, ასევე International Planned Parenthood Federation (IPPF) – მის „აღმასკომს“. IPPF-ის რვა დამფუძნებელს შორის იყვნენ, როგორც ამერიკული ორგანიზაცია Planned Parenthood, ასევე ინგლისური FPA. როგორც Population Council ისევე IPPF ფინანსდება რამდენიმე წყაროდან, რომელთა შორის არიან ამერიკის მთავრობა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, სხვა ქვეყნების მთავრობები, საერთაშორისო სააგენტოები და კერძო ფონდები, მათ შორის, როკველერის ფონდი (რომელმაც, სხვათა შორის, კინსის ანგარიშები დააფინანსა).

საკუთრივ, მარგარეტ ზანგერმა გამოიგონა ჩასახვის საწინააღმდეგო აბი. ამ ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის მან ჩამოაყალიბა კვლევითი ბიურო, რომელსაც თავისივე სახელი დაარქვა. 1960 წ. ბაზარზე აბის გამოტანამ გამოიწვია კონტრაცეფციის მთელ მსოფლიოში გავრცელება. ქალებს არწმუნებდნენ, რომ, ბოლოს და ბოლოს, მათ თავისუფლად შეუძლიათ აკონტროლონ თავიანთი ნაყოფიერება, და სექსუალურობა აღარ იქნება დაკავშირებული პროკრეაციასთან; მათ, ასევე, არწმუნებდნენ, რომ აბი სავსებით **“უსაფრთხო“** და საიმედოა. არ არის ძნელი, შევაფასოთ ამ აბების გაყიდვით მიღებული ფარმაცევტული კომპანიების შემოსავალი, ასევე ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო პროპაგანდისტებისათვის აბების გამოჩენა.

მაგრამ გამოკვლევების შემდეგ ცხადი გახდა (სამწუხაროდ, ბევრი მომხმარებლისათვის, ჯერჯერობით, მთლად ცხადი ვერ გახდა), რომ ახალი „საუცხოლო“ მედიკამენტი არ არის მთლად უსაფრთხო და ნდობის ღირსი, არამედ ჯანმრთელობისათვის საკმაო სარისკოა. ისინი, ვინც ბედავდა გამოექვეყნებინა მონაცემები, რომლებიც შეეხებოდა აბებით გამოწვეულ პრობლემებს ან მიუთითებდა მოზარდი გოგონების მიერ მათი მიღების შემთხვევაში არსებულ პოტენციურ საშიშროებაზე, პანიკის მთესველ ბოროტმოქმედებად შერაცხეს.

როგორც Population Council, ისე IPPF, იყვნენ და არიან უჩვეულოდ აქტიური მესამე ქვეყნებში კონტრაცეპტული ტექნიკის გავრცელებისათვის მასობრივი კამპანიის დაგეგმვასა და რეალიზაციაში. ისინი ორგანიზებას უკეთებენ აბორტებისა და „ღროებითი“ და მუდმივი სტერილიზაციის პროპაგანდის კამპანიას, მაგრამ მათი აქტივობა სხვა სფეროებზეც ვრცელდება. IPPF-ს ინტერესები უფრო ფართოა, ვიდრე ეს დაბალგანვითვებულ ქვეყნებში ოჯახის დაგეგმვის საქმეში მომსახურების გაწევას. 1967 წ. IPPF-მ წარმოადგინა პროგრამა **„ლეგალური ფორმების სტრატეგია – როგორ არის მასში FPA დაინტერესებული“**. ამით ნათელი ხდება, რომ IPPF-ს უნდა, ოჯახის დაგეგმვის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა იპოვონ სამართლებრივი საფუძვლები, ასევე ჩამოაყალიბონ არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია კანონმდებლობის შეცვლა, მათ შორის, კანონმდებლობისა, რომელიც სცილდება ოჯახის დაგეგმვის პრობლემის სფეროს. საერთო

ლოზუნგის – „ქალის სტატუსი“ – მომარჯვებით იგეგმება ცვლილებები, რომლებიც მოიცავენ ქალის უფლებას აბორტზე, სტერილიზაციაზე, საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებები, განქორწინების შესახებ და ოჯახის შესახებ სამართლის ლიბერალიზაცია, ასაკობრივი ზღვარის დაწევა შობადობაზე კონტროლის საშუალებების გამოყენებისათვის, ასევე სავალდებულო სექსუალური განათლების მიღებისა.

ამ მიზნების მისაღწევად IPPF საზოგადოებრივ ცნობიერებაში ისეთი კლიმატის შექმნას ცდილობს, რომელიც შესაძლებელს ხდის, კონკრეტული ხელისუფლება დაარწმუნოს, საკუთარ თავზე აიღოს შობადობის შემცირების პროგრამების რეალიზაციაზე პასუხისმგებლობა. როდესაც ამის შედეგად ეს ხელისუფლება შესაბამისი პროგრამის დოტაციას ამტკიცებს, IPPF-ის განყოფილება შტაბისმაგვარის ორგანიზებას ახდენს, რომლის წყალობითაც შესაძლებელი იქნება შობადობაზე კონტროლის პროგრამის დაწყება. ეს შტაბი ორგანიზებას უკეთებს არა მარტო საკუთარი პერსონალის სწავლებას, არამედ სამთავრობო ჩინოვნიკებისასაც, და, ამგვარად, IPPF-ს ქმედება ინტეგრირებულია სამთავრობო პროგრამებთან; აქ IPPF თავისთვის უზრუნველყოფს სრულ კონტროლს.

ეს ხსნის, თუ რატომ ვიღებთ აქ, დიდ ბრიტანეთში, ჩვენ სამთავრობო ჩინოვნიკებისაგან არაცალსახა და თავის დამძვრენ პასუხებს, როდესაც მათ ვეკითხებით IPPF-სა და მისი ბრიტანული ფილიალის საქმიანობის შესახებ.

IPPF-ს პუბლიკაციები ხშირად ხაზს უსვამს ახალგაზრდობის აღზრდის აუცილებლობას, რათა მათ გაიარონ სწავლება შობადობის კონტროლის, ოჯახური ცხოვრებისა და სექსუალური განათლების შესახებ. მაგრამ სინამდვილეში IPPF-ს მიერ რეკომენდირებული სექსუალური აღზრდის წიგნები და სამეცნიერო სახელმძღვანელოები ძალზე ცოტას საუბრობენ ოჯახური ცხოვრების შესახებ. მათში უფრო მეტი ადგილი ეთმობა მასალას, რომლებშიც ჩემოლომის იდეოლოგიის კვალი მოჩანს: **არ არის არავითარი „სიკეთე და ბოროტება“, ამის სანაცვლოდ, სექსუალური აქტივობის ერთადერთ შეზღუდვას კონტრაცეფციის აუცილებლობა წარმოადგენს.** პარადოქსულია ასევე მიდგომა, რომელიც ახალგაზრდებს სექსუალური აქტივობისკენ უბიძგებს, რომელიც –

როგორც უნდა გვევარაუდა – ერთი შეხედვით, ხელს არ უნდა უწყობდეს შობადობაზე კონტროლს.

კამპანიის ჩატარების ტექნიკა

ზემოთ აღწერილი ფორმების ცხოვრებაში გატარების კამპანიისათვის გამოიყენება შესანიშნავი და თანმიმდევრული ტექნოლოგიები. ისინი, შეიძლება, სხვადასხვა ქვეყანაში შეგვხვდეს.

ცვლილებებისათვის სარწმუნო სამართლებრივი საფუძვლების მოძებნის შემდეგ IPPF-ის ფილიალები ცალკეულ ქვეყნებში იწყებდნენ ადამიანთა ჯგუფების ორგანიზებას, რომლებსაც სათანადო სამეცნიერო ხარისხები ჰქონდათ, რათა განხორციელებულიყო ადგილობრივ პარლამენტზე ზეწოლა. საზოგადოებრივი ცნობიერების დამუშავებისათვის იძებნება განსაკუთრებით დრამატული მაგალითები: **„თოთხმეტი წლის გოგონამ ქუჩაში მიაგდო სკუთარი შვილი“**. ეს არის ასეთი განწირული ნაბიჯის მიზეზების შესახებ სრულყოფილი მასალა პირველი გვერდის საგაზეთო წერილისათვის. ისეთი ლოზუნგების დახმარებით, როგორცაა: **„ყოველი ბავშვი უნდა იყოს სასურველი“**, **„უსაფრთხო სექსი არასრულწლოვანთათვის“**, ასევე **„პროფესიული საიდუმლოების ქონის უფლება“**, ცდილობენ გაიტანონ თეზისი, რომ, თუ ეს (ვინც ბავშვი მიაგდო – ა.უ.) გოგონა მიიღებდა IPPF-ის მიერ წარმოებულ სექსუალურ განათლებას და მშობლების შიშის გარეშე კონტრაცეპტივებზე ხელში მიუწვდებოდა, მაშინ ნამდვილად არ დაორსულდებოდა. ასეთი ყალბი პროპაგანდის კვალდაკვალ იწერება სტატიები, გამოკვლევები და ანალიზები, რომლებმაც უნდა დაადასტუროს ის არგუმენტები, რომელთაგან სინამდვილეში ვერც ერთი ვერ უძლებს სამეცნიერო კრიტიკას.

ქალთა ჟურნალების გარკვეული ჯგუფი მკითხველთა აზრის შესწავლის საბაბით მონოტონური რეგულარულობით უერთდება ამ კამპანიას. საზოგადოების აზრის ამ ზონდაჟების შედეგებს წარმოგვიდგენენ, როგორც სამეცნიერო ფაქტებს, თუმცა – აშკარაა – მასში მოხალისეები მონაწილეობენ, ქალთა პრესის წარმომადგენლები და არა შემთხვევითი ჯგუფი, რომელიც წარმომადგენლობითი იქნებოდა მოცემული საზოგადოებისთვის.

სარეკლამო ღირებულება აქვს ასევე ხელოვნურად ამაღლებულ სტატისტიკას.

დოქტორი მაკოლმ პოტსი, მოსახლეობის პრობლემების საკითხებში საქვეყნოდ ცნობილი საერთაშორისო ექსპერტი, ამბობს: „**ისინი, რომლებსაც სურთ სამართლის ლიბერალიზაცია, დაიწყებენ მტკიცებას, რომ ყოველწლიურად ასეული ათასობით ქალი იღუპება., მაშინ, როდესაც მათი რეალური რიცხვი ბევრად ნაკლებია**“.

საკმარისია, ორი მაგალითი მოვიყვანოთ: საფრანგეთში აბორტის უფლების დასაცავად არგუმენტად მოჰყავდათ სხვადასხვა რიცხობრივი მონაცემები. ამბობდნენ, რომ ყოველწლიურად კეთდება 1,5 მლნ. თუ 2,5 მლნ. არალეგალური აბორტი, მაგრამ ოფიციალურმა ფრანგულმა სტატისტიკურმა ორგანიზაციამ INED-მა სკრუპულოზურად შეამოწმა ეს მონაცემები და თავის ანგარიშში შეაფასა, რომ არალეგალურ აბორტთა რიცხვი დაახლოებით 250 ათასს შეადგენდა; მეტიც, ეს მონაცემები იმ წელს (1963 წ.) გამოთვლილი იყო ყველა მუცლის მოშლის საფუძველზე, ისე, თითქოს ყველა მოშლა გამოწვეული ყოფილიყო ორსულობის ხელოვნური შეწყვეტით.

მშობელთა გავლენის აღმოფხვრა

IPPF-ის ბრიტანული ფილიალის მიერ გატარებულ რეფორმათაგან ყველაზე მზაკვრული არის სექსუალური განათლების რეფორმა, ასევე არასრულწლოვან ბავშვთათვის კონტრაცეპტივების მოხმარებისათვის მშობელთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შემცირება. შემთხვევითი არ არის, რომ მრავალ ქვეყანაში არასრულწლოვანთა მიმართ ჩემოლში ეწეოდა „**უფროსთა აზროვნების წესის აღმოფხვრის**“ პროპაგანდას. ცხადია, ჩვენ საქმე გვაქვს საერთაშორისო აქციასთან, რომლის მიზანია ე.წ. „**მესამე პირის თანხმობის**“ გათვალისწინების მოთხოვნის მინიმიზაცია.

დიდ ბრიტანეთში იმ პროცესის ფარგლებში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „**თანდათანობითი ცვლილებების გარდაუვალობა**“, სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ის ამოცანა, რომელიც ტრადიციულად მშობელთა გადასაწყვეტი იყო. როგორ მივედით

აქამდე? 70-ან წლებში FPA-მ წამოაყენა თეზისი, რომ მარტოდმყოფთა ხელმისაწვდომობა კონტრაცეპტულ საშუალებებზე შეამცირებდა ქორწინებაგარეშე ორსულობებს; ეს თეზისი მოგვიანებით აბორტის სამართლის მომხრეებმა გამოიყენეს. ამ დროს მოხდა საწინააღმდეგო: **კონტრაციფციისა და აბორტების ფართო ხელმისაწვდომობამ მოახდინა ქორწინებაგარეშე ორსულობებისა და აბორტების რიცხვის ზრდის პროვოცირება.** შემდეგ პროპაგანდის საზი შეცვალეს: აბორტების რიცხვი, თურმე, უნდა შეამციროს უფასო კონტრაციფციამ. პარლამენტზე ზეწოლამ კულმინაციას მიაღწია 1973 წ., ჯანდაცვის კანონის შეცვლის შესახებ კენჭისყრის დროს. ამ აქტის მიღების შემდეგ შობადობაზე კონტროლის საშუალებები ხელმისაწვდომი გახდა ყველასათვის, მათ შორის, ბავშვებისთვისაც. კანონის მიღების შემდეგ შემგომი ნაბიჯი იყო ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მემორანდუმის გამოქვეყნება, რომელიც ოჯახის დაგეგმვის სფეროში განსაზღვრავდა მიმართულებებს. ერთ-ერთი პარაგრაფი შეეხებოდა ახალგაზრდობას და ამტკიცებდა, რომ **არ არის საჭირო ბავშვის კონტაქტირება მშობლებთან, მისი ასაკის გაუთვალისწინებლად, მისი მკაფიო თანხმობის გარეშე.** ეს წარმოადგენდა არასრულწლოვან ბავშვთა ყველა სხვა დაავადების მკურნალობის პრაქტიკის სრულიად საწინააღმდეგოს. მშობელთა თვალთახედვით, ეს დაუჯერებელი სიტუაცია იყო. დიდ ბრიტანეთში მშობლები ვალდებულები არიან, გადაიხადონ ფულადი ჯარიმა, რომელიც მათ შვილებს მიუსაჯეს, და, იმავდროულად, არ შეიძლება მათ აცნობონ, თუ როდის გახდნენ მათი გოგონები უკანონო ქმედებების მსხვერპლნი. ჯანდაცვის დიქტატი ასევე, ფაქტობრივად, ასუსტებდა – პარლამენტის გადაწყვეტილების გარეშე – კანონს, რომელიც შეეხება სრულწლოვანებს. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ე.წ. პედოფილების მოძრაობამ მოითხოვა მისი გაუქმება ან ასაკობრივი ზღვარის 4 წლამდე დაწევა.

ბიუროკრატია ჯანდაცვის სამინისტროს პოლიტიკის შეცვლისათვის ძალისხმევასთან ერთად უგულვებელყოფს საზოგადოების უდიდესი ნაწილის ნებას. საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტირება მოხდა ფრაზებით, რომლებიც წარმოდგენილია 1980 წლის შეცვლილ მემორანდუმში და რომლის ძირითადი იდეაც

იგივე დარჩა: ბავშვებს ჰქონდათ საბოლოო უფლება, არ მიეცათ ექიმისთვის ნება მის მშობლებთან კონსულტაციისა.

ანგარიშის „ადამიანის უფლება ოჯახის დაგეგმვაზე“ ის ნაწილი, რომელსაც ეწოდება „ახალგაზრდათა უფლებები“, ამტკიცებს, რომ „მოზარდი ახალგაზრდობის ჯგუფს (10-დან 19 წლამდე) სრულად უნდა მიუწვდებოდეს ხელი საშუალებებზე, რომლებიც არეგულირებს შობადობის ნაყოფიერებას, დაცულ უნდა იქნეს დელიკატურობა და პატივისცემა“ (ამ ანგარიშის ცნებაში – „ნაყოფიერების რეგულაცია“ – შეფარულია კონტრაცეფცია, სტერილიზაცია და აბორტები).

ანგარიშის სხვა ნაწილში IPPF ამტკიცებს: „ოჯახის დაგეგმვის ასოციაციები, ასევე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები არ უნდა ამართლებდნენ თავის უმოქმედობას სამართლებრივი საფუძვლების არარსებობით ან არასახარბიელო სამართლის არსებობით; სამართლის ფარგლებს გარეთ მოქმედება ან თუნდაც მისი დარღვევა არის ნაწილი პროცესისა, რომელიც ცვლილების სტიმულირებას ახდენს“.

გამართლება იმისა, რომ IPPF მზადაა ყურადღება არ მიაქციოს საზოგადოების აზრს და დაარღვიოს სავალდებულო კანონი, მოცემულია ანგარიშში, რომელსაც ეწოდება „ლეგალური ცვლილებების სტრატეგია“. ის აღწერს მოვლენებს ტოგოში. იქაურ სკოლებში სექსუალური განათლების კურსის შემოტანის ცდებს საზოგადოებრივი აზრისა და პარლამენტარების მხრიდან შეხვდა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა. ამ სიტუაციაში IPPF-მ დაიწყო აქტიური საინფორმაციო კამპანია. შედეგად, ჯანდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებმა ნება დართეს, ჩაერთოთ სექსუალური განათლება სასკოლო პროგრამის ფარგლებში, თუმცა სამოქალაქო სამართალი კრძალავდა სექსუალური აღზრის ჩატარებას.

ნებისმიერი სახელმწიფო ანგარიშს უნდა უწევდეს IPPF-ის ძალასა და გავლენას, რომელიც მოქმედებს ოჯახის დაგეგმვის ადგილობრივი ასოციაციების საშუალებით და რომლის მიზანია ისეთი პოლიტიკისა და უფლებების დაკანონების პროვოცირება, რომლებიც ანადგურებენ მშობელთა ავტორიტეტს, ასევე ოჯახის სტრუქტურას.

„მკაცრი დამანბრებელი ღობი“

1921 წელს მერი სტოპესმა ლონდონში დააარსა შობადობაზე კონტროლის კლინიკა, რომლისგანაც შემდგომ განვითარდა შობადობაზე კონტროლის ნაციონალური საბჭო. 1939 წ. მას დაარქვეს ოჯახის დაგეგმვის ასოციაცია (FPA), რომელმაც მალე ბრიტანულ საზოგადოებაში პატივისცემა დაიმსახურა, მაგრამ მალე ეს სიტუაცია შეიცვალა. 1976 წ., ადგილობრივი ჯანდაცვის სამსახურების განმგებლობაში თავისი კლინიკების გადაცემის შემდეგ FPA-მ თავისი ძალისხმევით კონცენტრირება მოახდინა შობადობაზე კონტროლის პროგრამებზე, სექსუალურ განათლებასა და მთავრობისათვის შობადობაზე კონტროლის სფეროში ინფორმაციის გადაცემაზე. სამომავლო მიზნები „**მთელ ბრიტანეთში სკოლებში სექსუალური აღზრდის სათანადო პროგრამების ცხოვრებაში გატარებას**“ მოიცავენ, ასევე „**მთელ ბრიტანეთში ნებაყოფლობითი ახალგაზრდული მოძრაობის ორგანიზებას, რომელიც შესაძლებელს გახდის ახალგაზრდათათვის სექსუალური პრობლემების მრჩეველთან კონტაქტს**“.

სტატია მომზადებულია სიცოცხლის დაცვის რუსული მოძრაობის მიერ დასავლური მასალების მიხედვით 1998წ.

5. ზოგიერთი დამატებითი ინფორმაცია

1. დღემდე ვერ მოხერხდა უსაფრთხო ჩასახვის საწინააღმდეგო აბების შექმნა. თვით ყველაზე თანამედროვე ჩასახვის საწინააღმდეგო ჰორმონალურ აბებს, რომლის როგორც „სავსებით უსაფრთხოს“ რეკლამირებაც ხდება, აქვს უამრავი გვერდითი მოქმედება და კატეგორიულად დაუშვებელია მოზარდთათვის.
2. ამჟამად რ(ო)ლ(ა)-მ (IPPF-ის რუსეთის ფილიალი), შეაღწია რუსეთის პრაქტიკულად ყველა რეგიონის ჯანდაცვის სტრუქტურაში. ბევრ ადგილებში რ(ო)ლ(ა)-ს თანამშრომლები იმავდროულად სახელმწიფო ჩინოვნიკებად გვევლინებიან, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებს IPPF-ის იდეებს უქვემდებარებენ.

3. აი, ციტატა რ(ო)და-ს ოფიციალური ანგარიშიდან: „**ოჯახი**» – ეს მხოლოდ თეორიული ცნებაა, რომელიც განკუთვნილია მჭიდრო ურთიერთობის მქონე ადამიანთა მცირე ჯგუფისათვის. დღესდღეობით მას შეუძლია მიიღოს სავსებით განსხვავებული ფორმები. ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაცია მხარს უჭერს ადამიანის უფლებას იმ ოჯახის ტიპის არჩევის თავისუფლების შესახებ, რომელშიც მას უნდა, რომ იცხოვროს. ამგვარად, ის აღიარებს ოჯახის ტიპების მრავლობითობას, რომელთაც უნდა ჰქონდეთ თანაბარი უფლებები. არ შეიძლება ხელი შევუწყოთ ოჯახის რომელიმე ერთ ტიპს“ (ÆIÑ, 2/1994 ო.8)

6. საექსპერტო დასკვნა რუსეთის „ოდას“ შესახებ.

IPPF, International Planned Parenthood Federation, რუსეთის ფილიალი – რ(ო)და, რუსეთის ოჯახის დაგეგმვის ასოციაცია. ესაა ოკულტურ-წარმართული სექტა, რომლის იდეოლოგიის საფუძველია სიძვა-მრუშობის, სექსის, „თავისუფალი ცხოვრების წესის“ კულტი, რის მისაღწევადაც „უსაფრთხო სექსის“ იდეალი ინერგება. ორგანიზაციის გარეგანი მოღვაწეობა იგივეა შობადობაზე კონტროლის მეთოდების გავრცელებასთან, მაგრამ ამით IPPF არ შემოიფარგლება: საუბარია ცხოვრების განსაკუთრებულ სახეობასა და სტილზე, „გათავისუფლების“ მთელ იდეოლოგიაზე.

სიძვა-მრუშობის კულტი ძველთაგანვე ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრიმიტიული წარმართული, სატანიზმის მომიჯნავე რელიგია. IPPF-ის დამაარსებელს – მარგარეტ ზანგერს, ირლანდიური წარმოშობის ამერიკელ ფემინისტს, ჰქონდა სერიოზული ფსიქიკური გადახრა, რაც გამოიხატებოდა მუდმივად (სიბერემდე) სქესობრივი პარტნიორების ცვლაში, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებაში. ზანგერს ოჯახი და ქორწინება „დეგენერატულ ინსტიტუტად“ მიაჩნდა და იყო „თავისუფალი სიყვარულის“ იდეის დამცველი. იგი თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად ქრისტიანობასთან ბრძოლას სახავდა, რაც მის მოღვაწეობას

ქრისტიანულ შეფერილობას აძლევს. ზანგერი მისდევდა ოკულტიზმს, მედიტაციებს, გაიარა როზენკრეციერობისა და თეოსოფიის განდობილთათვის განკუთვნილი საწყისი ხარისხები, იცნობდა ლ. დ. ტროცკის.

როლდ რუსეთში ძირითადად ინტერესს ახალგაზრდობისადმი ავლენს, ამასთან **როლდ**-ს ძირითად მიზანს ყმაწვილთა ადრეულ სქესობრივ კინტაქტებზე პროვოცირება წარმოადგენს. **„იმისათვის, რომ მოზარდს არაუსაფრთხო სექსის, ანუ უსაფრთხოების ზომების გარეშე სექსის შედეგები გავაცნოთ, დავეხმაროთ, რათა შეიცნოს ჭეშმარიტი ღირებულებები და თავისი სექსუალობის სიამოვნება იგრძნოს, აუცილებელია სექსუალური განათლება. კონტრაცეფციის სფეროში კონსულტირება და მომსახურება ადვილად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მოზარდებისათვის... კონსულტანტი არ უნდა საუბრობდეს ზნეობრიობაზე“** (ჟურნალი „ოჯახის დაგეგმვა“, 2/94/ გვ. 14).

როლდ ქადაგებს ბავშვთა შობაზე უარის თქმას, სტერილიზაციას, აბორტებს, ჰომოსექსუალიზმს, სექსს ბავშვებისათვის, ილაშქრებს ოჯახის, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის, წინააღმდეგ. **როლდ**-ს ზოგიერთი მასალა ექსპერტების მიერ ფასდება როგორც პორნოგრაფია, ამასთან, **როლდ**-ს მრავალი მასალა, მათ შორის, პორნოგრაფიულიც, განკუთვნილია ბავშვებისათვის. IPPF-ს აქვს მრავალრიცხოვანი ფილიალები, რუსეთში ისინი 50-ზე მეტია, პრაქტიკულად, ყველა რეგიონში. სექტის საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ **როლდ**-ს მრავალ წარმომადგენელს უკავია ხელმძღვანელი პოსტი აკუმერულ-გინეკოლოგიური დახმარების სახელწიფო სისტემაში.

როლდ, წარმოგვიდგება, როგორც სამედიცინო ორგანიზაცია და იხვეჭს სკოლის დირექტორების მხრიდან ნდობას, დებს მათთან პირდაპირ ხელშეკრულებას და ატარებს გაკვეთილებს სახელწოდებით “ცვლილებები”. ცნობილია შემთხვევები **როლდ**-ს წარმომადგენლების მიერ ბავშვებისათვის პორნოგრაფიული ფილმების დემონსტრირებისა, მშობლებისაგან ფარულად, სკოლაში გაკვეთილების მსვლელობის დროს. ზოგჯერ ბავშვებს მეცადინეობებს უტარებენ სხვა სახელწოდებით. არსებობს დოკუმენტები, რომლებიც

ადასტურებენ, რომ **როლდა**-მ, მიიღო ფული კომპანია როცტერ& ამბლე-საგან და დადო ამ ფირმასთან ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ის ვალდებული იქნება იღებდა, მოეცვა რუსეთის სკოლის მოსწავლეთა 90% და ჩაეტარებინა მათთვის ე.წ. “სქესობრივი აღზრდის” გაკვეთილები (Procter&Gamble-ის ეს პროგრამა საქართველოს სკოლებშიც ხორციელდებოდა წლების განმავლობაში. ამაზე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, განათლების სამინისტროს იმდროინდელ ხელმძღვანელობას ედება – ა.უ.). **როლდა**-ს აქვს კარგი ფინანსირება და ჰყავს წარმომადგენლები რუსეთის ყველა რეგიონში, ასევე ლობი სახელმწიფო დუმაში (დეპუტატი ე. ფ. ლახოვა) და ჯანდაცვის სამინისტროში (ვაგანოვი, კულაკოვი და სხვ.). მართალია, **როლდა** ჯანდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით გამოსცემს მრავალრიცხოვან ლიტერატურას, **როლდა**-ს შიდა საქმეები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც შეეხება ბავშვებთან მუშაობასა და ფინანსირებას, მკაცრად გასაიდუმლოებულია და, პრაქტიკულად მიუღწეველია გარეშე პირთათვის, მათ შორის დაზარალებული ბავშვების მშობლებისათვის. **როლდა** მოღვაწეობისას, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანწილად კონსულტაციებს იღებს საზღვარგარეთიდან. **როლდა** წარმოადგენს სოციალურად საშიშ ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციას.

მღვდელი მაქსიმ ობუხოვი

31.07.2000

სახელმწიფო ბენეციდიისა და ბარყვნილების სამსახურში

„ოჯახის დაგეგმვა თუ...“

(მართლმადიდებლური გაზეთი №16(50) 1996 წ.)

მართლმადიდებლური მედიკო-საგანმანათლებლო ცენტრი “სიცოცხლე” იღებს მრავალრიცხოვან წერილებს, რომლებშიც მშობლები გამოთქამენ უკიდურეს შემფოთებას სახელმწიფო სკოლებში ოჯახის დაგეგმვის გაკვეთილების შემოტანასთან დაკავშირებით. ზოგიერთ მათგანს ქვემოთ გთავაზობთ.

* * *

ჩვენ, მართლმადიდებელი მშობლები, მეტად შეშფოთებულები ვართ ჩვენი საზოგადოების უზნეო მდგომარეობის გამო და აღშფოთებულები ვართ სკოლებში სექსუალური განათლებისა და კონტრაცეფციის სწავლების შემოტანის გამო. მივმართავთ ყველა მართლმადიდებელურ ორგანიზაციას თხოვნით, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა ამ გარყვნის თავიდან ასაცილებლად.

(ხელმოწერები)

* * *

მოგმართავთ თხოვნით! სკოლაში, სადაც ჩემი გოგონა სწავლობს, მე-8 და მე-9 კლასელი ბავშვებისათვის, საგან „ეთიკისა და ოჯახური ცხოვრების ფსიქოლოგიის“ ნაცვლად, თავისი ლექციების წაკითხვა დაიწყო „ოჯახის დაგეგმვის ცენტრმა“. ლექციის საგანია – სექსუალური განათლება და კონტრაცეფცია. რატომ გადაწყვიტა ვიღაცამ ჩემ მაგივრად ჩემი შვილის აღზრდა? ვინ აძლევს მას ფასეულობრივ მითითებებსა და ზნეობრივ ორიენტირებს? „ოჯახის დაგეგმვის ცენტრში“ ლექციებს კითხულობენ არა პედაგოგები, ამიტომ (როდესაც არ ითვალისწინებენ მოზარდთა ფსიქიკის სირთულეებს) შედეგი შეიძლება გაუთვალისწინებელი იყოს. ამასთან, არ იყო განმარტებული, რომ ამ ლექციებით არავითარ შემთხვევაში არ ეძლევათ ნებართვა ადრეულ სქესობრივ ცხოვრებაზე და ის, რასაც ახლა ხანდახან ვხედავთ მოზარდებში, – არის არა ნორმა, არამედ გარყვნილება; რომ ადამიანი ბედნიერი მხოლოდ მაშინაა, როცა ჰყავს ოჯახი და შვილები, და არა „პარტნიორი“. სიყვარულის შესახებ საერთოდ არც კი იყო ნახსენები. ლექცია დაიწყო შეკითხვით: „ჩასახვის საწინააღმდეგო რა საშუალებები იცით თქვენ?“

P.S. როგორც სტატისტიკა აჩვენებს, აშშ-ში მსგავსი სწავლების შედეგი ასეთია: მილიონზე მეტი ორსული მოზარდი გოგონა წელიწადში.

* * *

ბავშვთა და მოზარდთა სექსუალური აღზრდის პროგრამის შემოტანის ინიციატორია IPPF (ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაცია), რომელიც, ძირითადად, აშშ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და აბორტების წარმოების შემოსავლებიდან ფინანსდება. ქვემოთ მოგვყავს ამონარიდები ოფიციალური დოკუმენტებიდან, რომლებიც ამ პრობლემას ეძღვნება.

„ცენტრალიზებული წესით იქნა შესყიდული და დაგზავნილი რეგიონებში: საოპერაციო ლაპარასკოპები ფართო დანერგვისათვის... რეკონსტრუქციულ-პლასტიკური (სქესის შეცვლა – რედ.) ოპერაციებისათვის, ქირურგიული სტერილიზაციის – როგორც კონტრაცეფციის მეთოდის – განხორციელებისათვის; კონტრაცეპტული საშუალებები მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის უფასო მოძარაგებისათვის; საინფორმაციო მასალა, სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოების, ბროშურების, პლაკატების, ბუკლეტებისა და ჟურნალის – „ოჯახის დაგეგმვა“ – ჩათვლით.

დამუშავებული და გამოცემულია ოჯახის დაგეგმვის პროგრამები სტუდენტებისათვის. დაწყებულია მუშაობა სქესობრივი აღზრდის პროგრამაზე ბავშვებისა და მოზარდებისათვის“.

1994 წელს „ოჯახის დაგეგმვის“ ღონისძიებათა რეალიზაციისათვის ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყოფილია 22.800.000.000 მანეთი.

(სახელმწიფო მოხსენება „ბავშვების მდგომარეობის შესახებ რუსეთის ფედერაციაში. 1994 წ.“, დამატება 1 („ოჯახის დაგეგმვის“ პროგრამა. სახელმწიფო დამკვეთი – რუსეთის ჯანდაცვმრეწვი)

„მომავალ მამებსა და დედებს ძალიან ეხმარება ახლახან გახსნილი ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციის ცენტრი.

ცენტრში სექსუალურად აქტიური, მაგრამ გაუნათლებელი ახალგაზრდობისათვის მიმდინარეობს საგანმანათლებლო მუშაობა. მოსწავლეებს შეუძლიათ, უფასოდ მიიღონ პრეზერვატივები, ხოლო ქალებს მცირეშემოსავლიანი ოჯახებიდან – პორმონალური კონტრაცეპტული საშუალებები“.

(გაზეთი "Îñîîñîñîâÿ îêðàëîà", 14 (112), 29 თებერვალი, 1996 წ.)

რუსეთის ოჯახის დაგეგმვის ასოციაციამ რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს, ასევე IPPF-სმხარდაჭერით მოსკოვში გახსნა ახალგაზრდული ცენტრი „ოჯახის დაგეგმვა და ახალგაზრდებისა და მოზარდების სექსუალური განათლება“.

აი, რა მომსახურებებს გთავაზობთ ცენტრი:

- ექიმებისა და „სხვა სპეციალისტების“ უფასო დახმარება

- კონტრაცეპტივების მოხმარების სწავლება
- „უსაფრთხო სექსის“ საკითხებში კონსულტაციები
- ორსულობაზე ტესტი
- ორსულობის შეწყვეტა „დამზოგველ პირობებში“
- კონტრაცეპტივების უფასო გაცემა
(ინფორმაცია ამოღებულია ახალგაზრდული ცენტრის ბუკლეტიდან)

„ცენტრში მუშაობს ექიმი-გინეკოლოგი, რომელიც მოვალეა, აღმოუჩინოს მედიკო-საკონსულტაციო დახმარება მოზარდ გოგონებსა და ბიჭებს კონტრაცეფციის საშუალებების ამორჩევის საქმეში.

ჩვენ ვისწრაფვით, რაც შეიძლება, მეტი მოზარდი ჩავართოთ სექსუალური განათლების პროცესში...“

„ოჯახის დაგეგმვისა და ახალგაზრდობისა და მოზარდების სექსუალური განათლების“ ცენტრი
(ჟურნალი „ოჯახის დაგეგმვა“ (ÆIÑ), 4/1994.)

„ოჯახის დაგეგმვის პროგრამებმა კონტრაცეფციული მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მოზარდებისათვის იმისდა მიუხედავად, დაქორწინებულები არიან ისინი თუა არა, ასევე მათი ფინანსური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად“
(ÆIÑ, 4/1994).

* * *

მართლმადიდებლები ვაცხადებთ:

როგორც აღმოჩნდა, მსგავსი გაკვეთილები იწვევს სქესობრივი ცხოვრების ადრეულ დაწყებასა და უწესრიგობას, დამლუპველად მოქმედებს მოსწავლეთა ფსიქიკაზე, ართმევენ მათ პასუხისმგებლობის გრძნობას: მათ არწმუნებენ, რომ ე.წ. უსაფრთხო სექსი – ნორმაა, თუ არა ცხოვრების მიზანი. ამ განათლება-გარყვნილ დამლუპველობა განუზომელია.

„ოჯახის დაგეგმვის“ პროგრამის დამუშავებისა და დანერგვის ყველა ღონისძიება ხორციელდება ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროს მიერ და ფინანსდება ფედერალური ბიუჯეტიდან გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე. ჩვენ, მართლმადიდებლები, წარმოვადგენთ რუსეთის გადამხდელთა ყველაზე მრავალრიცხოვან კატეგორიას.

ამ ჩვენი ფულით ხდება რუსეთის ხალხის რაოდენობის შემცირებისა და ჩვენი შვილების გახრწნის პროგრამების დაფინანსება.

როგორ უნდა ვრეაგირებდეთ მსგავს ახალ წამოწყებებზე?

რა უნდა იღონონ მშობლებმა, როდესაც მავანი ცდილობენ, რომ მათ შვილებს შეასწავლონ „უსაფრთხო სექსი“?

უნდა ვიცოდეთ, რომ სექსუალური განათლების ეს პროგრამა არ არის დამტკიცებული განათლების სამინისტროს მიერ, არ წარმოადგენს საგალობელს და მისი შეტანა სწავლების პროგრამაში ადმინისტრაციის შეხედულების მიხედვით ხდება. ამიტომ:

ჩვენ ბავშვს უფლება მოვითხოვთ ე.წ. სექსუალური განათლების შეწყვეტა სახელმწიფო სკოლებში.

ჩვენ ბავშვს უფლება განვათავისუფლოთ ჩვენი შვილები ამ გაკვეთილებისაგან.



თავი VI. ამონარიდები ჩვენი სხვა პუბლიკაციებიდან

1.

რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი

გამომცემლები:

**მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი
მართლმადიდებელი მრევლის კავშირი
(თბილისი, 2002წ.)**

წინამდებარე ბროშურის შექმნის აუცილებლობა ჩვენს ქვეყანაში ტრადიციული ზნეობრივი საფუძვლების მიზანდასახული მოშლისა და საქართველოს მოსახლეობის გარყვნის მძლავრმა ტენდენციამ განაპირობა.

დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (რადიოთი, ტელევიზიით, რეკლამებით, პრესით) მიმდინარეობს „თავისუფალი“, „უკომპლექსო“ ცხოვრების წესის აქტიური პროპაგანდა.

ამგარა, რომ კულისებს მიღმა არსებული ძალების მიერ ხორციელდება მოსახლეობის სულიერი დეგრადაცია, რაც შემდეგ მათი იოლი ხერხებით მანიპულირების საშუალებას იძლევა.

საქართველოს ზოგიერთ სკოლაში „სექსოლოგიის“ გაკვეთილების ჩატარება ადმინისტრაციული აღმასრულებელი ცენტრის ან სკოლის დირექტორების დაუდევრობით გამოწვეული შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ მიზანდასახული პოლიტიკაა, რომელიც მიმართულია ჩვენი საზოგადოების სულიერი ფასეულობების გასანადგურებლად და ახალი, „პროგრესული“ იდეების დასამკვიდრებლად.

აღნიშნული „პედაგოგიკის“ არსია ბავშვის სულიერი დამახინჯება, მასში სირცხვილის გრძნობის გაქარწყლება, უბიწოებისადმი

დამცინავი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, მრავალშვილიანი ოჯახის უსარგებლო მძიმე ტვირთად წარმოჩენა, სიყვარულის ალტერნატიულ ვარიანტად კი ხდება „უსაფრთხო სექსისა“ და სქესობრივი გარყვნილების ნაირსახეობების შეთავსება. შედეგად კი ვიღებთ ზნეობრივი პრინციპების გაქარწყლებას, რაც იწვევს ოჯახის შექმნის შეუძლებლობას, უშვილობას, ცხოვრების არსის დაკარგვას, რასაც მოჰყვება ნარკომანობა, ლოთობა, ვენერიული და ფსიქიკური დაავადებანი და ადრეული სიკვდილი.

გააზრებული აქვთ კი ჩვენს „განმანათლებლებს“, რა ფუნქცია უნდა იკისრონ, რა დიდ სულიერ და ფსიქიკურ ზიანს მიაყენებენ ამით სქესობრივი ურთიერთობებისათვის მოუძწიფებელ ბავშვებს?! ცნობილია კი მათთვის, რომ სიყვარულის ბიოლოგიური მხარე შეუძლებელია სრულფასოვნად ათვისებულ იქნას ბავშვების მიერ?!

საქართველოს მთელ რიგ სკოლებში შემოღებული „სექსოლოგიის“ გაკვეთილები გვაფიქრებინებს, რომ განათლების სამინისტრო პირველ ნაბიჯებს დგამს მოზარდთა გახრწნის გზაზე. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ შევანსენოთ მათ (გ.ს.) და უკვე მომზადებულ „სექსოლოგიის პედაგოგებს“ მაცხოვრის სიტყვები:

„რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამთავანი ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უბჯობეს არს მისა, დამო-თუ-იკიდოს წისქვილი ვირით საფუქველი ქელსა და დაინთქს იგი უფსკრულსა ზღვისასა“ (მათ. 18.6).

პაცობრიობა უზიდი ათასი წლის

განმავლობაში ბედნიერად

ცხოვრობდა და მრავლდებოდა ყოველგვარი

„მეცნიერული სწავლების“ გარეშე

არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი)

სემსოლოგიის გაკვეთილები – ეს არის ბავშვთა გარყვნის პროგრამა, რომელიც არა მარტო მენტალიტეტის (აზროვნების) შეცვლით, არამედ ერის ფიზიკური გადაშენებით იმუქრება.

სკოლებში სექსოლოგიის სწავლება მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ღირსების შელახვასთან, როგორცაა პორნოგრაფიული ლიტერატურით ვაჭრობა და იმავე ხასიათის სატელევიზიო გადაცემების ჩვენება.

სექსოლოგიის მიზანია ბავშვების სექსუალურ ცხოვრებაში ჩართვა. ამას მოჰყვება ვენერიულ დაავადებათა და მოზარდთა აბორტების ტალღა, ხოლო შემდგომში – ოჯახის ნგრევა. კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი სკოლა ზნეობის დეკლარირებას ახდენდა, თუმცა – ვერ ახორციელებდა, ვინაიდან ათეიზმი ზნეობრივ იდეებს არ ქადაგებს. ამჟამად, როგორც ჩანს, სკოლა უზნეობის პროპაგანდას ეწევა, ხოლო ამის მოწინააღმდეგე პედაგოგები განათლების სისტემის არასასურველი ელემენტები გახდებიან.

სექსუალობა ბავშვებში აღძრავს სექსობრივი საკითხებისადმი ინტერესს, რაც გამოიწვევს სექსუალურ ცხოვრებაში მათ ჩართვას. სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვთა აღზრდის ტრადიციებით ცდილობდნენ მრუშობისა და გარყვნილების სურათებისაგან მათ განრიდებას. ბავშვში განვითარებული წარმოსახვითი აზროვნება და მიმბაძველობის უნარი არ ექვემდებარება განსჯას იმგვარად, როგორც ეს დიდებს ძალუბთ. ამიტომ, როგორც წესი, ბავშვს გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება მოუწდება.

კაცობრიობა შვიდი ათასი წლის განმავლობაში ბედნიერად ცხოვრობდა და მრავლდებოდა ყოველგვარი „მეცნიერული სწავლების“ გარეშე, რადგან ცხოვრების ეს მხარე ინსტიქტის სფეროს მიეკუთვნება. ქრისტიანობამ ოჯახის წევრთა ურთიერთმოვალეობებისა და ცხოვრების აზრის შესახებ სწავლებით ეს ინსტიქტი გააკეთილშობილა; დასავლეთში არავითარი „მეცნიერული სექსოლოგია“ არ არსებობს. ეს ისეთივე სპეკულაციაა, როგორც გამოთქმა „მეცნიერული მატერიალიზმი“, რომელსაც თავში გვიტენიდნენ. დასავლეთში სხვადასხვა ფსიქოლოგიური სკოლა არსებობს: ფროიდის, ფრომის, მასლოუს და სხვების; მათი მიზანია დამახინჯებული სახით წარმოგვიდგინოს ადამიანი, როგორც პანსექსუალური არსება და ამით გარყვნილება გაამართლოს.

გაუგებარია, რა არის მეცნიერული სექსოლოგია. ნუთუ ინტიმური ცხოვრების ტექნიკის აღწერა? პორნოგრაფიულ სურათებს, რასაც უწინ უსირცხვილო საქმოსნები ყიდდნენ, ამჟამად, როგორც ცივილიზაციის ნიშანს, სკოლის სტენდებზე გამოფენენ.

მრუშობა და გარყვნილება ეკლესიის მიერ აკრძალული ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ცოდვაა. ისინი ქრისტიანობასთან შეუთავსებელია. გარყვნილ და გაზრწნილ გულში ღვთის მადლი

ვერ დაისადგურებს. ამიტომ სექსოლოგია ქრისტიანობასთან ბრძოლის მეთოდია. ვინც პორნოგრაფიისა და, საერთოდ, ეროტიკული გამოსახულებების წარმოებითა და გავრცელებით არის დაკავებული, მას ეკლესია საკუთარი წიაღიდან განკვეთს (ტრულის კრების 101-ე მუხლი). ისინი, ვინც სექსოლოგიას ასწავლიან ან ხელს უწყობენ ამას, ეკლესიის წევრები ვერ იქნებიან. წმინდა მამები წერენ, რომ მრუშობის, უწმინდურობისაგან თავის დასაცავად ერთადერთი საშუალება ის არის, რომ გავექცეთ მას, რასაც გონებასა და მეხსიერებაში ამ ვნების წარმოდგენები და მოგონებები შემოაქვს. აღსარების დროსაც კი ხორციელი ცოდვების დაწვრილებითი აღწერა არ არის რეკომენდირებული, რადგან სიტყვა და სახე ემოციებთანაა დაკავშირებული, მათზე მითითებაც საკმარისია.

აქ ბავშვს ცეცხლში აგდებენ და გადარჩენის შანსი თითქმის არა აქვს. ადრე, ქრისტიანულ ოჯახებში ცდილობდნენ ბავშვის თვალისაგან იმ ყველაფრის გარიდებას, რასაც შეეძლო ამ სვეროსადმი მისი ყურადღების მიქცევა. ამჟამად „მეცნიერების“ ნიღბით ცდილობენ ბავშვში სირცხვილის გრძნობის ჩაკვლას.

არსებული კანონით მშობლებს უფლება აქვთ ბავშვები რელიგიისა და ზნეობის იმ ტრადიციებით აღზარდონ, რომელსაც მიეკუთვნებიან: ამიტომ, სკოლებში სექსოლოგიის სწავლების წინააღმდეგ გამოსვლით, მშობლები საკუთარი უფლებებისთვის იბრძობენ. ამას გარდა, ქრისტიანობა ავალდებულებს მათ ბავშვის სულისათვის იბრძოლონ. ამ შემთხვევაში დუმილი ბავშვის მიმართ სისასტიკითა და მისი საუკუნო ცხოვრების ღალატით გვიბრუნდება.

ქრისტიანმა მშობლებმა წმინდა წერილის პრინციპით უნდა იხელმძღვანელონ და ნებისმიერ პირობებში ამ პრინციპების დასაცავად უნდა იბრძოლონ. იმედი ერთ-ერთი მთავარი ქრისტიანული სათნოებაა, ხოლო მომავლის ცოდნა და წინასწარხედვა ჩვენ არ მოგვეცა.

სექსუალური განათლება – რას ამბობს ამერიკის გამომცდილება?

აშშ-ში არსებობს სექსუალური აღზრდის მრავალწლიანი გამოცდილება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მეოთხედი დაავადებულია სხვადასხვა დაავადებით, რომლებიც სწორედ

სექსუალური ურთიერთობებით ვრცელდება. ქვეყანაში ბობოქრობს შიდსის ეპიდემია, სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულით კი აშშ-მა ბევრად გაუსწრო სხვა ქვეყნებს. მოზარდთა აბორტების რიცხვიც გაცილებით დიდია. შვედეთში კი, სადაც სქესობრივი აღზრდა კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ყველაზე ხშირია თვითმკვლელობის ფაქტები. აშშ-ში სქესობრივი აღზრდის შემოღების შემდეგ აბორტების რიცხვმა 45%-ით მოიმატა. გაუპატიურების ფაქტები ნ-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე რუსეთში. სტატისტიკის მიხედვით, ყოველწლიურად ევროპაში 45-50 ათასი აივ-ინფიცირებული ფიქსირდება. იგივე დაავადება აშშ-ში მოზარდებს შორის ორმაგდება ყოველ 14 წუთში. აშშ-ში შიდსისაგან ყოველ 15 წუთში იღუპება ერთი ადამიანი. ყოველ 13 წამში ერთი მოზარდი ავადდება რომელიმე ვენერიული დაავადებით. ფაქტები ადასტურებენ, რომ „სქესობრივი განათლების“ შემოტანით, პროვოცირებას ახდენენ ბავშვებზე, რათა ადრეული ასაკიდან დაიწყონ სქესობრივი ცხოვრება. „ოჯახის დაგეგმარებისა“ და „სქესობრივი განათლების“ პროგრამების დაარსების შემდეგ რუსეთში 50-ჯერ გაიზარდა ვენერიულ დაავადებათა რიცხვი.

ე.წ. სექსუალური აღზრდის (Sex Education) პრობლემა უკვე სერიოზულად აწუხებს ამერიკის ბევრ მეცნიერს, პუბლიცისტსა თუ საზოგადო მოღვაწეს.

ქვემოთ მოგვყავს ამერიკული პრესიდან ამ თემასთან დაკავშირებული სამი სტატიის დაიჯესტი.

- 1) ბავშვთა სექსოლოგიის ფსევდომეცნიერული საფუძვლების კრიტიკა.
- 2) „სექსუალური აღზრდის“ პროგრამათა გავრცელების კავშირი – ამერიკაში საშუალო განათლების საერთო დაკნინება.
- 3) ამ პროგრამათა გავლენა მოზარდთა ზნეობაზე.

პატრიკ ბეკენანის სტატია – **„სექსი, სიცრუე და დოქტორ კინსი“** – წარმოადგენს რეცენზიას ამერიკელი, ი. რეისმანისა და ე. ეიხელის წიგნზე **„კინსი, სექსი და სიცრუე“**.

რეცენზენტი დიდი თანაგრძნობით საუბრობს წიგნზე, რომელმაც გამოააშკარავა იმ ადამიანის მოღვაწეობა, რომელმაც 40 წლის წინ მოუმზადა „მეცნიერული“ ფუნდამენტი ე.წ. „სექსუალურ რევოლუციას“. **„კინსიმ უდიდესი გავლენა იქონია თანამედროვე**

საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, რაც შეიძლება შევადაროთ ნიუტონის, გალილეის, აინშტეინის გავლენას”, – წერს პ. ბეკენანი. მისი ნამუშევრები საფუძვლად დაედო სექსუალური განათლების პროგრამათა მეთოდიკას. და, აი, ახლა, რეისმანისა და ეიხელის წიგნი ამტკიცებს, რომ კინსი, ეს უსინდისო, უზნეო ადამიანი, მეცნიერებით კი არ იყო დაკავებული, არამედ – სექსუალური პროპაგანდით.

რეისმანისა და ეიხელის წიგნი დროთა გამავლობაში საბოლოოდ მოსპობს დოქტორ კინსის საშინელ აჩრდილს. დროთა განმავლობაში, რადგან ახლა ამერიკა მეტად შეწუხებულია იმ „სექსუალური რევოლუციის” შედეგებით, რომელსაც კინსიმ მისცა ბიძგი.

პიტ დიუპონის სტატია „პედაგოგიურ ზმანებათა ქვეყანა” ეხება ამერიკაში საშუალო განათლების ეფექტურობის პრობლემას, რომელიც, ავტორის აზრით, ღრმა კრიზისს განიცდის. დიუპონი განიხილავს საშუალო სკოლებისათვის განკუთვნილ ერთ-ერთ განმანათლებელ კომპლექსურ პროგრამას, რომლის განუყოფელ ნაწილს „სექსუალური განათლება” წარმოადგენს, ოკლაჰომის შტატის განათლების დეპარტამენტმა დაადგინა, რომ პირველიდან მეორე კლასში გადასასვლელად მოსწავლეს უნდა შეეძლოს ოჯახის სტრუქტურის განსხვავებული ტიპების (მონოგამიური, პოლიგამიური, არასრული) იდენტიფიცირება. ოჯახის არც ერთი ტიპი არ უნდა ხასიათდებოდეს, როგორც ერთადერთი შესაძლებელი.

მე-9–მე-12 კლასელებს უნდა შეეძლოთ საუბარი სექსუალურ ქმედებებზე რეალურ ან პოტენციურ პარტნიორთან.

სწავლების არც ერთ საფეხურზე არ არის გათვალისწინებული გამრავლების ტაბულის ცოდნის შემოწმება.

დოქტორი თომა სოუველი თავის სტატიაში – „სექსუალური აღზრდის დიდი სიცრუე” – ანალიზებს სიტუაციას, რომელიც შეიქმნა ამერიკის სკოლებში, სქესობრივ-ასაკობრივი ფსიქოლოგიის ტიპის საგნების შეტანის შემდეგ. იგი წერს: **„სკოლებში ამ პროგრამების დანერგვამდე მოზარდთა ორსულობის რაოდენობა ათწლეულების მანძილზე განუწყვეტლივ მცირდებოდა. ხოლო საშუალო სკოლებში „სქესობრივი აღზრდის” პროგრამების მასიურად შეტანის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა: თუკი 1970 წელს 15-19 წლის**

ასაკის ყოველ 1000 გოგონაზე მოდიოდა ორსულობის 68 შემთხვევა, 1980 წელს ასეთი შემთხვევა უკვე 96 იყო”.

აღმოჩენილია აშკარა წინააღმდეგობანი „სექსუალური აღზრდის” პროგრამების მომხრეთა მიერ დეკლარირებულ მიზნებსა და შედეგებს შორის. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ამ პროგრამებმა შობადობის შემცირების გარდა, ვერაფერს მიაღწიეს. მაგალითად, 1970-1987 წლებში ამერიკაში აბორტების რიცხვმა იმატა 250 ათასით, ხოლო მოზარდთა რიცხვი (13-19 წლის ასაკი) შემცირდა 40 ათასით.

იმას, რასაც ახლა ასწავლიან „სექსუალური აღზრდის” გაკვეთილებზე, პირდაპირი მიმართება აქვს იდეოლოგიასთან და არა ბიოლოგიასა და მედიცინასთან. ტრადიციული ფასეულობანი და მშობელთა ავტორიტეტი სისტემატურ დისკრედიტაციას განიცდის. ბავშვებს მუდმივად უნერგავენ, რომ ადამიანის საქციელი უნდა ეყრდნობოდეს პირად გრძნობებს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოკიდებული საზოგადოებაში მიღებულ ფასეულობათა სისტემაზე ან მშობელთა თვალსაზრისზე.

აშკარა ფაქტია, რომ მშობელთა გავლენა გაცილებით უფრო ეფექტური საშუალებაა „მოზარდთა ზნეობისათვის ბრძოლაში”, ვიდრე სექსუალური აღზრდა.

პათოლოგიური სქემის გამართლება – ეს არის ფიზიკური და სულიერი გადაბჟარების დასაწყისი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი „გამდიდრდა” მეცნიერების ახალი დარგით, რომელსაც სახელმძღვანელოებში სექსოლოგიას უწოდებენ, ხოლო ამ ლათინური სიტყვის გასაგებ ენაზე თარგმანით, ეს არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ გავანადგუროთ სირცხვილი. კაცისა და ქალის ერთმანეთისკენ ლტოლვა და შობადობასთან დაკავშირებული სფერო განეკუთვნება ინსტიქტს და არა მეცნიერებას, რომელიც უნდა შევასწავლოთ ადამიანს. ეს ინსტიქტი უკვე ჩადებულია გენის კოდებში, მაგრამ ზნეობრიობის გრძნობა, რომელიც ასევე დანერგილია ადამიანში და წარმოადგენს ადამიანის ცხოველებისა და მხეცებისაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ თვისებას, აკონტროლებს ამ ინსტიქტს, ისევე როგორც სხვა

ინსტიქტებს; ამ კონტროლის გარეშე ისინი გადაგვარდებიან და იქცევიან უმართავ ვნებებად.

სხეული ადამიანის პიროვნების ონტოლოგიური (არსებითი) ნაწილია; ისაა სულის ინსტრუმენტი. მიუხედავად ამისა, ადამიანი იმდენად ხდება პიროვნება, რამდენადაც იგი ძლევს „გაფუჭებულ“ ბიოლოგიზმს და თავის ფსიქოფიზიკურ ცხოვრებას მარადიულ იდეებსა და მიზნებს დაუქვემდებარებს. არსებობს სულისა და სხეულის ურთიერთობის მეტაფიზიკური ხატი: მხედრისა და ცხენისა. მხედარი უნდა ზრუნავდეს თავის ცხენზე, მაგრამ, იმავდროულად, იცის მისი შფოთიანი ზნე და არ უნდა მოუშვას ლაგამი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხენი მოულოდნელად გადმოაგდებს მხედარს ან ჩავარდება თხრილში, რომელშიც ორივენი დაიმტვრევიან. ჩვენი სხეული, რომელზეც განსაკუთრებით ძლიერად ზემოქმედებს ინსტიქტები, არის ცხენი, რომელსაც არ უნდა მივცეთ უმართავი თავისუფლება.

ქრისტიანული ასკეზა – ესაა სწავლება იმის შესახებ, თუ როგორ დავუმორჩილოთ სხეული სულს. სხვანაირად რომ ვთქვათ, დავუმორჩილოთ სომატიკა (სხეული) ცნობიერების უმაღლეს ცენტრებს. თუ ზნეობრივი პრინციპები არ უხელმძღვანელებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაშინ კაცობრიობა გადაიქცევა გარეულ მხეცთა ჯოგად, ხოლო ადამიანი – ღორისა და მგლის რაიმენაირ ჰიბრიდად. საკუთარი ცოდვილობის შეგრძნება, გამოწვეული ადამიანის იდეალთან შეუსაბამობით, არა ჯანსაღი, არამედ შერყენილი ბიოლოგიზმისა, რომელიც ცდილობს, დაუფლოს ჩვენს სულს, ბადებს სირცხვილს – ესაა ადამიანის ღირსება.

ყველა დროში სირცხვილი და უბიწოება ითვლებოდა ზნეობრიობის ბარომეტრად, ხოლო გარყვნილება და ვნების კულტი – ადამიანის დეგრადაციად. უბიწოება განსაკუთრებულად ფასდებოდა და ფასდება ქრისტიანობაში. იგი ითვლება ადამიანის უმაღლეს სათნოებად.

სექსოლოგია – ესაა ანტიქრისტიანული ძალების პროვოკაცია. ქრისტიანობა არ არის მარტო რწმენა და დოგმატები, არამედ ასევე ზნეობრიობაა, როგორც ქცევის, ასევე ადამიანის შინაგანი მდგომარეობის ჩათვლით. ათეისტური იდეოლოგია ცდილობდა გაენადგურებინა ქრისტიანობა, როგორც რწმენა და მსოფლმხედველობა, პირდაპირი ძალადობისა და ქრისტიანული სწავლების პროფანაციის

გზით. ახლა იმავე ძალებს სურთ, გაანადგურონ ქრისტიანობა უფრო მზაკვრული და შეუმჩნეველი ხერხით, თავისუფლად დატოვონ რწმენა და რიტუალები, მაგრამ გაანადგურონ ზნეობრიობა, გახრწნან თვით ადამიანის სული. თუ ეს ჩანაფიქრი განხორციელდება, თუ ქრისტიანები დაუშვებენ საკუთარი თავისა და საკუთარი შვილების გახრწნას, მაშინ ქრისტიანობა, როგორც მაცოცხლებელი ძალა, აღარ იქნება. ის იქცევა ისტორიულ არქაიზმად. ქრისტიანობის ეს მოკვდინება, შეიძლება ხდებოდეს საყდრების აშენების, რელიგიური ლიტერატურის გამოცემების და ა.შ. ფონზე. ჭია, ხის ტანში შემძვრალი, მას შიგნიდან გამოხრავს.

სექსოლოგია უკვე შევიდა ეთერში. საგულისხმოა, რომ, ეკლესიის სწავლებით, ცისქვეშეთში – დაცემულ სულთა არეა. ახლა სექსოლოგია მიისწრაფვის უნივერსიტეტებისა და სკოლებისაკენ, რათა მათემატიკისა და ისტორიის გვერდით დაიკავოს ადგილი. მაგრამ, სინამდვილეში, მას სურს, მოუტანოს მოზარდებს ახალი მსოფლმხედველობა იმის შესახებ, თითქოს ადამიანი თავად არის პატარა „ღმერთი“, თავისუფალი თავის მოქმედებებში; რომ მთელი კაცობრიობა ღვთიურია, ხოლო სირცხვილი უმეცრებისა და ცრურწმენების გადმონაშთია.

ამ ახალ „რელიგიაში“ სირცხვილი უნდა გამოცხადდეს ყველაზე დიდ მტრად და ექსპლოატატორად, რომელსაც ათასწლეულების განმავლობაში დატყვევებული ჰყავდა ადამიანი. შემდგომ სექსოლოგები, უფრო სწორად, ძალები, რომლებიც მათ უკან დგანან, მოითხოვენ ახალ კანონმდებლობას, რომლებიც დაიცავს შვილებს იმ მშობლებისაგან, რომლებიც ოჯახში ამკვიდრებენ ქრისტიანულ ზნეობას.

სექსოლოგიას უშუალო მიზნად აქვს დასახული, გააღვიძოს მოზარდის სულში მთვლემარე ინსტიქტები და სქესის პრობლემებისადმი მძაფრი ინტერესის სტიმულირება მოახდინოს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, ხოლო პერსპექტივაში – ქრისტიანობის, როგორც ცხოვრების ნორმის, განადგურება, ხალხისთვის მისი ტრადიციის წართმევა, გაუსახურება და გადაგვარებისათვის გაწირვა (პათოსექსის გამართლება – ესაა ერის ფიზიკური და სულიერი გადაგვარების დასაწყისი).

უნდათ დაგვარწმუნონ, რომ სექსოლოგია უშველის გამოუცდელ მოზარდებს, თავი დააღწიონ განმხრწნელთა და მოძალადეთა აგრესიას, თითქოს სექსოლოგია – სამბოსა და ძიულოს ილეთების შესწავლა იყოს გოგონებისათვის, რომლებსაც ემუქრებათ თავდასხმა. ქცევის სიფრთხილე სექსოლოგიის გარეშეც გასაგებია, თუმცა, ამას იქ სრულებითაც არ ასწავლიან. პირიქით, სექსოლოგები განაწყობენ ადამიანს, რომ არაფრის დაცვა არ არის საჭირო, ამიტომ არავისგანაა საჭირო დაცვა.

ოდესღაც ქრისტიანები საუბრობდნენ ისლამზე, როგორც ხორციელი გრძნობების კულტსა და ადამიანის ინსტიქტების წაქეზებაზე. ახლა, პირიქით, მუსულმანები ამაყობენ, რომ პორნოგრაფიამ მათ გარემოში ვერ შეაღწია, ყოველ შემთხვევაში, იმ ზომით, როგორითაც ქრისტიანულ ქვეყნებში, რომ მათი ტელევიზია და პრესა არ არის იმდენად ბილწი და გარყვნილი, როგორც ჩვენი. რას ვუპასუხებთ?..

არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი)

დარვინის ევოლუციის როლი „დაბეგმარების“ განვითარებაში

ბასული საუკუნის მსოფლიო ჰუმანიზმის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ბიოლოგ-არქიტექტორმა ჯულიან ჰაქსლიმ „გაეროს“ გენერალური დირექტორობის პერიოდში თავისი პროგრამა ჩამოაყალიბა, რომელშიც შემდეგი მიზანი დაისახა: „იუნესკოს ერთობლივი ფილოსოფია როგორც წარმოგვიდგენია, მსოფლიო ჰუმანიზმი უნდა იყოს, ყოვლისმომცველი და თავის საფუძველში ევოლუციური. ფართო გაგებით, ევოლუცია ნიშნავს ყველა ისტორიული პროცესის შეცვლასა და განვითარებას. ის შეიძლება სამ სექტორად დავყოთ: არაორგანული, ანუ უსიცოცხლო, ორგანული, ანუ ბიოლოგიური, და სოციალური ანუ კაცობრივი“.

XIX ს-ის მეორე ნახევარში მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის გონება უშუალო კავშირშია ტვინის ზომებთან, აქედან გამომდინარე, თავის ზომებთანაც. 1869 წელს ფ. გალტონმა, დარვინის ბიძაშვილმა, რაოდენობრივად შეაფასა ადამიანის ნატურა.

ფრანგი ალფრედ ბინე ინტელექტის რიცხობრივ შეფასებას შეუდგა, რის შედეგადაც 1908 წელს გონებრივი შესაძლებლობის

კოეფიციენტის კონცეფცია გაჩნდა. დღეს ის „Tech IQ“ სახელწოდებითაა ცნობილი. და, რადგან ინტელექტი განისაზღვრება რასით, მაშასადამე, ნაციის ერთიანი ინტელექტი შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ გენეტიკური პროცესიდან გამოვრიცხავთ მათ, ვისაც ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი აღმოაჩნდება. მარგარეტ ზანგერი კი ამას ასე აყალიბებდა: „გამოკვლეულ მამაკაცთა 48,3%-ის ინტელექტი თორმეტი წლის ბავშვის დონეზეა, ანუ ისინი გონებასუსტნი არიან“. მიღებულ შედეგს იგი ამერიკის მთელ მოსახლეობაზე ავრცელებდა და ადამიანური ჯიშის გაუმჯობესებაზე მზრუნველს შეძლევი „ჰუმანური“ დასკვნები გამოჰქონდა: 45 მილიონ ადამიანს, ე.ი. მოსახლეობის თითქმის ნახევარს, ინტელექტი ნორმალურ მდგომარეობამდე არასდროს აუმაღლდება. ის, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ გონებასუსტთა განცალკევებას და ისინი მრავლდებიან, მხოლოდ ჩვენს უგუნურებასა და უბადრუკ გულჩვილობას ადასტურებს“.

მრავლისმთქმელი სათაურის მქონე წიგნში – „ცივილიზაციის შემობრუნების წერტილი“ – ზანგერმა აღწერა, თუ როგორი იქნება სამყარო „არასრულფასოვანთაგან“ საზოგადოების გაცხრილვის შემდეგ. მისი აზრით, დანარჩენები, სექსუალური ენერჯის გამოთავისუფლების ხარჯზე, „ჭეშმარიტად ამქვეყნიურ სამოთხეს შექმნიან“. სექს-ენერჯისა და მეცნიერული მიდგომის ერთიანობით შეიქმნება „გენიოსთა რასა“, კაცობრიობა გათავისუფლდება ისეთი ყალბი ფასეულობებისაგან, როგორიცაა „ველური, უტოპიური ოცნება საყოველთაო ძმობაზე, გულჩვილობა და რელიგიურობა“. ახალი სამყარო „აშენდება მეცნიერული ფაქტების მყარ საფუძველზე“. სექსით კაცობრიობა მიაღწევს დიდ სულიერ გაბრწყინებას, რომელიც გარდაქმნის სამყაროს და გვიჩვენებს ამქვეყნიური სამოთხისაკენ მიმავალ ერთადერთ გზას“. ამ ახალ სამყაროში ადამიანები მიხვდებიან, რომ ბედნიერების ერთადერთი წყარო თვით მათშია – ეს არის მათი სექსუალური ენერჯია. ისინი საკუთარ თავში გამოიხატავენ საიმისო ძალას, რომ ამაყად გაემიჯნონ იმათ, ვისაც თამამად დაარქმევენ „ბიოლოგიურ და რასობრივ შეცდომებს“. ის, ვინც „ბიოლოგიურად უვარგისი“ ქალის დაუბადებელი ჩვილის დაცვას შეეცდება, ყვეფიად შეირაცხება და გაიკიცხება, რადგან „არასრულფასოვნები“ უნდა განადგურდნენ, ცოცხლად დარჩენილი „ჯანსაღნი“ კი გააცნობიერებენ საკუთარ სექსუალურ ძალას და მას ხშირად გამოიყენებენ.

კაცობრიობა მხოლოდ ასე „გაკეთილშობილდება და მიღწევს უკვდავებას, ამოხსნის მარადიული ცხოვრების საიდუმლოს... თანდათან ჩაკვდება ძველი, ტრადიციული მორალი, რომელიც განსჯიდა უწესო სქესობრივ კავშირებს და მეძავობას, რადგან ეს მორალი სახიფათოა როგორც ცალკეული პიროვნებებისათვის, ისე მთლიანად საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის. ძველიდან ახალზე გადასვლის ეს პროცესი, ისევე როგორც ნებისმიერი საფუძვლიანი ცვლილება, უთვალავ განსაცდელს უკავშირდება, მაგრამ ამ რევოლუციას ვერაფერი შეაჩერებს“. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ 1937 და 1938 წლებში ამერიკის ოცდაათმა შტატმა სტერილიზაციის კანონი მიიღო.

ნახევარი საუკუნის შემდეგ სიტუაცია ნაკლებად შეიცვალა. დღეს აბორტი, როგორც შობადობის კონტროლის მეთოდი, კანონითაა დაშვებული. თუმცა, უფრო მართებული იქნება, მას სიკვდილიანობის კონტროლის საშუალება ვუწოდოთ.

ადამიანური რასის თანმიმდევრული განვითარების შესახებ იდეები გალტონმა უშუალოდ დარვინის ევოლუციაზე დააფუძნა. ადამიანის ევოლუციური კანონი ასეთია: უმდაბლესი გონებრივი დონის არსებები უმაღლესი გონებრივი დონის არსებათა მსახურნი ხდებიან. ე.ი., გალტონის კანონებით ხელმძღვანელობის შემთხვევაში ჩვენ ადამიანის ევოლუციის კონტროლირება და თვით ზერასის ჩამოყალიბება შეგვეძლება.

არსებობს მყარი კავშირი ევოლუციურ თეორიასა და გერმანელი ფიურერის მიზნებს შორის. ჰიტლერის წიგნ „მაინ კამპფის“ მკვლევრები გვიდასტურებენ, რომ ჰიტლერის შეხედულებების ძირითადი წყარო სწორედ დარვინის ევოლუცია იყო.

1933 წელს, ნაცისტური პარტიის გერმანიის სათავეში მოსვლისა და ჰიტლერის კანცლერად არჩევის შემდეგ „დააკანონეს არა მხოლოდ აბორტი და ევთანაზია, არამედ იძულებითი სტერილიზაცია და ეს „რასის დამაბინძურებელთა“ უმცირეს ორ მილიონ ადამიანზე განახორციელეს.

* * *

კუმანიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება უზნეობაა. მიჩნეულია, რომ ევოლუციის პერიოდში ადამიანმა უზნეობიდან ზნეობრივი განვითარების გზა გაიარა, მაგრამ რეალობაში

ჩვენ საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე: რადგან ღმერთი არ არსებობს (ამბობს ჰუმანისტი), ზნეობრივი პრინციპებიც, შესაძლოა, შეიცვალოს სიტუაციისდა მიხედვით. ჰუმანისტს სწამს, რომ ადამიანი თავისუფალია და თავად შეუძლია განაგოს თავისი ცხოვრება. „ჰუმანისტის ძირითად საზრუნავად ყოველთვის ითვლებოდა ამქვეყნად ბედნიერების მიღწევა და არა სადღაც ფანტასტიკურ ქვეყანაში, საფლავს მიღმა“ (ლამონტი, 1997წ).

ამიტომ გასაგებია, რომ ჰუმანისტური მოძრაობა სასიცოცხლო მნიშვნელობას ადამიანის სექსუალური შეზღუდვებისაგან „გათავისუფლებას“ ანიჭებს. მაგალითად, შვეციაში სისხლის აღრევის ამკრძალავი კანონები ნაკლებად მკაცრი გახდა, რამაც მოსახლეობას მეხუთე მცნების დარღვევის ნება დართო, ხოლო ინფორმაციის მასობრივი საშუალებები ხალხს მეშვიდე მცნების დარღვევისაკენ უბიძგებენ. უკანასკნელ წლებში ლიბერალმა პედაგოგებმა, სკოლებში სექსუალური განათლების შემოღების მიზნით, თავიანთი შესაძლებლობები გააერთიანეს.

ჰუმანიზმის საბოლოო მიზანი ერთიანი მსოფლიო მმართველობის ჩამოყალიბებაა – რასაკვირველია, ჰუმანისტური ელიტის მეთაურობით. ჰუმანისტური იდეალი გულისხმობს ნაციონალური სახელმწიფოებრიობის გაქარწყლებასა და ზესახელმწიფოსადმი მორჩილებას.

ახლანან გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელიც ნათლად გამოხატავდა იუნესკოს მოღვაწეობის პრინციპებს. მისი პოლიტიკური კონცეფციის დასკვნა ამგვარია: **„სხვადასხვა ტრადიციის ერთიან ინფორმაციულ ფონდში გაერთიანება აუცილებელი მოთხოვნილებაა ადამიანის ევოლუციური პროგრესირებისათვის“**.

ნაციონალურ-სუვერენული იდეების აღმოფხვრის მისწრაფების სურვილი იუნესკოს პუბლიკაციებში აშკარად იკვეთება: **„სკოლებში ცამეტ წლამდე ბავშვებთან: სანამ ბავშვი ნაციონალისტური იდეებით იკვებება, მსოფლიო მენტალიტეტური სულისკვეთებით განათლება საეჭვო შედეგებს მოგვცემს. სწორედ ოჯახი წამლავს ბავშვს უკიდურესი ნაციონალიზმით. ამიტომ სკოლამ უნდა გამოიყენოს ყოველგვარი საშუალება ოჯახური წეს-ჩვეულებების გადასალახავად“**.

და ბოლოს, უნდა გვახსოვდეს, თუ როგორ აყალიბებს ჩვენს აზრებსა და წარმოდგენებს ჟურნალ-გაზეთებისაგან, რადიო-ტელევიზიისაგან მიღებული ინფორმაცია.

უკანასკნელ ათწლეულში ინფორმაციის მასობრივი საშუალებები ერთიან მოსაზრებამდე – ჰუმანიზმამდე მივიდნენ. მოქმედებს ცენზურა, რომელიც მკაცრად ზღუდავს ყოველივე ახალს, რაც ევოლუციურ თეორიას ეწინააღმდეგება. ჰუმანიტურ მანიფესტში ნათქვამია: **„ჩვენ უნდა გავაფართოვოთ კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სისტემები საზღვრებს გარეთ... მსოფლიოში ყველა კარი ღია უნდა იყოს სხვადასხვა პოლიტიკური, იდეოლოგიური და ზნეობრივი შეხედულებებისათვის. უნდა შექმნავდეს ერთიანი მსოფლიო სისტემა ტელევიზიის, რადიოსა და განათლების სისტემებისათვის“**. 1980 წელს, ბელგრადში, იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის სფეროებისათვის ახალი მსოფლიო წესრიგის ახალი რეზოლუცია შეიმუშავეს.

რომელ ოჯახს იცავს ასოციაცია „ოჯახის დაგეგმარება“?!

ამ ბოლო დროს პრესით, ტელევიზიითა და რადიოთი სულ უფრო ხშირად ისმის საუბარი სკოლებში ე.წ. „სექსუალური განათლების“, სქესობრივი აღზრდის აუცილებლობის შესახებ. ჩვენი ქვეყნისათვის ეს ახალი მოვლენაა, ამიტომ აუცილებელია, ყველაფერში დაწვრილებით გავერკვეთ.

სექსუალური განათლების პროგრამების მთავარ ინიციატორად გვევლინება ოდრა – „ოჯახის დაგეგმარების“ რუსეთის ასოციაცია (ზოგოერთ პუბლიკაციაში იგი მოხსენიებულია როგორც **როდა** – რუსეთის „ოჯახის დაგეგმარების“ ასოციაცია – ა.უ.), რომელიც შეიქმნა 90-იანი წლების დასაწყისში, როგორც ოჯახის დაგეგმარების საერთაშორისო ფედერაციის ფილიალი, რომლის ცენტრი ამერიკაშია. ცნობილია, რომ ეს ფედერაცია ოპოზიციაშია პრაქტიკულად ყველა ქრისტიანულ სარწმუნოებასთან. მას ებრძვიან მართლმადიდებლებიც, კათოლიკეებიც და პროტესტანტებიც, განსაკუთრებით, ამერიკაში. ეს

არ არის შემთხვევითი, რადგან თავისი იდეოლოგიით, ამოცანებით, მეთოდებით, სტრუქტურით ეს ასოციაცია მოგვაგონების ანტიქრისტიანული სწავლების სექტას. როგორც სექტათა უმეტესობისათვისაა დამახასიათებელი, აქაც პირველი შთაბეჭდილება არ იძლევა სწორ წარმოდგენას ნამდვილ ამოცანებსა და მიზნებზე. მაგალითად, „ოჯახის დაგეგმარების“ ასოციაციის თანამშრომლები ცდილობენ, თავი კარგი მხრიდან დაგვანახონ, მათი საყვარელი ლოზუნგებია: „უსაფრთხო აბორტი“ (გამოთქმა სრულიად უაზროა: ნებისმიერი აბორტი ნიშნავს ბავშვის მკვლელობასა და ქალის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებას), „უსაფრთხო დეღობა“, „უსაფრთხო სექსი“, „სიყვარული რისკის გარეშე“, „ყოველ ბავშვს აქვს უფლება, დაიბადოს სასურველი“, ისინი არწმუნებენ გულუბრყვილო ადამიანებს: „ჩვენ აბორტის წინააღმდეგი ვართ. აბორტი ძალიან ცუდია. საჭიროა, შეძლებისდაგვარად, აბორტის რიცხვის შემცირება“. მაგრამ, თუკი უფრო ღრმად ჩავწვებით მათს საქმიანობას, გავარკვევთ, რა იმალება ამ სიტყვებს მიღმა. თურმე ოჯახის დაგეგმარების საერთაშორისო ფედერაცია იღვწის იმისათვის, რომ დაიბადონ მხოლოდ სასურველი ბავშვები, არასასურველი კი უნდა განადგურდნენ დედის მუცელში. აღმოჩნდა, რომ უფლება, დაიბადოს „სასურველი“ – ეს სიტყვიერი საფარველია, რომლის უკან იმალება ის, რომ ხსენებული ასოციაცია აქტიურ რეკლამას უწევს აბორტებს და აკეთებს კიდევ მათ. მაგალითად, ოჯახის დაგეგმარების საერთაშორისო ფედერაციის ამერიკული ფილიალი სააბორტო მომსახურების უმსხვილესი მომწოდებელია, რითაც უდიდეს შემოსავალს იღებს. მხოლოდ შეერთებულ შტატებში აბორტების ინდუსტრიას ყოველწლიურად 5 მილიარდი დოლარის შემოსავალი მოაქვს.

რაც მთავარია, ამ ორგანიზაციას პოლიტიკური მიზნები ამოქმედებს. ვინ არ იცის, რომ მოსახლეობის რაოდენობა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფაქტორია. ოჯახის დაგეგმარების საერთაშორისო ფედერაცია ასრულებს მოსახლეობის რაოდენობის შემცირების პოლიტიკურ შეკვეთას.

1991 წელს ოჯახის დაგეგმარების საერთაშორისო ორგანიზაციამ რუსეთში თავისი ფილიალი გახსნა და ახლა მისი განყოფილებები განლაგებულია რუსეთის ათეულ ქალაქში (ჟურნალ „ოჯახის

დაგეგმარების“ მიხედვით – 52 ფილიალი). ყოველი მათგანი იღვწის შობადობის შემცირებაზე (სტერილიზაცია, აბორტები, კონტრაცეფცია).

1996 წლის 17 ოქტომბერს „ნეზავისიმია გაზეტაში“ გამოქვეყნდა ასოციაციის გენერალური დირექტორის, ი. გრებეშოვას, სტატია – „თანამედროვე ოჯახის დასაცავად“. სტატია მიზნად ისახავს დაამტკიცოს, რომ ეს ასოციაცია რუსეთისათვის კეთილისმყოფელია, იცავს ოჯახს.

რა გზით აპირებს ასოციაცია ოჯახის დაცვას და რას ნიშნავს „თანამედროვე ოჯახი“ ოდრა-ს განმარტებით? თუ ამ ორგანიზაციის ოფიციალურ რუპორს – ჟურნალ „ოჯახის დაგეგმარებას“ მივმართავთ, წავიკითხავთ შემდეგს: „ოჯახი“ ეს მხოლოდ და მხოლოდ თეორიული ცნებაა. დღევანდელ დღეს მან, შეიძლება, მიიღოს განსხვავებული ფორმები. ოჯახის დაგეგმარების საერთაშორისო ორგანიზაცია ოჯახის ტიპთან მიმართებაში იცავს ადამიანის თავისუფალი არჩევანის უფლებას. ამგვარად, იგი აღიარებს ოჯახის ტიპების მრავალფეროვნებას თანაბარი უფლებებით. არ შეიძლება, ხელი შევეწყოთ ოჯახის რომელიმე ერთ ტიპს“ (ჟურნალი „ოჯახის დაგეგმარება“ №2, 1994, გვ.8). სინამდვილეში, ასოციაცია საერთოდ უარყოფს ოჯახის მცნებას! მისი კონკრეტული ინტერესი მიმართულია არასრულწლოვანებზე: **„ოჯახის დაგეგმარების პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ მოზარდთათვის კონტრაცეპტული მომსახურება, მიუხედავად მათი ფინანსური მდგომარეობისა და მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი დაქორწინებულები“** (ჟურნალი „ოჯახის დაგეგმარება“ №2, 1994, გვ.14). **„კონტრაცეფციის სფეროში მომსახურება და კონსულტაციები ადვილად მისაწვდომი უნდა იყოს მოზარდთათვის“** (ჟურნალი „ოჯახის დაგეგმარება“ №2, 1994, გვ.14).

უკვე რამდენიმე წელია, რაც რუსეთის ასოციაცია აქტიურად ეწევა ბავშვთა და მოზარდთა „განათლებას“. ბავშვებისათვის გამიზნულ გამოცემებს სხვანაირად ვერ შევაფასებთ, თუ არა, როგორც პორნოგრაფიას. ზოგიერთ სკოლაში აქტიურად ინერგება ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა მიწოდებაც. ამ მიზნებისათვის გახსნილია „ოჯახის დაგეგმარებისა და მოზარდთა სექსუალური

განათლების ახალგაზრდული ცენტრი“. რა ოჯახი შეიძლება ჰქონდეს ახალგაზრდას?

ბავშვებს „უსაფრთხო სექსს“ სთავაზობენ. ეს კიდეც ცოტაა. ოდრა ცდილობს, მიანიჭოს ჩვენს ბავშვებს უფლება, უფასოდ მიიღონ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები და მათი გამოყებისათვის კონსულტაციები მშობელთა დაუკითხავად!

რა უფლებებსა და თავისუფლებებს გვიქადის კანონი „რეპროდუქციულ უფლებათა შესახებ“? ეს არის ბავშვებისათვის უსაფრთხო სექსის, სტერილიზაციის, აბორტისა და სამედიცინო დაზღვევის ხარჯზე ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა უფლებები.

ამ კანონის დანარჩენი „უფლებანი და თავისუფლებანი“ ისეთი ხასიათისაა, რომ ქრისტიანული სინდისი ქალაქზე გადმოცემის უფლებას არ გვაძლევს.

რომელი ფულით უნდა დაფინანსდეს „უფლებებისა და თავისუფლების“ რეალიზაცია? ჩვენი ჯიბიდან, გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე. ახლა უკვე, როდესაც გადავიხდით გადასახადებსა და სამედიცინო დაზღვევის შესატანს, ჩვენდა უნებურად, დავაფინანსებთ „უსაფრთხო სექსის უფლებას“. ერთადერთი იმედი დავგრჩა, რომ დეპუტატები ამ კანონსხმას არ მისცემენ.

ასოციაცია არაფერს აკეთებს ოჯახის დასაცავად. აბორტები, სტერილიზაცია, ჰორმონალური აბებისა და სპირალების რეკლამა, ბავშვთა შორის გარყვნილი მასალების გავრცელება, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა – ეს ყველაფერი მიზანდასახულად ხელს უწყობს ხალხის გადაშენებას. იქმნება პარადოქსული სიტუაცია, ოჯახის დაგეგმარების რუსეთის ასოციაცია იღებს ფულს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ეწევა თავისივე ხალხის გარყვანას. გამოდის, ეს ორგანიზაცია სახელმწიფო ხარჯებით ეწევა ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას. **მღვდელი მაქსიმე ობუხოვი**

**საზოგადოების საფუძველთა საფუძველს –
ოჯახს საფრთხე ემუქრება
რეპროდუცია მართლმადიდებლური
კონფერენციისა**

„სიცოცხლისა და ოჯახისდასაცავად“

ჩვენი, კონფერენციის – „სიცოცხლისა და ოჯახის დასაცავად“ – მონაწილენი გამოვთქვამთ შეშფოთებას, რომ საზოგადოების საფუძველთა საფუძველს – ოჯახს საფრთხე ემუქრება. დღეს ჩვენ ვდგავართ ახალ რევოლუციის ზღურბლთან, რომელიც მიმართულია ოჯახის და, მაშასადამე, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ბავშვთა გახრწნამ და შობადობაზე კონტროლმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მოსახლეობის გენოციდთან. მშობლებს აქვთ სრული უფლება თავიანთი შვილების აღზრდისა. არავის შეუძლია ჩაერთოს ოჯახის პირად ცხოვრებაში და თავს მოახვიოს მშობლებისა და საზოგადოების შეხედულებათა საწინააღმდეგო ფასეულობანი. სახელმწიფო სკოლები სახელმწიფო საკუთრებაა, ანუ გადასახადთა გადამხდელების ფულით არსებობენ. მასწავლებლები ხელფასს ჩვენი ჯიბიდან იღებენ, შესაბამისად, გვაქვს კონტროლის უფლება ჩვენს ქონებაზე, იმაზე, თუ სად მიდის ჩვენი ფული და რას ასწავლიან ჩვენს შვილებს.

განათლების სამინისტროს მხრიდან აუცილებელია სქესობრივი აღზრდის პროგრამების დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხების საჯაროობა. ეს ეხება საქმის ფინანსურ მხარესაც. ცნობილი უნდა იყოს პროგრამების დამუშავებაში მონაწილე ყველა ადამიანი და ორგანიზაცია, ფინანსირების წყაროები. სქესობრივი აღზრდის იდეა არ ყოფილა ფართო განხილვის საგანი არც პედაგოგიურ წრეებში, არც დაინტერესებულ საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებში.

განათლების სამინისტროს მიერ მიღებული და რეკომენდირებული სქესობრივი აღზრდის პროგრამები წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებისათვის არაკომპეტენტურ, არაპროფესიონალურ, აღმაშფოთებელ და საშიშ ოპუსს, რომელიც შემუშავებულია ვიწრო წრეში უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით.

ჩვენ მოვითხოვთ ამ პროგრამის დაუყოვნებლივ გაუქმებას!

ჩვენ მოვითხოვთ პედაგოგიური მოღვაწეობისგან ამ პროგრამის ავტორების ჩამოცილებას!

ოჯახის დაგვემარების საერთაშორისო ფედერაციას და მის რუსეთის ფილიალს აქვს ანტიქრისტიანული ორგანიზაციის

რეპუტაცია. იგი ოფიციალურად უჭერს მხარს ჰომოსექსუალიზმს და უარყოფს ოჯახის ცნებას. ამ დაწესებულების თანამშრომლები სკოლაში ლექციებს კითხულობენ. ორდა-ს მიერ ჩატარებული სექსოლოგიის გაკვეთილები სხვადასხვა სახელწოდებით – ოჯახის დაგეგმარება, ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია, თუ ერთჯერადი ლექციები, თავიანთი არსით ეწინააღმდეგებიან ქრისტიანულ სარწმუნოებას და ჩვენ გვჭირდება გარანტიები, რომ ჩვენს შვილებს არ შეასწავლიან სკოლაში „უსაფრთხო სექსის“ წესებს.

ასეთ მეცადინეობებს, რომელიც ახლა სკოლებში ტარდება, თან ახლავს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა რეკლამირება. კვალს ამ საშუალებათა მწარმოებელ დასავლურ ფირმებთან მივყავართ. თავისთავად ცხადია, რომ ეს ფირმები მხარს უჭერენ ასეთ განმხრწნელ გაკვეთილებს.

სკოლაში ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა ნებისმიერ რეკლამა უნდა აიკმალოს.

სექსოლოგიაში ნებაყოფლობითი მეცადინეობის პირობებიც არ არის დაცული. მეცადინეობები ტარდება ბავშვების, მასწავლებლებისა და მშობლების თანხმობის გარეშე. ასეთი პროგრამები ყოველად დაუშვებელია. მშობელთა წერილობითი თანხმობის გარეშე სექსოლოგიაში მეცადინეობის ჩატარება – ეს არის ოჯახის უფლებების დარღვევა ბავშვთა აღზრდის საკითხში და კანონით უნდა ისჯებოდეს.

როგორი გსურთ იხილოთ საკუთარი შვილები – სუფთა სულითა და სორცით ბედნიერი დედები და მამები, თუ...

სამსსუალურ განათლებას მივყავართ იქით, რომ იქმნება სექსუალურად აღზენებული და გონებრივად ჩამორჩენილი ბიბლიოტეკების ახალი პოპულაცია.

ყველამ იცით ნარკომადიის შესახებ, მაგრამ არსებობს არანაკლებ საშიში მათია – სექსინდუსტრია. პორნოგრაფიული ჟურნალები, პროსტიტუცია, კონტრაცეპტივების მწარმოებელი ფირმები, ადამიანთა ჩანასახით – ემბრიონით მოვაჭრენი – ესენი არიან, რომელნიც

ცხოვრობენ ინსტიქტის კომერციული ექსპლუატაციითა და ჩასახულ ჩვილთა მკვლევლობით. მათ მშენიერად ესმით, რაც უფრო გაირყვება მოზარდი, მით უფრო მეტი იქნება შემოსავალი. გარყვნა ადამიანისა – ეკონომიკურად მომგებიანი ყოფილა. შემთხვევითი არ არის, რომ ბავშვთა სექსუალური განათლების პროგრამის ერთ-ერთი შემდგენელი გახლავთ პორნობიზნესის სამყაროში მეტად გავლენიანი ფიგურა – ს. აგარკოვი. პროგრამაში წარმოდგენილია პროსტიტუციის ისტორია, მოთხოვნილია პორნოგრაფიის სახეობებზე და ა.შ. ხოლო ოჯახის დაგეგმარების საერთაშორისო ფედერაცია აფინანსებს პორნოგრაფიულ ჟურნალს – „ფლეიბოი“.

რა უფლებით კარნახობენ ახალ ნორმებს სასკოლო განათლების სისტემას ის ადამიანები, რომელთაც გაუკუღმართებული, გარყვნილი წარმოდგენები აქვთ ეთიკურ ნორმებზე? ან იქნებ ჩვენთან განათლება ითვლება ზნეობასთან შეუთავსებლად? ჩვენი ბავშვები მიჩნეული არიან პორნოპროდუქციის პოტენციურ მომხმარებლებად, ხოლო სკოლები – საუკეთესო ადგილებად, სადაც შეიძლება საკუთარი საქონლის რეკლამირება და დანერგვა. სექსგაკვეთილებს სკოლებში თან სდევს მიზანი: მრუშობის პროპაგანდით გვაქციონ პორუტყვებად, ბიომასად, რომელსაც მართავს მხოლოდ ხორციელი სურვილები და ინსტიქტები.

ტულის სკოლებში ლიტერატურის გაკვეთილების ნაცვლად ტარდებოდა მეცადინეობები სექსოლოგიური აღზრდის პროგრამის მიხედვით. პროგრამა მოამზადა ამერიკულმა კომპანიამ „პროკტერ ენდ გემბლ“-მა. ყოველ პედაგოგს, რომელიც დათანხმდა ასეთ გაკვეთილს, გადაეცა პაკეტი სარეკლამო პროდუქციით, ხოლო გოგონებს – წყვილი ჰიგიენური პაკეტი. ექსპერიმენტში მონაწილეობდა 30 სკოლა, სასწავლებლები, პედაგოგიური კოლეჯისა და უნივერსიტეტის სტუდენტები. თითქმის 2000 მოსწავლემ გაიარა სწავლება თვალსაჩინო საშუალებების თანხლებით. ერთ-ერთ სკოლაში მთელი სასწავლო წელი მიმდინარეობდა პირველკლასელების სწავლება; შემაჯამებელ მეცადინეობაზე კი ნაჩვენები იქნა ფილმი სექსუალურ აქტზე. ამის გამო ადგილობრივმა გაზეთმა საჯაროდ მიმართა ოლქის პროკურატურას და მოითხოვა სასწრაფო ჩარევა. რუს მოწაფეებს თავს ახვევენ ღირებულებათა

ახალ სტრუქტურას, ცხოვრების ახალ სტილს: სექსის სფეროში ყველაფერი დასაშვებია, თუკი ამას მოაქვს სიამოვნება.

ყოველი გადახრა, გარყვნილება – ეს ნორმაა. მეორე ადამიანი მხოლოდ საკუთარი ვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ობიექტია.

სექსი გახდა ვაჭრობისა და რეკლამის მამოძრავებელი ძალა. გარყვნილი სცენები თან ახლავს არა მხოლოდ ტანსაცმელს, არამედ საღებავი რეზინის რეკლამებსაც კი. მშობელთა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა იტაცებს სამიშ ლოზუნგს: „შორს ცრუ სირცხვილი“. ისინი თავიანთ შვილებს აბარებენ განმხრწნელ სტიქიას; მაგრამ ამდაგვარი გაკვეთილები ვერ მოუტანენ ბავშვებს ჯანმრთელობას, რამდენადაც ისინი ანტიმეცნიერული, ანტიპედაგოგიური, ანტიზნეობრივია – ქვესკნელიდან გამოშვებული მრუშობის ემმაკი, რაც უფრო ადრე ჩასახლდება სულში, მით უფრო დესპოტურად მბრძანებლობს მასზე. პედაგოგები და ფსიქოლოგები მიმართავენ მშობლებს – როგორი გსურთ იხილოთ საკუთარი შვილები: სუფთა სულით და ხორციით ბედნიერი დედები და მამები, თუ გაპირუტყვებული პარტნიორები სექსუალურ ორგეებში?

რუსეთის ცნობილი სექსოპათოლოგის, ვასილჩენკოვის, აზრით, სექსუალური სწავლება აყალიბებს ახალ პოპულაციას – ეს არის სექსუალური საზრუნავით დაკავებული და გონებრივად ჩამორჩენილი ბიორობოტი.

60-იანი წლების დასაწყისის „სექსუალური რევოლუცია“ ძვირი უჯდება კაცობრიობას. ამერიკელმა ექიმმა კინსიმ ბავშვებზე ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე შექმნა მითი „ბავშვთა სექსუალობასა“ და პედოფილიაზე, როგორც ნორმალურ მოვლენაზე. დღეს თავად ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ კინსის ეს ექსპერიმენტები უტოლდება ნაცისტების „სამედიცინო გამოკვლევებს“.

ბავშვთა ფსიქიატრიისა და ფსიქოთერაპიის კათედრის გამგე, პროფესორი ი. შევჩენკო ასეთ შეხედულებებს გამოთქვამს მოსწავლეთა სექსუალური განათლების პროგრამების შესახებ; „ამგვარი განათლებით ერთნი სამუდამოდ განეშორებიან ნორმალურ სიყვარულს, ბავშვობიდანვე იქცევიან იმპოტენტებად და ჰომოსექსუალისტებად. მეორეთათვის კი ეს იქნება მიზეზი სექსუალური შემეცნების ჩამოყალიბების პროცესიდან რომანტიკული სტადიის ამოვარდნისა“.

ფსიქოემოციურ სფეროში ჩარევას, საზოგადოებაში არსებული მორალური, ზნეობრივი და კულტურული ნორმების ძალმომრეობით შეცვლას მიყვარათ საზოგადოების კულტურული ბირთვის დაშლამდე, რასაც შედეგად მოსდევს კრიმინალიზაცია, სოციალური მდგრადობის მკვეთრი რღვევა, ფსიქიკური, ყველაზე მეტად კი სქესობრივი დარღვევები და გარყვნილება. წმინდა განმანათლებელი გრიგოლ ღვთისმეტყველი წერდა: „მრუში წაახდენს თავის მოღმას“, – ამას მეცნიერული შედეგებიც ადასტურებს. ქალთა მრავალი დაავადების მიზეზი არის სიძვა. მრუშობა დამღუპველია ადამიანის ხორცისა და სულისათვის. იგი იწვევს ორგანიზმის მოშლას და მრავალ დაავადებას. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ბარაბაში წერდა: „ჩვენმა წინაპრებმა აპრიორული გზით იცოდნენ გენეტიკის ელემენტარული კანონი: ქალის ცხოვრებაში პირველ სექსუალურ კონტაქტს აქვს უძლიერესი გავლენა ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე და გენეტიკურ მემკვიდრეობაზე, შემთხვევითი სქესობრივი კავშირით დაბადებული ყველა ბავშვი არასრულყოფილია გენეტიკურად, ბიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად. ამორალურ ქალთან ქორწინება შთამომავლობის შეგნებული დაზიანებაა“. რამდენი გადამდები სენი მოდის ჩვენთან დასავლეთის ქვეყნებიდან, შეერთებული შტატებიდან; იქ მრავალ ქალაქში ლეგალიზებულია ჰომოსექსუალური ოჯახები, რომლებმაც აღსაზრდელად აიყვანეს ბავშვები (ძირითადად, რუსეთიდან). ჰომოსექსუალისტები ეწევიან „აღმზრდელობით მუშაობას“ შეერთებული შტატების მრავალ სახელმწიფო სკოლაში. განათლების დარგში სამსახურში მიღებისას ჰომოსექსუალისტები სარგებლობენ უპირატესობით, მათ შორის, მასწავლებლის თანამდებობაზეც. გაჩნდა ახალი მეცნიერული ტერმინიც – „ჰომოფობია“ (ანუ, თუ თქვენ შემწყნარებელი არა ხართ ჰომოსექსუალიზმის მიმართ, მაშინ გესაჭიროებათ მკურნალობა). ბილ კლინტონმა 1999 წლის ივნისი გამოაცხადა ჰომოსექსუალისტებისა და ლესბოსელების თვედ, ხოლო აშშ-ის ელჩად ლუქსენბურგში დაინიშნა ჯეიმს ხორმელი, რომელმაც საჯაროდ აღიარა, რომ ჰომოსექსუალისტია.

ამერიკული ფსიქოლოგიური ასოციაცია საუბრობს იმაზე, რომ თითქოსდა არასრულწლოვნებთან უფროსების სექსუალური კავშირი დამღუპველად არ მოქმედებს ბავშვთა ფსიქიკაზე. ჰომოსექსუალიზმი

და სხვა სოლომური ცოდვები ნორმად გამოცხადდა. თანამედროვე ფსიქოლოგიაში იკარგება ტერმინი „სექსუალური გაუკუღმართება“. მის ნაცვლად შემოდის ცნება: „სექსუალური ორიენტაცია“.

ისიც მართალია, რომ ამერიკელები გარკვეულწილად გამოფხიზლდნენ. მაგალითად: აშშ-ს კონგრესმა 1996 წელს მიიღო კანონი, რომლითაც „კონტრაცეფციის სწავლების პროგრამა შეიცვალა პროგრამით – „თავშეკავების სწავლება“. ამ პროგრამის რეალიზაციისათვის 1998-2000 წლებში ყოველწლიურად გამოიყოფოდა 50 მილიონი დოლარი. 1999 წლის 5 თებერვალს ერთმა სწავლულმა ქალბატონმა რადიოსადგურ „თავისუფლებაში“ გამოსვლისას აღნიშნა: **„ამერიკელი ქალები გამოდიან სექსუალური რეკოლუციიდან, როგორც ნარკოზიდან და უჩნდებათ ტკივილისა და სირცხვილის შეგრძნება“.**

და მაინც, ოჯახის დაგეგმარების რუსეთის ასოციაცია მთელი ძალებით მიისწრაფვის, ჩვენს ბავშვებზე გაიმეოროს ეს დამღუპველი ექსპერიმენტი, მაგრამ, განა, უბიწოება არ დევს რუსული კულტურული შემეცნების ცენტრში? ამიტომაც არის ალბათ რომ მთელ რიგ პროგრამებში გათვალისწინებულია გაკვეთილები „სირცხვილის მოსახსნელად“. ნუთუ ჩვენმა გონიერმა და ოდესღაც უძლეველმა ხალხმა დაკარგა თავისი ზნეობრივი იმუნიტეტი და „განათლებული“ დასავლეთის ძახილით მორჩილად მიეხეტება გამრყენელი „კეთილისმსურველების“ ნაკვალევზე?!

ბავშვების ზნეობრივი სიწმინდე ხალხის ნაციონალური მონაპოვარია და, თუ იგი მას არ გაუფრთხილდება, მაშინ მომავალი არ აქვს! ჩვენ უნდა განვაკვივროთ პიროვნება და არა ბიოლოგიური ინდივიდის „ქვედა სართული“ და მისი გენიტალიების ფუნქციები.

ჩვენ და ჩვენმა შვილებმა უნდა ვიცხოვროთ XXI საუკუნეში და ჩვენვე უნდა გადავწყვიტოთ, როგორი იქნება რუსეთი – ლატაკი და უზნეო, თუ ძლიერი და აყვავებული. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ეს შევაგნებინოთ ჩვენს ბავშვებსაც. „... აუცილებელია, რომ ჩვენს გამოსვლებში მოვლენებს დავარქვათ თავისი სახელი. ვთქვათ, რომ უზნეობა არის უზნეობა, მკვლელობა არის მკვლელობა, გარყვნილება არის გარყვნილება! თუ გავჩუმდებით – ჩვენ, უბრალოდ, მოგვსპობენ“ (მოსკოვის ეპარქიალურ კრებაზე წარმოთქმული ერთ-ერთი სიტყვიდან).

**თუ ჩვენ გვპიტხავენ, რომელი პერიოდი
იყო ყველაზე ბედნიერი ჩვენს ცხოვრებაში,
ჩვენ ალბათ ვუპასუხებთ – ბავშვობა**

ბავშვობის მოგონებებში არის რაღაც განსაკუთრებით მიმზიდველი ძალა, თუმცა ბავშვობა ბევრს მძიმე ჰქონია. ბავშვობაში იყო რაღაც აუხსნელი, ამოუცნობი – ის, რაც შემდგომში დაკარგეთ.

ბავშვის ემოციური სამყარო ბევრად უფრო ღრმაა და მდიდარი, ვიდრე მოზრდილი ადამიანისა. მის ირგვლივ ყოველივეს იგი აღიქვამს უშუალოდ, თვით ბავშვური თამაშობისას იგი არ კარგავს ამ უშუალობას. თუმცა ადამიანის სიწმინდე პირობითია, ბავშვი, რომლის ვნებები ჯერ არ გაღვიძებულა, სამყაროს სხვა თვალებით უცქერის, სხვაგვარად აღიქვამს. ხატოვნად რომ ვთქვათ, ცაზე ის იმ ვარსკვლავებს ხედავს, რომლებიც ჩვენთვის უკვე მიუწვდომელი გამხდარა. ბავშვს შეუძლია განიცადოს უფრო ღრმად, უყვარდეს უფრო გულწრფელად, იმეგობროს უფრო ერთგულად. როდესაც ადამიანს ძალიან უჭირს, იგი იხსენებს საკუთარ ბავშვობას, როგორც ცხოვრების ლამაზ რიჟრაჟს, რომლის შემოდგომის ზეცაც შავი ღრუბლებით დაიფარა. თვით უბრალოება ბავშვისა, ჩვენთვის უკვე დაკარგული, არის მიზეზი მისი ბედნიერებისა, ხოლო უსუსურობა – მისი ყველაზე დიდი ძალა.

ბავშვობა ადამიანის ცხოვრების მარგალიტია. ახლა კი სურთ ამ მარგალიტის წართმევა, ტალახში გასვრა და ფეხით გათელვა, ისე როგორც არც თუ ისე დიდი ხნის წინ ტაძრის დამანგრეველნი რაღაც დემონური სიხარულით ბილწავდნენ სიწმინდეებს, როგორც შავი მაგიის რიტუალში ამტვრევენ ჯვარს, რათა მოიხმონ სატანა.

დღეს კი სურთ ბავშვობა წაბილწონ როგორც სიწმინდე, ბავშვები ჩაითრიონ გარყვნილების ჭაობში, მომაკვდინებელი შხამი ძარღვებში ძალით შეუშხაპუნონ. სატანისტური რიტუალის კულმინაციურ მომენტში კლავდნენ ბავშვს, როგორც ლუციფერისათვის მიძღვნილ მსხვერპლს. დღეს კი სურთ, მოკლან ბავშვის სული, მოკლან არა დანით, არამედ – სულიერი შხამით. ბავშვი უნდა დაახრჩონ გახრწნილების ჭაობში, რომ ამ სიბინძურემ მის ძვალ-რბილში გაიაროს.

ბავშვების გახრწნას, ნაწილობრივ, თავად მშობლები უწყობენ ხელს, როდესაც შეაქვთ სახლებში პორნოგრაფიული ჟურნალ-გაზეთები და შვილებს იმ ტელეგადაცემების ყურების ნებას რთავენ, რომლებშიც გაშიშვლებულია ცხოვრების მთელი სიბინძურე. ამასთან ჩვენ გვარწმუნებენ, რომ შესაძლებელია, იარო ჭაობში და ტანსაცმელი არ დაგესვაროს.

ცნობისმოყვარეობა ბავშვისთვის მეტად დამახასიათებელი თვისებაა. გარე სამყაროს შთაბეჭდილებებს იგი ღრმად და ემოციურად აღიქვამს. მის სულში ისინი ძნელად წასაშლელ კვალს ტოვებენ. მშობლები, რომლებიც შვილების სიწმინდის შენარჩუნებისათვის არ ზრუნავენ, იმათზე უარესნი არიან, ვინც საკუთარ შვილებს მიშველსა და მშიერს ტოვებენ. მაგრამ სატანურ ძალებს ესეც ეცოტავენათ. მათ სურთ გარყვანან ბავშვები სკოლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის მეშვეობით. ისინი გარეგნულად შეიძლება ქველმოქმედებითი ხასიათისა იყვნენ, მაგრამ სინამდვილეში მათი მიზანია ცნობიერებაში ყველაფრის დაშვების პრინციპის ჩანერგვა; მათი მიზანია საუკუნოვანი ეროვნული ტრადიციების დანგრევა, მართლმადიდებელი მშობლების ზეგავლენის შემცირება საკუთარ შვილებზე, თითქოსდა, „ბავშვის უფლებების დაცვის“ მიზნით და იმ შეხედულების დამკვიდრება, რომ ერის ზნეობრივი ფასეულობები – ეს მხოლოდ ბნელი გადმონაშთებია ასეთივე ბნელი წარსულისა, ხოლო ქორწინებამდე ქალწულობის შენარჩუნება – ის, რაც ადრე ღირსებად ითვლებოდა, წარმოადგინონ თვითინკვიზიციად ან მშობლების მიერ შვილების უფლებების ხელყოფად და ძალადობად.

ეს ძალა ქრისტიანულ ქორწინებას ბავშვების გარყვნილ ანგრევს. ადამიანს შეუძლია სიცოცხლე შესწიროს იდეას. გარყვნილ გულს შეუძლებელია, ჰქონდეს იდეალი! მაშასადამე, – ყოველგვარი იდეაც. მისთვის ერთადერთი მიზანი ცხოვრებიდან ნებისმიერი მეთოდით და საშუალებით ტკობის მაქსიმუმის გამოწურვაა. ხატონად რომ ვთქვათ, **მაღალი ზნეობრივი იდეალებით მცხოვრები ერი ეკლესიად იქცევა, ხოლო ამ იდეალების დამკარგველი ხალხი უსახო ბრბოდ, რომელსაც არც წარსული აქვს და არც მომავალი.**

ახდენენ რა ექსპლუატირებას სიტყვებისა – „კულტურა“, „ცივილიზაცია“, – დღეს სურთ დანერგონ სექსოლოგიის საგანი,

სადაც „მასწავლებელი“ ეროტიკული თამაშების რეჟისორად გვევლინება. ამ „გაკვეთილებზე“ გოგონებმა და ბიჭებმა პასუხი უნდა გასცენ შეკითხვებს მეუღლეების ინტიმური ცხოვრების შესახებ და ლამის იმიტაცია მოახდინონ ცოლქმრული ცხოვრებისა. მათ უხსნიან არა მარტო პრაქტიკულ სექსს, არამედ პათოსექსოლოგიას, ეძლევათ რეკომენდაციები თავის დასაცავად და ა.შ.

გასული საუკუნის 20-იან წლებში, რევოლუციის შემდგომ, რევოლუციონერისა და ტერორისტის კოლონტიას ხელმძღვანელობით დაარსდა საზოგადოება „შორს სირცხვილი!“, რომლის პროგრამა გულისხმობდა სირცხვილის გრძობისა და, საერთოდ, მისი გაგებისაგან, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების გადმონაშთებისაგან, ადამიანთა გადაჩვევას. ადამიანებს სთავაზობდნენ ქუჩაში დედიშობილებს ევლთ, ეროტიკული პარტნიორები აერჩიათ ყველაზე ახლო ნათესაურ დონეზე, ცხოველთა მსგავსად მოეწყოთ კოლექტიური შერწყმის ადგილები და ა.შ. კოლონტაი თავად უჩვენებდა მაგალითს, – არ ერიდებოდა საკუთარი ასაკის, მაგრამ ამაზე საუბარი მეტად ამაზრზენია. დღეს ზემოთ ხსენებული საზოგადოების პროგრამა, რომლის დანერგვა თავის დროზე ვერ მოხერხდა, ხორციელდება სხვა მეთოდებით, – არა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლის ბაირალით (როგორც კოლონტიას დროს), არამედ – დემოკრატიისა და პროგრესის სახელით.

საქართველოში ოდითგან დიდად ფასობდა ქალწულებრივი ღირსება და კლემამოსილება. ქართველებს გადარჩენის ძალებს აძლევდა უწყვეტი რწმენა და მაღალი ზნეობა. დღეს საქართველო დგას უფრო საშიში ალტერნატივის წინაშე, ვიდრე წარსული ისტორიული ქართველებისას: იარსებებს თუ არა ის საერთოდ, ანუ შეინარჩუნებს თუ დაკარგავს საკუთარ სახეს, საკუთარ ტრადიციებს, საკუთარ სულს, საკუთარ იდეალებს, ვთქვათ პირდაპირ – ქრისტიანობას.

მშობლებმა უნდა მოითხოვონ პორნოგრაფიული პროდუქციის აკრძალვა და ტელეგადაცემებზე კონტროლის დაწესება. უნდა აიკრძალოს სექსოლოგიის გაკვეთილები, რომლებიც სკოლას საპირისპიროსკენ მიმავალ კიბედ აქცევს. მშობლები, რომლებიც თავად მშვიდად უყურებენ საკუთარი შვილების გარყვნას, ემსგავსებიან მოლოქის იმ თავყანისმცემლებს, რომლებსაც საკუთარ ხელებზე

დასვენებული მიჰყავდათ უძწეო ჩვილები, რათა ჩაეყარათ იმ საზარელი კერპის გაგარვარებულ მუცელში.

არქიმანდრიტი რაფაელი
(კარელინი)

2.

ქრისტიანული ოჯახი

ღმერთმა აკურთხა ოჯახის შექმნა, მას აგრეთვე განუსაზღვრა მიზანი და დანიშნულება: „**აღორძინდით და გამრავლდით და აღავსეთ ქვეყანა.**” ოჯახს სხვაგვარად მცირე ეკლესიასაც კი უწოდებენ. და რატომ? იმიტომ, რომ ოჯახის თითოეული წევრი ვალდებულია ღმრთისმსახურებით ცხოვრობდეს, დაიცვას უფლის მცნებები. ბოროტი სული ოდითგანვე ებრძოდა ამ წმინდა კერას. თავის დროზე ფილოსოფოსი სენეკა მოსწრებულად შენიშნავდა: „**ადამიანები ქორწინდებიან, რათა განქორწინდნენ და განქორწინდებიან, რათა იქორწინონ**”. ამას იგი მრავალი საუკუნის წინ ამბობდა და გავაგლოთ პარალელი დღევანდებლობასთან.

აღბათ საქართველოში არ გამოდის არც ერთი ჟურნალ-გაზეთი, სადაც ჰოლივუდის ცნობილ ვარსკვლავთა ცხოვრება არ იყოს მიმოხილული: თუ როგორ იქორწინეს ან როგორ განქორწინდნენ და კიდევ როგორ უნდა იქორწინონ. ჰოლივუდელი თოჯინებით და პორნო-ეროტიკული ჟურნალ-გაზეთებით, რომლითაც უხვად ამარაგებენ ჩვენს მოსახლეობას, დემონს დამონებული გარყვნილი სულები ცდილობენ დამანგრეველი დარტყმა მიაყენონ ცნებას: ზნეობა და ქრისტიანული ოჯახი. ეს ეპითეტი მიესადაგება არა მხოლოდასეთი სახის ლიტერატურის გამავრცელებლებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მათ, ვინც მისცა გავრცელების უფლება. სიძვა-მრუშობის ცოდვა არის დემოგრაფიული კრიზისის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. არ მესმის, როგორ შეიძლება უწოდო დედა ან ცოლი, ან საერთოდ სრულფასოვანი ქალი ადამიანს, რომელიც დღენიადაგ იღვწის სკოლებში სექსუალური აღზრდის სწავლებისათვის, ან როგორ შეიძლება უწოდო სამშობლოს მოყვარული იმ ადამიანებს, რომლებიც თბილისში თუ საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში დაძრწიან, რათა ისედაც დაცარიელებული ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას შეხვდნენ და აუხსნან, თუ როგორ დაიცვან თავი, რომ არ გამრავლდნენ.

ისინი არა მარტო სიტყვიერად ესაუბრებიან მათ, არამედ შესაბამისი ლიტერატურითაც ამარაგებენ, – ემანდ არაფერი შეეშალოთ და არ დაფეხმძიმდნენო. იცოდეთ, ეს ადამიანები ფულს ამაში იღებენ, რომ ჩვენს ერს არა მარტო სულიერი, არამედ ფიზიკური გენოციდი მოუწყონ. სწორედ ასეთი „შრომის“ შედეგი იყო, რომ ამ რამდენიმე წლის წინ რომელიღაც როკ-ჯგუფმა, რომლის სახელიც არის „ერის დაცემა“, რადგან ერს მათთვის პასუხი არ მოუთხოვია, ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისა და მართლმადიდებელისთვის წმინდა ადგილზე, – დიდგორის ველზე, კონცერტის შემდეგ, რომელიც თავისთავად ვანდალური აქტი იყო, – რადგან როკი ცოლვით დაცემაა, ხოლო დიდგორი – ღმრთისა და ერის დიდება და ღვაწლი საკვირველი, – საბრალო კომედიანტებმა ეგზალტირებული ბრბო დამცავი საშუალებებით დააჯილდოვეს და ამით წმინდა ადგილი წაბილწეს. წმინდა მეფე დავითი ამ დღეს ტიროდა თავისი ერისათვის, შეგვიძინდობს კი ღმერთი?

განთავისუფლდით კომპლექსებისგან, განიდარცვეთ სირცხვილის გრძობა, განეშორეთ ძველ სტერეოტიპებს, – მოძღვრავენ ერს უსჯულო ბატონთა ქართველი მოსამსახურენი, რომელთაც უკვე აღარც სახელი, აღარც გვარი და აღარც სამშობლო არ აქვთ, რადგან მათ არა მხოლოდ სამშობლოს, არამედ საკუთარ შვილებსაც კი უღალატეს. ის ვინც ასეთი მოწოდებებით გამოდის, ბუნებრივია საკუთარი ოჯახიდან იწყებს, ანუ დედ-მამა ხდება საკუთარი შვილების სულიერი მკვლელი, ხოლო თუ თავის ოჯახში ერთს ამბობს, გარეთ კი – სხვას, მაშინ მისი დანაშაული კიდევ უფრო მძიმეა. აი, ასეთი მოწოდებებით და კიდევ სხვადასხვა საშუალებით, რომელიც ეშმაკს უამრავი აქვს, „გამხნეებული“ ახალგაზრდები, მათ შორის მრავალი სკოლის მოსწავლეც, ასეთ თინეიჯერულ ასაკში ცოდვებით დამძიმებულ „მოხუცებად“ იქცევიან, რადგან უამრავი და უმძიმესია, და ენით გამოუთქმელიც, მათ მიერ ჩადენილი ცოდვები და ძალზე ძნელია შემდეგ მათი კვლავ გაახალგაზრდავება, ანუ ცოდვათა ჭაობიდან ამოყვანა. ამგვარად, ხელში გვრჩება უამრავი სულიერად დანგრეული და განადგურებული ახალგაზრდა.

მე, პირველ რიგში, ჩემს თავს ვუსვამ კითხვას და შემდეგ მოგმართავთ თქვენ, – შეიძლება რომ ვლუმდეთ? შეიძლება, რომ ჩვენი შვილები, ჩვენი მომავალი თაობა ამ სულიერ ვამპირებს

ჩავაბაროთ წარსაწყმედელად? ჯვრისწერის საიდუმლოზე, ქალწულებაზე შესანიშნავი, გულში ჩამწვდომი პარალელებით საუბრობს ჩვენი თანამედროვე მამა, არქიმანდრიტი ეპიფანე: „საიდუმლოს ბუნება, ძალა და ღირებულება სწორედ ის არის, რომ იგი ცვლის მდგომარეობას და გარდაქმნის მოვლენებს: ნაცვლად ცოდვისა ანიჭებს სიწმინდეს, ნაცვლად აკრძალვისა – ღმრთის კურთხევას, მიწიერს ზეცამდე აღამაღლებს. დიან, ქორწინებამდე ხუთი წუთით ადრე ქალისა და მამაკაცის ხორციელი შეერთება ცოდვაა, ხუთი წუთის შემდეგ კი აღარ არის ცოდვა. ღმრთაებრივი საიდუმლოს აღსრულებამდე ხუთი წუთით ადრე წმინდა ტრაპეზზე მხოლოდ სეფისკვერი და ღვინოა, „ხუთი წუთის შემდეგ“ კი, უფრო სწორად, წამის შემდეგ ეს უკვე ღმრთაებრივი ხორცი და სისხლია ჩვენი უფლისა! ნათლობამდე ხუთი წუთით ადრე მოუნათლავის წმინდა ევქარისტით ზიარება უმძიმესი ცოდვაა, ნათლობიდან ხუთი წუთის შემდეგ აუცილებელი და წმინდა მოქმედებაა. ხელდასხმამდე ხუთი წუთით ადრე ეპისკოპოსი უბრალო პრესვიტერია, ხუთი წუთის შემდეგ კი უკვე უფლებამოსილია პრესვიტერისა და დიაკვნის ქიროტონიისა.

ღმრთაებრივსა და ზებუნებრივსაც რომ არ ჩავუღრმავდეთ, ჩვეულებრივ ამქვეყნიურ საქმეებშიც აღმოვაჩინთ ამგვარ კანონებს: ხელშეკრულების ოფიციალურ გაფორმებამდე „ხუთი წუთით ადრე“ ტექსტის ფურცელი არაფრით განსხვავდება უბრალო, შესაფუთი ქაღალდისგან, „ხუთი წუთის შემდეგ“ კი იგი დოკუმენტია, რომლითაც კანონდება გარკვეული უფლებანი და მოვალეობანი. ხელმოწერამდე „ხუთი წუთით ადრე“ ანდერძი მხოლოდ უმნიშვნელო ქაღალდია, „ხუთი წუთის შემდეგ“ კი განსაზღვრავს მრავალი ათეული მილიონით შეფასებული ქონების ბედს. პრეზიდენტი ფიცის დადებამდე „ხუთი წუთით ადრე“ უბრალო მოქალაქეა, რომელსაც არავითარი განსაკუთრებული ძალმოსილება არ აქვს, „ხუთი წუთის შემდეგ“ კი იგი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა, დაითხოვოს პარლამენტი.”

დემონი და მისი მსახურნი გვთავაზობენ ბოიფრენდისა და გიოლფრენდის ინსტიტუტს, აშკარად თუ შენიღბულად. წმინდა ეკლესია კი მკაფიოდ და კატეგორიულად აცხადებს, რომ კაცისა და ქალის ხორციელი კავშირი ქორწინებამდე ხუთი წუთით ადრეც კი უმძიმესი ცოდვაა. „ვისაც ასხენ თვალნი ხელვიდენ“, „ვისაც ასხენ ყურნი ისმენდენ“.

დეკანოზი დავით ისაკაძე

3. განათლების რეფორმა – ილიას სახელით ილიას გზის უარმყოფელი გამომცემელი მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი თბილისი 2006

- ❖ რა „დაკვეთა“ ჩაიღო რეფორმაში
- ❖ მოზარდი თაობის გარყვნა
- ❖ რეფორმის „ძირითადი მონაპოვარი“ –
მართლმადიდებლობის დევნა-შევიწროება

1. რეფორმა ილიას გზის უარმყოფელი

ერი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი აღიარებს ზნეობრივი ცხოვრების წესს და სურს, ამ გზით იაროს, საზოგადოება, რომლის უდიდესი ნაწილი ნდობას ეკლესიას უცხადებს, თავის სარწმუნოებად მართლმადიდებლობას აღიარებს, პატივს სცემს მართლმადიდებლობასთან შენივთებულ ეროვნულ ცნობიერებას, კულტურასა და ტრადიციებს, აქვს სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, თავს მოტყუებულად, აბუჩად აგდებულად და შეურაცხყოფილად გრძნობს, როდესაც სთავაზობენ და თავს ახვევენ განათლების რეფორმას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ დიდი მამულიშვილის, ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს, თავისი არსით ილიასეული ფასეულობებისა და ღირებულებების აღმოფხვრას ისახავს მიზნად. რეფორმა ამჟამად და მეტადრე პერსპექტივაში ეწინააღმდეგება და უარყოფს ყოველივე

იმას, რასაც დიდი ილია ამკვიდრებდა, რისთვისაც იგი იბრძოდა და რისთვისაც მოწამეო ბრევად აღესრულა კიდევც.

ნებისმიერი რეფორმა ზნეობრიობაზე ორიენტირებულ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რომელსაც აქვს უმდიდრესი საგანმანათლებლო ტრადიცია და მსოფლიო მნიშვნელობის კულტურა, უნდა პასუხობდეს საზოგადოების უმრავლესობის სულიერ, ესთეტიურ და ყოფით მოთხოვნებს. კერძოდ, განათლების რეფორმა საქართველოში უნდა ემყარებოდეს ქრისტიანული მოძღვრების ზნეობრივ და ეთიკურ ნორმებს (სარწმუნოება), ისტორიულად ჩამოყალიბებულ და მართლმადიდებლობასთან შენივთებულ ეროვნულ თვითშეგნებას, ცნობიერებას, აზროვნების წესსა და ინსტრუმენტებს, კულტურას, ადათ-წესებსა და ტრადიციებს (ენა და მამული). ამის საპირისპიროდ, მიმდინარე რეფორმა სწორედ ილიას მიერ დასახულ ამ ფასეულობებს ანგრევს:

- **რეფორმამ უღმობელი ომი გამოუცხადა მართლმადიდებლობას,** – სკოლებში აიკრძალა მართლმადიდებლობის ქადაგება, სწავლება, აიკრძალა ლოცვა, ხატი, ჯვარი, სამლოცველო კუთხე. ამის სანაცვლოდ, ისწავლება წარმართული რელიგია უწყინარი სახელწოდებით – „მითოლოგია“. აიკრძალა მართლმადიდებელი ეკლესიის სუფევა სკოლებში, სამაგიეროდ, ფართოდ გაუღეს კარი კათოლიკურ ორგანიზაციას – „კათოლიკური დახმარების სამსახურს“;
- **რეფორმა არ წყალობს, პირველ რიგში, სწორედ ისეთ საგნებს, რომლებიც ეროვნულ თვითშეგნებას აღვივებენ:** ქართულ ენას, მშობლიურ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას;
- **რეფორმატორები „თავისუფალი“ პიროვნების ჩამოყალიბებას უკავშირებენ ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებას,** რაც, სინამდვილეში, სხვა არაფერია, თუ არა მოზარდების უზნეობისკენ წარმართვა, უზრდელობაზე, ურჩობასა და ეგოიზმზე ორიენტირება;
- **სკოლის კარი ფართოდ გაიღო მოზარდების გამრყენელი პროგრამებისა და პროექტებისათვის:** ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის საფარველით ხდება სიძვა-მრუმობისა და ნარკომანიის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ქადაგება;

- **მოზარდთა უფლებების დაცვის საფარველით რეფორმირებული სკოლა ებრძვის საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ტრადიციებს** – უფროს-უმცროსობისა და შეეგირდობის ინსტიტუტს, მასწავლებლის პატივისცემის, ოჯახიშვილობის, მშობელთა პატივისცემისა და მათდამი მორჩილების ტრადიციას.
- **რეფორმატორები საუბრობენ მოზარდების ძალადობისაგან დაცვაზე**, სინამდვილეში კი მათზე სულიერ ძალადობასა და აგრესიას ახორციელებენ.

2. რა „დაკვეთა“ ჩაიდო რეფორმაში?

ჩვენ მიერ ნათქვამს ადასტურებს, როგორც ანალიტიკური, ისე მრავალი ფაქტობრივი მასალა. იმაზე, თუ რა „დაკვეთა“ ჩაიდო რეფორმაში და აისახა კანონებში, ნათლად მეტყველებენ ის კვლევები, მისი ანგარიშები და კონფერენციათა მასალები, რომლებიც რეფორმის წინა პერიოდში შესრულდა თუ ჩატარდა საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით. სხვათაგან გამოყოფთ მასშტაბურ გამოკვლევას თემაზე „აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოში“, 2002 წ.; გამოკვლევას, შესრულებულს გლობალ ფონდის პროექტისთვის თ ; ჰენრიხ ბიოლის რეგიონალური ფონდის მხარდაჭერით ჩატარებულ კონფერენციას თემაზე: „მართლმადიდებლობის როლი საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოსა და საზოგადოებებში“, 2004 წლის 23-25 იანვარი და სხვა.

ამ გამოკვლევებისა და კონფერენციების მასალებიდან აშკარად გამოსჭვივის იმ ძალების შეშფოთება, რომლებიც, ფაქტობრივად, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის განვითარების პოლიტიკურ, სოციალურ, ზნეობრივ (უფრო სწორედ – უზნეო), ეთიკურ, ესთეტიკურ და სხვა მიმართულებებს. მათი ეს შეშფოთება დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის როლითა და მნიშვნელობით, მისი გავლენით მოსახლეობაზე და მოსახლეობის მხრიდან მის მიმართ ნდობის ხარისხით. ჩვენი დროის „დემოკრატები“ პირდაპირ აცხადებენ, რომ ქვეყანაში, რომლის რომელიმე ერთ ინსტიტუტს,

ჩვენს შემთხვევაში – ეკლესიას, მოსახლეობაში ასეთი მაღალი ნდობის ხარისხი აქვს (ბოლო გამოკვლევებით – 90%-მდე), დემოკრატიაზე საუბარი ზედმეტია. სწორედ ამით გამჟღავნდა ამ ძალთა არა დემოკრატიული, არამედ **დემონოკრატიული** ხასიათი. განათლების მიმდინარე რეფორმაში ეს დემონოკრატიზმი ასახულია და მოქმედებს. რეფორმის მიზანი ერთია: **სკოლამ ხელი არ უნდა შეუწყოს მოზარდებში მართლმადიდებლური ცნობიერებისა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემას.**

იმისათვის, რომ მკაფიოდ დავინახოთ, „რეფორმატორებმა“ რა **„რეკომენდაციები“** გაითვალისწინეს რეფორმის დაგეგმვის, წარმართვისა და კანონშემოქმედების პროცესში, მოკლედ შევხვთ ხსენებული გამოკვლევებისა და კონფერენციების მასალებს. ეს კვლევები უშუალოდ წინ უსწრებდა რეფორმას და მათ საფუძველზე გაკეთებული დასკვნები შემდგომ რეფორმის მიმართულებებში აისახა.

...

III.

... შემოგთავაზებთ ამონარიდს კიდევ ერთი გამოკვლევიდან, რომელიც შესრულდა **გლობალ ფონდის პროექტის „დავამარცხოთ შიღის, ტუბერკულოზი და მალარია“** (GFATM) ფარგლებში. პროექტი ხუთწლიანია (2004-2008 წ.) და 12 მლნ. აშშ დოლარით დაფინანსდება. კვლევა და მისი შუალედური ანგარიშის მომზადება UNESCO-სა და ფლანდრიის (ნიდერლანდები) მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა. კვლევის შედეგები იმ პერიოდს ასახავს, რომელიც უშუალოდ განათლების რეფორმის დაწყებას უსწრებდა წინ (ანგარიში კი ოდნავ მოგვიანებით გამოქვეყნდა).

თავიდანვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში ტუბერკულოზი გაცილებით უფრო მწვავე და აქტუალური პრობლემაა, ვიდრე შიღის, მაგრამ პროექტის განხორციელება მაინც შიღის პრევენციით დაიწყო. ამის მიზეზი კვლევის ანგარიშიდან მკაფიოდ ჩანს: **შიღის პრევენციას პროგრამის განმხორციელებლები პირდაპირ უკავშირებენ უსაფრთხო სექსის პროპაგანდასა და საექსუალური განათლების შეტანას სკოლაში. მიზანი აშკარაა: მოზარდ თაობაში**

მართლმადიდებლური ცნობიერებისა და ზნეობის შეცვლა ამორალურით, რასაც „რეფორმატორები“ ლიბერალურ ღირებულებებს უწოდებენ.

წარმოდგენილ ანგარიშში ასევე ასახულია ჩვენი ორგანიზაციის ქმედებები, მის წევრთა, მათ შორის – სასულიერო პირთა, მოსაზრებები, ყოველივე ის, რაც ჩვენ სხვადასხვა დროს გამოვთქვით თუ მოვიმოქმედეთ: ნაწილი სექსუალური განათლების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ნაწილი პროექტის მესვეურებთან და მის განმახორციელებლებთან საუბრისას მოსალოდნელი საშიშროებებისა და მიდგომების მიუღებლობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშში ჩვენი პოზიციები მისაღები სიზუსტით არის გადმოცემული. აი, ამონარიდი ანგარიშიდან (ციტატის დასაწყისი, სტილი ყველგან დაცულია):

**„აივ-ინფექცია და შიდსი საქართველოში
UNESCO 2005-08-05**

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მიეკუთვნება... მართლმადიდებელი ეკლესიის იდეოლოგია საკმაოდ კონსერვატულია; ლიბერალიზმი, ფემინიზმი და სხვა თანამედროვე მიმართულებანი ეკლესიის მხრიდან მუდმივ წინააღმდეგობას ხვდებიან. ეკლესიის წინააღმდეგობის გამო ჯერ ვერ მოხერხდა სასკოლო პროგრამაში სექსუალური განათლების კურსის შეტანაც. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას აივ-თან და შიდს-თან დაკავშირებით აზრი ოფიციალურად ჯერ არ გამოუთქვამს, თუმცა ტელევიზიით გამოსვლებსა და ქადაგებებში ეკლესიის მსახურნი მუდმივად იმეორებენ, რომ აივ-ითა და შიდს-ით ადამიანი ცოდვების, კერძოდ, ქორწინებადღე და ქორწინების გარეშე სექსუალური კონტაქტების გამო ისჯება. საკუთარი დოგმებიდან გამომდინარე, ეკლესია უსაფრთხო სექსის პრინციპებს მხარს ვერ დაუჭერს, მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს (!), რომ ეკლესიის სწავლებამ მორწმუნეთა ქცევაზე ზეგავლენა ყოველთვის ვერ მოახდინოს და მათ ერთზე მეტი სექსუალური პარტნიორი იყოლიონ. ყოველ შემთხვევაში,

მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობილი აივ-ის პრევენციული საქმიანობის დაგეგმვისას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის თანადგომის იმედი არ უნდა გვქონდეს. (გვ 102). (ანუ, ეკლესიას არაფერი ეშველება, ხალხი უნდა ჩამოვაშოროთ ეკლესიასო-ა.უ.)

სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში აივ-ისა და ნარკოტიკების გამოყენების პრევენციისაკენ მიმართული სპეციალური პროგრამები არ არსებობს. საშუალო სკოლის პროგრამაში აივ-ის პრევენციის კურსის შეტანამ მშობლებისა და ეკლესიის წინააღმდეგობა გამოიწვია და ის ჯერჯერობით (!) განუხორციელებელი რჩება. . . . 2003 წელს შემუშავებულ იქნა სასწავლო კურსი, მაგრამ განათლების სამინისტროს ჯგუფი, რომელიც ამაზე მუშაობდა, შეიცვალა. გარდა ამისა, გაიზარდა საზოგადოების ზეწოლა, რადგან ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთმა გავლენიანმა პირმა პროგრამას წინააღმდეგობა გაუწია იმის შიშით, რომ იგი ახალგაზრდებში „ამორალური ცხოვრების წესს“ გაუწევდა პროპაგანდას. (გვ93-94).

არასამთავრობო ორგანიზაცია „მართლმადიდებელ ქრისტიან მშობელთა ასოციაცია“ კი (იგულისხმება მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი-ა.უ.) სკოლაში ასეთი განათლების (იგულისხმება სექსუალური განათლება-ა.უ.) წინააღმდეგია. მათ სჯერათ, რომ მასწავლებლებმა და მშობლებმა ერთობლივი ძალისხმევით ბავშვებსა და მოზარდებს უმთავრესი ქრისტიანული ღირებულებები უნდა შეასწავლონ და ქართული ოჯახის ისეთი ტრადიციები უნდა განამტკიცონ, როგორებიცაა: ზომიერება (მოკრძალება), ქორწინებამდე ქალიშვილობის შენარჩუნება, და არა ისე, რომ უსაფრთხო სექსის პრინციპებს აზიარონ. ამ ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი ამბობს: „სკოლაში მოზარდებთან სექსუალურ საკითხებზე საუბარი ნაადრევია.“ სიტყვა „სექსი“ ბავშვებთან არც კი უნდა ვახსენოთ, რადგან ეს მათ „შეუცნობელის“ მიმართ არაჯანსაღ ინტერესს გაუღვივებს. (გვ 108).

საშუალო სკოლის პროგრამაში სექსუალური განათლების საკითხების შეტანის მცდელობას დიდი წინააღმდეგობა

გაუწიეს ზოგიერთმა სოციალურმა ჯგუფმა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კულტურული ზეგავლენისა და ძალაუფლების მქონე რელიგიურმა ლიდერებმა. სექსთან დაკავშირებული საკითხები, ძირითადად, ტაბუირებულია ოჯახებშიც. ამდენად, სექსუალური განათლების მიღების სარწმუნო წყაროები ჯერ კიდევ მცირეა. (გვ. 94, 97)

ამ თემას აუცილებლად უნდა მოვხსნათ ტაბუ, მასმედიის, სატელევიზიო კლიპებისა და სხვა სახის რეკლამების მეშვეობით აქტიური კამპანია უნდა ვაწარმოოთ. ჩვენ ვითარება ისე უნდა შევცვალოთ, რომ აღარ იყოს სამარცხვინო, პარტნიორს ჰკითხო, გაიარა თუ არა მან ტესტირება. (გვ.125)

შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართული საზოგადოება ხანგრძლივ „სექსუალურ რევოლუციას“ განიცდის... ქცევით დონეზე უკვე სახეზეა ქალთა სექსუალური ცხოვრების ლიბერალიზაცია. უფრო მეტიც, ქორწინებამდე სექსუალური კავშირის დამყარება თბილისელ მამაკაცებს (პროვინციაში მცხოვრები მამაკაცებისგან განსხვავებით) უკვე დასაშვებად მიაჩნიათ. (გვ. 87)

ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვთა ფედერაცია“ გლობალ ფონდის პროექტის „დავამარცხოთ შიღსი...“ ერთ-ერთ კომპონენტს – „ახალგაზრდობის აივ/შიღსის პრევენციას“ ახორციელებს. ამ პროექტის ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი კომპონენტის განსახორციელებლად ფედერაციამ კონსორციუმი შექმნა... კონსორციუმი ფართომასშტაბიან კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს გეგმავს: „უსაფრთხო არდადეგები“ შავი ზღვის სანაპიროზე, ზაფხულში... “ (ციტატის დასასრული).

3. მოზარდი თაობის გარყვნა

„უსაფრთხო არდადეგები“ რომ უსაფრთხო სექსსაც გულისხმობს, ეს „საქართველოს ბავშვთა ფედერაციის“ მიერ შექმნილი კონსორციუმის (შედიან: „საქართველოს ბავშვთა ფედერაცია“, შიღსის ეროვნული ცენტრი, ორგანიზაციები: „თანადღომა“, „ბემონი“,

და საერთაშორისო ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ქსელი „იუვეკო“) საქმიანობიდანაც ჩანს. მაგალითისათვის, კონსორციუმმა 2005 წელს „თანატოლთა განსწავლის“ პროგრამის სერიით გამოუშვა ბუკლეტი: **„ქცევის შეცვლის მოტივირება და მხარდაჭერა“**, რომლის შინაარსია (ციტატა ბუკლეტიდან): **„როგორ აწარმოონ მოლაპარაკება პარტნიორთან უსაფრთხო სექსის შესახებ“**. ბუკლეტში კონსორციუმის წევრები ახალგაზრდობას მოუწოდებენ: **„დამატებითი ინფორმაციისა და კონსულტაცია-გამოკვლევებისთვის მოგვემართეთ...“**.

ეფექტობთ, კომენტარი ზედმეტია. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ, საზოგადოების მხრიდან საკმაოდ დაბალი აქტივობის გამო, ერის დემორალიზაციის მოსურნეებმა ნელ-ნელა დაიწყეს თავიანთი გამხრწნელი გეგმების სისრულეში მოყვანა. ამისათვის საკმარისია, თვალი გადავაავლოთ ამჟამად საქართველოში მიმდინარე პროექტებს, რომელთა ძირითადი სამიზნე მოსწავლე-ახალგაზრდობაა, ხოლო პროექტების მოქმედების არეალი სასწავლო დაწესებულებებსაც მოიცავს. ასეთი პროექტებია:

1. ორგანიზაცია „ბემონი“ და „საქართველოს ბავშვთა ფედერაცია“ ახორციელებენ **თანატოლებს შორის უსაფრთხო სექსის საგანმანათლებლო (!) პროგრამებს;**
2. პროექტი „ეალტჰყ ჭომენ ინ ეორგია“, ორგანიზაცია „შავე ტჰე ცჰილდრენ“-ის ეგიდით, მიზნად ისახავს **ქცევის ადგილობრივი ნორმების შეცვლას იმერეთში**, მოზარდებში უსაფრთხო სექსის ჩვევების დამკვიდრებას თანატოლთა განათლების გზით;
3. პროექტი – **„გურიის მოზარდების რეპროდუქტიული ჯანმრთელობა“**, ახორციელებს ორგანიზაცია „ჩ ღ“ – **გულის ხმობს ინფორმირებული სექსუალური ჯანმრთელობის არჩევანის გაკეთების უნარის მოზარდებში გავარჯიშებას** (2005 წლიდან) და სხვ.

ამ პროექტების განმახორციელებლები, ვითომ დასავლური გამოცდილების გადმოტანას ცდილობენ. სინამდვილეში, როგორც წესი, გვერდს უვლიან სწორედ ამ დასავლურ გამოცდილებას, ხშირად არ ითვალისწინებენ ადგილობრივ გარემოებებს, ტრადიციებს, ზნეობისა და ეთიკის ნორმებს.

მართლაც, ის პროგრამები, რომლებიც დასავლეთში განკუთვნილია **მარგინალური ჯგუფებისთვის** – ნარკომანების, ჰომოსექსუალებისა და მეძავეებისათვის – ჩვენთან მიმართულია მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის ფართო წრისა და ჯგუფებისათვის, რაც დამლუპველია მათი ფსიქიკისა და ზნეობისათვის. დასავლეთის სკოლებში მოზარდებს არავენ ესაუბრება შპრიცებსა და პრეზერვატივებზე, მასმედიის საშუალებებით არ ხდება ნარკოტიკების სახეობების, მათი მოხმარების წესებისა და მსგავსი საკითხების ახსნა-განმარტება, არავენ ურიგებს სკოლებსა თუ სხვა ადგილებში მოზარდებს პრეზერვატივებსა და მსგავს საშუალებებს, ყოველივე ზემოთქმულის შემცველ ბუკლეტებს.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში **შიდსის პრევენციის ტაქტიკა დიფერენცირებულია საზოგადოების ჯგუფების მიხედვით**: ახალგაზრდებისთვის მხოლოდ თავშეკავების პროპაგანდა მიმდინარეობს, დაქორწინებული წყვილებისთვის განკუთვნილ ინფორმაციაში მხოლოდ ერთგულებაზეა საუბარი, პრეზერვატივების გამოყენებისაკენ მხოლოდ მეძავეებსა და სხვა მაღალი რისკის ჯგუფებს მოუწოდებენ. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და ტელევიზიით პრეზერვატივების ხსენება საერთოდ აკრძალულია. საქართველოში კი ტაქტიკა არ არის დიფერენცირებული. ტელევიზიით და სკოლებში ბავშვებისთვის ისეთივე მიმართვები და მოწოდებები კეთდება, როგორც დასავლეთში მეძავეებისა და ნარკომანებისათვის. ასეთი პროგრამების შედეგად სკოლებში მიმდინარეობს „უსაფრთხო სექსის რეკლამა, ზაფხულობით ეწყობა „უსაფრთხო არდადეგები“ ბანაკებში. ტელევიზიის სხვადასხვა არხის მიერ, ფაქტობრივად, ნარკოტიკების რეკლამა წარმოებს, ეს მაშინ, როდესაც არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის საქართველოს კანონი ეთერში ნარკოტიკის დასახელებასაც კი კრძალავს. თბილისის სკოლებსა და ავტობუსებში გაკრულია პლაკატები წარწერით „**ნუ გამოიყენებთ უკვე ნახმარ შპრიცს და ნუ გადააგდებთ მას ქუჩაში**“.

ჩვენ პირდაპირ ვაცხადებთ: როდესაც პროგრამებისა და პროექტების განმანორციელებლები მოსწავლეებს ურიგებენ ბუკლეტებს, სადაც წერია, რომ ყოველ შემთხვევით სექსუალურ პარტნიორთან დამცავი საშუალებები უნდა გამოიყენონ, ეს არის სიძვის ქადაგება. როდესაც მოზარდებს ეუბნებიან, რომ ნახმარი შპრიცით არ უნდა გაიკეთონ

ნარკოტიკი, ეს არის ნარკომანიისკენ ბიძგის მიცემა, ნარკომანიის ირიბი ქადაგება. შედეგად, ნარკომანიამ მოზარდებში – ბიჭებსა და გოგონებშიც – კატასტროფულ ღონეს მიაღწია.

მოზარდებზე მავნე ზეგავლენის შედეგად გაიზარდა მკვლევლობებისა და ძალადობების რიცხვი. აშკარად იზრდება გარყვნილების ღონე და პროსტიტუცია. ამას, თუნდაც, ის მესიჯები ამტკიცებენ, რომლებიც მორბენალი სტრიქონების სახით ტელეეკრანებზე ჩვენ თვალწინ გაირბენენ. აი, ზოგიერთი მაგალითი:

- 202-ის მორბენალი სტრიქონი – **„ვარ 14 წლის, ბიჭებო, სექსი არ გინდათ, დამიმესიჯეთ“**;
- „ღროებაში“ – ქალიშვილები ვაჟიშვილების წინააღმდეგ: **„მომწყინდა თქვენი ვაჟიშვილობა“**,

და ა.შ. რეფორმის გარიჟრაჟზე სკოლებში მოსწავლეებს არალეგალურად და არაოფიციალურად უტარდებოდათ სექსუალური განათლების გაკვეთილები, სხვადასხვა საფარველით: **ჰიგიენა, თავდაცვა** და მისთ. მაგალითად, ერთ-ერთ სკოლაში გოგონებსაც და ბიჭებსაც ავარჯიშებდნენ ბანანებზე პრეზერვატივის ჩამოცმაში, სხვაგან მოსწავლეებს პრეზერვატივები დაურიგეს. ერთ-ერთმა მამამ, შემთხვევით, თავის გოგონას ხელში დაუნახა იგი და სკოლის დირექტორს მიუვარდა, რომელიც მას მაგიდის ქვეშ ემალებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მამამ თავი აარიდა ბოლომდე მიჰყოლოდა ამ საქმეს და პასუხი მოეთხოვა განათლების სისტემის მესვეურებისათვის. ასეთი შემთხვევები მრავლად იყო. ჩვენი მხრიდან მათზე რეაგირება იყო მწვავე, პასუხს ვთხოვდით სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს, საქმის კურსში ვაყენებდით განათლების მინისტრს, მაგრამ სამინისტროს არავინ დაუსჯია და არავისთვის მოუთხოვია პასუხი. საზოგადოების ასეთმა აქტივობამ ის შედეგი მაინც გამოიღო, რომ მოზარდთა გამრყენელი სწავლება ჯერჯერობით ოფიციალურად ვერ გავრცელდა სკოლებში. მაგრამ სხვა საშუალებებით, როგორც ვნახეთ, მიმდინარეობს მოსწავლე-ახალგაზრდობის გარყვნა.

არის ერთი ასევე საშიში მიმართულება: **მოზარდთა უფლებების დაცვის სფერო**. არასწორი სწავლებით, რაც, ფაქტობრივად, მიმდინარეობს, შეიძლება სავალალო შედეგები მივიღოთ და მოსწავლეები ჩამოყალიბდნენ ეგოისტებად, ურჩებად, უზრდელებად

და მასწავლებელთა და მშობელთა არაპატივისმცემლებად. არასწორი სწავლების მაგალითად მოვიყვანო შემთხვევას, რომელიც მოხდა ერთ-ერთ სკოლაში (როგორც ჩვენ მოგვაწოდეს ინფორმაცია – 97-ე სკოლაში): სამართლის გაკვეთილზე „მასწავლებელი“ მოსწავლეებს მტკიცედ არწმუნებდა, რომ მათ მიღებული შრომითი შემოსავალი მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის უნდა მოიხმარონ. არა ოჯახს, არა მშობლებს, არა და-ძმებს, არა ხელმოკლეობის შესამსუბუქებლად, არამედ – საკუთრივ, ყველასა და ყველაფრისადმი ეგოისტური მიდგომით უნდა მოიხმარონ.

როგორც ვხედავთ, საქართველოში ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება ცოდვის ლეგალიზება, ხშირად – სკოლის კედლებში. მრავალრიცხოვანი პროგრამების მეშვეობით ასეთმა ქადაგებებმა ტოტალური ხასიათი მიიღო. ამას ემატება ტელევიზიებით ისეთი გადაცემებისა თუ ფილმების ჩვენება, რომლებიც შეიცავენ გარყვნილებას, მათ შორის – მოზარდებს შორის, სიძვა-მრუშობას, გაუკუღმართებულ სექსს, ძალადობასა და საღიზმს, ნარკომანიასა და აშკარა სატანიზმს, ქალაქი კი პორნოგრაფიულმა ჟურნალ-გაზეთებმა წაღეკა, – ყოველივე ამის შემდეგ გვექმნება შთაბეჭდილება, რომ რაღაც ძალები მიზანმიმართულად ცდილობენ გარყვან ჩვენი მომავალი თაობა, უბიძგონ სიძვა-მრუშობისაკენ, ჰომოსექსუალ-ტრანსსექსუალიზმისაკენ, ნარკომანიისაკენ, სისასტიკისაკენ, ღვთისმგმობელობისაკენ, სკოლის კარები ღიაა ამ უმსგავსოებისათვის – განმკითხავი კი არავინ არის. იმ სახის პროექტებზე, რომლებიც მიმართულია მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობისაკენ, არამცთუ – უმკაცრესი, არავითარი კონტროლი არ არის დაწესებული. ყოველივე ეს ხდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის ხელშეწყობით თუ არა, მათი უმოქმედობითა და შემწყნარებლობით მაინც. სამინისტროს მიერ შემოთქმული მიმართულებით კანონის დარღვევის რაიმე ფაქტის დაფიქსირების არც ერთი შემთხვევა არ არის ჩვენთვის ცნობილი. სამინისტროს სტრუქტურაში არის რგოლი, რომელიც უნდა თანამშრომლობდეს ჩვენთან ორგანიზაციებთან, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ეს არ სურს: ჩვენმა პარტნიორმა ორგანიზაციამ წერილი მისწერა – პასუხის ღირსიც არ გახადეს. აქედან გამომდინარე,

კონტროლის განხორციელების ფუნქცია მთლიანად საზოგადოებამ, არასამთავრობოებმა, ეკლესიამ და მისმა წევრებმა უნდა იკისრონ.

ავთანდილ უნგიაძე
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი



თავი VII. დასასრული

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის მიმართვა

საქართველოში სოკოებივით მომრავლდნენ „ოჯახის დაგეგმვის ასოციაციის“ („ოდა“) მემკვიდრე და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები და სამსახურები, რომლებიც რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებით ინიცირდნენ. ოჯახის დაგეგმვის ეს აპოლოგეტები მშობლებისა და ბავშვების ჯანმრთელობაზე ვითომ ზრუნვით შენიღბულნი, ხელმძღვანელობენ კაიროს კონფერენციის რეკომენდაციებით და მიზნად ისახავენ ჩვენს ქვეყანაში შობადობის მკვეთრ შემცირებას. მათ შემუშავებული და მრავალ ქვეყანაში აპრობირებული აქვთ სექსუალური განათლების პროგრამა, მისი საშუალო სკოლებში დანერგვის პრაქტიკა, რაც გულისხმობს ბავშვებისათვის ე.წ. „უსაფრთხო სექსის“ მეთოდებისა და საშუალებების გაცნობა-სწავლებას, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას და ა.შ. ახლა იმავეს უკვე საქართველოშიც ცდილობენ.

დაგეგმილია და უკვე ხორციელდება მოზარდი თაობის კონტრაცეპტული პროდუქციის მომხმარებლად, აღვირახსნილი ვნებების მსახურად გადაქცევა. ასეთი სწავლა-განათლება ანგრევს და ამახინჯებს მოზარდის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ფსიქიკას, ბავშვობის ასაკშივე აღმოფხვრის სირცხვილისა და მორიდების გრძნობას, უბიძგებს ადრეული სქესობრივი ცხოვრებისაკენ. შედეგი თითოეული პიროვნებისათვის სავალალოა – წართმეული ბავშვობა, შერყეული ჯანმრთელობა, დაცემული ზნეობა, დაკარგული მისწრაფება წმინდა მეუღლეობრივ ერთგულებაზე დამყარებული ოჯახისადმი, სიწმინდის, უბიწოების, ქალწულების ცნებების აბუჩად აგდება. ეს კი ერის ზნეობრივი გადაგვარების, სულიერი დევრადაციის, საბოლოო დაცემისა და განადგურების დასაწყისია.

ამ პოლიტიკის ტაქტიკა და სტრატეგია არ არის ახალი. ასე, მაგალითად: ნაცისტები იმისთვის, რომ შეემცირებინათ დაპყრობილი ერების სიცოცხლისუნარიანობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე გულმოდგინედ ნერგავდნენ პორნოგრაფიას, მაშინ, როცა თვით გერმანიაში იგი სასტიკად იყო აკრძალული. 1939 წელს პოლონეთის

ოკუპაციის შემდგომ გამოცემულ დეკრეტში ვკითხულობთ: „დაშვებულ და მხარდაჭერილ იქნეს ყველა ღონისძიება, მიმართული შობადობის შემცირებისაკენ. მოიხსნას აკრძალვა აბორტზე. აბორტისა და კონტრაცეფციის საშუალებები მოსახლეობას უნდა შევთავაზოთ ღიად, ყოველგვარი პოლიტიკური შეზღუდვების გარეშე. მოხდეს ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზაცია. აბორტებით პროფესიულად დაკავებულ კერძო პირებსა და ორგანიზაციებს ხელი არ შეეშალოთ“.

1941 წელს, ჰიტლერის დეკრეტით, ეს პოლიტიკა გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებზეც. ასევე იაპონელები დაპყრობილ მანჯურიაში ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ადგილობრივ მოსახლეობაში პორნოგრაფიული პროდუქციისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელებას. ამავე დროს იმავე პროდუქციის შექმნა მკაცრი სასჯელის მუქარით ეკრძალებოდათ თავად იაპონელებს.

სექს-განათლების მხარდამჭერები საკუთარ პოზიციას თითქოსდა იმის შიშით ასაბუთებენ, რომ სულ უფრო იზრდება ბავშვთა და მოზარდთა ასაკში ორსულობის, აბორტის, ვენერიული დაავადებების, სექსუალური ძალადობის რიცხვი; რომ, თითქოს, ადრეული ბავშვობის ასაკიდან (ხაზს ვუსვამთ – სკოლის დაწყებითი კლასებიდან, ე.ი. 6 წლიდან) უსაფრთხო სექსის მეთოდების დაუფლებით, ბავშვები მთელ რიგ პრობლემებს აიცილებენ თავიდან.

ცრუთა და სიცრუის მამის მსახურთა სამხილებლად მოვიყვანთ იმ ქვეყნების სამწუნარო გამოცდილებას, რომლებმაც აღნიშნულ საკითხში ათწლეულებით გაუსწრეს საქართველოს. მაგალითად, აშშ-ში სექსუალური განათლების პროგრამა 1970 წელს დაინერგა. ამერიკელი მეცნიერების მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით, 70-იან წლებში აღინიშნა არასრულწლოვანთა აბორტებისა და გაუპატიურების მკვეთრი ზრდა (1975 წლამდე – 45%-ით), შიდსის დაავადებამ ეპიდემიის ხასიათი მიიღო – ყოველ 15 წუთში იღუპება ერთი ადამიანი. ყოველ 13 წამში ერთი მოზარდია ვადდება რომელიმე ვენერიული დაავადებით, აღინიშნა მამაკაცური და ქალური ჰომოსექსუალიზმის კატასტროფული ზრდა. აღმოჩნდა, რომ აშშ-ის მთელ რიგ ქალაქებში სექსუალური აღზრდის გაკვეთილებს სწორედ ოფიციალური ჰომოსექსუალისტები ატარებენ.

საზოგადოებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება დასავლეთის ქვეყნებში წლების მანძილზე დაგროვილი მეცნიერული მასალის

გაცნობა, რომელიც ქალის ორგანიზმზე ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების დამლუპველ გავლენას ეხება. საერთაშორისო ონკოლოგიური ჟურნალის მონაცემებით, სარძევე ჯირკვლების კიბოთი დაავადების რისკი 90%-ით იზრდება იმ ქალებში, რომლებიც ორალური კონტრაცეპტივების რეგულარული მომხმარებლები არიან.

ცხადზე უცხადესია, რომ „დამგეგმარებლები“, სექს-განათლებისა და კონტრაცეფციის აპოლოგეტები ამქვეყნად საღმრთო წესრიგის დამანგრეველი და ქრისტეს ხილული თუ უხილავი მტრების ხელში არსებული მძლავრი იარაღები არიან. ისინი ჩვენი საუკუნოვანი ეროვნული ტრადიციების დასანგრევად, ფასეულობათა ახალი სტრუქტურის, ახალი ზნეობრივი ნორმების, სახარებისეული მცნებების საფუძველს მოწყვეტილი ცხოვრების ახალი წესების დასანერგად არიან მოწოდებულნი.

მოგმართავთ თანამემამულეებს და გული მწუხარებით გვევსება – ვაჟკაცობითა და მაღალი ზნეობით ოდესღაც ცნობილი ქართველობისათვის დღეს იმის მტკიცება გამხდარა საჭირო, რომ დაუშვებელია, წარმოუდგენელია სასკოლო მერხებთან მსხდომ ჩვენს შვილებს, ჯერ კიდევ სულ ბავშვებს სულით მახინჯი ადამიანები ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებით სარგებლობას, ქალწულობის უსაფრთხოდ დაკარგვის მეთოდებს, ჰომოსექსუალური ცხოვრების ნიუანსებს ასწავლიდნენ, ბავშვთა უფლებების დაცვის საბაბით კი მათ მშობლებისა და ოჯახის უგულებელყოფას, ურჩობასა და ეგოიზმს უნერგავდნენ

მოგმართავთ თქვენ, ჩვენი ეკლესიის მწყემსებო. ხმა აღიმადღეთ ღმრთის სასუფეველის დამკვიდრებისათვის მოწოდებული ადამიანის უკვდავი სულის წინააღმდეგ დაგეგმილი უმაგალითო ბოროტმოქმედების აღსაკვეთად.

მოგმართავთ საქართველოს განათლების სამინისტროს, საკანონმდებლო ხელისუფლების, გენერალური პროკურატურის ყველა პატიოსან წარმომადგენელს, იხმარეთ თქვენთვის მისაწვდომი ყველა საშუალება ერის ფიზიკური და ზნეობრივი გენოციდის წინააღმდეგ.

ყველა თაობის პედაგოგებო, სკოლების დირექტორებო, სამეურვეო საბჭოს წევრებო, ჩვენი და ჩვენი შვილების აღმზრდელებო, ნუთუ დაივიწყებთ თქვენს მაღალ მოწოდებას, ნუთუ თქვენს სკოლებში ფენს დაადგმევინებთ უზნეო სწავლებასა და გაუკუღმართებულ

ფსიქიკის ადამიანებს?! მაშინ, დაე, ნულარ იხსენიება თქვენი სკოლების კედლებში შუშანიკ დედოფლის, აბო თბილელის, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შალვა ახალციხელის, ქეთევან წამებულის, ბიძინა ჩოლოყაშვილისა და სხვათა და სხვათა სახელები.

მშობლებო, არ მოტყუვდეთ „სექსუალური აღზრდის“ გაკვეთილების ახალი დასათაურებით (იქნება ეს „ოჯახის დაგეგმვის საფუძვლები“, „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „რეპროდუქტიული ჯანმრთელობა“, „სქესობრივი აღზრდა“, „ჰიგიენა“, „თავდაცვა“ თუ კიდევ სხვა რამ). იცოდეთ, რომ ამ გაკვეთილებზე თქვენს შვილებს ასწავლიან პრეზერვატივებით სარგებლობას, უჩვენებენ გენიტალიების, სქესობრივი აქტის გამოსახულებებს, უნერგავენ წინასწარგანწყობას ჰომოსექსუალიზმისა და სხვა გადახრებისადმი. იქ თქვენს შვილებს შეასწავლიან, რომ ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვა – სიძვა-მრუშობა, სასიამოვნო თამაშია, ცხოვრების ერთ-ერთი საშუალებაა; იქ „მომღიმარი“ დეიდები თქვენს საყვარელ გოგონებსა და ვაჟებს ასწავლიან „სექსუალურ ცხოვრებას ზედმეტი პრობლემების გარეშე“, და, თუ ეს „პრობლემები“ მაინც თავს იჩენს, გოგონებს წინასწარ ეცოდინებათ მისამართი, სადაც მშობლებისაგან ფარულად გაუკეთებენ აბორტს. დარწმუნებული იყავით, ეს მექანიზმი შეუფერხებლად იმოქმედებს ამერიკასა და ევროპაში გავლილი მრავალწლიანი პრაქტიკის წყალობით.

დედებო და მამებო, თანახმა ხართ, რომ:

- თქვენმა შვილმა 10-12 წლიდან დაიწყო სქესობრივი ცხოვრება?
 - თქვენი შვილები დაავადდნენ შიდსით ან ვენერიული დაავადებებით?
 - თქვენი საყვარელი გოგონები სკოლაშივე გააუპატიურონ და აბორტი გაუკეთონ?
 - თქვენი შვილები გახდნენ მეძავეები და ჰომოსექსუალისტები?
- არა ხართ თანახმა? მაშინ ხმამაღლა გამოთქვით პროტესტი სკოლებში „სექს-განათლების“ შემოღების საწინააღმდეგოდ. აუკრძალეთ საკუთარ შვილებს ამ გაკვეთილებზე დასწრება. მოსთხოვეთ სკოლების ხელმძღვანელობას „სექსუალური განათლების“ აკრძალვა. ნუ იქნებით მოლაღატენი, დაიცავით უმწეო ბავშვები, იღონეთ ყოველივე, რაც თქვენს ძალებშია!



ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობის მაგიერ.	3
თავი I.	
საქართველოს დემოკრატიული კატასტროფა	
იმუქრება.	6
1. საქართველოს დემოკრატიული მაჩვენებლების	
პერსპექტიული გაანგარიშებები.	6
2. საქართველოს დემოკრატიული კატასტროფის სურათი. 7	
3. დემოკრატიული ომის მეთოდები.	14
თავი II.	
დემოკრატიული ომი და მისი მეთოდები.	16
1. შესავალი.	16
2. გეგმა NSSM-200, აშშ-ს ნაციონალური უშიშროების	
მემორანდუმი.	17
3. დეზინფორმაციის მეთოდები.	23
4. „ოჯახის დაგეგმვის“ ისტორია.	26
5. კაიროს კონფერენცია.	32
6. „დამგეგმარებლებს“ განსაკუთრებით	
ახალგაზრდობა აღეღებთ.	35
7. შედეგები და პერსპექტივები.	37
8. სექსუალური განათლება – რას ამბობს ამერიკის	
გამოცდილება?.	41
9. როგორია პერსპექტივები?.	44
თავი III.	
სემსუაღშური ბანათლებლის პროგრამა სკოლის	
მოსწავლეთათვის	
არსი, მიზნები, ამოცანები, მეთოდები,	
რეკომენდაციები, შედეგები.	46
I. საექსპერტო დასკვნები.	46
1. შესავალი.	46
2. პროგრამის – „ოჯახის დაგეგმვის საფუძვლები“ – ანალიზი	
და საექსპერტო დასკვნები.	48
3. ინტერვიუ ბავშვთა ფსიქოლოგთან.	75

II. დასავლეთი თანდათან უარყოფს სექს-ბანათლებას.	83
1. აშშ.	83
2. დიდი ბრიტანეთი	88
3. კანადა და სხვა ქვეყნები	92
4. ამონარიდი აშშ-ს კანონმდებლობიდან	93
5. რა ხდება ამ დროს საქართველოში?	95
თავი IV	
კონტრაცეფცია – შობადობაზე კონტროლის	
ეფექტური საშუალება	98
1. შესავალი	98
2. კონტრაცეპტივების მანუა ზემოქმედება – სპეციალისტებისა და ექსპერტების დასკვნები	101
3. ქირურგიული სტერილიზაცია	114
4. აბორტის ცოდვის შესახებ	114
5. სიცოცხლე, როგორც ადამიანის ხელშეუვალი უფლება	138
თავი V	
წერილები და კომენტარები თემაზე: ბენოციდი, სექს-	
ბანათლება, კონტრაცეფცია	158
1. შესავალი	158
2. გენოციდის ანატომია აპოკალიფსის მიჯნაზე	159
3. მწვალებლობა ერის გენოციდის სამსახურში	173
4. სექსუალური განათლების შედეგები	174
5. ზოგიერთი დამატებითი ინფორმაცია	186
6. საექსპერტო დასკვნა რუსეთის „ოდას“ შესახებ.	187
თავი VI.	
ამონარიდები ჩვენი სხვა პუბლიკაციებიდან	
1. რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათვანი	194
2. ქრისტიანული ოჯახი	229
3. განათლების რეფორმა – ილიას სახელით ილიას გზის უარყოფელი	223
თავი VII. დასასრული	
მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის მიმართვა	235
სარჩევი	239